

K 142 537  
3



მკელი ქართული  
აგიოგრაფიული  
ლიტერატურის მკვლევები  
III



# Памятники древнегрузинской агиографической литературы

КНИГА III

(Метафрасные редакции XI—XIII вв.)

Подготовили к печати

И. В. Абуладзе, Е. П. Габидзашвили, Н. Д. Гогоуадзе,  
М. Ш. Долакидзе, Г. И. Кикнадзе и Ц. И. Курцикидзе

ПОД РУКОВОДСТВОМ И РЕДАКЦИЕЙ

И. В. АБУЛАДЗЕ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ

1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი



# ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები

წიგნი III

(შეტაფრანული რედაქციები XI—XIII სს.)

დასაბუქლად მოამზადეს

ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაძემ,  
ბ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ

ილია აბულაძის

ხელმძღვანელობითა და რედაქციით



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1971

142537  
K 3

$\frac{899.962.1-3}{493}$ 
  
 F 1

კრებული „ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“ გამოდის 4 წიგნად. I წიგნში, რომელიც 1964 წელს გამოიცა, შევიდა უძველესი პერიოდის (V-X სს.) ორიგინალური ქართული ძეგლები, II წიგნში კი, რომელიც 1967 წელს გამოქვეყნდა, მოხდა მომდევნო (XI-XIV) საუკუნეთა ძეგლები. III წიგნი შეიცავს მეტაფრასულ რედაქციებს, ხოლო IV (გამოვიდა III-ზე ადრე, 1968 წ.) დაეთმო სვინაქსარულ რედაქციებს. ტექსტები მეცნიერულ-კრიტიკულად არის დადგენილი ყველა ხელმისაწვდომი ნუსხის მიხედვით.

წინამდებარე III წიგნში შესული მასალა წარმოადგენს ძვირფას წყაროს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების შესასწავლად.

სპეგ-2000  
 შიამოშვილი

## წინასიტყვაობა

ძველი ქართული აგიოგრაფიის ძეგლების მორიგი, მესამე წიგნი მეტაფრასული აგიოგრაფიის ნაწარმოებებს შეიცავს. აღნიშნული ქანრის თხზულებანი მე-11 საუკუნიდან იკიდებენ ფეხს ჩვენში (ცოტა ადრე ეს ქანრი ბიზანტიაში წარმოიშვა). მე-12-13 სს-ში ქართული მეტაფრასული ლიტერატურის ძეგლები უკვე ძირითადად ჩამოყალიბებულია. ამდენად, წინამდებარე წიგნში შესული ნაწარმოებები უმეტესად XI-XIII სს-ს ეკუთვნის.

ქართული მეტაფრასული აგიოგრაფიის ძეგლებიდან ცნობილია: ქართველთა განმანათლებლის ნინოს ცხოვრების ორი რედაქცია (ე. წ. არსენისეული და მისი პერიფრაზი), ასურელი მამების—თანე ზედაზნელის, შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის ცხოვრებათა თითო რედაქცია და ილარიონ ქართველის ცხოვრების ერთი რედაქცია, რომლის ავტორად თეოფილე ხუცესმონაზონი მიიჩნევა.

აღნიშნულ რედაქციათა გარდა გამოვლინდა შიოსა და დავით გარეჯელის ცხოვრებათა დღემდე უცნობი რედაქციები. შიო მღვიმელის ცხოვრება დღემდის ცნობილთან მიმართებით წარმოადგენს მოკლე წიგნს საკუთარი შესავლითა და ვრცელთან საერთო მთელი რიგი ადგილებით. იგი, როგორც ტექსტის ენობრივი მხარე გვიჩვენებს, იმ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს, როცა მეტაფრასული მწერლობა ჩვენში ძალზე გაშლილი იყო. დავით გარეჯელის ცხოვრება არსებული მეტაფრასის პერიფრაზს წარმოადგენს. თანახმად ანდერძისა, მისი ავტორია რომანოზ ერისთავი, მიტროპოლიტი, რომელსაც ის 1737—40 წწ-ში შეუდგენია. ერთიცა და მეორეც წიგნში დანართად გავუშვით.

წინამდებარე წიგნში მოთავსებული ნაწარმოებები გამოსაცემად მოამზადეს: ილია აბულაძემ—ასურელ მამათა ცხოვრებანი (დღემდის ცნობილი და უცნობი, —„დანართში“ წარმოდგენილი), ც. ქურციკიძემ—ნინოს ცხოვრების ე. წ. არსენისეული რედაქცია, ნ. გოგუაძემ—ნინოს მეორე მეტაფრასული ცხოვრება (პერიფრაზი), მ. დოლაჭიძემ—ილარიონ ქართველის მეტა-

ფრასი, ე. გაბიძაშვილმა — დავით გარეჯელის მეორე მეტაფრასული ცხოვრება (პერიფრაზი, — „დანართში“ ასახული), გ. კიკნაძემ — დავით და კოსტანტინეს წამება. ვარიანტების ამოწერაში მონაწილეობდნენ ზ. სარჯველაძე, უ. ცინდელიანი, ც. ჭანკიევი, გ. ნინუა, ლ. ქაჯაია, ლ. ათანელიშვილი.

ილ. აბულაძე



[374]\* ცხორებად და მოქალაქეობად და ლუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოძისი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩადილომდსას<sup>1</sup> და განანათლა ნათესავი ქართვილთად\*\*

მამაო, გუაყურთხენ<sup>2</sup> 5

ინება რაჲ მეუფემან მეუფეთამან<sup>3</sup> და უფალმან უფლებათამან<sup>4</sup> და შემოქმედმან ყოველთა მთავრობათა და კელმწიფებათამან იესუ, ძემან ღმრთისამან, თანასწორმან მამისა და სულისა წმიდისამან, მოსლვაჲ ქუეყანად ვსნად დაბადებულთა თვისთა, მოავლინა მოციქულად და მახარებულად<sup>5</sup> მოსლვისა მისისა მთავარანგელოზი გაბრიელ და იშენა ტაძარი<sup>10</sup> ქუეყანასა ზედა ბუნებისაგან მიწისა, უმაღლესი ცასა ცათასა, ყოვლითურთ მოცული და ბრწყინვალე ქალწულებითა და უბიწოებითა, და შევიდა დიდი იგი მეუფე<sup>6</sup> ტაძარსა მას შინა; არცა კლიტენი მისნი დაჰკნნა, არცა ბქენი მისნი განახუნა, არამედ შევიდა, ვითარცა შუენის მეუფებასა<sup>7</sup> მისსა, და გამოვიდა, ვითარცა იცის საიდუმლომან<sup>8</sup> ღმრთეებისა<sup>9</sup> მისისამან, და ტაძარი იგი ვგრეთვე დაკრძალულად დაუტევა. უზესთაეს<sup>10</sup> ბუნებათა და უად[375]რეს ყოველთა საკრველებათა იშვა ქალწულისაგან, ვითარცა კაცი, და არა განეკუა ღმრთეებისა განკაცებითა, და<sup>11</sup> იქმნა ყოვლითურთ კაც და ყოვლითურთ ჰგიეს ღმრთეებასა<sup>12</sup> შინა, დაისაყდრა წიაღთა ქალწულისათა, რომელი ჰგიეს ზეცას მამისა თანა განუშორებულად. ტკრთულ იქმნა წიაღთა დედისათა მტკრთველი იგი ყოველთა არს-

\* ხელნაწერთა ნუსხა: A: Q—762 (გვ. 374—466), B: A—707 (გვ. 1r—18v), C: A—518 (500r—520v).

\*\* C ნუსხას ხსენების დღე შემოაქვს: თუესა იანვარსა იდ.  
<sup>1</sup> ჩრდილოეთისა B. <sup>2</sup> მამაო გუაყურთხენ] გუეს B. <sup>3</sup> მეტმან მეტთამან B.  
<sup>4</sup> ქალიერმან და თვთმელობელმან A. <sup>5</sup> მხრებელდ A, მახარბლდ B. <sup>6</sup> მეტ B.  
<sup>7</sup> მეტებასა B. <sup>8</sup> საიდუმლომან B. <sup>9</sup> ღმრთეებისა AB. <sup>10</sup> უზშთეს BC. <sup>11</sup> და—B.  
<sup>12</sup> ღმრთეებასა BC.

Handwritten initials or signature in blue ink.



თამ; მოქენე იქნა სძისა, ვითარცა ჩივლი, რომელი ზრდის ყოველთა, ვითარცა ღმერთი; შეიხვა სახუველითა ჩივლთაჲთა, ვითარცა ყრმაჲ, და ვითარცა ღმერთმან განჯსნა<sup>1</sup> საკრველნი ცოდვათა ჩუენთანი, ჩივლებრ მიიწვინა ბაგასა დამბადებელი ყოველთაჲ; ჰეროდესგან იღვენებოდა, ვითარცა კაცი; სუმეონისგან<sup>2</sup> ღმრთად აღსარებულ იქნებოდა; ეგვპტელ ივლტოდა, ვითარცა კაცი, რომელმან შემუსრნა კელით-ქმნულნი<sup>3</sup> ეგვპტისანი; წარემატებოდა ჰასაკითა გორცთაჲთა, რომელი-იგი ყოველგან არს და მარადის ჰვიეს ღმრთეებითა<sup>4</sup>; მოვიდა იორდანედ და ნათელ-ილო<sup>5</sup> წინამორბედისა და ნათლისმცემელისაგან, რომელი ნათლითა აღავსებს ყოველთა დაბადებულთა.

აღასრულნა ნიშნი დიდ-დიდნი, ვითარცა ღმერთმან და კაცმან ზეს[376]თა<sup>6</sup> ბუნებისამან<sup>7</sup>: ღრეკილთა განამართლებდა<sup>8</sup>, კეთროვანთა განსწმედდა, სნულთა სიტყუთ განჰკურნებდა, მკუდართა ბრძანებით აღდგინებდა, ეშმაკთა შერისხვით განასხმიდა, ვიღოდა ზღუასა ზედა, ვითარცა ჰმელსა, კნინითა პურითა უდაბნოსა ზედა ბევრეულთა გამოზრდიდა<sup>9</sup> და სხუათა ესევეითართა უმრავლესთა რიცხვსათა<sup>10</sup>. არა კმა იყო ესე ყოველად სახიერმან მან და<sup>11</sup> ყოველითურთ შეიწყალა უძღურებაჲ ჩუენი და დაიმდაბლა თავი თვისი ვიდრე სიკუდიდმდე და სიკუდილითა მით<sup>12</sup> ჯუარისაჲთა.

და იხილა რაჲ, ვითარმედ თანა-ნადებთა მათ ჩუენთა გარდაგდად შეუძლებელ ვართ, თავს-იღვა, რაჲთა იქმნას ჩუენთვს წყევასა ქუეშე და თანა-ნადები იგი ჩუენი გარდაიჰადა. და დაგუაგნა ღმერთსა და<sup>13</sup> მამასა და ვნებული იგი ბუნებაჲ კაცთაჲ უენებელ ყო, რამეთუ უენებელმან მან ვნებაჲ ჩუენთვს<sup>14</sup> თავს-იღვა და უსჯულოებათა ჩუენთათვს სიკუდილი ნებსით<sup>15</sup> მიითულა, ჯუარს-ეცუა ბუნებითა მით გორცთაჲთა, მოკუდა<sup>16</sup> და საფლავსა დაიღვა, ხოლო<sup>17</sup> აღდგა ღმრთებრ მესამესა დღესა\* და თანა-აღადგინნა ჯოჯოხეთს შინა[377]მოკტნი<sup>18</sup> ამალლა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა. და შემდგომად აღდგომისა უბრძანა მოწაფეთა<sup>19</sup> და მოციქულთა მისთა, ვითარმედ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემლით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა

\* აქედან B ხელნაწერს აკლია.

<sup>1</sup> განჯსნა A. <sup>2</sup> სუმეონისგან A, სიმეონისგან B. <sup>3</sup> -ქმნულნი AB. <sup>4</sup> ღმრთეებითა A, ღმრთებითა B, ღმრთებითა C. <sup>5</sup> ნათელს-ილო A. <sup>6</sup> ზესთა BC. <sup>7</sup> ბუნებისა ABC. <sup>8</sup> განჯმართებდა AC. <sup>9</sup> +უკუალად A. <sup>10</sup> რიცხვსათა] რისათა B. <sup>11</sup> და] ად B. <sup>12</sup> მით—C. <sup>13</sup> და—B. <sup>14</sup> ~ჩუენთს ვნება B. <sup>15</sup> ნებსით B. <sup>16</sup> და მოკუდა B. <sup>17</sup> ხ]და AC. <sup>18</sup> +იგი C. <sup>19</sup> წთა მოწაფეთა C.

და სულისა წმიდისაათა და ასწავებით მათ დამარხვად ყოველი, რომელი გამცენ თქუენ\*.

და ღლესა მევრგასესა მოუვლინა სული წმიდა მათ, იყენეს რაჲ<sup>1</sup> იგინი ქორსა მას ზედა, და ერუენნეს<sup>2</sup> მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი, და იწყეს სიტყუად<sup>3</sup> უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი<sup>4</sup> მისცემდა<sup>5</sup> მათ, რომლისა ძალითა აღვსებულთა წმიდათა მათ მოციქულთა მიერ ერთსარწმუნოება იქმნა სოფელი და არცა ერთი ნათესავთაგანი დაშთა უსმენელად ვმისა მათისა, არამედ სადაცა-იგი წინაძღომითა<sup>6</sup> მისითა ქადაგად წარივლინებოდეს, იგივე ენაჲ მიეცა სიტყუად, და იგი ნათესავი ერწმუნა სამოძღურებელად, და ესრეთ თითოეული ყოველთა ნათესავთა მიმართ წარემართნეს ჯერისაებრ და დაუყენებელად ახა<sup>7</sup> [378] რებდეს საბარებასა სასუფეველისასა და ასწავებდეს სიტყუასა ცხოვრებისასა, რომელნი იგი სხუად და სხუად ქუეყანად წარივლინნეს<sup>7</sup>.

~~ხოლო ჳეშმარიტებისა იგი მოსახელი, ყთვლად ქებული მოციქული ანდრია, ფრიადსა ნაწილსა სოფლისასა მქადაგებელი ჳეშმარიტებისა, მოვიდა რაჲ კაბადუკიად, პონტოდ და მერმე ტრაპეზუნტად და კუალად ნეოკესარიად, და მიმოვიდოდა ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად და უქადაგებდა სიტყუასა ცხოვრებისასა, მივიდა სამუსატელთა დიდსა მას ქადაგსა, რომელ არს საზღვარსა სპარსთასა, მიერ აღვიდა იერუსალიმდ<sup>8</sup>, რაჲთა აღასრულოს პასეკი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა წინაშე. და შემდგომად მარტკლიისა კუალად განვიდა საქმესა მას ქადაგებისასა, რომლისა თანა იყენეს სიმონ კანანელი და მატათია<sup>9</sup> და თადეოზ<sup>10</sup>, და მიიწინეს რაჲ ედესად, თადეოზ დაშთა მუნ, ხოლო დიდებულისი ანდრია ორთა მათ თანა ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და სოფლად-სოფლად, ასწავებდეს და იქმოდეს სასწაულთა სახელითა ქრისტესითა, ვიდრემდის მიიწინეს ქუეყანასა ქართველთასა და უქადაგეს სიტყუად ცხოვრებისაჲ.~~

[379] იყო ვინმე მათ კერძოთა დედაკაცი მთავარი, რომელსა პრწმენა ქადაგებაჲ მოციქულისაჲ. და მატათია<sup>11</sup> სხუათა თანა მოწაფეთა დაადგრა მუნ; და მრავალნი მოაქცინეს საწმუნოებად და მეცნიერებად ჳეშმარიტებისა, ვიდოდეს და ასწავებდეს ვიდრე მდინარედ ქოროხადმდე და სოფლებთა ნიგალისათა, ხოლო დიდებული მოციქული ანდრია სიმონი-

\* მათე 28, 19—20.

<sup>1</sup> იყენეს რაჲ—დასხდეს C. <sup>2</sup> ერუენნა C. <sup>3</sup> იწყეს სიტყუად—იტყუებდნენ C.

<sup>4</sup> იგი—C. <sup>5</sup> მოსცემდა C. <sup>6</sup> სადაცა-იგი წინაძღომითა—ქრძანებითა C. <sup>7</sup> წარივლინნეს—AC. <sup>8</sup> იერუსალიმ A. <sup>9</sup> მატათია C. <sup>10</sup> თადეოს A. <sup>11</sup> მატათია C.



თურთ სხუათა თანა წარვიდა ოცხეთად<sup>1</sup> და მიერ კუალად ათხაზეთად და სევასტოპოლიდ, რომელ არს ცხუმი. ქადაგებდა და ასწავებდა და ურიცხუთა ერთა მოაქცევდა სარწმუნოებად. (ხოლო მეფე ქართველთაჲ და უმრავლესი კერძო ქუეყანისა ჩრდილოასაჲ დაშთა მასვე სიბნელესავე<sup>2</sup> და 5 საცთურსა კერპთ-მსახურებისასა, რომლისათვის<sup>3</sup> შემდგომად მცირედისა<sup>4</sup> ეგულების თბრობად სიტყუასა ჩუენსა.)

ხოლო ყოვლად-ქებულთა მათ და წმიდათა მოციქულთა, თვთოეულმან და ყოველთა ერთბამად, თუ ვითარი მოქალაქობაჲ აჩუენეს, ანუ ვითარი მოღუაწებაჲ მოიგეს, რამეთუ ყოველი სოფელი მოინადირეს და თვთ მნათობ 10 იქმნეს. და რამეთუ სიმაღლითა სათნოებათაჲთა<sup>5</sup> და უშიშად თავს-ღებითა ტანჯვა[380]თა და ქირთაჲთა და თვთ მის სიკუდილისაჲცა შეურაცხ-ყოფითა ანგელოზნიცა განკვრებად შემოკარბნეს და ყოველთა მეცნიერებად ქეშმარიტებისა წარუძღუნეს<sup>6</sup> და განაბრწყინვეს ქუეყანაჲ, და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი ქადაგებითა ღმრთის-მსახურებისაჲთა აღავსნეს. და 15 შეწირნეს ბევრის-ბევრეულნი სულნი ღმრთისა სარწმუნოებისა მიერ და წმიდისა ნათლის-ღებისა განათლებულნი. და ესრეთ ჯერ-ჩინებისაებრ საღმრთოასა და საღმრთოთა ვნებათა მიბაძვითა რომელთაჲმე ჯუარ-ცუმისა მიერ, სხუათა განტკნვისა, სხუათა წარკუეითა თავთაჲთა დაუტევეს სოფელი ესე და ზეცისა სუფევად აღვიდეს.

ხოლო შემდგომად მათსა დამოწაფებულნი მათნი მორწმუნენი, განპოხებულნი სძითა მოძღურებათა მათთაჲთა, თუ ვითარ ყოველთა ძვრთა და ტანჯათა და სიკუდილსა შეუ\*რაცხის-მყოფელ იქმნნეს და ერეოდეს მთავარსა მას ბნელისასა, სოფლის-მპყრობელსა<sup>7</sup> უკეთურსა, რომელმან-იგი ღონითა მანქანებათა<sup>8</sup> მისთაჲთა მყოფელნი ნებისა 25 მისისანი, მის ჟამისა მპყრობელნი მეფენი და მთავარნი განმზადნა<sup>9</sup> ქურად<sup>10</sup> თვსა<sup>11</sup> და[381] აღაზრზინნა ტანჯვად და გუემად და სიკუდილად ქრისტეს მოწამეთა. ამით<sup>12</sup> ჰგონებდა ყოვლად ბოროტი იგი დაქინებად ღმრთის-მსახურებისა და დაფარვად ქეშმარიტებისა. არამედ უფროჲს<sup>13</sup> და უმაღლეს განშუენდა და განბრწყინდა სიმრავლე წმიდათა მოწამეთაჲ. და 30 გვრგვინოსანი ამაღლდეს<sup>14</sup> წინაშე მეფისა, და აღავსო<sup>15</sup> სასუფეველი ზეცათაჲ<sup>16</sup> და განანათლა სოფელი შეწყნარებაჲმან ყოვლად<sup>17</sup>-წმიდათა ნა-

\* აქ გრძელდება B ხელნაწერის ტექსტი.

<sup>1</sup> ოსეთად C. <sup>2</sup> სიბნელესა შინა C. <sup>3</sup> რი-სათ-სცა C. <sup>4</sup> შემდგომად მცირედისა—C. <sup>5</sup> სათნობათაჲთა A, სთნბითათა C. <sup>6</sup> წარუძღუნეს C. <sup>7</sup> +მას B. <sup>8</sup> მანქანებათა[მსახურებათა B. <sup>9</sup> განმზადნა B. <sup>10</sup> საქურველად C. <sup>11</sup> თსდ B. <sup>12</sup> ამისთვის B. <sup>13</sup> უფროჲსად C. <sup>14</sup> გვრგვინოსანი ამაღლდა AC. <sup>15</sup> აღივსო AC. <sup>16</sup> ცთა B. <sup>17</sup> ყოვლად—B.

წილთა მათთამან, და<sup>1</sup> შეამკო ეკლესიაჲ ქადაგებამან ლუაწლთა მათთამან, მოაშთო მკდომი იგი ბელთარ მორეგმან მან<sup>2</sup> სისხლთა მათთამან და სრულიად შემუსრა და დაწუა<sup>3</sup> ყოველი ძალი მისი, რომელთა<sup>4</sup> შორის, ვითარცა მთიები, მდიდარი ბრწყინვალეობითა ვარსკულავთა<sup>5</sup> შორის, გამოჩნდა ყოვლად-ბრწყინვალე იგი და<sup>6</sup> საჩინოჲ მნათობი, უძლეველი მკედარი<sup>7</sup> მკედლისა დიდისაჲ, კანდიერად მდგომარე წინაშე პირსა ღმრთისასა, მსწრაფ-ლი და მკურვალე, მეთიხი და მფარველი და კელის-ამპყრობელი<sup>8</sup> ყოველთა მორწმუნეთაჲ, და უფროასად<sup>9</sup> ნათესავისა ჩუენისაჲ, დიდებული მოწამე ქრისტესი<sup>9</sup> გიორგი, რომელმან ილუაწა დიოკლიტიანეს<sup>10</sup> ზე, [382] რომელი აღმოეცენა ყოვლად-საქებელით და უფროასდა ესევეითართა ნერგთა<sup>10</sup> მიერ<sup>11</sup> ქუეყანით კაბადუკით<sup>12</sup>, რომლისა ლუაწლისა და წამებისა ჟამთა და ამასვე ქუეყანასა შინა იყო ვინმე თანამოქალაქე მისი, კაცი კეთილად მორწმუნე, შვილი მდიდართა და წარჩინებულთაჲ, კუალად იყო იგი ძლიერ და ახიფან და განთქუმულ წყობათა შინა, რომლისა სახელი ზაბილო<sup>13</sup>.

15

ესე წარვიდა პრომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა მსახურებად და მოღებად პატივისა და ნიჭისა. ხოლო იყო ვინმე, მეგობარი მისი და თანამოქალაქე, კაცი ღმრთის-მოყუარე, რომლისანი იყენეს ძე ერთი და ასული ერთი. ხოლო აღესრულა რაჲ კაცი იგი და მეუღლე მისი, დაშთეს ობოლნი იგი, განყიდეს ყოველი მონაგები მშობელთა მათთაჲ და აღდგეს<sup>20</sup> და წარვიდეს იერუსალემდ<sup>14</sup> და შეუვრდეს მზრუნველსა ობოლთასა, ყოვლად-სახიერსა მას და განმაცხოვრებელსა მას ცხოვრებისა საფლავსა თაყუანის-სცეს, და მუნ დაადგრეს და მსახურებდეს<sup>15</sup>. ამისა<sup>16</sup> შემდგომად (მი-რაჲ-იწია ყრმაჲ იგი<sup>17</sup> ჰასაკად, კეთილად<sup>18</sup> ქცევისა და წესიერებისა მისისათვის<sup>19</sup> პატივითა<sup>20</sup>-პატივად ალყ[383]ვანებული მიემთხვა პატრიაქო-<sup>25</sup> ბასა, ხოლო დაჲ მისი მსახურებდა<sup>21</sup> წმიდასა აღდგომასა და ჰმორჩილობდა<sup>22</sup> დედაკაცსა ღირსსა და წარჩინებულსა ხარრას ბეთლემელსა.

ხოლო ჰაბუკი იგი ზაბილო, რომელი ზემო ვაცხენეთ, მიიწია<sup>23</sup> პრომედ წინაშე მეფისა. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა და შემდგომად პატივთა და ნიჭთა განაწესა იგი მკედართ-მთავრად. მას ჟამსა<sup>24</sup> იქმნა<sup>30</sup> განდგომილებაჲ ფრანგთაჲ და მარბევლობით<sup>25</sup> განხრწნიდეს ქუეყანასა

1 და—AC. 2 მან—C. 3 დაწუვა C. 4 რლთაცა B. 5 ვარსკულავსა C. 6 და—C. 7 ამპყრობელი C. 8 უფროას B. 9 ~ ქს მცწშე C. 10 დეკოკლიტიანეს B. 11 მიერ] შს C. 12 კაბადუკით B. 13 ზაბილონ B. 14 იძლომდ A. 15 და მსახურებდეს—C. 16 ამისსა B, და ამისა C. 17 იგი—C. 18 კეთილად]ქლქლ C. 19 წესიერებისა მისისათვის] წესიერებისათვის C. 20 პატივითა B. 21 მსახურებდა C. 22 ჰმორჩილებდა B. 23 მიიწია რჲ B. 24 ჟამსა შა B. 25 მარბევლობითა B.

პრომთასა, ვიდრემდის თვთ მეფისაცა<sup>1</sup> მიმართ ბრძოლა ყვეს. ხოლო ქა-  
ბუკი იგი<sup>2</sup> კაბადუკიელი<sup>3</sup> ზაბილო მის თანა მკედრებითურთ<sup>4</sup> განვიდა  
შემთხვევად მათდა<sup>5</sup> და შეწვენითა ქრისტესითა ფრიადი სიმკნე მოეცა  
და ძლევად დიდი აღადგინა, და მბრძოლნი იგი იოტნა, და მთავარი იგი  
5 მათი და წარჩინებულნი ერისანი პყრობილნი წინაშე მეფისა მოიყვანნა.  
ხოლო მეფემან ფრიადი პატივი და ნიჭი წინა-უყო ზაბილოს<sup>6</sup> და განდგო-  
მილთა მათთვის განაჩინა სიკუდილი. მაშინ იწყეს მათ ტირილად, და ევედ-  
რებოდეს ზაბილოს<sup>6</sup> და ეტყოდეს: შეგვ[384]ყვანენ ტაძარსა შინა უფლი-  
სა ღმრთისა შენისასა და ნათელ-გუეც სახელითა მისითა, რომელსა შენ  
10 ჰმსახურებ, რომელმან ესევითარი სიმკნე მოგცა შენ. და ესრეთ რაჲ მო-  
ვისრნეთ, შენ უბრალო იყო სისხლისაგან ჩუენისა?<sup>7</sup>

მაშინ ზაბილო აღუწა საქმე ესე პატრიაქსა პრომისასა—პაპასა. ხო-  
ლო მან სიხარულით შეიწყნარა და ნათელ-სცა მათ სახელითა მამისადათა  
და<sup>8</sup> ძისადათა და სულისა წმიდისადათა და შეიყვანნა ტაძრად და აზიარნა  
15 საიდუმლოთა<sup>9</sup> ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისათა. და თაყუანის-სცეს და შეემ-  
თხვნეს<sup>10</sup> წმიდათა თავთა მოციქულთა. და ხვალისა დღე შეიმოსეს სამო-  
სელი სამკლდროად და განვიდეს ადგილსა მას, რომელსა ბრძანებულ იყო  
წარკეთილად თავთა მათთა, და სიხარულით მოელოდეს<sup>11</sup> სიკუდილსა, აღ-  
ბეჭედულნი წმიდისა ნათლის-ღებისა მიერ.

20 ხოლო ზაბილო ხედვიდა რაჲ ამას<sup>12</sup>, აღიძრა გონებითა და ტიროდა  
ფრიად, რამეთუ, ვითარცა ცხოვართა, თავნი თვისნი<sup>13</sup> მიეპყრნეს სიკუდილდ.  
წარვიდა და შევიდა წინაშე მეფისა და გამოითხოვნა იგინი. ხოლო მეფემან  
მიჰმადლა<sup>14</sup> ზაბილოს<sup>15</sup> სიკოცხლე მათი. და[385]მან განუტყვენა და წარგზავ-  
ნა მშვიდობით ქუეყანად მათდა. ხოლო იგინი ევედრნეს ზაბილოს<sup>15</sup>, რაჲთა  
25 წარჰყვეს მათ თანა და მისცეს ერსა მათსა ნათელი ქრისტეანობისაჲ.  
ხოლო მან ისმინა ევედრებაჲ მათი, და ითხოვნა პაპასგან მღღელნი და  
წარვიდა მათ თანა ქუეყანად მათა. და ვითარცა მიიწინეს<sup>17</sup> მახლობელად,  
ეუწყა ერთა მათ ყოველი იგი ყოფილი და ვითარმედ მთავარნი იგი<sup>18</sup>-  
მათნი ცოცხლებით მოვლენ. შეკრბეს ყოველნი იგი სამთავრონი ერთად  
30 და მოეგებნეს სიხარულით მდინარესა ზედა დიდსა დადამარასა. და გან-  
ყვეს მთავართა მათ ერი იგი იმიერ და ამიერ, და აკურთხეს მღღელთა  
წყალი იგი, და შთაჲდა ყოველი იგი ერი და განიბანებოდეს და აღმოვი-  
დოდეს ადგილსა ერთსა, და დაასხმიდეს მღღელნი ჳელთა მათთა და ნა-

1 მეფისა B. 2 იგი—C. 3 კაბადუკიელი B. 4 მკედრობით . . . B. 5 მათდა|მი-  
სა C. 6 ზაბილოს B. 7 სისხლისა ჩუენისაგან B. 8 და—B. 9 საიდუმლოთა B. 10 შე-  
მთხვენეს BC. 11 მოელოდნეს A, მოელოდნენ C. 12 აამას რაჲ B. 13 თვისნი|მათნი B.  
14 მიჰმადლა C. 15 ზაბილოს A. 16 ზაბილოს AB. 17 მიიწინეს B. 18 იგი—B.

თელ-სცემდეს სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა  
ათ დღე. და აღჰმართნეს <sup>1</sup> კარავნი და შეწირეს უსისხლოდ იგი მსხუერპ-  
ლი და აზიარნეს ყოველნი საიდუმლოთა <sup>2</sup> ქრისტეს ღმრთისა ჩუენისათა.

ხოლო ზაბილო <sup>3</sup> დაუტევნა მღვდელნი იგი მათ თანავე, რაჲთა ასწა-  
ონ სარწმუნოებაჲ კეშმარიტი და სჯული <sup>4</sup> და წესი ქრისტეანობ[386]ისაჲ, <sup>5</sup>  
და თვთ წარმოვიდა პრომედვე ფრიადითა ნიჭითა განმდიდრებული მათ  
მიერ. ამისა <sup>6</sup> შემდგომად განიზრახა გულსა თვისსა და თქუა: წარვიდე იერუ-  
სალემდ <sup>7</sup> და ვაჟმარო სიმდიდრე ესე ჩემი წმიდათა მათ გლახაკთა იერუ-  
სალემისათა <sup>7</sup>. და შე-რაჲ-ვიდა იერუსალემდ <sup>8</sup>, თაყუანის-სცა განმაცხოველე-  
ბელსა ცხოვრებისა საფლავსა და წმიდათა მათ ადგილთა და ფრიადი სიმ- <sup>10</sup>  
დიდრე განუყო გლახაკთა. და იხილა, რამეთუ მეცნიერი იგი მისი ყრმა,  
რომელი დითურთ თვისით წარმოვიდა ქუეყანით მისით კაბადუკით იერუ-  
სალემდ <sup>9</sup>, რამეთუ პატრიაქ ქმნილ იყო. და ფრიადი სიყუარული აჩუენა  
ზაბილოს <sup>8</sup> და მეგობარ მისა <sup>9</sup> იქმნა.

და ესე რაჲ ესრეთ განეგებოდა, დღესა ერთსა ჰრქუა სარრა ბეთ- <sup>15</sup>  
ლემელმან პატრიაქსა: ესე ზაბილო, განთქმული ბრძოლათა <sup>10</sup> შინა და  
უფროჲს სიბრძნითა და ღმრთის-მოშიშებითა, რომელმან ერნი იგი ური-  
ცხუნი ბრანგთანი, ნათესავნი <sup>11</sup> დიდნი <sup>12</sup>, მიუძღუანნა ღმერთსა სარწმუ-  
ნობისა მიერ და ნათლის-ღებისა, ჯერ-არს, რაჲთა მისცე დაჲ ესე შენი  
სოსანა <sup>13</sup> ცოლად მისსა, (რამეთუ ესე იყო სახელი მისი), და წარიყვ ნოს <sup>20</sup>  
და წარვი[387]დეს ქალაქად თვსად. რომელი-იგი გულს-მოდგინედ ისმინა  
პატრიაქმან და მისცა სიხარულით დაჲ თვისი ცოლად ზაბილოს <sup>14</sup> და წარ-  
გზავნა ქუეყანად თვსად კაბადუკიად <sup>15</sup>, რომელთაგან იშვა მხოლოდ ღირ-  
სი და ყოვლად ნეტარი ნინო—ხეთა კეთილთაგან ნაყოფი კეთილი და სათ-  
ნოდ ღმრთისაჲ. და ვითარცა იქმნა იგი ათორჲეტის წლის <sup>16</sup>, შეითქუნეს <sup>25</sup>  
მშობელნი მისნი და განყიდეს ყოველი მონაგები მათი და წარვიდეს  
იერუსალემდ მზრლოდ ასულისა ერთისა თანა ნეტარისა ნინოასა და მუნ  
განუყვეს ყოველი სიმდიდრე მათი.

ხოლო ზაბილო დაიწერა ჯუარი პატრიაქისაგან და იჯმნა მეუღლისა-  
გან თვისისა, და შეიტკბო ასული თვისი და სახედ უყართა წვმისათა და- <sup>30</sup>  
მოადინნა ცრემლნი ზედა პირსა მისსა და ეტყოდა მას: შვილო, აჰა ესერა  
დღეს ობოლ იქმნები ჩემგან, რამეთუ დაგიტევებ და განგეშორები. ხოლო  
შეგვედრებ შენ მამასა მას ზეცათასა და მზრდელსა ყოველთასა ღმერთსა,  
რომელი-იგი <sup>17</sup> არს მამად ობოლთაჲ და მსაჯული ქურიეთაჲ. დაჰნერგე

<sup>1</sup> აღმართნეს C. <sup>2</sup> საიდუმლოთა AB. <sup>3</sup> ზაბილო C. <sup>4</sup> სჯული C. <sup>5</sup> ამისსა AB.  
<sup>6</sup> იქლიმდ AB. <sup>7</sup> იქლიმისათა A. <sup>8</sup> ზაბილოსს AB. <sup>9</sup> მისსა AB. <sup>10</sup> ბრძოლასა C.  
<sup>11</sup> ნათესავნი ფრანგთანი B. <sup>12</sup> დიდნი—B. <sup>13</sup> სოსანა B. <sup>14</sup> ზაბილოსს AB. <sup>15</sup> კაბა-  
დუკიად B. <sup>16</sup> წლისა AC. <sup>17</sup> რ-ი-იგიქრ-იგი C.

გულსა შენსა სამარადისოდ შიში მისი და სიყუარული და ჰმაძვედ ქვე-  
 ვასა[388] ღირსთა მათ მენელსაცხებლეთა დედათასა და დათა ლაზარეს-  
 თასა<sup>1</sup>. და ესრეთ რაჲ სცხონდებოდი, ყოველი რაოდენი ითხოვო<sup>2</sup>, მოილო  
 ღმრთისაგან. და მისცა უკუანამსკნელი ამბორის-ყოფაჲ.

5 ხოლო ზაბილო, ამღებულმან შურსა ელიაჲსსა და იოანესსა, ყოვე-  
 ლითურთ სრულიად<sup>3</sup> ჯმნილმან სოფლისაგან, განვლო იორდანე და უდაბ-  
 ნოდ განვიდა, მხოლოჲ<sup>4</sup> მხოლოსა ღმერთსა შეუდგა და ჰმსახურებდა, რომ-  
 ლისაჲ არღარა ვინ უწყის კაცთაგანმან აჰამომღე.

10 ხოლო პატრიაქმან დაჲ თვისი სოსანა მისცა მსახურად<sup>5</sup> დედათა  
 უძლურთა, ვითარცა თვთ ინება მან, და ესრეთ აღესრულა სათნოდ ღმრთისა.

ხოლო დისწული თვისი, ნეტარი ნინო, შეჰვედრა მორწმუნესა და  
 ღმრთის-მოშიშსა დედაკაცსა, რომელი მარადის ჰმსახურებდა<sup>6</sup> წმიდასა  
 აღსადგომელსა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. მის თანავე ჰმსა-  
 ხურებდა<sup>7</sup> ღირსი ნინო და ისწავლიდა მისგან, რამეთუ კეთილად მეცნიერ

15 იყო იგი ჰსნისა ჩუენისათვის აღსრულებულთა განგებულებათა მაცხოვრი-  
 სათა და მიუთხოვბდა ანგელოზისა მიერ ხარებასა, ქალწულისაგან შო-  
 ბასა, იოანეს მიერ იორდანესა შინა ნათლის-ღებასა და ყოველთა მათთვის  
 [389] სასწაულთა ურიცხეთა, რომელნი აღასრულნა, და კუალად შური-  
 თა ჰურიათა მიერ შეპყრობასა და ნებსით<sup>8</sup> ვნებასა და ჯუარ-ცუმასა და  
 20 დაფლვასა და მესამესა დღესა აღდგომასა. ხოლო იგი წადიერებით ისმენდა  
 და საწურთელ მისა<sup>9</sup> აქუნდეს დღე და ღამე.

ამისა<sup>10</sup> შემდგომად ჰკითხვიდავე ნეტარი ნინო სამოსელთათვის უფლი-  
 სათა, რომელნი ჯუარ-ცუმასა განიყვნეს და სუღარისათვის და ტილოთა<sup>11</sup>,  
 რომელნი საფლავსა უფლისასა იპოვნეს, და კუალად ცხოველს-ყოფელისა  
 25 ჯუარისათვის. ხოლო იგი მიუგებდა, ვითარმედ: კუართი<sup>12</sup> საუფლოჲ, რო-  
 მელსა ზედა წილ-იგდეს<sup>13</sup>, ხუდა წილით ჰურიათა<sup>14</sup> მცხეთელთა, ხოლო  
 ტილონი და სუღარი მიიხუნეს პეტრე და მენელსაცხებლეთა დედათა, ხო-  
 ლო ჯუარი და სხუანი, რაოდენნი-რაჲ ნებსით<sup>15</sup> ვნებასა მას მაცხოვრისასა  
 მსახურ ექმნეს ჯორცთა მათ საუფლოთა, შურითა განბოროტებულთა  
 30 მათ ჰურიათა დაფარეს<sup>16</sup> მიწასა.

კუალადცა ჰკითხვიდა ღირსი ნინო სამოსლისა მისთვის მაცხოვრი-  
 სა და ქალაქისათვის მცხეთისა. ხოლო იგი მიუგებდა, ვითარმედ: ქუეყანაჲ  
 არს ჩრდილოჲსაჲ დიდი, სამკვდრებელი წარმართთაჲ შორის პარ[390]თთა

<sup>1</sup> ლაზარესთა C. <sup>2</sup> ითხოო BC. <sup>3</sup> ს<sup>1</sup>დ—B. <sup>4</sup> და მხოლოჲ B. <sup>5</sup> . . . ს<sup>1</sup>რ<sup>1</sup>ბ<sup>1</sup>დ B.  
<sup>6</sup> მსახურებდა C. <sup>7</sup> ნეფსით B. <sup>8</sup> მისსა AB. <sup>9</sup> ამისსა AB. <sup>10</sup> ტილოსა C. <sup>11</sup> კუართი  
 იგი B. <sup>12</sup> წილი-იგდეს C. <sup>13</sup> ჰრ<sup>1</sup>იათა A. <sup>14</sup> ნეფსით B. <sup>15</sup> დაჰფარეს C.

და ოვსეთისა, და შორის ზღვა და სპარსეთისა<sup>1</sup>, და სახლ მათდა არს<sup>2</sup> სამეუფო ქალაქი<sup>3</sup> მცხეთაჲ.

✕ ხოლო ნეტარმან ნინო ისწავა რაჲ ყოველი ზედამიწევით, აღიპყრნა კელნი ზეცად და ჰმადლობდა ყოვლად-ძლიერსა და ყოვლისა განმგებელსა ღმერთსა და ყოვლად-წმიდასა დედოფალსა ღმრთის\*მშობელსა, რომლისა ხატი მოევო სურვილით და წინაშე მისსა მღვთმარე სენაკსა შინა თვისსა მარადის განგრძალულ იყო ლოცვისა და ვედრებასა.

ხოლო ჩუენ აქა ვყოთ დასაბამი სიტყვისაჲ, მაუწყებელი კსნისა და ცხოვრებისა ჩუენისაჲ, რამეთუ, ვითარცა წერილ არს, შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა და მოვლინებითა სულისა წმიდი-<sup>10</sup> სადაა წმიდათა მოციქულთა ზედა და განყოფითა ენათადა მსგავსადვე ენისა მოციმულისა, წილ-ხუდა იგივე ქუეყანაჲ თვითოეულსა<sup>4</sup> და ქადაგებდეს სიტყუასა ქვემარტებისასა ყოველთა ქალაქთა და სოფელთა. ხოლო წმიდასა იოანეს<sup>5</sup>, მახარებელსა და ღმრთისმეტყუელსა, ეგრეთვე სამ-გზის წილ-გდებითა ხუდა კერძოდ ეფესოასაჲ, ქუეყანაჲ ასიისაჲ, და აწუეღეს<sup>6</sup> <sup>15</sup> წმიდანი მოციქულნი წარსლვად ქადაგებასა მას მსგავსადვე მათსა<sup>7</sup>, ხოლო იგი მიზეზ[391]-ყოფდა არაფლობად განშორებისა ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობელისაგან<sup>8</sup>, არამედ ჰმსახურებდა მას სახლსა შინა თვისსა—სიონს.

ამისა<sup>9</sup> შემდგომად პრეტუა მას წმიდამან დედოფალმან, მალლითა <sup>20</sup> ქრისტესითა დედამან მისმან: არა ჯერ-მიჩნს, შვილო, რაჲთა მოყუასნი და ძმანი შენნი განვიდენ ქადაგებად სახელსა ქრისტესს, ძისა და ღმრთისა ჩემისასა, და მოიმოწაფენენ წარმართნი და შენ უქმად სდგე ჩემისა ოდენ მოლუაწებისათვის<sup>10</sup>. და კუალად განყოფასა შენსა ჩემგან იჭუეულ ვარ, ნუ-უკუე არა სათნო იყოს უფლისა, რომელმან გვბრძანა ერთად ყოფაჲ. აწ <sup>25</sup> უკუე წარვედ შენცა ქუეყანასა მას, რომელი წილ-გხუდა, და მოვიდე მე-ცა შენ თანა, რაჲთა ორივე სრულ იქმნას<sup>11</sup>: შენიცა ქადაგებაჲ და კუალად ჩემგან განუშორებელობაჲ.

ესრეთ რაჲ უბრძანა საყუარელსა მას, და წარემართა მის თანა სლვად და ქადაგებად, და მაგდანელი მარიამ და სხუანი მენელსაცხებლენი <sup>30</sup> მათ თანა. და ვითარ ვიდოდეს სამ დღე ოდენ, მაშინ გამოუჩნდა მაცხოვარი და უბრძანა საყუარელისა მისთვის წარსლვაჲ<sup>12</sup> ქადაგებად, და მენელსაცხებლეთა მათ მის თანა, თანაშემწედ და<sup>13</sup> მოლუაწედ მისა.

\* აქედან B ხელნაწერს აკლია.

<sup>1</sup> და შორის ზღვა და სპარსეთისა—B. <sup>2</sup> არს—AC. <sup>3</sup> +არს AC. <sup>4</sup> თითოეულსა C. <sup>5</sup> იე C. <sup>6</sup> აწუეღეს A. <sup>7</sup> მათა AC. <sup>8</sup> +რომლისადა . . . ებ<sup>1</sup>ლ იყო ბრძანებითა მისითა C. <sup>9</sup> ამისსა A. <sup>10</sup> ~მოლუაწებისათვის ჩემისა ოდენ C. <sup>11</sup> იქმნეს AC. <sup>12</sup> წარსლვად AC. <sup>13</sup> და—C.





[392] ხოლო ყოვლად-წმიდასა დედასა მისსა პრქუა: არა მნებავს ქადაგებად წარსლვად შენი, არამედ წარვედ შენ სახიდ შენდა სიონდ<sup>1</sup>, რამეთუ ნაწილ შენდა არიან აღვილ მოსაქცევლნი ერნი წარმართნი დ ქუეყანაჲ მათი. ჰოლო აღ-რამ-ესრულნენ ქუეყანისა ესე ეამნი დღეთა: 5 შენთან, არა ხოლო იოანე, არამედ ყოველნი მოციქულნი კიდით ქუეყანისაჲთ შემოვკრიბნე<sup>2</sup> შენდა და მე თავადი მოვიდე წარყვანებად სულის შენისა, რომელი-იგი აღუსრულა<sup>3</sup>, ვითარცა აღუთქუა. ხოლო ვინაჲ<sup>4</sup> მიიწია ყოვლად-წმიდაჲ იგი, აკურთხა ქუეყანაჲ იგი სლვითა თვისითა დ კუალად იერუსალემდ<sup>5</sup> მოიქცა. და იყოფებოდა სახლსა მას იოანესსა სიონს შინა. და იყო მოქალაქობაჲ მისი ყოვლად-საკვრველ და უაღრეს ბუნებათა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა ქუეყანასა ზედა<sup>6</sup>.

ხოლო განვიდა რაჲ სოფლისა ამისგან დიდებულთა მით მიცვალებითა, და აღვიდა სუფევად ძისა მისისა თანა. ამისა<sup>7</sup> შემდგომად წელთა მრავალთა შორის გარდასლვისა მოხედვა ყო ზეცით წყალთბით<sup>8</sup> ყოვლად-სახიერმან დედოფალმან და მოიკსენა უფლისა მიერ და ძისა თვისისა<sup>9</sup> წილხუდომილი იგი მისდა ქუეყანაჲ და ნათესავი ჩუენი, რამეთუ ნაწილ მისა<sup>9</sup> ჩუენ ვართ, ნათესავნი ქართ[393]ველთანი<sup>10</sup>, და ნეტარ ვართ ჩუენ და სამ ნეტარ, რამეთუ ნაწილ მისა<sup>9</sup> ვიწოდენით. > და იგი არს შემდგომად ღმრთისა მკსნელი და განმათავისუფლებელი ჩუენი მწარისა მისგან მონე- 10 ბისა და სრულიადისა ტყუეობისა მთავრისა მის ბნელისა.

აჲ კუალად აღვიდეთ, სადა-იგი პირველ დაუტევეთ სიტყუად, რამეთუ, ვითარცა ღირსი ნინო ილოცვიდა დღე და ღამე მარბვითა და მღვძარებითა<sup>11</sup> და დაუტყობელთა ვედრებითა, მღვდმარე წინაშე ხატსა მას ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისასა, დღესა ერთსა, ეამსა მეექუსესა, 25 რეცა აღტაცებულ იქმნა და იყო მღვდმარე სიონს შინა წინაშე სენაკსა მას წმიდისა დედოფლისასა, რომელსა შინა მკვდრ იყო. იყო რაჲ ქუეყანასა ზედა და ზედა<sup>12</sup> კერძო ცხედარსა მისსა იყო ვაზი რტოგარდაფენილი. გამოუჩნდა ყოვლად-წმიდაჲ იგი ღირსსა ნინოს და პრქუა: აჲა ესერა წარგავლინებ შენ ქადაგად ნათესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქუეყანასა ჩრდილომასა, ერისა მიმართ ქართველთამასა, წარვედ სიმენით და უშიშად და უქადაგე ქეშმართებაჲ. >

[394] ხოლო მან, შეძრწუნებულმან ხილვისა მისგან, მიუგო<sup>13</sup>: დედოფალო, ვითარ<sup>14</sup> შესაძლებელ არს ევე ჩემ მიერ, რამეთუ მე დედაკაცი ვარ

\* აჲ გრძელდება B ხელნაწერის ტექსტი.

<sup>1</sup> სიონად C. <sup>2</sup> შემოვკრიბნე C. <sup>3</sup> აღუსრულა C. <sup>4</sup> ვინა C. <sup>5</sup> იმწოდ C. <sup>6</sup> ზა—B. <sup>7</sup> ამისსა AB. <sup>8</sup> თვისისა|მისისა B. <sup>9</sup> მისსა AB. <sup>10</sup> ქართველნი B. <sup>11</sup> მღვძარებითა| მოღწეებითა B. <sup>12</sup> ზა—C. <sup>13</sup> მიუგო|ქქა C. <sup>14</sup> ვრქვერ B.

უცხოა, უნდოა, უსწავლელი, ანუ რაა იყოს სასწაულად და წინამძღუ-  
რად<sup>1</sup> საქმისა მაგის?

მაშინ წმიდამან დედოფალმან მიყო<sup>2</sup> კელი ზედა კერძო ცხერისა  
მისისა მყოფსა მას რტოსა ვენაჯისასა და მოჰყუთა მისგან და შექმნა  
ჯუარის სახედ და მისცა იგი კელთა ნინოასთა, და პრქუა: (ამით ნიშითა  
ქლო ყოველთა მანქანებთა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგებამ შენი,  
და თანამეშვე გეყო და არა დავიტუო შენი.

ამისა<sup>3</sup> შემდგომად მოვეო<sup>4</sup> რაა თავად თვსად ნეტარი იგი, იხილა  
კელთა შინა თვსთა, რამეთუ აქუნდა ჯუარი იგი ვაზისაჲ, და<sup>5</sup> შეძრწუნე-  
ბული და განკვრევილი ცრემლით აღიდებდა ღმერთსა და ყოვლად-წმი-  
დასა ღმრთისმშობელსა, და შეზღუდვილსა<sup>6</sup> სარწმუნოებითა და სასოები-  
თა კრძალულად მარადის მის შორის ეპყრა<sup>7</sup> ჯუარი იგი წმიდაჲ. ესე ყო-  
ველი მიუთხრა დედის ძმასა თვსსა, წმიდასა პატრიაქსა, ნეტარმან ნინო.  
ხოლო იგი, განკრთომილი<sup>8</sup> დიდებულსა მას ზედა სახილაგსა, ჰმადლობდა  
ღმერთსა და ყოვლად-წმიდასა დედოფალსა<sup>9</sup> ღმრთისმშობელსა.

[395] მათ დღეთა შინა მოვიდა ვინმე დედაკაცი შერაცხილთაგანი<sup>10</sup>  
ქალაქით<sup>11</sup> ეფესოთ თაყუანის-ცემად წმიდისა აღსადგომელიქისა და გან-  
ყოფად ქველის-საქმისა. და ვითარცა<sup>12</sup> მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი,  
კულად წარგმართა სახიდ თვსა<sup>13</sup>. მაშინ ევედრა პატრიაქსა ღირსა ნინო,  
რამთა წარგზავნოს მის თანა გზასა მას, რომელსაცა უფალი მიუძღლეს<sup>14</sup>.  
ხოლო წმიდამან პატრიაქმან, ძმამან დედისა ნინოასმან<sup>15</sup>, მიიყვანა იგი და  
დაადგინა აღსავლსა წინაშე<sup>16</sup> საკურთხეველისასა და დაასხნა წმიდანი  
კელნი მისნი<sup>17</sup> მკართა ზედა<sup>18</sup> მისთა, ილოცვიდა და იტყოდა: უფალო  
ღმერთო, შემოქმედო<sup>19</sup> ყოველთა დაბადებულთა, ხილულთა და უხილავ-  
თაო, და მფლობელო<sup>20</sup> ყოველთა საუკუნეთაო, რომლისა კელთა ში-  
ნა არს ყოველი<sup>21</sup> სული<sup>22</sup>, შენ შეგვედრებ ობოლსა ამას დისწულსა  
ჩემსა<sup>23</sup> და წარვაგლინებ ქადაგებად ღმრთეებისა შენისა და მახა-  
რებელად წმიდისა აღდგომისა შენისა, სადაცა ჯერ-იჩინოს შენმან  
სახიერებამან<sup>24</sup>, წარუძღლუ და ემენ კეთილ თანამოგზაურ, მცველ და  
მფარველ<sup>25</sup> ყოველთაგან<sup>26</sup> სივერაგეთა მტერისათა,<sup>27</sup> შეზღულდე [396] ესე

1 წინამძღუარ B. 2 მიყო C. 3 ამისა AB. 4 მოვეეო C. 5 და—B. 6 შეზღუდ-  
ვილი B. 7 ~ეპყრა მის შორის B. 8 განკრთომილი [განკვრევილი C. 9 დედოფალსა—  
B. 10 შერაცხილთაგან B. 11 ქენით C. 12 ვრ C. 13 სხით თვსსა B] ქენდ თსად A,  
თსავე ქენასა C. 14 რი მიუძღლ... B, წარუძღლეს C]—A. 15 ნინოასმან [მისისამან BC.  
16 წე—BC. 17 მისნი—C. 18 ზა—B. 19 შექმდმნ B. 20 მფლობელო [მფო C.  
21 ყი—A. 22 სული—AC. 23 დისწულსა ჩემსა] დისა ჩისსა B. 24 +და შენ C.  
25 და მფარველ—A. 26 მცველ და მფარველ ყთგნ—C. 27 სივერაგეთა მტერისათა [ამის-  
სა და C. 28 შენისა, სადაცა ჯერ-იჩინოს... შეზღულდე—ეს ადგილი A ხელნაწერში  
დაზიანებულია და არ იკითხება.



წმიდითა სულითა შენითა, რაათა უშიშად ვილოდის შორის ასპიტთა და იქედნეთა და მიუთხრობდეს ჭეშმარიტებასა ღმრთეებისა შენისასა, რამეთუ დიდებულ ხარ უკუნისამდე.

და<sup>1</sup> შენ, ყოვლად-წმიდაო დედოფალო ღმრთისმშობელო, სასოო ყოველთა შენდა შევედრებულთაო, რომელი-ესე გამოირჩიე მსახურად დიდებისა შენისა, მარადის გარე-შეიცევ ოხათა შენთა საფარველითა და წარუქედღე, სადა-იგი ჯერ-გიჩნს<sup>2</sup>, რამეთუ აჰა ესერა ბრძანებისაებრ შენისა წარვაგლინებ მინდობითა ურიცხეთა წყალობათა შენთაათა.)

და ვითარ მოილო პატრიარქისაგან კურთხევად ღირსმან ნინო, იჴმნა სულიერისა მისგან<sup>3</sup> დედისა<sup>4</sup> თვისისა და წარმოემართა<sup>5</sup> დედაკაცისა მის თანა ეფესელისა. და ვითარცა<sup>6</sup> მოვიდა სახედ<sup>7</sup> მისა<sup>8</sup>, შევმთხვა მუნ დედაკაცსა ვისმე, პატიოსანსა და<sup>9</sup> წარჩინებულსა, სახელით რიფსიმეს, რომელსა სუროდა სარწმუნოებისათვის ქრისტესისა და წმიდისა ნათლის-ღებისა. იწყო სწავლად მისა<sup>10</sup> ნეტარმან ნინო და წარმოუთხრობდა განგებულე-ბათათვის მაცხოვრისათა, კსნისა ჩუენისათვის<sup>11</sup> აღსრულებულთა და კულად მეორედ მოსლვისა მისისათვის დიდებით და მიცემად სასუფეველსა [397] აღმსარებელთა სახელისა მისისათა.

მაშინ პატიოსანმან<sup>12</sup> დედაკაცმან, ვითარცა ქუეყანამან კეთილმან, შეიწყნარნა თესლნი იგი ნინოას სიტყუათანი, და ნათელ-ილო მღდელისა მიერ სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა სხუათა თანა ერგასისთა სახლისა მისისათა<sup>13</sup>. და წარიყვანა მის თანა ღირსი ნინო და იყოფებოდა<sup>14</sup> ორ წელიწად<sup>15</sup> სახლსა შინა მისსა მის თანა და კეთილად ჰმოძღვრიდა<sup>16</sup> და ასწავებდა მცნებათა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა, რომლისა სახელისათვის იჴმნა სივლტოლად რიფსიმესი საბერძნეთით. და გაიანე<sup>17</sup>, გამზრდელი<sup>18</sup> მისი, და სხუანი იგი ერგასისნი სულნი მის თანა მორწმუნენი<sup>19</sup> წარმოიყვანნა და მოჰმართა<sup>20</sup> არეთა<sup>21</sup> სომხითისათა. ხოლო აღმოვიდა ღირსი ნინოცა მის თანა<sup>22</sup>. და ვითარცა მოიწინეს<sup>23</sup> მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა, დაადგრეს<sup>24</sup> მუნ ეამ რაოდენმე<sup>25</sup>. ხოლო წმიდად რიფსიმე და მისთანანი იგი იწამნეს სახელისათვის ქრისტესისა თრდატის მიერ და გვრგვნ<sup>26</sup> შემოსილნი ღირს იჴმნნეს<sup>26</sup> სასუფეველსა.

1 და—C. 2 ჯერ-გიჩნდეს B. 3 სულიერისა მისგან—B. 4 დედისაგან B. 5 წარმოვიდა B. 6 ე<sup>რ</sup> B. 7 სახიდ B. 8 მისსა B. 9 პატიოსანსა და—B. 10 მისსა AB. 11 კსნისა ჩუენისათვის] კსნისათვის C. 12 +მან B. 13 სხუათა თანა ერგასისთა სახლისა მისისათა—B. 14 იყოფოდა C. 15 ორ წელიწად] წელსა ორსა C. 16 მოძღვრიდა C. 17 გაიანე B. 18 აღმზრდელი B. 19 მორწმუნენი—B. 20 მომართა C. 21 არეთა] ადგილთა B. 22 ხ<sup>ა</sup>დმოვიდა ღირსი ნინოცა მის თანა—B. 23 მოიწინეს B. 24 და დაადგრეს B. 25 რაედენმე B. 26 იჴმნენ C.

ხოლო განგებითა ზეგარდამოათა დაეფარა<sup>1</sup> ნეტარი ნინო [398] უხრე-  
ლავედ და ყოვლად მიუახლებელად მღევართაგან და ხედვიდა სიმრავლესა  
ანგელოზთასა, წმიდათა მათ მოწამეთა ზედა მოსრულად და წმიდათა სულ-  
თა მათთა<sup>2</sup> ზეცად<sup>3</sup> დიდებით აღმყვანებულად. მაშინ დაეარდა ქუეყანად,  
ვევრებოდა ღმერთსა და იტყოდა: უფალო, ღმერთო ჩემო, ნუ დამიტე-  
ვებ<sup>4</sup> მე, მკველსა შენსა, შორის მკვეცთა ამათ მძნვარეთა და კაცთა,  
მსგავსთა იქედნეთა და ასპიტთასა<sup>5</sup>. მაშინ იყო ვმა მისა მიმართ, რო-  
მელი ეტყოდა: აღდგე, ვიდოდე აღმოსავლით, სადა-იგი სამკალი ფრიად  
არს, რომელიცა მოიმეო<sup>6</sup> და რომლისათვის დაცვულ<sup>7</sup> იქმენ და დაცვულ  
იქმნა.

მაშინ აღდგა და წარმოვიდა<sup>8</sup> ნეტარი ნინო და ვითარცა მოვიდა  
ოლოზროთია, დიზამირა მუნ. და მო-რამ-იწია ზაფხული, აღმოვიდა მთა-  
თა ჯაგახეთისათა და მიმდებნა ტბასა, რომელსა ეწოდების თანავანა<sup>9</sup>, და  
მუნ დადგრა ორ დღე. და მოილო საზრდელი მეთევზურთაგან და განძლი-  
ერდა, და აღიდებდა ღმერთსა. კულად ბყენეს მათვე ადგილთა მწყემსნი<sup>10</sup>  
ცხოვართანი<sup>11</sup> და მემროწყლენი ზროხათანი, რომელნი არეგობდეს<sup>12</sup> მთათა  
მათ ზედა<sup>13</sup> სამწყსოთა [399] მათთა. ჰკითხვიდა მათ<sup>14</sup> ღირსი ნინო ვინაო-  
ბასა და სადაათობასა<sup>14</sup>. ხოლო მათ მიუგვის: რომელნიმე ელიოგნით<sup>15</sup> ვართ  
და რომელნიმე ჰინძარელნი<sup>16</sup>, სხუანი<sup>17</sup> საფურცლით და რომელნიმე ქა-  
ლაქისა დიდისა მცხეთისანი.

ხოლო წმიდამან მიხენდა, ვითარ ეამსა ზაფხულისასა სავსე იყენეს  
თოვლითა მთანი იგი ჩრდილომასანი, განკვრევილი დადებდა ღმერთისა  
მიმართ და ილოცვიდა. და მცირედ მიწვა ქუეყანასა ზედა, რათა განი-  
სუნოს. და ვითარ მივიძინა, წარმოუდგა კაცი, ბრწყინვალე ხილვითა და შუე-  
ნიერი პასაკითა<sup>18</sup>, და მისცა წიგნი დაბეჭდული<sup>19</sup> და პრქუა: აღდგე და მიარ-  
თუ წიგნი ესე მეფესა წარმართთასა მცხეთას, რამეთუ ამისთვის მოივლინე.  
ხოლო მან ცრემლით მიუგო: უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხოა, ვიდრე  
ვიდე უცხოთა ნათესავთა თანა? მაშინ განკსნა<sup>20</sup> წიგნი იგი, რომლისა თა-  
ვად წერილ იყო სახელი იესუმისი ჰრომელებრ: ცსადცა იქადაგოს სახა-  
რებაა ესე, მუნცა ითქუმოდის დედაკაცი ესე, რამეთუ არა არს მამაკაცება  
და დედაკაცება\*<sup>21</sup> არამედ თქუნე ყოველნი ერთ ხართ, წარვედით და მოი-



\* აქედან B ხელნაწერს აკლია.

<sup>1</sup> დაიფარა BC. <sup>2</sup> მისთა C. <sup>3</sup> ზეცას C. <sup>4</sup> დამიტეობ B. <sup>5</sup> ასპიტთა B. <sup>6</sup> მოიმ.  
კო] მოიმეოჲკო B. <sup>7</sup> დაცულ C. <sup>8</sup> წარვიდა B. <sup>9</sup> თანავანა AC. <sup>10</sup> ცხოვართანი B.  
<sup>11</sup> არეგობდეს A. <sup>12</sup> ~ ზედა მათ C. <sup>13</sup> მათ—C. <sup>14</sup> სადაათობასა C. <sup>15</sup> ელიოგნით B,  
ელიძგნით C. <sup>16</sup> ჰინძარელნი AC. <sup>17</sup> და სხუანი C. <sup>18</sup> ასაკითა C. <sup>19</sup> დაბეჭდული B.  
<sup>20</sup> განკსნა AC.



ქართული

მოწაფენით ყოველნი წარმართნი და ასწავებდით მათ, რამეთუ ნათელი [400] გამობრწყინებულ არს მათდა. და აქამომდე იყო სახილავი ესე.

- არა პრქუა, ვითარცა-იგი პირველად მოციქულთა, ვითარმედ: წარგადგინნენ თქუენ წინაშე მეფეთა და მთავართა საწამებელად და გტანჯვადენ თქუენ და მოგწყუელდენ და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყუდნენ კორცნი თქუენნი. არარაჲ ესევითარი პრქუა, რამეთუ წუთლა დედაკაცი იყო უცხოჲ და მხოლოდ მხოლოდ შემტკობელი მკურვალისა სარწმუნოებისაჲ და საღმრთოჲსა სიყუარულისაჲ, არამედ ვითარცა-იგი უბრძანა მარიამ მაგდანელსა: წარვედ, ახარე ძმათა ჩემთა. თვთ თავადმან, ყოვლისა წინამსწარ განმგებელმან და წინამსწარ მცნობელმან, წინამსწარვე განმზადნა გულნი ერთა მათ წარმართთანი შემწყნარებელად საღმრთოთა სიტყუათა თესლსა და გამოძღებელად ნაყოფთა, რომელნი-იგი, ვითარცა ცხოვარნი მწყემსსა, ეგრეთ შედგომად<sup>1</sup> იყვნეს ქადაგებათა და სწავლათა ღირსისა ნინოჲსთა, რომელი სასწაულთა მათ მიერ დიდებულთა იქმნა წყარო ნიშთა და მადლთა<sup>2</sup>.

- ( და ვითარცა განიღვძა ჩუენებისა მისგან, აღდგა და აღიპყრნა კელნი ზეცად მიმართ და მყუარ ეჲ ილოცვიდა. [401] და კუალად ცრემლითა მკურვალითა ევედრებოდა და შეურდებოდა შესავედრებელსა მას ყოველთა მორწმუნეთასა, ყოვლად-წმიდასა დედოფალსა ღმრთისმშობელსა, და იტყოდა: მ ყოვლად-ქებულო და დიდებულო და ყოვლად-საგალობლო დედაო ღმრთისაო, რომელმან უბრწუნელებით ჰმეგ, ცხოვრებად ჩუენდა მოსრული წმიდაჲ იგი წმიდათაჲ სიტყუაჲ ღმრთისაჲ, შეიწირე ვედრებაჲ უღირსისა მონისა და მკველისა შენისაჲ, მოიხილე ჩემ ზედა საფარველითა მადლისა და მეოხებისა შენისაჲთა და შემწე და გელის-ამპყრობელ ექმენ უძლურებასა ჩემსა. და წარდევენ და აოტენ ბოროტნი იგი მკეცი, ხილულნი და უხილავნი. და ყოველთავე განსაცდელთაგან<sup>3</sup> დამიცევ და ყოველთა საბრკეთა და საცთურთა მტერისათა უენებელად თანა-წარმკადე, რომელი-ეგე ხარ სასოჲ და სიმტკიცე, ზღუდე და მკველი ყოველთა შენდა შევედრებულთაჲ, რამეთუ აჰა ესერა ბრძანებისაებრ ძისა შენისა და ღმრთისა ყოველთაჲსა, ვითარცა შენ სათნო იყავ, მინდობითა ოხათა შენთაჲთა წარვემართებთ უშიშითა და მტკიცითა გონებითა ქადაგებად სახელსა მისსა წმიდასა ნათესავსა შორის წარმართთასა. და ვითარცა-იგი განაგებდ, ჰმოძღურიდ და ასწავებდ წმიდათა მოციქულთა [402] ქადაგებასა მას ჭეშმარიტებისასა, და მათ თანა წმიდანიცა იგი მენელსაცხებულენი დედანი წარავლინენ მსახურად, ქადაგად და მოციქულად, წარმძიდელ მეცა და მასწავე სიტყუაჲ ჯეროვანი და საქმე უმჯობესი და მონედენ და შეიწ-

<sup>1</sup> შედგომილ C. <sup>2</sup> მღლთაჲ C. <sup>3</sup> ყთგვე განსაცდელთა C.

ყალბი ვანწირული, რომლისათვის დასთხია პატიოსანი სისხლი თვის ქრისტემან, ძემან შენმან და ღმერთმან.

და ვითარცა სრულ ყო ლოცვად, მყის განათლდა გონება მისი, და ნათელი და<sup>1</sup> ბრწყინვალეობად მიუთხრობელი გარე-შეგმოსა მას მოფენითა მის ზედა მადლისადათა ყოვლად-წმიდისა ქალწულისა მიერ და<sup>1</sup> დედისა ღმრთისა.

აღდგა და წარემართა შეჭურვილი მის მიერ და იწყო სლვად. მიემთხვა კეთილთა მოგზაურთა და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, და მიიწია ქალაქად ურბნისად. იხილა მას შინა ერი უცხოთ, უცხოთა ღმერთთა მსახურნი, რომელნი ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყუანის-სცემდეს. <sup>19</sup> მივიდა ბაგინსა ჰური-თასა ენისათვის ებრაულისა, რამეთუ ებრაული და ბერძული წიგნი და ენაჲ კეთილად ესწავა. და დაყვნა მუნ თვისა ერთისა ჟამნი და განიციდინა ძალსა მის ქუეყანისასა.

ამისა შემდგომად დღესა ერთსა წარემართნეს სიმრავლენი [403] ერთანი ქალაქით ურბნისით ქალაქად სამეუფოდ მცხეთად თაყუანის-ცემად <sup>15</sup> ღმრთისა მათისა არმაზისა და კჳალად შეძინებისა და ვაჭრობისა. წარვიდა მათ თანა ნეტარიცა ნინო და, ვითარცა მიიწია ქალაქად მცხეთად, დადგა წიად კერძო ვიდისა და ხედვიდა ერისა მის სიმრავლესა, რომელნი დაბნელებულ იყვნეს საცთურითა მით კერპთმსახურებისადათა; და ცრემლოდა<sup>2</sup> ცთომილებისათვის მათისა და წარწყმედისათვის სულთა<sup>3</sup> მათთაჲსა. <sup>20</sup>

და ვითარცა იყო ხელისა დღე, დასცეს საყვრსა და აღიძრა სემრავლე ერისაჲ ურიცხვ. ფერად-ფერად შემოსილნი, და გამოვიდოდეს ქალაქით. შემდგომად მცირედისა იწყო ერმან მორიდებად გზისაგან, და გამოვიდა დედოფალი ნანა, და შეამკუნეს<sup>4</sup> ფოლოცნი თვთო სახითა სამოსლითა ყუავილთა თანა და სულნელთა. ამისა შემდგომად გამოვიდა მეფე <sup>25</sup> მირიან ებნითა და ქნართა და კმითა ნესტუსადათა და მრავლითა სახობითა, ხოლო ღირსმან ნინო ჰკითხა დედაკაცსა ჰურიასა<sup>5</sup>, ვითარმედ: რაჲ არს ესე, ანუ რაჲ ეგულეების ერსა ამას? ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: ღმრთისა მათისა თაყუანის-ცემად აღვლენ, რომელი-იგი [404] არარაჲ არს სხუად, გარნა კერპი უსულოჲ. <sup>30</sup>

და ვითარცა აღიესნეს მთანი იგი სიმრავლითა ერთადათა, აღვიდა ნეტარიცა ნინო მათ თანა და ჰხედვიდა<sup>6</sup> საკრველებასა მას მეფეთა და ერისასა. და კჳალად საზარელად საოცრებასა მას კერპისასა განიციდინა, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ და ემოსა ტანსა მისსა ჟაქვ ოჭროსაჲ და თავსა მისსა ედგა ჩაფხუტი ოჭროსაჲ და სამჯარნი მისნი ოქ- <sup>35</sup>

<sup>1</sup> და—C. <sup>2</sup> ცრემლოდა C. <sup>3</sup> სულთა—C. <sup>4</sup> შეამკუნეს C. <sup>5</sup> ჰურიისასა C.

<sup>6</sup> ხედვიდა C.





რომანი და თულად მისსა აქუნდეს<sup>1</sup> ქვა ბივრიტი და იაკინთრამ, ხოლო  
 გელსა აქუნდა ვრმლი, რომელი, ვითარცა ელვამ, საზარულად იქცეოდა  
 გელსა შინა მისსა, რეცა რომელი შეეხებინ, სიკუდილად წარიწირის თა-  
 ვი და განიკითხავნ და იტყუნ თვთოეული თავსა შორის თვსსა: ნუჟუჟუ  
 5 დავაკლე ერთგულებითა მსახურებასა, ანუ სცთა სადამე სიტყუად<sup>2</sup> ებრა-  
 ელსა თანა, ანუ სმენასა, და ხუდა სადამე შვისასა ღმრთად, ანუ მოიგონა  
 სადამე დიდი ღმერთი ზეცასად, და ბიწი რამ პოოს მას<sup>3</sup> თანა, სცეს მას<sup>3</sup>  
 მახვლი იგი, ამისთვის შიშით და ძრწოლით მიეა [405] ხლებოდა<sup>4</sup> მას მეფე  
 და ყოველი ვრი. ესრეთ მანქანებდა მის შორის მყოფი იგი ეშმაკი და აც-  
 10 თუნებდა მათ. ხოლო მარჯუენით მისა<sup>5</sup> უდგა კაცი ოქროსად და სახელი  
 მისი ვაცი, და კულად მარცხენით მისა ღვა კაცი ვეცხლისად, და სახელი  
 მისი ვაცა.

იხილა რამ ესე ყოველი ნეტარმან ნინო, სულა-ითქუმიდა და ფრიად  
 ცრემლოოდა<sup>6</sup>, ვითარ სრულიად დაბრძობილნი და დაბნელებულნი<sup>7</sup> მტე-  
 15 რისა მიერ, ცოცხლიე შთაენთქნეს ჯოჯოხეთსა მეფენი და მთავარნი ესო-  
 დენსა<sup>8</sup> თანა სიმრავლესა, რომელნი გელითა კაცთაათა ქმნილთა უსულო-  
 თა ღმრთად თაყუანის-სცემდეს ყოვლად უცხონი შემოქმედისაგან. წარვი-  
 და უკუე მცირედ განშორებულად და აღიპყრნა კელნი ზეცად და ცრემ-  
 ლით ვედრებოდა და იტყოდა: უფალო, იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო,  
 20 ღმერთო და შემოქმედო ყოველთა დაბადებულთაო, რომელი ცხოვრებისა-  
 თვის ჩუენისა კაც იქმენ და ხატი მონისა შემოსად არა<sup>9</sup> უღირს-იჩინე,  
 რაათა აცხოვნო<sup>10</sup>, რომელი ჰქმენ ხატად შენდა, და ივსნა მძლავრებისა-  
 გან სოფლის-მპყრობელისა ბნელისა. მოიხილე აწცა მალლით სამკვდრებ-  
 ელით დიდებისა შენისაათ დაბადებულთა შენ[406]თა ზედა და ივსნენ  
 25 სიბნელისა მწარისა<sup>11</sup> და ტყუეობისა მტერისა ბოროტისა, რომელსა მხო-  
 ლოსა გნებაეს ყოველთა ცხოვრება და მეცნიერებად ქეშმარიტებისა მოს-  
 ლვამ. ჰე უფალო, ისინე ვედრებად უღირისა მონისა და მკველისა შე-  
 ნისაად, აჩუენე ძლიერებად შენი ჟამსა ამას და ყავ სასწაულ კეთილ, რამ-  
 თა იხილონ ერთა ამთ მაცხოვარებად შენი, და შენ მხოლოდ გიცნან  
 30 ღმრთად ქეშმარტად და შენდა მხოლოვსა შეწირონ დიდებად და თა-  
 ყუანის-ცემად.

და ვითარცა სრულ-ყო ლოცვამ, ევა ძლიერებათა შენთა, ქრისტე,  
 რამეთუ მეყსეულად გამოჩნდა დასავალით<sup>12</sup> ღრუბელი ბნელი და ქარი  
 ძლიერი და იქმნეს ქუხილნი სასტიკნი და ვმანი საზარულნი და მეხის-ტე-

<sup>1</sup> აქუნდა C. <sup>2</sup> სიტყუო C. <sup>3</sup> მათ C. <sup>4</sup> შიიახლებოდა C. <sup>5</sup> მისსა A. <sup>6</sup> ცრემ-  
 ლოდა C. <sup>7</sup> და დაბნელებულნი—C. <sup>8</sup> ესეოდენსა A. <sup>9</sup> არამ A. <sup>10</sup> აცხოინო C.  
<sup>11</sup> ბნელისა მწარისაგან C. <sup>12</sup> დასავლით C.

ხანი შესაძრწუნებელი, რომლისა მიერ მეფე და მთავარნი და ერთი იგი,  
 ლტოლვილნი საშინელებისა მისგან, ურთიერთას დასთრგუნვიდეს<sup>1</sup> და ქა-  
 ლაქად თვითიული სახიდ თვსა<sup>2</sup> მირბიოდეს. ხოლო ადგილსა მას საკერ-  
 პოსა და კერპთა მათ ზედა მოიწყოდა სეტყუა თხრობად განსაკრვებელი,  
 რომელი ვითარცა რკინისაა ანუ თუ რვალისაა ლოდებრ გუეუთებოდა,<sup>5</sup>  
 ვიდრემდის სრულიად დამუსრნა და და [407] აწულილნა, ვითარცა მტურ-  
 ნი, და ზღუდენი იგი და შენებულება ყოველი დაარღვა, ვიდრემდის\*  
 ადგილიცა იგი მათი უცნაურ საგონებელ იყო მათ<sup>3</sup> ყოველთა მიერ, რო-  
 მელსა ზედა აწ შენებულ<sup>4</sup> არს<sup>5</sup> ეკლესიაა ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობ-  
 ლისაა და მონასტერი ფრიად შეუნიერი. 10

ხოლო ნეტარი ნინო ჟამსა მას ზეგარდამოვსა ძალისაგან წარწყმე-  
 დასა კერპთასა მდგომარე იყო უშიშად მახლობელად ადგილისა მის, მცი-  
 რესა საფარველსა კლდისასა ქუეშე მდგომარე და შესწირვიდა ღმრთისა  
 ქებასა და მადლობასა.

ხოლო ვითარცა იქმნა მყუდროება და განწმინდა ჰაერი, წარმოვიდა<sup>15</sup>  
 ღირსი იგი წიად კერძო დასავალსა კლდისასა, სადა-იგი პირველ ქალაქი  
 შენ იყო. და დგა მუნ ხე შეუნიერი, რტოგარდაფენილი, რომელსა ქუეშე<sup>6</sup>  
 დაადგრა ექუს დღე. და<sup>7</sup> გამოსახა ხესა მას ზედა სასწაული ჭყარისაა და  
 ილოცვიდა მარადის, დღე და ღამე.

მაშინ გამოვიდა სიმრავლე ქალაქისაა ხილვად ადგილისა მისდა<sup>20</sup>  
 ძიებად ღმერთთა მათთა, რომელთა ყოვლად არა ჰპოებდეს. და ვითარცა  
 ცნობამიღებულნი, ურთიერთას<sup>8</sup> განკვრებულნი<sup>9</sup> ხელ [408] ვიდეს და სიცი-  
 ფისათა<sup>10</sup> რათმე<sup>11</sup> სიტყუათა ზრახვიდეს, ვითარმედ: მტერ არს ღმრთისა  
 ჩუენისა არმაზისა ღმერთი ქალდეველთა<sup>12</sup>, და ვითარცა ჩუეულება არს  
 სოფლის<sup>13</sup>-მპყრობელთა, ურთიერთას<sup>14</sup> მძლავრობენ<sup>15</sup>, და ესე ყოველი<sup>25</sup>  
 მის მიერ მოიწია. ამას და ესევეითარსა იტყოდეს საკიცხელსა და საბას-  
 რობელსა მოკიცხულნი<sup>16</sup> იგი ეშმაკისაგან მარადის მოკიცხულთა და საბას-  
 რობელთა მათ ღმერთთა მათთა თანა.

მაშინ მოვიდა ერთი წარჩინებულთა მგველთაგანი დედოფლისათა,  
 სახელით<sup>17</sup> შროშანა<sup>18</sup>, და ვითარცა იხილა ნეტარი ნინო ხეთა მათ ქუეშე,<sup>30</sup>  
 მოიყვანა თარგმანი, ბერძულმეტყუელი დედაკაცი, და ყოველი საქმე მი-  
 სი და ვინაობა და მიზეზი მუნ მისლვისაა—ყოველი ზედამიწეენით ის-

\* აქ გრძელდება B-ზელნაწერის ტექსტი.

<sup>1</sup> დათრგუნვიდეს C. <sup>2</sup> თვსად A. <sup>3</sup> მათ—C. <sup>4</sup> შენებულ]შენ C. <sup>5</sup> ~შენ არს  
 აწ B. <sup>6</sup> ქუეშესა C. <sup>7</sup> და—B. <sup>8</sup> ურთიერთთარს B. <sup>9</sup> განკვრევებით B. <sup>10</sup> სიციფისა B.  
<sup>11</sup> რა-თმე C. <sup>12</sup> ქალდეველთა A. <sup>13</sup> სოფლის-ქალდის-B. <sup>14</sup> ურთიერთთარს AB.  
<sup>15</sup> მძლავრობენ C. <sup>16</sup> მოკიცხულნი A. <sup>17</sup> სახელი B. <sup>18</sup> შროშანია B.





წავა და კეთილად გულისკმა-ყო და ფრიალითა ცრემლითა<sup>1</sup> აღვსებული  
 აიძულებდა<sup>2</sup> წარსლვად მის თანა სადედოფლოდ. ხოლო მან არა ინება,  
 არამედ შემდგომად სამისა დღისა შევიდა ქალაქად და მიჰმართა<sup>3</sup> სამო-  
 თხესა შეფისასა, და პოვა მუნ მცირე სახლი<sup>4</sup> მცველისაჲ მის სამოთხისაჲ,  
 5 რომელსა შინა ჯდა დედაკაცი [409] ერთი, სახელით ანასტოს. იხილა  
 რაჲ ღირსი იგი, აღღვა მსწრაფლ და შეიტკბო, ვითარცა მეცნიერი, და  
 დაჰბანა ფერწნი და სცხო ზეთი და მოართუა საზრდელი, რომლისა თანა  
 დაადგრა ცხრა თუე.

ხოლო დედაკაცი იგი იყო უშვილო და ფრად იურვოდა ქმარი მი-  
 10 სი. ლამესა ერთსა იხილა ნეტარმან ნინო ჩუენებით კაცი ვინმე ბრწყინვა-  
 ლე ნათლისაჲ და ჰრქუა მას: შევედ სამოთხესა მაგას ხეთა ქუეშე, ადგილ-  
 სა ყუავილთასა, და აღილე მიერ მიწაჲ და აქამე კაცთა მაგათ, და ესუას ძე.  
 და მან ყო ვერეთ. და შემდგომად მცირედისა ესხნეს მათ ძეგბ და ასულეგბ,  
 რამეთუ იყო სამოთხესა მას შინა ხე კვბაროზი, დიდი და ფრად შუენი-  
 15 ერი, და ქუეშე მისა<sup>4</sup> მრავალფერთა ყუავილთა სულნულეგბაჲ მარადის  
 იყნოსებოდა, რომელი ყოველთა მიერ განსაკვრეველ<sup>5</sup> იყო.

და კუალად იხილა ღირსმან მან<sup>6</sup> ჩუენებაჲ, რამეთუ მოვიდიან სიმ-  
 რაველნი მფრინველთანი და განიბანნიან<sup>7</sup> დიდსა მას შინა მდინარესა  
 მტკურისასა და აღმოვიდიან სამოთხესა მას და ხესა მას ზედა შემო[410]  
 20 კრბებოდიან და ქუეშე მისსა ყუავილთა მათ მოისთულეგბდიან და რეცა  
 თუ წმიდისა მის მიმართ დადადებდიან.

ესე ხილვაჲ სამ-გზის იხილა და მიუთხრა სიღონიას, ასულსა აბია-  
 თარისსა, რომელი-იგი პირველ სარწმუნოებად<sup>8</sup> მოსლვადმდე დედოფლისა  
 დამოწაფებულ იყო მისდა. და მის თანა შროშანია, რომელი ზემო ვაქსე-  
 25 ნეთ სხუათა თანა შუდთა დედათა.

ესე სიღონია სწავლულ იყო სჯულსა<sup>9</sup> მოსესსა და წინაწარმეტყუელ-  
 თასა და კეთილად და ღირსებით მეცნიერ, რამეთუ<sup>10</sup> მამაჲ მისი აბიათარ  
 მღდელთ-მოძღუარი იყო ჰურიათაჲ, კაცი სიბრძნითა და ფილოსოფოსო-  
 ბითა შემკული, რომელმან ფრად იღუაწა ქეშმარტებისათვს ღირსისა  
 30 ნინოჲს თანა, რომლისათვს ქუემორე მივითხრათ.

ხოლო ვითარცა წმიდამან ჩუენებაჲ იგი მიუთხრა სიღონიას, მყის  
 აღძრულმან სულისაგან გარდამოუტევნა მდინარენი ცრემლთანი, მიუგო  
 და ჰრქუა: ყოვლად-უცხოო და ჩუენ თანა აღზრდილო, შორით მოსრუ-  
 ლო და ჩუენდა მომართუმელო ზეცისა ნიქთაო, შენ მიერ ვეჯულეგბის შე-  
 35 მოქმედსა განათლებაჲ სულთა ჩუენთაჲ და ბნელი[411]საგან უმეცრეგბისა

<sup>1</sup> აიძულებდა B. <sup>2</sup> მიმართა C. <sup>3</sup> ~სახლი მცირე B. <sup>4</sup> მისსა AB. <sup>5</sup> განკვრე-  
 ბულ AC. <sup>6</sup> მან—C. <sup>7</sup> გ~ნიბანნიან C. <sup>8</sup> სარწმუნოებისა C. <sup>9</sup> შეჯულსა C. <sup>10</sup> რ~და B.

ნათლად ქეშმარიტებისა<sup>1</sup> გამოყვანებად, და შენ მიერ იცნან ღმერთთა ეკლესიისა ველმან ამან სიმრავლემან წარმართთამან, რომელნი ტყუეჴმნილ არიან მწართა მონებითა ეშმაკთადათა. ესე ყოველი ვითარცა აღსრულებად იყო, შემდგომად მცირედისა კეთილად აღუქსნა გონიერმან მან დედაკაცმან პირველადვე. ხოლო ღირსმან ნინო მადლი<sup>2</sup> შეწირა ყოვლად-სახიერისა ღმრთისა და წარვიდა საყოფლად თვისად<sup>3</sup>, შორის მაყუალთა მათ, რომელნი მდგომარე იყვნეს სამოთხესა მას მახლობელად კუპაროზთა მათ საკვრველთა; რომელნი სახელ ტლავრისა გარდართხმულ იყვნეს და დაჴფარვიდეს მას; და<sup>4</sup> დღე და ღამე ვეღრებოდა ღმერთსა, რაჲთა მისცეს მეცნიერება ღმრთეებისა მისისაჲ ხატად მისა<sup>5</sup> დაბადებულთა, წარწყმდილთა მტერისა მიერ. 10

6 ხოლო იყო მოქალაქობად მისი და<sup>6</sup> მოღუაწებად ფრიადი და ცრემლითა და ლოცვითა სამარადისოდათა საცხე და საწადელ საშუებელ მისსა — სიმრავლე მარხვისაჲ და კეთილ სამოსელ მისა<sup>7</sup> — სამოსელი ბალნისაჲ და ცხედარ და სარეველ<sup>8</sup> განსასუენებელ მისსა — ძაძად მიწასა ზედა დარევილი.

[412] ესე ვითარითა მოღუაწებითა დაადგრა ადგილსა მას, შორის მაყუალთა, ექუს წელ.) ხოლო ვინაჲთგან წარმართნი იგი მკურნალობისა კელოვნებასა<sup>9</sup> უმეტარ იყვნეს და სიმრავლითა სნეულთადათა აღსავსე, ამისთვისცა ურთიერთას<sup>10</sup> მივიდოდეს და სნებისაგან სიმრთელედ შეცვალბისა<sup>11</sup> მისგან სახესა თვისთა სნეულთა კურნებისასა ისწავებდეს. ამისთვისცა კაცისა ვისმე წარჩინებულისა ძე სნეულ იყო და მიეცა მის მიერ ღირსსა<sup>12</sup> ნინოს, რაჲთა წარიყვანოს და იძიოს სხუათაგან სახე კურნებისა მისისაჲ. ხოლო ნეტარმან მან ყრმაჲ იგი მიიჭუა და წარიყვანა და თვისსა ცხედარსა მიაწვინა. და ვეღრა ღმერთსა, ყოველთა დამბადებელსა, განქსნად და შეცვალბად იგი სნეულბისა მისგან. ხოლო ყოველთა უფალმან ვედრებაჲ იგი მისი შეისმინა და ყრმასა მას სიმრთელე მიანიჭა. და კუალად<sup>13</sup> ასული დედაკაცისა ვისიმე<sup>14</sup>, ვნებული ლოცვითა ღმრთისა მიმართ, განკურნებული მისცა დედასა მისსა. მიერთგან მრავალთა მიერ განსაკვრებულ იქმნა ღირსი იგი, ვიდრედა არცაღა თუ მეუღლისაგან მეფისა [413] საქმე ესე დაფარულ იქმნა. და ვინაჲთგან იგიცა ესე ვითარითავე<sup>15</sup> ბოროტითა სენითა შებყრობილ იყო, მეყსეულად მიავლინა მისა<sup>16</sup> ვედრებით, 30 რაჲთა მივიდეს<sup>17</sup> მისა<sup>18</sup>. ხოლო ღირსმან მან ფრიადისა მის მდაბლისა<sup>19</sup> გონებისა მისისაგან სამეუფოჲ იგი ვედრებაჲ არა მიითუალა. ხოლო სენთა მიერ ფიცხელთა იძულებულმან ცოლმან მეფისამან განაგლო ზუაობითი იგი მეფო-

<sup>1</sup> კტბისდ B. <sup>2</sup> მადლობა AC. <sup>3</sup> თსნა B. <sup>4</sup> და—C. <sup>5</sup> მისსა A. <sup>6</sup> და—B.

<sup>7</sup> მისსა AB. <sup>8</sup> + მისსა AC. <sup>9</sup> კელოვნობისა C. <sup>10</sup> ურთიერთთარს B. <sup>11</sup> შეცვალბულბისა B. <sup>12</sup> ვისმე B. <sup>13</sup> ვევეითარითა B. <sup>14</sup> მისსა A. <sup>15</sup> მივიდენ B. <sup>16</sup> მისსა AB.

<sup>17</sup> სიმდაბლისა C.



- ბისა პატივი და თავით თვისით უცხოება მის და მდაბლისა მისისწრაფა, და ითხოვდა კურნებასა. ხოლო ღირსმან მან ნეტარებისამან იგიცა თვისსა<sup>1</sup> მას უნდოსა ცხედარსა მიაწვინა და წამლად განსაკურნებულად ვნებისა მისისა<sup>2</sup> იკუმია ლოცვად. და ღმერთმან, რომელი შეისმენს ვედრებასა მოშიშთა
- 5 მისთასა, მიანიჭა მსწრაფლ თხოვად მისი და ყოვლითურთ განკურნებული წარავლინა სახიდ თვისა. ხოლო დედოფალმან სასყიდლად კურნებისა მოართუა მას, რომელი-იგი მას ღირსად პატივისა შეერაცხა: ოქრო და ვეცხლი, სამოსელი და სამკაული და სხუად რაოდენი<sup>3</sup> შეეტყუების ძღუენსა და მისაცემელსა სამუფოსა.
- 10 [414] ხოლო ღირსმან მან ამათი მიღებად ყოვლად არა თავს-იდვა, არამედ ჰრქუა, ვითარმედ: ჩემდა დიდად მისათუალველ არს, უკუეთუ იცნათ ღმრთის-მსახურებად. და შემოიხუნა შორის საღმრთონი<sup>4</sup> სწავლანი, ვითარნი ჯერ-იყვნეს, და მიუთხრნა ცხობებად ჩუენდა მოსრულისა ღმრთისა და მაცხოვრისა ქრისტეს განკაცებისა ყოველი განგებულებად, კუალად
- 15 ჯუარ-კუმად და აღდგომად და ზეცად ამალღებად. და დაუმტკიცებდა, ვითარმედ ჭეშმარიტად იგი არს ღმერთი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისაჲ, და ზღუათა და ყოველი რაჲ არს მათ<sup>5</sup> შინა, და კუალად მომავლ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა, და ევედრებოდა, რაჲთა ჰრქუმენეს იგი ყოვლითა გულითა და რაჲთა აღაშენოს<sup>6</sup> ეკლესიაჲ<sup>7</sup> სახელსა
- 20 ზედა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. ესმა რაჲ ესე ყოველი დედოფალსა, ლმობიერქმნილი და განკურნებული სასწაულსა მას ზედა<sup>8</sup> დიდებულსა და ტკბილთა სწავლათა მიერ<sup>9</sup> ნეტარისა ნინოჲსთა განათლებული, სახიდ თვისად<sup>10</sup> მიიქცა. და აუწყა მეუღლესა თვისსა მოსწრაფებაჲ იგი კურნებისაჲ და ძალი ღმრთისაჲ მის,
- 25 რომელსა ქადაგებს უცხოჲ იგი, და [415] ყოველი, რომელი ესმინა მისგან. და ევედრებოდა, რაჲთა იგი მხოლოდ უწყოდის<sup>11</sup> ღმრთად ჭეშმარიტად. ხოლო მეფემან მირიან აქო მეუღლესა თვისსა<sup>12</sup> ზედა<sup>13</sup> ქმნილი იგი საკურველებად და დაუკვრდა ფრიად, ხოლო ტაძრისა შენებაჲ არა ინება.
- კუალად სხუასა ჟამსა მცირე ძე მეფისაჲ შეპყრობილ იქნა ფიცხ-
- 30 ლად სენითა ჯურვეებისაჲთა, რომლისაჲ უბრძანა დედოფალმან, რაჲთა მიკგუარონ იგი ღირსსა ნინოს. და ევედრებოდა განკურნებად მისა<sup>14</sup>. ხოლო წმიდამან ჩუეულებისაებრნი ლოცვანი და ვედრებანი შეწირნა უფლისა და ყოვლითურთ განკურნებული მისცა იგი ღედასა თვისსა. ამისა შემდგომად დაემოწაფა დედოფალი ნანა ღირსსა ნინოს სხუათა თანა წარჩინებულთა

1 თვისსაჲ B. 2 მის AC. 3 რაოდენიცა B. 4 საღმრთონი—C. 5 მას B. 6 აღაშენოს AC. 7 ეკლესიანი C. 8 ზედა—AC. 9 მიერ—AC. 10 თვისად—AB. 11 უწყოდეს C. 12 თვისსა—C. 13 ~ზა თვისსა B. 14 მისსა AB.

მკვეალთა მისთა და მარადის გულს-მოდგინედ<sup>1</sup> ისმენდა<sup>2</sup> სწავლათა და მოძღურებათა მისთა. და ვითარცა სასწაულნი იგი<sup>3</sup> დღითი-დღე აღესრულებოდეს წმიდისა მის მიერ და განითქუმოდეს ურიცხვნი იგი კურნებანი, მთავარი ვინმე სპარსი მოვიდა მეფისა, სახელით ხუა[416]რა, რომელი-იგი იყო დედის ძმა დედოფლისაჲ. ესე ვნებულ იყო სულისაგან<sup>5</sup> ბოროტისა და იგუემებოდა ფრიად მრავლით ეამითგან; და ევედრებოდა დედოფალი ღირსსა ნინოს განკურნებად მისა<sup>4</sup>. ხოლო მეფემანცა მიუვლინა რეცა ურწმუნოებით და ორგულებით და ეტყოდა ნეტარსა მას: რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ შენ კურნებათა ამთ? ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შეილი ზადენისი და ვინაჲთგან უცხოებით მოხუედ აქა, მოგა-<sup>10</sup>ნიჭეს შენ ძალი კურნებათაჲ<sup>5</sup> და შევიწყალეს შენ. რამეთუ დაღაცათუ ჰაერთა მიერ შეიმუსრნეს, არამედ ცხოველ არაიანვე. აწ იყავ წინაშე ჩუენსა პატივეცემულ, ვითარცა ერთი მაწოვნებულთაგანი შეილთა ჩუენთაჲსა, და უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე, ფრიადი სიმდიდრე მიგანიჭოთ შენ და იყო ყოველთა მიერ სახელოან<sup>6</sup> დიდსა ამას ქალაქსა შინა. ხოლო ნე-<sup>15</sup>ტარმან ნინო მიუვო და პრქუა მეფესა: შენ, მეფე, უკუნისამდე ცხონდი<sup>7</sup> სახელითა უფლისა და ღმრთისა და [417] მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელი-იგი არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისაჲ. და ყოველთა დაბადებულთაჲ, რომელმან აურაცხელითა მოწყალებითა მისითა გამოაბრწყინვოს<sup>8</sup> ნათელი გულისკმის-ყოფისაჲ შენ შორის მეცნიერებად<sup>9</sup> ღმრთიებისა მისისა, რომელი-იგი მალალთა შინა მყოფ არს და მდაბალთა ჰხედავს<sup>10</sup>, რომლისა ველთა შინა არს ცხოვრება და სიკუდილი ყოველთა ცხოველთაჲ, და ვესავ, რამეთუ ახლოს არს მიახლება შენი მისსა<sup>11</sup> განგებულებითა უსაზღვროთა სიბრძნეთა მისთაჲთა. რამეთუ მადლი იგი, რომელი მკვდრ იყო მის შორის, იტყოდა პირით მისით, რომელი უკუანაჲს-<sup>25</sup>კნელ აღსრულებად იყო. ვითარცა იტყვს წინაწარმეტყუელისა მიერ: მივჰვინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა კორციელსა და მონათა და მკვეალთა ჩემთა ზედა და წინაწარმეტყუელებდენ ძენი და ასულნი თქუენნი და კმა არს მაუწყებელად მიდენაჲ იგი სულისაჲ და საქმე სასწაულთაჲ, ოდეს-ესე არა არს მამაკაცება არცა დედაკაცება, მონება, ვინა აზნაურება,<sup>30</sup> რჩევა მამაკაცისა, ვინა დედაკაცისა, არამედ რომელი[418]ცა ჰეშმარტებით და ერთგულებით ჰმონებდეს უფალსა, მიენიჭების მადლი სულისა წმიდისაჲ და განუყოფს მადლთა თვისთა სიმრავლესა მსგავსად ღირსები-

<sup>1</sup> გულს-მოდგინედ—B. <sup>2</sup> ისმენ B, ისმენდ A. <sup>3</sup> იგი—B. <sup>4</sup> მისსა AB. <sup>5</sup> კურნებისა B. <sup>6</sup> სახელოან BC. <sup>7</sup> მეფესა—B. <sup>8</sup> ცხოვნი B, სცხონდი C. <sup>9</sup> გამოაბრწყინოს C. <sup>10</sup> ხედავს BC. <sup>11</sup> მისისა C.



არსენ ბერი

საებრ კაცად-კაცადისა, რომელთა ინებონ მოგებად მისაჲ საქმეთა მიერ კეთილთა, ვითარ-იგი ზოგად ქდაგებდეს მოციქულნი და მათ თანა მარიაჲ მაგდანელი და სხუანი წმიდანი ღვდანი, და წინაწარმეტყულებდეს ძენი ჰურიათანი, წმიდანი იგი მოციქულნი ასულთა თანა მათთა, ვითარ-იგი

5 იყვნეს ასულნი ფილაპესნი და სხუანიცა.  
 ხოლო ვითარცა ვთქუთ, ნეტარმან ნინო მიუგო რაჲ პასუხი ჯერო-  
 ვანი მეფესა, კუალად ეტყოდავე<sup>2</sup>, ვითარმედ: (მეფეო, არს ქალაქსა<sup>3</sup> ამას  
 შინა შენსა წმიდაჲ სამოსელი უფლისა და ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრის-  
 ტესი დაფარულ, და მის მიერ იქმნებიან ძალნი ესე და კურნებანი<sup>4</sup>  
 10 ურიცხუნი ყოფად არიან, და განიკურნოს მთავარიცა ესე სახელისა მისისა  
 მიერ წმიდისა.)

ამისა<sup>4</sup> შემდგომად მოიყვანეს მთავარი იგი წინაშე წმიდისა, რომ-  
 ლისა თანა მოვიდა ღვდოფალიცა სამოთხესა მას შინა ქუეშე კვპაროზთა  
 მათ საკრველთა, შორის [419] ყუაგილოვანსა მას<sup>5</sup>. მაშინ ჰრქუა ნეტარ-  
 15 მან ნინო მთავარსა: უკუეთუ გრწმენეს უფალი იესუ ქრისტე, ვითარმედ  
 იგი არს ქეშმარიტი ღმერთი, განსთავისუფლდე<sup>6</sup> ენებისა მაგისგან. ხოლო  
 მან მიუგო: მრწამს, რომელსა შენ ესავ, ვითარმედ შემძლებელ არს გან-  
 კურნებად ჩემდა. მაშინ უბრძანა წმიდამან სამ-გზის თაყუანის-ცემად აღ-  
 მოსავალით და აღსარებად სახელსა წმიდისა<sup>7</sup> სამებისასა და<sup>8</sup> მერმე მიტყე-  
 20 ვად დასავალით და სამ-გზის თქუმად: ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და ყოველ-  
 თა საქმეთა შენთაგან, და შეუღებები ქრისტესა, ძესა ღმრთისასა. და მყის  
 იელტოდა მისგან არაწმიდაჲ იგი სული და განთავისუფლდა ენებისა მის-  
 გან და დაემოწაფა ნეტარსა ნინოს და იქმნა მორწმუნე ყოვლით სახლეუ-  
 ლით მისით.

25 ამისა<sup>9</sup> შემდგომად მცირედნი რაჲ ღლენი წარტდეს, თუთ თავადი მე-  
 ფე განვიდა ნადირობად ღლეთა ზაფხულისათა მუხრანით<sup>10</sup> კერძო და მო-  
 ლო სანახები იგი. მიერ<sup>11</sup> აღვიდა მთასა<sup>12</sup> ზედა თხოთისასა<sup>13</sup>, რაჲთა მოი-  
 ხილოს კასპი და უფლის-ციხე. მაშინ განგებითა ზეგარდამოძთა კაცთ-  
 მოყუარისა მეფე[420]საგან პავლესებრ მოინადირა და მეყსულად ბნელი-  
 30 თა შეპყრობილ იქმნა და დაცემულ და ვერ შემძლებელ სლვად, რამეთუ  
 თანა-მოინადირენი იგი მისნი<sup>14</sup> მცხინვარესა პას ნათელსა ჰხედვიდეს<sup>15</sup> ჩუეუ-  
 ლებისაებრ და ვილოდეს, ხოლო მეფე დაშთომილ იქმნა, შეპყრობილი  
 საკრველითა სიბრმისაჲთა, და ზარტეხილ იქმნა და წარიწირა სასოებაჲ  
 ცბორებისაჲ. ხოლო ღმერთმან წყალობის-მოყუარემან ცვალა გონებაჲ

1 მისსა AB. 2 კუალად ეტყოდავე—B. 3 ჰდა AB. 4 ამისსა B. 5 ყუაგილოვანსა  
 მას B, ყუაგილოვანთა მათ C. 6 განთავისუფლდე C. 7 წმიდისა]წა C. 8 და—B.  
 9 ამისსა AB. 10 მუხრანით A. 11 და მიერ C. 12 მთათა AC. 13 თხოთისათა AC.  
 14 ამისნი იგი C. 15 ხედვიდეს B.

მისი უმეტრებისაგან მეცნიერებად. განიზრახვიდა თვსაგან და იტყოდა: აჰა ესერა ვხადე არმაზს და ზადენს და არა ვპოვე<sup>1</sup> ლხინებაჲ. აწ შეუფრდელ<sup>2</sup> ჯუარცუმულსა მას, რომელსა<sup>3</sup> ქადაგებს უცხოჲ იგი დედაკაცი და ჰყოფს სახელითა მისითა მრავალთა კურნებათა. მეყსეულად სიბნელე გონებისაგან განავლო, ჳმა-ყო და თქუა: ღმერთო ნინოჲსო, რომელი ხარ<sup>4</sup> ჳეშმარიტი ღმერთი, განმინათლე ბნელი ესე ჩემ ზედა მოხუეული და გამომიბრწყინვე ნათელი, რაჲთა აღვიარო სახელი წმიდაჲ შენი<sup>5</sup> და გადიდებდე შენ.

ესე რაჲ თქუა ყოვლად-სახიერმან მან და მოწყალემან, რომელი [421] მარადის ეძიებს ღონესა ცხორებისა ჩუენისასა, გამოაბრწყინეა ნათელი მის შორის და მსწრადღ სიბნელისა მისგან განთავისუფლდა. მეყსეულად აღდგა და აღიპყრნა ჳელნი აღმოსავალით, ღალად-ყო და თქუა: ჳეშმარიტად შენ ხარ ღმერთი ჳეშმარიტი, შენ ხარ ღმერთი ღმერთთაჲ და უფალი უფლებათაჲ, რომელმან შეჳქმნენ ცანი და ჳუფეყანაჲ, შენ აღვიარებ და შენ თაყუანის-გცემ, რომელმან მიჳსენ ჳირისა ამისგან, და მრწამს, რამეთუ გინდა ჳსნაჲ ჩემი, აღვიარებ სახელსა შენსა წმიდასა და თაყუანის-გსცემ პატიოსანსა ჳუარსა შენსა. ამისა<sup>6</sup> შემდგომად წარმოემართა სამეუფოდ<sup>7</sup> თვსად ქალაქად<sup>8</sup> და ვითარცა<sup>9</sup> მოეახლა, გამოვიდა ყოველი ერი სიხარულით მიგებებად მისა<sup>10</sup> და მათ თანა დედოფალი ნანა, რამეთუ ესმინა პირველ მის ზედა მოხუეული იგი სიბნელე, და აწ ხედვიდეს დიდებულსა მას საკვრველსა სიხარულითა და სარწმუნოებითა და ბრწყინვალეობითა სახედველთაჲთა ერთბამად შემეკულსა და განკვრეებულნი აღიდიდებდეს ღმერთსა ნინოჲსსა.

და ვითარცა შემოვიდა მეფე პალატად, ჳმა-ყო და თქუა:<sup>11</sup> სადა არს უცხოჲ იგი დედაკაცი და<sup>12</sup> დედაჲ ჩემი, რამეთუ ღმერთსა, რომელსა იგი ქადაგებს, იგი არს ჳეშმარიტად<sup>13</sup> მესნელი ჩემი. [422] და ჳრქუეს, ვითარმედ: ილოცავს ჩუეულებისაებრ მაყუალთა მათ შორის. მეყსეულად ღირსსა მას საკვრველებისასა და ქადაგსა<sup>14</sup> ჳეშმარიტებისასა ნინოჲს თანა მიისწრაფა. აღიარებდა ჳმამალად და იტყოდა: მრწამს ამიერითგან, მოციქულო ჳეშმარიტისა ღმრთისაო, ვითარმედ იგი არს ჳეშმარიტი ღმერთი, რომელსა შენ ჳქადაგებ, და მას ვესაგ და მას თაყუანის-გსცემ და ვედრა, რაჲთა უჩუენოს სახე ეკლესიისაჲ. ხოლო ახალმან მან ბესელიელ, ხუ-

<sup>1</sup> ვპოე BC. <sup>2</sup> შეურდელ BC. <sup>3</sup> რომელსა-იგი C. <sup>4</sup> ~შენი წ-ჲ B. <sup>5</sup> ამისსა B.

<sup>6</sup> სამეუფოდ B. <sup>7</sup> ~ქალაქად თვსად B. <sup>8</sup> ვითარცა-B. <sup>9</sup> მისსა AC. <sup>10</sup> და თქუა-C.

<sup>11</sup> და-C. <sup>12</sup> რ-ღ-ა რომელსა იგი ქადაგებს, იგი არს ჳეშმარიტად-A. <sup>13</sup> ქადაგებასა C.





როთ-მოძღურებისა<sup>1</sup> სიბრძნითა<sup>2</sup> აღვსებულმან და მისისავე მადლისა<sup>3</sup> დარს-  
ქმნილმან, საღმრთოდ იგი ტაძარი გამოუსახა; და ვითარ-იგი გამოუსახვი-  
და, ერნი იგი აშენებდეს. და გასრულდა ტაძარი იგი სახელსა ზედა ყოვე-  
ლად<sup>4</sup>-წმიდისა ღმრთისმშობლისასა, ვითარცა ასწავა ნეტარმან ნინო. და  
5 ეკლად უბრძანა მეფემან აღშენებად სხუა ტაძარი შორის სამოთხესა მას  
მისსა სახელსა ზედა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, სადა-იგი მღვო-  
მარე იყო კვპაროზი იგი<sup>5</sup> საკვრველი, ზედა ყუაგილოვანსა<sup>6</sup> მას სულნელ-  
სა. და ვითარცა შურებოდა ყოველი იგი ერთი მოსწრადედ, უბრძანა მო-  
კუეთად ხე იგი შეუენიერი კვპაროზი და ქმნა[ღ]<sup>6</sup> სუეტად [423] და აღ-  
10 მართებად შორის ტაძრისა.

ამიერითგან აქა<sup>7</sup> მელოდენ სიტყუად ესე და თქუენ ისმინეთ, კეთილ-  
ნო<sup>8</sup> მსმენელნო, და უპირატეს წარმოგითხრა უპირატესისა მისთვის და სა-  
სურველისა<sup>9</sup> და საანჯნო<sup>10</sup> ვყო ქეშმარიტებაჲ საქმისაჲ ყოვლად-ქეშმა-  
რიტისა მისთვის და საცხოვრებელისა და თავისა კეთილთაჲსა საწადელისა  
15 თხრობისა. რამეთუ გარდამოვდა რაჲ ქუეყანად მაღალი იგი წყალობი-  
სათვის კაცთა ნათესავისა, და შეიმოსა ბუნებაჲ ჩუენი და იქცეოდა ჩუენ  
შორის ღმერთი და კაცი ორითა ბუნებითა და აღასრულებდა ნიშთა მათ  
უაღრესთა ბუნებისათა ყოველთა მათ შინა ჟამთა ოცდაათამეტა<sup>11</sup>  
წელთასა. ამისთვის ყოვლად უკეთურნი იგი და ყოვლად ბორგენულნი<sup>12</sup>  
20 კრებულნი ჰურიათანი და უფროჲსად მღღელთ-მოძღურანი და მწიგნობარ-  
ნი მათნი განიხებრებოდეს და განიპებოდეს შურითა, და ენება დადუმებად  
და დაფარვად ყოვლად<sup>13</sup> დაუფარველი იგი<sup>14</sup>, რაჲთა მისცენ დავიწყებასა,  
რომელი მაღალ არს და დიდებულ უკუნისამდე.

ხოლო იყენეს სამღღელონი ტომნი და წარჩინებულნი [424] ერნი  
25 ჰურიათანი, რომელნი მკვდრ იყენეს მცხეთას, რომელთაჲ წეს<sup>15</sup> იყო  
წლითი-წლად აღსლვად იერუსალემდ<sup>16</sup> აღსრულებად პასექისა მათ ყოველ-  
თა თანა და სიტყუს-ყოფად ერთბამად სჯულისათვის<sup>17</sup> მოსესა<sup>18</sup>, რაჲთა  
არა<sup>19</sup> სადაჲთ დაიკნანას<sup>20</sup> იგი.

ხოლო ოდეს ჯერ-უჩნდა<sup>21</sup> ღმერთსა და მაცხოვარსა ჩუენსა იესუ<sup>22</sup>  
30 ქრისტესა ვსნად ჩუენი ენებითა მით ჭუარისაჲთა, და მოახლებულ იყო  
განგებულებაჲ იგი აღსრულებად, უფროჲს აღაბორგებდა ეშმაკი ნების-  
მყოფელთა მისთა ჰურიათა, და მიუწერეს ჰურიათა მიმართ მცხეთელთა<sup>23</sup>

1 - მოძღურებითა C. 2 თვისითა სიბრძნითა C. 3 ყდ—C. 4 იგი—C. 5 ყუაგილოვან-  
სა B. 6 შექმნა B. 7 აქან A, აქა C. 8 კეთილად C. 9 და სასურველისა[დასასრუ-  
ლისა B. 10 საანჯნო C. 11 ოცდაათამეტა B. 12 ბორგენულნი C. 13 ყდ—B. 14 +  
და AC. 15 წესი B. 16 ი'აშლიმდ A. 17 შჯულისათვის C. 18 მოსესისა B. 19 არაჲ B.  
20 დაიკნენ AC. 21 ჯერ-უჩნდეს B. 22 ი'უ—B. 23 მცხეთისათა B.

იერუსალემით<sup>1</sup>, ვითარმედ: კაცისა მის მიერ, რომელსა პრქვან<sup>2</sup> იესუ, განქარდა<sup>3</sup> სჯული<sup>4</sup> მოსესი და დიაცნას<sup>5</sup> ყოველნი წესნი ჩუენნი, და კინლა ყოველი სოფელი შედგომილ არს მისდა. აწ მოვედით<sup>6</sup> და შეგუეწიენით ჩუენ კაცი ბრძენნი და სჯულის<sup>7</sup>-მეცნიერნი და აღვასრულოთ მცნება ღმრთისა და მოსესი.

მაშინ გამოაჩინეს<sup>8</sup> ელიოზ მღდელი, რომელი იყო შვილი სამღდელოთა ტომთაჲ, კაცი ბრძენი და მეცნიერი, და სხუანი მის თანა; და წარგზავნენეს მცხეთელთა წოდებასა<sup>9</sup> მას მღდელთ-მოძღუართასა იერუსალემდ<sup>10</sup>.

ხოლო იყო დედა ელიოზისი მოხუცებულ და ღმრთის-მსა[425]ხურ, დედაკაცი ფრიად ბრძენი და გონიერი. და კუალად იყო ასული მისი, და ელიოზისი, ქალწული შემკული სათნოებითა და ღმრთის-მოშიშებითა. წარგზავნიდა რაჲ დედაჲ ძესა თვისსა, მისცა მოკითხვაჲ, ამცნებდა და ეტყოდა: შვილო, აჲ ესერა წარხუალ დღესასწაულსა ამას წოდებასა და წესსა სჯულისასა<sup>11</sup> და მიხუალ იერუსალემდ, განეკრძალე ფრიად და რომელსა-იგი ზრახვენ ბოროტსა მღდელთ-მოძღუარნი და ფარისეველნი კაცი-სა მისთვის მართლისა, ნუმცა შერთულ არს სიტყუაჲ და ცნობაჲ შენი მათ თანა, [რამეთუ იგი არს მოსწავებული წინაწარმეტყუელთაგან და საიდუმლოჲ<sup>12</sup> დაფარული ჰურიათაგან და წარმართთა, ცხოვრება საუკუნოჲ. და კუალად დაჲ იგი მისი ქალწული, ვითარცა მისცემდა მოკითხვასა წარგზავნიასა ძმასა თვისსა ელიოზს, ევედრებოდა სურვილითა გულისაჲთა და ეტყოდა: ძმაო სასურველო, ღირს იქმნები შენ ხილვად კაცისა მის მართლისა, რომელსა პრქვან<sup>13</sup> იესუ, და ნეტარ ხარ შენ. ხოლო გვედრები შენ, რაჲთა, რომელსაცა რასმე შეხებულ იყვნენ გელნი მისნი წმიდანი, ანუ თუ<sup>14</sup> მახლობელ სამოსელ[426]თა მისთა წმიდათა<sup>15</sup> ქმნილ იყოს, მოილო შენ თანა ფრიად საწადელად ჩემდა. ესე რაჲ პრქუა,<sup>16</sup> წარგზავნა მშვიდობით. და ვითარცა მიიწია ელიოზ იერუსალემდ<sup>17</sup>, შეკრებულ იყო კრებული იგი უსჯულოჲ<sup>18</sup> და დაემტკიცა<sup>19</sup> ჭუარ-ცუმაჲ მკსნელისაჲ. ხოლო არასადა ეზიარა განზრახვასა მათსა ელიოზ, ვითარცა-იგი მიელო მცნებაჲ დედისაგან თვისისა, არამედ შორის დეა იგი და მისთანანი<sup>20</sup>, ვითარცა-იგი წერილ არს სახარებასა იოვანეს თავსა, იყენეს ვინმე წარმართთაგანნიცა აღმოსრულთა მათგანნი, რაჲთა თაყუანის-სცენ დღესასწაულსა მას. ესენი

<sup>1</sup> ი<sup>1</sup>-ლიმით A, იერუსალიმით B. <sup>2</sup> პქვან C. <sup>3</sup> განქარდა C. <sup>4</sup> სჯული C. <sup>5</sup> დიაცნეს A. <sup>6</sup> მდ<sup>1</sup>ით ABC. <sup>7</sup> სჯულისა-A, სჯულისა-C. <sup>8</sup> გამოაჩინეს A. <sup>9</sup> წადებას B. <sup>10</sup> ი<sup>1</sup>-ლიმდ AB. <sup>11</sup> სჯულისასა C. <sup>12</sup> საიდუმლოჲ AB. <sup>13</sup> რქვან A. <sup>14</sup> თუ-AC. <sup>15</sup> წმიდათა-B. <sup>16</sup> თქუა B. <sup>17</sup> ი<sup>1</sup>-ლიმდ A. <sup>18</sup> უსჯულოჲ C. <sup>19</sup> დაემტკიც<sup>1</sup>თ C. <sup>20</sup> ჰიგი და AC.





მივიდეს ფილიპესა<sup>1</sup>, რომელი იყო ბეთსადადათ<sup>2</sup> გალილიაჲსადათ<sup>3</sup>, და ეტყოდეს მას: უფალო, გუნებავეს იესუმსი ხილვამ. მივიდა ფილიპე და პრქუა ანდრიას; მოვიდეს<sup>4</sup> ანდრია და ფილიპე და პრქუეს იესუს. ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანანი წარმართთაგან<sup>5</sup> მოსრულნი.

6 ხოლო ვითარცა აღსრულა ნებისით<sup>6</sup> იგი ვნებაჲ მაცხოვრისაჲ, და ვითარცა<sup>7</sup> წერილ არს, განიგდეს წილი სამოსელსა ზედა მისსა<sup>8</sup>, რომელი-იგი იყო უკერველ, ზეით მოქსიოლ. ესე ხოლო მო[427]ითხოვა<sup>9</sup> და თვსად მოილო<sup>10</sup> ელიოზ და მის თანა დაჰკრძალა<sup>11</sup>. ხოლო ეჰა საკვრველი და დიდებული<sup>12</sup> სასწაული, და ჰეშმარიტად საღმრთოჲსა მოქმედებისაჲ, რამეთუ  
10 თუ დღესა მას და ეჰმსა, ოდეს ჯუარს-აცუეს მეფეჲ უსჯულოთა<sup>13</sup> მათ და მიამთხვა კუერი ლუსმარსა გელთა მათ საუფლოთა ბოროტმან მან მტარვალმან ადგილსა გოლგოთისასა, მასვე ეჰმსა მიიწია ყურთა გულისათა დედისა ელიოზისისა<sup>14</sup> მცხეთას და ჰმა-ყო ძლიერად აღმრულმან სულისა მიერ და თქუა: ამიერითგან მშვდობაჲ თქუენდა, მეფობო პურიათო,  
15 რამეთუ მოჰკალთ უფალი, მოსრული ჯორცითა მაცხოვრად, და იქმენით<sup>15</sup> მტერ შემოქმედისა. და ამას ზედა შეისუენა მასვე ეჰმსა, არა თუ იყო-ლა მაშინ მეფობაჲ პურიათაჲ, რამეთუ აღრევე დაჰსნილ იყო ტყუენვითგან ბაბილოენისაჲთ, არამედ ვითარცა-იგი უბრძანა მაცხოვარმან: „ჰა ესერა დაეტეოს თქუენგან სახლნი თქუენნი<sup>16</sup> ოჯრად“, სრულიადსა მას წარწყმე-  
20 დასა<sup>17</sup> მათსა მოასწავებდა, ვითარ-იგი ყოველი აღსრულაცა მასვე<sup>18</sup> დღესა<sup>19</sup>. და ეჰმსა ვნებისა მისისასა [428] მოსცა წინაწარმეტყუელებითი იგი სიტყუაჲ საკვრველსა მას დედაკაცსა, მათსავე ნათესავსა, უმეტესად საკდემელად უგუნურებისა და სიბრმისა გულთა მათთაჲსა.

ამისა<sup>20</sup> შემდგომად წარმოვიდა ელიოზ იერუსალემით<sup>21</sup> და წარმოი-  
25 ლო კუართი იგი საუფლოჲ მის თანა, და მო-რამ-ვიდა სახიდ თვსად<sup>22</sup>, ქალაქად მცხეთად, ესმა, რამეთუ დედაჲ მისი აღსრულებულ იყო, ხოლო<sup>23</sup> დაჲ იგი მისი ქალწული მიეგებვოდა<sup>24</sup>, და მოეხვა ქედსა მისსა. ხოლო ელიოზ გამოილო კუართი იგი საუფლოჲ და მისცა მას და პრქუა: აჰა რომლისა-იგი<sup>25</sup> სურვიელ იყავ, მიიღე კუართი მისი და განიხარე. და ვი-  
30 თარცა მოულო გელთაგან ელიოზისთა კუართი იგი უფლისაჲ დედაკაცმან მან, და ვითარცა შეეცილი იგი მტკიცელ გელთა აქუნდა, შეიმთხვა პირსა და შეიტკბო გულსა ზედა თვსსა, და მსწრაფლ აღმოუტევა სული.

<sup>1</sup> ფილიპესა AB. <sup>2</sup> ...სადადათ B. <sup>3</sup> გალილიაჲსადათ AC. <sup>4</sup> და მოვიდეს B.

<sup>5</sup> წარმართთაგანნი C. <sup>6</sup> ნეუსითი B. <sup>7</sup> ე—B. <sup>8</sup> ~მისსა ზ“ა C. <sup>9</sup> მოითხოა C. <sup>10</sup> მოილო B. <sup>11</sup> დაჰკრძალა C. <sup>12</sup> ~დიდებული და საკვრველი B. <sup>13</sup> უსჯულოთა C.

<sup>14</sup> ელიოზისსა AB. <sup>15</sup> იქმენით C. <sup>16</sup> სახლი თქუენი AC. <sup>17</sup> ~წარწყმედასა მას C.

<sup>18</sup> მასვე B. <sup>19</sup> დღესა მას B. <sup>20</sup> ამისსა B. <sup>21</sup> ი“შლიმით A. <sup>22</sup> თვსსა B. <sup>23</sup> ხ“და B.

<sup>24</sup> მიეგება B. <sup>25</sup> რომლისათვის-იგი B.

საქონელი  
საქონელი

მაშინ იქმნა შფოთი დიდი ქალაქსა შინა, და შეძრწუნდეს ყოველი  
ნი უცხოასა მისთვის სასწაულისა. და ენება მის ჟამისა მეფესა ამაზაერს  
გამოღებად მისგან კუართისა მისი<sup>1</sup>. და დაჰკვნა იგი ზარმან მან მყოფმან  
[428] მას ზედა და მკუდრისა მის მიერ შეტკობითა<sup>2</sup> და მაგრიად კელ-  
ოთ<sup>3</sup>-პყრობამან. ხოლო ელიოზ, შიშითა და ძრწოლითა შეპყრობილმან,<sup>5</sup>  
დაფარა მიწასა საყუარელი იგი და წმიდაა და თვისი; და ეგრეთ კელთა  
აქუს სამოსელი იგი უფლისაჲ, რომლისა ადგილი საცნაურ არს და ჩუენ-  
და ჰეშმარიტებით ცნობილ შემდგომთა ნათესავთა მიერ ელიოზისთა. და  
იგი არს ჰეშმარიტად, სადა<sup>4</sup> ხე იგი კვბაროზი მდგომარე იყო და<sup>5</sup> ქუეშე  
მისსა<sup>6</sup> იყო სულნელება ყუაველთაჲ, რომელი-იგი სამარადისოდ ყოველთა<sup>10</sup>  
მიერ იყნოსებოდა.

ხოლო აწ მოვიდეთ<sup>7</sup> პირველსავე სიტყუასა, სადა-იგი დაუტევეთ:  
და ვითარცა მოჰკუეთეს ხე იგი, გამოსცა სულნელება მიუთხრობელი და  
შეჰმზადეს სუეტად, ვითარცა ბრძანებულ იყო მეფისა მიერ, და ენება აღ-  
მართებაჲ არა მასვე ადგილსა, რომელსა მოჰკუეთეს, არამედ სხუასა ერე-<sup>15</sup>  
კერძოსა ტაძრისასა. მოვიდა მეფე და ყოველი ერი და ფრიადითა გულს-  
მოდგინებითა და ღონიერებითა კელ-ყეგს<sup>8</sup> და ყოველად ვერ უძღ[429]ეს  
შედრვად, რამეთუ საღმრთოჲ ძალი აყენებდა მათ. და მოიწია ღამე და  
წარვიდა მეფე და ყოველი ერი განკვრებულნი<sup>9</sup> და გულკლებულნი სა-  
ხიდ თვისა უცხოასა მისთვის საქმისა.

ხოლო ნეტარი ნინო დადგა ღამესა მას მახლობელად სუეტისა მის,  
და<sup>10</sup> მის თანა<sup>11</sup> სიდონია, ასული აბიათარისი, და შროშანა<sup>12</sup> და სხუანი  
ათნი დედანი ბორწმუნენი, და განიპყრნა კელნი აღმოსავლით და ილო-  
ცვიდა მყუეჯარ ჟამ<sup>13</sup> ცრემლითა მკურვალითა. და ვითარცა შუაღამე იქ-  
მნა, რეცა მთანი იგი იძრვოდეს და განიპებოდეს და სიღრმედ დაითქმო-<sup>25</sup>  
დეს<sup>14</sup>, რომელსა ზედა იყვნეს პირველ კერპნი იგი<sup>15</sup>, რეცა მდინარე იგი  
დიდი<sup>16</sup> მტკუარი აღმოვიდოდა და წარლუნდა<sup>17</sup> ქალაქსა მათსა, რომელი-  
იგი სასწაული იყო წარწყმედისა მათისაჲ და კაცთა ცხოვრებისაჲ. ხოლო  
ღირსი ნინო დგა ღამე ყოველ ლოცვითა და ვედრებითა და ცრემლთა  
მდინარითა სუეტსა მას ზედა. და ვითარცა მოეახლა ცისკარი, მიერულა<sup>30</sup>  
დათა მათ ყოველთა, ხოლო სიდონია და შრ[430]ოშანა<sup>18</sup> მხოლოდ მღვძა-  
რე იყვნეს წმიდისა მის თანა და იხილეს ხილვაჲ საშინელი, რამეთუ აჰა  
ესერა ზედა-მოადგა ჰაბუკი ერთი, ნათლითა შემოსილი, ყოველად ცეცხ-  
ლითა მობლარდნილი და პრქუნა რამე წმიდასა მას სიტყუანი სამნი.

1 კუართი მისი B. 2 შეტკობით AC. 3 კელთა-B. 4 სადა-იგი B. 5 და-B.  
6 მისსა C. 7 მოველით AC. 8 კელ-ყუემს C. 9 განკვრებულნი-B. 10 და-B.  
11 +იყო C. 12 შროშანია B. 13 ~მყოფარ ჟამ ილოცვიდა C. 14 დაინთქმოდეს AC  
15 +და AC. 16 დიდი-C. 17 წარპრლუნდა B. 18 შროშანია B.  
3. ავთოგრაფიული ძეგლები, III



ხოლო ნინო<sup>1</sup> დაეარდა პირსა ზედა თვისა, ხოლო ქაბუქმან მან მიყო<sup>2</sup>  
 გული სუეტსა მას და აღიღო სიმაღლედ. და სიდონია\*, ფრად ზარგან-  
 დილმან, პრქუა წმიდასა, ვითარმედ: რაჲ არს ესე, რომელსა ვხედავთ?  
 ხოლო მან გული ვანუყარა და უბრძანა ვანშორებამ. და აჰა ესერა იხილ-  
<sup>5</sup> ვებოდა საკვრველებამ განსაკრთომელი და ჭეშმარიტად მოქმედებამ ძა-  
 ლისა საღმრთოთა, რამეთუ შთამოვიდოდა სუეტი იგი დამართებით  
 ხარისხსავე თვისსა და ზედა ძირთა, რომელთა მოკუეტილ იყო. და ვი-  
 თარცა მოეახლა, ვითარ ორ კაც ოდენ, დაადგრა დამოკიდებულად და  
 გამოსცემდა ბრწყინვალეებასა და სულნელებასა მიუთხრობელსა. და ვი-  
<sup>10</sup> თარცა იქმნა ცისკარი, გამოვიდა მეფე და<sup>3</sup>, ურვეული პირველისა მისთვის  
 ვერშეძრ[431]ვისა სუეტისა, მიმოვიდოდა სამოთხესა შინა თვისსა. და  
 იყნოსა რაჲ სულნელებამ იგი, მოვიდა ზედა ადგილსა მას სუეტისასა,  
 იხილა ხილვამ საშინელი: და ნათელი, ვითარცა ელვამ, რომელი აღიწყოდა  
 ცაღმდე. და იწყო სიმრავლემან ერისამან შემოკრებად უცხოვსა მისთვის  
<sup>15</sup> სახილავისა, და შემოკრბა პალატი და ყოველი ქალაქი და ცრემლითა  
 დაალტობდეს<sup>4</sup> ქუეყანასა. და ვიდრე-იგი ზედიდეს ყოველნი, ნათლითა  
 შემოსილი იგი სუეტი მცირედ-მცირედ შთამოვიდოდა და ძირთავე მისთა  
 ზედა დაეყარა და მტკიცედ შეეძერწა ყოვლითურთ შეუხებელად ჯელი-  
 საგან კაცთაჲსა. და აღივსნეს შიშითა და სიხარულითა მიუწლომელითა  
<sup>20</sup> მეფე და ყოველი ქალაქი და ერთვობით აღიღებდეს ღმერთსა ნინოასსა.  
 მოქმედსა საკვრველებათასა.

მიერთვან სასწაულნი და ნიშნი<sup>5</sup> ურიცხუნი აღესრულებოდეს და  
 აღესრულებიან ვიდრე მოაქამდე სუეტისა მის მიერ ცხოველისა.

[432] მას ეამსა იყო ვინმე ჰურიამ, ბრამა შობითვან, ესმენს რაჲ  
<sup>25</sup> სასწაულნი იგი დიდებულნი, რომელნი აღესრულებოდეს სუეტისა მის  
 მიერ, მოვიდა სარწმუნოებით წინა-ძლომითა სხუათაჲთა და შეეხო რაჲ,  
 მყის იქმნა მხედველ, და წარვიდა სახედ თვისსა და აღიღებდა ღმერთსა.  
 კუალად სხუამ ყრამა იყო, ძე მთავრისა წარმართისაჲ, მრავალ ეამ მდე-  
 ბარე ცხედარსა ზედა, რომლისა ასონი უძრავ ქმნილ იყვნეს და სრულიად  
<sup>30</sup> დაცნილ ბოროტისა ეშმაკისაგან. ესე მოილო დედამან მისმან წინაშე  
 ნათლით-შემოსილისა მის სუეტისა და სარწმუნოებით ვეცდრებოდა ნეტარ-  
 სა ნინოს, [რაჲთა ილოცოს ძესა ზედა მისსა, სიკუდიდ მიახლებულსა, და  
 ყოს კურნებამ<sup>3</sup> ხოლო ღირსსა მას შეეწყალა დედაკაცი იგი და დასდვა  
 გული სუეტსა მას წმიდასა და მერმე შეახო ყრამსა მას მდებარესა და

\* აქედან B ხელნაწერს აკლია.

<sup>1</sup> ნეტარი ნინო B. <sup>2</sup> მიკყო, C. <sup>3</sup> და—C. <sup>4</sup> დაალტობდენ C. <sup>5</sup> ~ნიშნი და სას-  
 წაულნი C.

ქრქუა: უკუეთუ გრწმენეს იესუ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, ჯორციელად მოს-  
რული ცხოვრებად სოფლისა, განიკურნო გულმულებისაგან შენისა. ხოლო  
ყრამამან მან კმა-ყო და თქუა: მრწამს, წმიდაო ღმრთისაო, და თაყუანის-  
ვსცემ მას. მაშინ უპყრა კელი და აღადგინა იგო და ყოველი [433] თურთ  
განკურნებული მისცა დედასა თვსსა. და ყოველნი რომელნი მოვიდოდეს  
სარწმუნოებით თითო-სახეთა<sup>1</sup> სენთაგან შეპყრობილნი, მსწრაფლ განკურ-  
ნებულნი წარვიდოდეს სახიდ თვსა და აღიდებდეს ღმერთსა.

ხოლო დაეცა შიში დიდი მეფესა და ყოველსა ერსა ურიცხვთა მათ-  
თვს სასწაულთა, რომელნი აღესრულებოდეს დღითი-დღე. და რამეთუ სა-  
ზარელ იყო ბრწყინვალეობისა მისგან ზეგარდამოხსა ყოვლად საკურველისა<sup>2</sup>  
სუეტი იგი, მაშინ შექმნა გარემოჲს სუეტისა მის საბურველი მეფემან და  
დაფარა ხედვისაგან. და ეგრეთ გარეშესა მას საბურველსა შეეხებოდიან  
ერნი და ყოველნი განიკურნებოდიან, ვითარითაცა შეპყრობილ არიან  
უძლურებითა.

ხოლო სარწმუნოებად მოსლვისა და ცნობად ქეშმარიტებისა მირიან<sup>3</sup>  
ქართველთა მეფისა პირველ ათორმეტისა წლისა წყალობით მოხედვა ყო-  
ღმერთმან ყოველსა საბრძანებელსა ზედა პრომთასა<sup>4</sup> და ბერძენთასა, ზე-  
გარდამოხსა წოდებითა პრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ქეშმარიტად  
ღმრთად და მაცხოვრად მეფესა კოსტანტინეს და დედასა მისსა დედო-  
ფალსა ელენეს; და ნათელ-ილეს სახელითა მამისაჲთა [434] და ძისაჲთა<sup>5</sup>  
და სულისა წმიდისაჲთა მათ და ყოველმან პალატ-მკვდრობამან<sup>6</sup> მათმან  
ამაღლებითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით სამას და მეათე-  
რთმეტესა წელსა. და განიხარა ყოველმან ერმან მორწმუნეთამან, და  
ამაღლდა რქაჲ ქრისტეანეთაჲ, რამეთუ დიდმან მან და პირველმან  
ქრისტეანეთა შორის მეფემან მსგავსად წმიდათა მოციქულთა ილუაწა<sup>7</sup>  
და აჩუენა მკურვალეებაჲ ღმრთის-მსახურებისათვს და წარავლინა დე-  
დაჲ თვისი ელენე იერუსალემდ<sup>8</sup> ძიებად პატიოსნისა ჯუარისა, რო-  
მელიცა პოვა მან ჯერ-ჩინებითა ღმრთისაჲთა. და აღაშენნა ტაძარნი  
საუფლონი და შეამკუნა და აღიდნა წმიდანი იგი ადგილნი, და კუალად  
აღმოვიდა სამეუფოდ თვსა. ვინაჲთგან ყოველთა მეფისა და შემოქმედისა<sup>9</sup>  
მიერ აღესრულებოდა განგებულებაჲ ესე ცხოვრებისათვს ჩუენისა, შეუძლე-  
ბელ იყო ნაკლულეგანებაჲ რაჲსმე და დაფარებაჲ საცხრად ჩუენდა მის  
მიერ მონიჭებულთა განგებულებისა მისისა საიდუმლოთა<sup>10</sup>, რამეთუ ესმსა  
მას, რომელსა ინება გამოცხადებად და აღმობრწყინვებად ქუეყანით ცხო-  
ველს-მყოფელი და პატიოსანი ჯუარი, რომელსა ზედა მან თავადმან კელ-<sup>11</sup>

<sup>1</sup> თეთო-სახეთა C. <sup>2</sup> პრომთასა C. <sup>3</sup> პალატმან-მკვდრობამან C. <sup>4</sup> იწლიმდ A.

<sup>5</sup> სადღუმლოთა A.



ნი განიპყრნა ველითა კეთილად მორწმუნნი [485]სა დედოფლისა ელენესითა, მასვე ქაშა შინა მცხეთას მიწასა შინა დაფარული იგი პირველ სამას ოცდაათთა წელთასა წმიდაჲ სამოსელი მისი ურიცხუთა სასწაულთა და ნიშთა მიერ გამოაბრწყინვა, რომელსა ზედა სუეტის სახედ ნათელი ბრწყინვალე ზეგარდამო იხილვებოდა. და ვითარცა დასაბამ მორწმუნეთა მეფეთა შორის იქმნა პრომთა და ბერძენთა ზეგარდამო წოდებითა დიდი კოსტანტინე, ვგრეთვე მასვე ქაშა იქმნა დასაბამ ქართველთა მეფეთა შორის ზეგარდამო განსწავლული კეთილად და სათნოდ ღმრთისა მორწმუნე მეფე მირიან.

10 ხოლო ვინაჲთგან განსრულდა შენებაჲ წმიდათა<sup>1</sup> მათ ეკლესიათაჲ და არღარა იყო ნაკლულევენებაჲ<sup>2</sup>, გარნა მღვდელნი ხოლო, წარავლინნა მოციქულნი საბერძენეთად სწავლითა და მოძღურებითა ნეტარისა ნინოდსითა მეფისა მიმართ და ითხოვნა მოძღუარნი და მასწავლელნი<sup>3</sup> ღმრთის-მსახურებისანი. ხოლო მკურვალეჲმან მან ტრფიალმან ღმრთის-მსახურებისამან  
15 კოსტანტინე ისწავა რაჲ მიზეზი სათხოველისაჲ, მოციქულნი იგი მრავალსა პატივსა [486] სიყუარულისასა ღირს ყვნა და მიუვლინა მათ ევსტათი ანტიოქელ პატრიაქი ფრიადითა პატივითა, კაცი სარწმუნოჲ და სიბრძნითა და ცხორებითა განშუენებული, რომელი ნათლითა მართლმადიდებლობისაჲთა ყოველსა სოფელსა ჰნათობდა, რამეთუ იყო მას ქაშა  
20 ნიკეას, წმიდასა მას და დიდებულსა კრებასა სამას ათრვამეტთა წმიდათა მამათასა, რომელთა თანა დაამტკიცა მართალი სარწმუნოებაჲ და დაამკუნა საღმრთოსა მას ბუნებასა ზედა განკუეთილებისა შემომღებელნი. ესე, ფრიადითა ძლუნითა განმდიდრებული, მასწავლულად სჯულისა<sup>4</sup> და წესთა და მოძღურებად ღმრთის-მეცნიერებისა, მეფისა მიმართ ქართველთაჲსა  
25 მოივლინა.

და ვითარცა შემოვიდა წმიდაჲ იგი პატრიაქი სანახებსა ქართლისასა და თანა აქუნდეს ძელი ცხორებისაჲ და ხატი მაცხოვრისაჲ და ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ<sup>5</sup>, მოგება მეფე და მთავარნი მისნი და ყოველი სიმრავლე ქალაქისაჲ და ჯეოვნითა<sup>6</sup> პატივითა დიდითა აღიყვანეს პალატად. და მიიღეს კურთხევაჲ მეფემან და<sup>7</sup> დედოფალმან და ყოველმან ერმან. [487] ხოლო პატრიაქმან უბრძანა წინა განშაღებად ნათლის-ღებისათჳს<sup>8</sup>. მოვიდა ღირსი ნინოცა და მიიღო კურთხევაჲ პატრიაქისაგან, და მანცა ითხოა<sup>9</sup> ლოცვაჲ ჯეოვანი სიმდაბლით და ქადაგად და მოციქულად და სანატრელად უწოდა. და მისცა წიგნი ელენე დედოფ-

<sup>1</sup> წმიდათა] ყთა C. <sup>2</sup> ნაკლულევენებაჲ C. <sup>3</sup> მსწავლელნი C. <sup>4</sup> შჯელისა C.

<sup>5</sup> -მშობლისა C. <sup>6</sup> +და A. <sup>7</sup> და—C. <sup>8</sup> ნათელ-ღებისათჳს C. <sup>9</sup> ითხოვა C.

ლისაჲ, მოწერილი ნეტარსა ნინოს თანა, ყოვლად-შუენიერი და შემკული და ბრწყინვალე ქებათა და შესხმათა მიერ მახარებულად და მოციქულად წოდებითა, და ნაწილი ძელისა ცხოვრებისაჲ, და ხატი ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲ და ყოვლად-წმიდისა დედისა მისისაჲ, რომელნიცა წარმოვეზა-  
ვენეს დედოფალსა ელენეს ღირსისა ნინოასსა.<sup>5</sup>

ამისა<sup>2</sup> შემდგომად განჰზადეს<sup>3</sup> სანათლოჲ, და ნათელ-იღეს მეფემან და დედოფალმან შვილითურთ მათით და ყოველთა მთავართა მათთა და ურიცხვუმან სიმრავლემან ერისამან სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა კელითა პატრიარქისაჲთა, და შემდგომითი შემდგომად ნათელს-იღებდეს<sup>4</sup> ურიცხვნი სიმრავლენი წარმართთანი.<sup>10</sup>

ესე რაჲ იქმნა, ამისა<sup>2</sup> შემდგომად ავურთხნა ეკლესიანი იგი, მათ მიერ აღშენებულნი, და დაამყარა საკურთხეველნი და ყო სატფურებაჲ. და დაასხნა გულნი ღირსსა იოანეს მთავარ-ეპ[438]ისკოპოსად<sup>5</sup> საყდარსა ზედა ყოვლად-წმიდისა ღმრთისა<sup>6</sup> მობოისსა, და უკურთხნა მღღელნი და დიაკონნი, და მიუთხრნა მეფესა და ერსა განგრძობილად სწავლანი\* სალ-<sup>15</sup> მართონი, და განიხარა მეფემან და ყოველმან საესებაჲმან მორწმუნეთა ერისამან და ჰმადლობდეს ღმერთსა<sup>6</sup>.

ხოლო მკვდრ იყვნეს მცხეთას შინა ფრიალნი ერნი ჰურიათანი, რომელთა მთავარ და მღღელთ-მოძღვარ იყო აბიათარ, რომელი ზემო<sup>7</sup> ეაცსენეთ. მოიყვანა იგი მეფემან წინაშე პატრიარქისა და პრჭუა მას, ვი-<sup>20</sup> თარმელ: ვითარცა ესერა<sup>8</sup> ხედვენ თულნი შენნი, გამობრწყინდა ჩუენ ზედა ნათელი ჭეშმარიტებისაჲ და აღმოგვეცანა ბნელისაგან ნათლად და გვესნა მონებისაგან ეშმაკისა. აღვიარეთ ჭეშმარიტი ღმერთი და ნათელ-გვლებიეს სახელითა წმიდისა სამებისაჲთა და შედგომილ ვართ მცნებასა და მოძღვრებასა წმიდათა მოციქულთა და ქადაგთა მისთასა. აწ რაჲ<sup>25</sup> გნებაგს თქუენ, ჰურიახო, მოიქცევით და აღიარებთა ჭეშმარიტსა სარ-წმუნოებასა ჩუენ თანა, ანუ ჰვიეთ თქუენსავე სიციფესა ზედა, რამეთუ შენ ხარ წინამძღვარ მათდა? ხოლო აბიათარ პრჭუა მეფესა: მე<sup>9</sup>, მეფე, თავისა ჩემისათვის ამას მივიგებ<sup>10</sup>, რამეთუ ვითარცა უწ[439]ყიან მთავრთა შენთა და ყოველმან ამან ქალაქმან, ნათესავით ვარ ბენიამენისი და სჯუ-<sup>30</sup> ლითა<sup>11</sup> მოსესმიერთა სწავლულ და ფრიად წურთილ წერილთა წინაწარ-მეტყუელთასა და<sup>12</sup> მეცნიერ ყოველსა<sup>13</sup> მათ მიერ ქადაგებულსა, რომელსა აწ ვხედავ აღსრულებულად. და იგი ყოველნი ამისთვის წამებდეს, ვითარ-

\* აქ გრძელდება B ხელნაწერის ტექსტი.

<sup>1</sup> ნინოსსა C. <sup>2</sup> ამისსა A. <sup>3</sup> განჰზადეს C. <sup>4</sup> ნათელ-იღებდეს C. <sup>5</sup> -ეპისკოპო-  
ზად C. <sup>6</sup> და ჰმადლობდეს ღმერთსა—B. <sup>7</sup> ზემორ C. <sup>8</sup> ესერა]ესრეთ C. <sup>9</sup> მე—AC.  
<sup>10</sup> მივიგებ C. <sup>11</sup> შჯულთა C. <sup>12</sup> და—B. <sup>13</sup> ყოველთა B.

მედ შეცვალვად იყო სჯული<sup>1</sup> და სჯულის-მდებელი<sup>2</sup> და მოსლვად იყო  
 ღმერთი ქუეყანად მსგავსად კაცთა<sup>3</sup>, და წყალთა მიერ ნათლის-ღებად და  
 სამარესა<sup>4</sup> დაღებად და აღდგომად მესამესა დღესა. ხოლო მე პირველთა  
 მათთეს<sup>5</sup> უგუნურებათა მამათა ჩუენთასა ეტიროდე<sup>6</sup>, რამეთუ განარისხეს  
<sup>6</sup> შემოქმედი და ქმნეს ბოროტი წინაშე მისსა და გამოაკუნეს თაენი მათნი  
 სრულიად წყალობისაგან ღმრთისა, რომლისათვის წარწყმდა საცსენებელი  
 ჩუენი და მივეცენით მონებად. და პრომთა დაიპყრეს ქუეყანად ჩუენი და  
 მთაგრობად<sup>7</sup> და ჩუენ<sup>8</sup> განვიბნინეთ ყოველსა სოფელსა. ხოლო მიკვრდა,  
 მესმოდრა რაჲ შედგომად იგი მოციქულთაჲ ქრისტესი და ესრეთ სიკუდილი  
<sup>10</sup> მისთვის, და მივემთხვე ეპისტოლეთა<sup>9</sup> ნათესაეისა<sup>10</sup> ყოვლად-ბრძნისა პავ-  
 ლესთა და გულისგმა-ვეყე ყოველი იგი წერალი მათ შინა, და მოველოდე  
 გამოკნასა მოსაწყინე[440]ბელისა ამისგან სჯულისა<sup>11</sup> ჩუენისა. და არავინ  
 იყო მოძღუარ და მასწავლელ ჩემდა. აწ ოდეს ინება ღმერთმან და მოავ-  
 ლინა ქუეყანასა ამას წმიდაჲ ესე და საკვრელი დედაკაცი ნინო, და გან-  
<sup>15</sup> ვიცადენ მოღუაწებანი<sup>12</sup> მისნი მრავალყამეულნი მაყულთა<sup>13</sup> და ვიხილენ  
 სასწაულნი უღირსნი ბუნებათანი<sup>14</sup>, რომელთა-იგი თქუენცა მეცნიერ ხართ,  
 მეფეო. და შეუდგა მას ასული ჩემი და<sup>15</sup> იქმნა მოწაფე მისა<sup>16</sup>. პირველად  
 ასული ჩემი და შემდგომად მე და<sup>17</sup> ყოველი ნათესავი ჩემი<sup>18</sup> სწავლათა  
 მისთა შედგომილ ვართ<sup>19</sup>. და აწ<sup>20</sup> ესერა მეცა<sup>21</sup> შუა ვარ<sup>22</sup> ნათლის-ღებად  
<sup>20</sup> სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა.

და ვითარცა ესე<sup>23</sup> ყოველი წარმოთქუა აბიათარ, განიხარა მეფემან  
 ფრიად<sup>24</sup>, და პატრიარქმან ნათელ-სცა<sup>25</sup> აბიათარს და ყოველთა ნათესავთა  
 მისთა<sup>26</sup>. და კუალად სახლისა და ტომისა ელიოზისთა, რომელნი იპოვნეს,  
 სიხარულით ნათელ-ილეს<sup>27</sup>, და კუალად<sup>28</sup> სხუასა ორმოცსა კაცსა ჰურია-  
<sup>25</sup> სა, რომელნი მოვიდეს სარწმუნოებად. ხოლო სხუანი იგი ერნი ჰურიათა-  
 ნი აღაძრნეს აბიათარის<sup>29</sup> ზედა და დასცეს ხე იგი სულნელთაჲ, რომელი<sup>30</sup>  
 განაშუენებდა ბავინსა მათსა. და დაარღვეს ტძარი იგი მათი და დაუ-  
 ტვეეს, და განიბნინეს თვნიერ მათ და [441] ბრანგიანთასა, რომელნი მო-  
 ნათლნეს<sup>31</sup>. და მეფემან მიუბოძა მათ დაბაჲ სამკვდრებელად, რომელსა

1 შჯული C. 2 შჯულის-მდებელ C. 3 კაცთა — C. 4 სამარედ B. 5 მათ B.  
 6 ვესტიროდე BC. 7 +ჩუენი C. 8 და ჩუენ—C. 9 ეპისტოლესა B, ეპისტოლეთა C.  
 10 +ჩუენისა B. 11 შჯულისა C. 12 მოსწავებანი A, მონებანი C. 13 მაყულთა]+მათ  
 შორის B] იყო ამითდა C. 14 ბუნებისანი B. 15 და შეუდგა მას ასული ჩემი და—B.  
 16 მისსა A. 17 უღ ასული ჩემი და შემდგომად მე და]და მისა შემდგომად C. 18 +და  
 მეცა C. 19 ~შედგომილ ვართ სწავლათა მისთა C. 20 აწ]პა C. 21 მეცა—C. 22 ვართ C.  
 23 და ვა ესე—A. 24 ფ—C. 25 ~ნათელ-სცა პატრიარქმან C. 26 ყოველსა ნათესავსა  
 მისსა C. 27 ნათელ-ილეს A. 28 კ—A. 29 აბიათარს B. 30 რ—ნი B. 31 და კუალად  
 სახლისა და ტომისა ელიოზისთა... ბრანგიანთასა, რომელნი მონათლნეს—C.

ეწოდების ციხე-დიდი. და იყენეს წინაშე მეფისა საყუარელ და ქვეშაობ  
ქრისტიანე<sup>1</sup>. ხოლო წმიდამან პატრიარქმან ეესტათი აღასრულა, რაჲ-იგი  
ჯერ-იყო და დაამტკიცა ქუეყანად მართალსა სარწმუნოებასა<sup>2</sup>, და განუწეს-  
ნა ებისკოპოსნი<sup>3</sup> და მღვდლნი და დიაკონნი და ასწავა წესი ეკლესიისა  
და ღმრთის-მსახურებისა<sup>4</sup> ყოველსა ერსა<sup>5</sup>. და მიერიოვან<sup>6</sup> იჯნა მეფისა-  
გან და წარემართა ქუეყანად თვსა<sup>7</sup>. ხოლო<sup>8</sup> მეფემან ქართველთამან და  
სუნიკლიტიკოსთა მისთა მიუძღუანეს და განუწესეს პატრიარქსა ანტიოქი[ი]-  
სასა შესაწევნელად მოსყიდისა ნიეთთა წმიდისა მიპრონისათა<sup>9</sup> სოფელი  
ასი, რაჲთა<sup>10</sup> მიერიოვან იყენენ მომდგომ ანტიოქელ<sup>11</sup> პატრიარქისა. და ეს-  
რეთ პატრიეთთა დიდთა წარგზავნენს<sup>12</sup>.

ამისა<sup>13</sup> შემდგომად მოვიდა პრომით დიაკონი და მოიღო წიგნი წმი-  
დისა პატრიარქისა<sup>14</sup> პაპასა<sup>15</sup> მეფისა და ყოველისა ერისა ქართველთადასა  
კურთხევისა მიცემად, და კუალად ღირსისა ნინოას მიმართ ქებისა და  
შესხმისა, და ლოცვისა და მადლისა მისისა ზიარებად. [442] და<sup>16</sup> კუა-  
ლად, აქუნდა წიგნი მთავრისა მის ფრანგთადასა, რომელნი მოენათლენს<sup>15</sup>  
მამასა მისსა<sup>17</sup>, რამეთუ ყოველნი იგი სასწაულნი და საკვრველებანი მის-  
მენილ<sup>18</sup> იყენეს მათდა იერუსალემით<sup>19</sup> და<sup>20</sup> პრომით და კოსტანტინეპო-  
ლით<sup>21</sup>, რომელი-იგი აღწერა მან, ყოველივე სმენილი<sup>22</sup> და თუალით<sup>23</sup> ხი-  
ლული, და წარიღო ქუეყანად თვსად<sup>24</sup> და აღიდებდა ღმრთისა.

ღამისა<sup>25</sup> შემდგომად აღვიდა ნეტარი ნინო მთასა მას, რომელი არს<sup>20</sup>  
პირისპირ მცხეთასა<sup>25</sup>, წიად კერძო არაგუსა<sup>26</sup>, რომელსა ზედა დღეს შენ  
არს ეკლესიაჲ ჟუარისა ცხოველისაჲ, და მუნ ღამეთა ათეგდა ლოცვითა  
ღმრთისა მიმართ. და ძირსა მის კლდისასა, რომელ არს მუნ<sup>27</sup>, ლოცვითა  
წყალი აღმოაცენა, რომელი-იგი დღენდელად დღემდღე დის. და მრავალნი  
სასწაულნი და კურნებანი იქმნენს წყლისა მისგან მეოხებითა მის წმიდი-  
სადათა. ამისა<sup>28</sup> შემდგომად ძიება ყო მთავარ-ეპისკოპოსმან<sup>29</sup> ხე<sup>30</sup>, რაჲთა

1 ქრისტიანე AC. 2 და მეფემან მიუბოძა მათ დაბაჲ... მართალსა სარწმუნოება-  
სა] და მისცა მეფემან დაბაჲ, რომელსა ეწოდების ციხე-დიდი. და იყო საყუარელ წი-  
ნაშე მისსა. და სხუანი ჰერიანი, რომელთა არა ნათელ-იღეს, განიზიენეს მცხეთით  
და წარიღეს. ხოლო ეესტათი პატრიარქმან დაამტკიცა მართლმადიდებლობაჲ და ას-  
წავა წესი ეკლესიისა და ღმრთის-მსახურებაჲ ყოველსა ერსა C. 3 ებისკოპოსნი B,  
ეპისკოპოსნი C. 4 ღმრთის-მსახურებაჲ A. 5 და ასწავა წესი ეკლესიისა და ღმრთის-  
მსახურებისაჲ ყოველსა ერსა—C. 6 და მიერიოვან—AB. 7 თვსად A. 8 ხოლო—C.  
9 მიპრონისათა C. 10 რაჲთა] და B. 11 ანტიოქელთა B. 12 წარგზავნენს AC. 13 ამის-  
სა AB. 14 პატრიარქისა—C. 15 პაპისაჲ პრომით C. 16 და—B. 17 + ზაბილონს C.  
18 სმენილ AC. 19 იერუსალემით A. 20 და—B. 21 კოსტანტინეპოლით B. 22 სმენით AC.  
23 თუალითა B. 24 ქუეყანასა თვსა B. 25 მცხეთისა C. 26 არაგუსა AC. 27 მუნ—C.  
28 ამისა B. 29 მთავარ-ეპისკოპოსმან B, მთავარეპისკოპოსმან C. 30 ხე A.





შექმნეს<sup>1</sup> ჭუარნი. და წარგზავნა რევ, ძე მეფისაჲ, და მთავარ-დიაკონი  
 თვისი და წარაყვანა<sup>2</sup> ხურონი, და<sup>3</sup> მოჰკლეთეს ხე იმიერ კერძო არაგვსა,  
 სადა-იგი აღმოაცენეს<sup>4</sup> წყაროჲ ცრემლთა ნინოჲს[443]თა<sup>5</sup>, რომლისაჲ  
 პირველვე სმენილ იყო, რომელი იყო სულნელ<sup>6</sup> და შუენიერ და ფრიალ  
 5 ფურცელდაუცვენებელ<sup>7</sup>, და ვგრეთ სრულიად მოიღეს წინაშე სუეტისა  
 ცხოველისა და ქმნეს მისგან ჭუარნი სამნი<sup>8</sup>. მაშინ იხილევებოდა სასწაუ-  
 ლი საკრველო, რამეთუ<sup>9</sup> ზეცით გარდამო შოვიდის ჭუარი ცეცხლისაჲ,  
 შემკული ვარსკულაგებითა, ზედა, წმიდათა მათ ეკლესიათა და ვიდრე მო-  
 წვენამდე<sup>10</sup> ცისკრისა დადგის დამართებით სუეტისა ცხოველისა ამღლე-  
 10 ბულად. შემდგომად<sup>11</sup> ამისა<sup>12</sup> განუტევენის ბრწყინვალეზანი ვარსკულაგეთ-  
 ნი ერთი აღმოსავალით და ერთი დასავალით და თვთ ამღლდის ზეცად.  
 და კულად მოვიდის ეგრეთვე და<sup>13</sup> დადგის მთასა მას ზედა, წილ კერძო  
 არაგუსა<sup>14</sup>, კლდესა მას ზედა, მახლობელად წყაროჲსა და განუტევებდის  
 ვარსკულაგის სახედ ბრწყინვალეზათა, რომელი აღმოსავლისაჲ<sup>15</sup> მიიწე-  
 15 თა ბუდის<sup>16</sup>, ხოლო დასავლისაჲ<sup>17</sup> თხოთს, სადა-იგი მეფემან ნათელი  
 თუალთაჲ მიიღო. ესე მრავალ-გზის იხილა მეფემან და ყოველმან ერმან  
 და განკრგებულნი აღიდებდეს ღმერთსა.

( [444] და უბრძანა მეფემან აღშენებად ეკლესიათა: ერთი კლდესა მას  
 ზედა, რომელსა<sup>18</sup> ჩამოდგის სახე პატიოსნისა ჭუარისაჲ და მუნ დასუე-  
 20 ნებად ჭუარი ერთი, რომელნი ქმნეს<sup>19</sup> ხისა მისგან სულნელისა<sup>20</sup>; და  
 კულად<sup>21</sup> უბრძანა აღშენებად ეკლესიასა<sup>22</sup> მთასა ზედა თხოთისასა, სა-  
 ხელსა ზედა დიდებულისა მოწამისა გიორგისსა, რამეთუ მუნ მოიღო ნა-  
 თელი თუალთაჲ, და ერთი ჭუარი დასუენებად მას შინა. და ბრძანა ნე-  
 ტარმან ნინო, რადთა ჭუარი ერთი წარგზავნონ<sup>23</sup> ბოდის და უჯარმოს<sup>24</sup>.  
 25 და<sup>25</sup> დაუსუენეს პირველად კლდესა მას ზედა, რომელსა აწ სახელადცა  
 უწოდიან „ჭუარი პატიოსანი.“ და ჭუარი იგი ვენაჯესა რქისაჲ, რომელ<sup>26</sup>  
 მოიღო წმიდისა ღმრთისმშობლისაგან<sup>27</sup>, არს მას შინა ნაწილად. ესენი  
 განწყესებისაებრ თითოეულად<sup>28</sup> წარგზავნნ<sup>29</sup> ღირსმან მღღელმან იაკობ  
 ფრიალდითა სიმრავლითა ერისაჲთა, საკუმეველთა და სანთელთაჲთა, ლოცვი-  
 30 თა და ლიტანიითა და<sup>30</sup> დაასუენნა მათ შინა. )

1 შექმნენ B. შექმნას C. 2 წარაყვანა AC. 3 და—C. 4 აღმოაცენა BC. 5 ცრე-  
 მლითა ნინოჲსითა B. 6 სურნელ B. 7 ფურცელდაუცვენებელ B. 8 ~სამნი ჭუარნი B.  
 9 რ] და AC. 10 მოწვენამდე C. 11 და შემდგომად C. 12 ამისა AB. 13 და—AC.  
 14 არაგვსა AC. 15 აღმოსავლისა C. 16 ბოდის C. 17 დასავლისა C. 18 რომელსა ზე-  
 და B. 19 ქმნეს B. 20 სურნელისა B. 21 კ]—B. 22 ეკლესიათა B. 23 წარგზავნად C.  
 24 უჯარმოს B. 25 და—AC. 26 რ] B. 27 მშობლისგან BC. 28 თითოეულად B.  
 29 წარგზავნა B, წარაყვანა C. 30 და—B.

ხოლო ურიცხვთა მათთვის სასწაულთა და საკვრველებთა, რომელნი აღსრულებოდეს დღითი-დღე სუეტისა მისგან ცხოველისა, არავენ იკადრებდა კართა განხუმად თვნიერ დღისა კვრიაკისა. და მაშინ მღღელნი ხოლო შევიდიან [445] მას შინა ვალობად და ერი პირისპირ მდგომარე ილოცვიდის, რამეთუ შიში და ზარი ფრიადი იყო ყოველთა ზედა. <sup>5</sup>

კჳლად წარავლანნა მეფემან და შემოკრახნა ქვით-ხურონი და ვალატოზნი და უბრძანა პირველად ერუშეთს დადებად საძირკველი<sup>1</sup> ეკლესიისაჲ, სადა-იგი არს ფიცარი ფერკთა მკსნელისათაჲ. და უბრძანა<sup>2</sup> საძირკველი ეკლესიისაჲ მანვლისს.

ესრეთ მკურნალელ სარწმუნოებითა და მართლმადიდებლობისა აღ-<sup>10</sup>სარებითა, ეკლესიათა აღშენებითა<sup>3</sup> და შემკობითა ებისკოპოსთა<sup>4</sup> და მღღელთა მიერ საღმრთოებათა მადლითა დღითი-დღე სანატრელი იგი მეფე წარემატებოდა. ხოლო მსჯავრი სიმართლისაჲ და წყალობაჲ გლახკთაჲ პირველითაგანვე<sup>5</sup> დანერგულ იყო მის შორას მოღუწებთა ღმრთისაჲთა. არა ჯერ-იყო სხუათა მათცა სამთავროთა მოუწოდებულად<sup>6</sup> დატყვებად<sup>7</sup> ესევი-<sup>15</sup>თარისა საშუებელისაგან<sup>8</sup>, არამედ ვითარცა მადლოსა რაჲსმე საეგუროჲსაგან საჩინომან და ბრწყინვალემან ნათელმან ხილვად თვისასა ბრწყინვალეებისა შეკრიბნის შორიელნი და მახლობელნი, ეგრეთვე აქა საკვრველებთა მიერ [446] და მადლთა მისთა ელვარებითა ყოვლით კერძოვე<sup>9</sup> შემოკრებოდეს და სანუკვარსა მას და სანოვავესა<sup>10</sup> ზედა სულაერსა<sup>20</sup> იშუებდეს და ხილუათა<sup>11</sup> და საღმრთოთა სატყუათა და სწავლათა მისთა სმენითა ეხარებდეს და განათლდებოდეს და თითო-სახეთა<sup>12</sup> გუემათაგან<sup>13</sup> განკურნებულნი ღმერთსა ნინოასსა ადიდებდეს.

ამისთვისცა<sup>14</sup> წარვიდა ნეტარი ესე და თანა წარიყვანა იაკობ მღღელი და მთავარ-ღიაკონი და ერის-მთავარი ერთი ერთით მისითურთ და<sup>25</sup> დადგა წობენს<sup>15</sup>. და მოუწოდა ყოველთა მთელთა, კართალელ-ფხუენელთა<sup>16</sup> და უქადაგა მათ სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისაჲ, ხოლო იგინი მოხედვითა მათ ზედა მადლისა ღმრთისაჲთა ღმობიერ იქმნეს, და დაღუწეს კერპნი მათნი და მოიჭკეს. და ნათელ-იღეს კელითა იაკობ მღღელისაჲთა ფრიადმან სიმრავლემან ერისამან და პრწმენა<sup>30</sup> ქრისტე. ამისა<sup>17</sup> შემდგომად წარვიდა ერწოს და ქალეთს<sup>18</sup> და უქადაგა და ნათელ-სცა ერწო-თიანელთა და მერმე შთავიდა კახეთად და დადგა

<sup>1</sup> საძირკველი A. <sup>2</sup> კლ უბრძანა B. <sup>3</sup> აღშენებითა B. <sup>4</sup> ებისკოპოსთა B, ებისკოპოზთა C. <sup>5</sup> პირველითაგან B. <sup>6</sup> მოუწოდებულად მოუწოდებულად AC. <sup>7</sup> დატყვებად C. <sup>8</sup> ესევითარისაგან სწმენისა, C. <sup>9</sup> კერძო B. <sup>10</sup> სანუავესა B. <sup>11</sup> ხილვითა B. <sup>12</sup> თეთოსახეთა B. <sup>13</sup> გუეშლბთვნი B. <sup>14</sup> ამისთვის B. <sup>15</sup> წობენს AC. <sup>16</sup> ფხუენელთა და წალკანელთა B, ფხუენელთა C. <sup>17</sup> ამისა AB. <sup>18</sup> ქალეთს AC.



კაწარეთს, და მოიყვანნა სარწმუნოებად კუხნი<sup>1</sup> და სუჯნი. და გარდავიდა ქველ-დაბას<sup>2</sup> და მოუწოდა მთავართა კახეთისათა და [447] უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტესი, ხოლო მათდა პირველვე უწყებულ იყო ყოველი იგი სასწაული, რომელი იქმნა, და ნათლის-ღებაჲ მეფისაჲ და მთავართა და 5 ერისა მისისაჲ. და სიხარულით შეიწყნარეს სწავლაჲ მისი და მოიქცეს და ნათელ-იღეს კელითა მისეჲ იაკობ მღვდლისაჲთა. და მუნით მივიდა კხუეთს, დაბასა, რომელსა ეწოდების ბოდისი. და მოვიდა მისა<sup>3</sup> დედოფალი კახეთისაჲ სუჯი, და<sup>4</sup> მის თანა მთავარნი და მკვდრები და მონათა და მკველ-  
 10 თა სიმრავლე. და უქადაგა და ასწავა მათ სარწმუნოებაჲ ქრისტესი, და წარმოუთხრნა ცხორებისათჳს ჩუენისა განგებულებისა მისისა საიდუმლონი<sup>5</sup>, ქადაგებანი მოციქულთანი და ყოვლისა სოფლისა მათ მიერ ღმრთის-მეცნიერებად მოსლვაჲ, და სუეტისათჳს ცხოველისა და დიდებულთა მათ-  
 15 თჳს<sup>6</sup> სასწაულთა, მის მიერ აღსრულებულთა, და მოქცევისათჳს მეფისა და ერისა სარწმუნოებად, რომელი-ესე მათდაცა სმენილ იყო<sup>7</sup> ამისთჳსცა<sup>7</sup>  
 20 სიხარულით შეიწყნარან<sup>8</sup> დედოფალმან და ყოველმან ერმან შინმან ქადაგებაჲ და სწავლაჲ ნეტარისა ნინოასი<sup>9</sup>. და ნათელ-იღეს სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა [448] წმიდისაჲთა, და შეუდგეს<sup>10</sup> ქრისტესა.  
 ხოლო ნეტარმან ნინო ესრეთ სრულ ყო რაჲ ქადაგებაჲ ჰეშმარიტებისაჲ და აღასრულა სრბაჲ ღუაწლისა თჳსისაჲ, ეუწყა სულისაგან, ვი-  
 25 თარმედ დაუტეობს სოფელსა ამას და მივალს უფლისა. მცირედ დასნეულდა ბუნებითა კორცთაჲთა მასეჲ დაბასა შინა ბოდისს<sup>11</sup>. და<sup>12</sup> მიწერა<sup>13</sup> წიგნი მეფისა და მისცა დედოფალსა კახეთისასა სუჯის, რომელსა წერილ იყო ესრეთ: „იესუმს<sup>14</sup> ქრისტეს მონასა ერთგულსა, კეთილად მორწმუნესა და აღმსარებელსა წმიდისა სამებისასა და თანა-შეერთებულსა წმიდა-  
 30 თა მეფეთასა, მეფესა მირიანს, გარდამოგივლინენ უფალმან ღმერთმან, ვითარცა ცუარი ზეცისაჲ, სიმრავლე წყალობისა მისისაჲ, და ყოველსა პალატ-ბანაკსა და ერსა შენსა<sup>15</sup>. და იყავნ თქუენდა მარადის სიქადულ ჯუარი ქრისტესი და მეოხებაჲ ყოვლად-წმიდისა დედისა მისისაჲ, რამეთუ მე აჰა ესერა მოვლე ზოგი ამის ქუეყანისაჲ და უქადაგე სახარებაჲ ქრის-  
 35 ტესი და ვპოვე<sup>16</sup> შეწევნაჲ მისმიერი<sup>17</sup>, რამეთუ შეიწყნარეს ყოველთა და მოიქცეს ცთომილებისაგან<sup>18</sup> მათისა<sup>19</sup>, და მისცნეს კერპნი მათ[449]ნი დასაწუველად ცეცხლსა და ნათელ-იღეს სახელითა წმიდისა სამებისაჲთა და თაყუანის-სცემენ ქრისტესა, ჰეშმარიტსა ღმერთსა ჩუენსა, და<sup>20</sup> პატიოსან-

<sup>1</sup> კუხენი AC. <sup>2</sup> ქველ-დაბას C. <sup>3</sup> მისსა B. <sup>4</sup> და—AC. <sup>5</sup> საიდუმლონი AB.

<sup>6</sup> მათთჳს[მათ A]—C. <sup>7</sup> ამისთჳს AB. <sup>8</sup> შეიწყნარა BC. <sup>9</sup> ნეტარისა ნინოასი[ნეტარისაჲ მის AC. <sup>10</sup> შეუდგა B. <sup>11</sup> ბოდისსა AC. <sup>12</sup> და—B. <sup>13</sup> მიწერა C. <sup>14</sup> იესომს A, იესოს C. <sup>15</sup> ~შენსა და ერსა C. <sup>16</sup> ვპოვე C. <sup>17</sup> მის მიერ C. <sup>18</sup> ცთომილენ B. <sup>19</sup> მათთა B. <sup>20</sup> და—AC.

სა ჯუარსა მისსა. და შენდა ჯერ-არს სიხარული და დიდებისა<sup>1</sup> მიცემად  
 ყოველთა შემოქმედისა ღმრთისა, რამეთუ დღეთა შინა შენთა მოხედნა  
 უფალმან თვსთა დაბადებულთა, მონაქმნილთა მტერისა<sup>2</sup> მიერ, და აღმო-  
 უბრწყინვა ნათელი თვისისა მეცნიერებისაჲ. აწ რომელთა გიხილავს გემოჲ  
 სიტკობებისა მისისაჲ, გიხაროდნენ, რამეთუ სასუფეველსა<sup>3</sup> მის თანა  
 ღირს-იქმნეთ. დაიცივით მტკიცედ მართალი სარწმუნოებაჲ ქრისტეანო-  
 ბისაჲ და ბეჭედი წმიდისა<sup>4</sup> ნათლის-ღებისაჲ, რომლითა აღიბეჭდენით, რა-  
 მეთუ აჰა ესერა ყოველნი მოივლტიან ღმრთივ დაცულისა<sup>5</sup> მეფობისა თქუე-  
 ნისა აღსარებად ქრისტესა და ძიებად სულთა და ჯორცთა კურნებისა.  
 ყოველთა შემდგომითი-შემდგომად მიუთხრობდით აღსრულებულთა დიდე-  
 ბულებათა ღმრთისათა და სასწაულთა მათ საკვრველთა, რომელნი იხი-  
 ლენით, რაჲთა დღითი-დღე აღმატებოდის და განძლიერდებოდის და  
 განმრავლდებოდის<sup>6</sup> სამწყსოჲ ქრისტესი, რაჲთა განათლებულნი სულისა  
 მიერ და ერთსამწყსოქმნილნი ერთ[450]ბამად სცხონდებოდით<sup>7</sup> სოფელსა  
 ამას, და შეზღუდვილნი და დაცულნი<sup>8</sup> მის მიერ იხარებდეთ, და მერმესა  
 მას საუკუნესა სუფევესა მის თანა იშუებდეთ შუებითა მით არღარაწარ-  
 მავალითა, არამედ სამარადისოდ დაუსრულებელითა. ) და რამეთუ მე აჰა  
 ესერა, ვითარცა ერთი სოფლად შემოსრულთაგანი, მოვაკლდები ცხოვრ-  
 ბისა ამისგან და მზესა ამას ხილულსა მივეფარები<sup>9</sup>, და წარვალ ვზასა მა-  
 მათა ჩუენთასა<sup>10</sup>. ესენებულმცა არს საუკუნოდ კეთილთა<sup>11</sup> შინა უფლისა-  
 თა დედოფალი სუჯი, რამეთუ აღაძრა შურითა საღმრთოჲთა და დამუსრნა  
 კერპნი თვსნი და მოაქცია ერი თვისი ღმრთის-მსახურებად და კუალად  
 წარავლინა<sup>12</sup> სიენითად<sup>13</sup> ძმისა<sup>14</sup> და ასულისა მისისა და კუალად ასპუ-  
 რავანად ასტერეონ მთაგრისა, და ყოველნი შემოკრიბნა და ასწავა მარ-  
 თალი სარწმუნოებაჲ. და ყოველთა ბოდის<sup>15</sup> შინა ნათელ-იღეს სახელითა  
20 რომელი არა რამ არს სხუამ, გარნა კერპი უსულამ<sup>27</sup>“.

მაშინ აღვიდა ნეტარა ნინოცა მათ თანავე. და<sup>28</sup> აღივსნეს მთანი  
იგი სიმრავლითა ერისადთა. და ხეღვიდა საკვრველებასა მას მეფისა და  
ერისასა და საოცრებასა მას კერპისასა განიცდიდა<sup>29</sup>: დგა კაცი სპილენ-  
ძისად და ემოსა ჯაქვ<sup>30</sup> ოქროსად<sup>31</sup> და სამკრენი<sup>32</sup> ოქრომდისანი და თავსა  
25 ებურა<sup>33</sup> ჩაფხუტდ ოქროსად<sup>34</sup> და აქუნდეს<sup>35</sup> თულად მისსა<sup>36</sup> ქვანი ბივ-  
რიტი და იაკინთი<sup>37</sup>; და კელთა აქუნდა კრმალი, და ვითარცა ელვამ<sup>38</sup>  
იქცეოდა კელთა შინა მისთა. და რომელიცა<sup>39</sup> მიეახლის, სიკუდილად წა-  
რიწირის<sup>40</sup> თავი თვისი. და რომელნიმე<sup>41</sup> მათგანნი იტყოდიან: „ნუუკუე

<sup>1</sup> ლოცვამ — BC. <sup>2</sup> და—B. <sup>3</sup> მარიაჲმისათა AC. <sup>4</sup> უშიშითა]უშიშითა C.  
<sup>5</sup> სვლად C. <sup>6</sup> კაცთა]კეთილთა BC. <sup>7</sup> შეუღდა... ურბნისსა] შევიდა ქუყანასა ქართ-  
ლისასა ურბნის BC. <sup>8</sup> კერპთ-მსახურნი A, კერპთ-მსახური C. <sup>9</sup> ურთათასა AC  
+ენისათეს ებრაულისა BC. <sup>10</sup> +მან კეთილად BC. <sup>11</sup> ენამ—C. <sup>12</sup> ებრაული A.  
<sup>13</sup> ამისა BC. <sup>14</sup> თაყუანის საცემად C. <sup>15</sup> არმაზის C. <sup>16</sup> მცხეთასა C. <sup>17</sup> ცრემლოვდა  
BC. <sup>18</sup> ხელისა—C. <sup>19</sup> ფოლორცნი C. <sup>20</sup> და შემდგომად მისსა]ამისა შემდგომად BC.  
<sup>21</sup> იქმნეს BC. <sup>22</sup> ებნისა B, ებნისანი C. <sup>23</sup> ნესტუსანი BC. <sup>24</sup> ურთასა C. <sup>25</sup> რამსაღე-  
სა C. <sup>26</sup> რქვა C. <sup>27</sup> უსულამ BC. <sup>28</sup> და] ხოლო BC. <sup>29</sup> +რამეთუ BC. <sup>30</sup> ჯაქვი AC.  
<sup>31</sup> ოქროსად A, ოქროსი C. <sup>32</sup> სამკრენი A] სამკარნი BC. <sup>33</sup> ებურა] ეღვა BC.  
<sup>34</sup> ოქროსა A, ოქროსი C. <sup>35</sup> აქუნდეს A]—BC. <sup>36</sup> მისა BC. <sup>37</sup> იაკინთი B. <sup>38</sup> ელვა  
BC. <sup>39</sup> რმვა A. <sup>40</sup> წარიწის C. <sup>41</sup> რომელნი BC.

დააკლის<sup>1</sup> მსახურებად რამე ანუ უზრახა ებრაელსა ვისმე თანა<sup>2</sup>. და სხუ-  
ნი იტყოდეს: „ნუუკუე უცნაური იგი ღმერთი ზეცათაჲ მოიგონა ანუ მზი-  
სა ღმრთად წოდებასა დახუდა?“ ესრეთ აოცნებდა<sup>3</sup> შორის მისსა მყოფი  
ეშმაკი. ხოლო მარჯუენით კერძო უდგა კაცი ოქროსაჲ<sup>4</sup>, და სახელი მისი  
გაცი; და სხუად ერთი მარცხენით ვეცხლისაჲ<sup>5</sup> და ეწოდა მას გატი<sup>6</sup>.

ესე ყოველი იხილა რაჲ ნეტარმან ნინო<sup>7</sup>, სულთ-ითქუნა და ცრემ-  
ლოდა<sup>8</sup> სრულიად სიბრძმისათვის მათისა<sup>9</sup>, რომელ მეფე და ყოველი ერი<sup>10</sup>  
ერთბამად<sup>11</sup> ღმრთად აღიარებდეს კერპთა უსულოთა. წარვიდა მცირედ და  
დადგა კლდისა რაჲსმე ძირსა და აღიპყრნა კვლნი ზეცად და ილოცვიდა და  
იტყოდა: „უფალო იესუ<sup>12</sup> ქრისტე, ღმერთო ჩუენო და<sup>13</sup> შემოქმედო ყო-  
ველთაო, რომელი ცხოვრებისათვის ჩუენისა კაცი<sup>14</sup> იქმენ და ხატი მონისაჲ  
შეიმოსე, რაჲთა აცხოვნო, რომელი ჰქმენ<sup>15</sup> ხატად შენდა, დაივსენ მძლავ-  
რებისაგან ეშმაკისა ბნელისა, რომელსა მხოლოსა ვნებაჲს ყოველთა ცხო-  
რებაჲ და მეცნიერებასა ჰქმნარიტებისასა მოსლვაჲ; შენ, უფალო, ისმინე  
ვედრებაჲ უღირსისა მონისა და მკვევალისა<sup>16</sup> შენისაჲ<sup>17</sup> და აჩუენე ძლიე-  
რებაჲ შენი ეამსა ამას და ყაჲ<sup>18</sup> სასწაული<sup>19</sup>, რაჲთა პოონ<sup>20</sup> ერთა ამათ  
მცნებაჲ<sup>21</sup> შენი. და შენ<sup>22</sup> მხოლოჲ<sup>23</sup> გიციან<sup>24</sup> ღმრთად ჰქმნარიტად [V]  
და შენდა შესწირვიდენ დიდებასა“.

მაშინ, ვითარცა სრულ<sup>25</sup>-ყო ლოცვაჲ, მყის გამოჩნდა დასავალით  
ღრუბელი ბნელი და<sup>26</sup> აღდგეს ქარნი ძლიერი<sup>27</sup> და იქმნეს<sup>28</sup> ქუბილნი<sup>29</sup>  
სასტიკნი<sup>30</sup> და კმანი საზარელნი, და<sup>31</sup> მეხის-ტეხანი შესადრწუნებულნი,  
რომლისა მიერ მეფე და მთავარნი და ერი<sup>32</sup> იგი ურთიერთარს<sup>33</sup> დასარ-  
გუნვიდეს<sup>34</sup> და თითოეული<sup>35</sup> ქალაქად მირბიოდა. ხოლო აღვილსა მას  
და<sup>36</sup> კერპთა ზედა მოიწია სეტყუაჲ თხრობად განსაკრვებელი<sup>37</sup>, ვიდრემ-  
დის სრულიად დამუსრნა კერპნი იგი<sup>38</sup>, და ზღუდე და ყოველი შენებულე-  
ბაჲ დაარღვა<sup>39</sup> და უჩინო-ყო. ხოლო აწ ძირსა მის მათისასა შენ არს  
ეკლესიაჲ<sup>40</sup> წმიდისა ღმრთისა-მშობლისაჲ<sup>41</sup>. ხოლო ნეტარი ნინო ეამსა მას  
საშინელსა ღმრთისა მიერთა<sup>42</sup> მადლითა უენებელად<sup>43</sup> დაიცივა; და ვითარ

1 დააკლო BC. 2 აოცნებდა|აქტუნებდა BC. 3 ოქროსი C. 4 ვერცხლისა C.  
5 გატი|გაცი BC. 6 ნინო C. 7 ცრემლოდა BC. 8 სიბრძმისა მათისათვის BC. 9 +ღმრ-  
თად A. 10 +უსულოთა A, +მთ ABC. 11 იესო C. 12 და—C. 13 კაცი C. 14 ქმენ C.  
15 მკვევლისა B, მველისა C. 16 შენისა AC. 17 ყაჲ B. 18 სასწაულ BC+კეთილ BC.  
19 პოონ|იხილონ BC. 20 მცნებაჲ|მაცხოვარებაჲ BC. 21 და შენ|მაშინ BC. 22 მხოლო  
BC. 23 +შენ B. 24 სრული C. 25 და—C. 26 ძრეილი C. 27 იქმნეს C. 28 სასტიკი C.  
29 და—C. 30 ერნი C. 31 ურთიერთას B. 32 დათარგუნვიდეს C. 33 თვითთულნი C.  
34 და—B. 35 განსაკრველი B, განკრვებული C. 36 ~ოვი კერპნი C. 37 დაურღვა BC.  
38 ეკლესია BC. 39 მშობლისა BC. 40 მიერთა—BC. 41 უნებელად B.

განწმინდა<sup>1</sup> ჰაერი, წარმოვიდა წინა კერძო დასავალსა<sup>2</sup> კლდისასა და პოვა ხე  
შუენიერი და გამოსახა მას ზედა ჯუარი; და ექუს დღე დაადგრა<sup>3</sup> მუნ და  
ილოცვიდა დღე და ღამე. ხოლო ერისა<sup>4</sup> სიმრავლე კუალად განვიდა ხილ-  
ვად აღგილისა მის, სადა დგომილ<sup>5</sup> იყო არმაზ კერპი; და იხილეს რამ  
5 აღგილი<sup>6</sup> იგი, დაუკვრდა და იტყოდეს სიტყუათა სიცოფისათა ესრეთ:  
„მტერ არს ღმრთისა ჩუენისა არმაზისა<sup>7</sup> ღმერთი იგი ქალდეველთა და  
ურთიერთას<sup>8</sup> ჰმძლავრობენ<sup>9</sup>, და ესე ყოველი მის მიერ მოიწია“.

მაშინ მივიდა ერთი წარჩინებულთა<sup>10</sup> მკველთაგანი<sup>11</sup>, სახელით შრო-  
შანა<sup>12</sup> და იხილა ამან წმიდა<sup>13</sup> ნინო მუნ ესრეთ მყოფი, განკვრდა და<sup>14</sup>  
10 კითხვიდა<sup>15</sup> ვინაობასა. და ვითარცა ზედაამიწვევნით ისწავა<sup>16</sup> მიზეზი მუნ<sup>17</sup>  
მისლვისა<sup>18</sup> მისისა<sup>19</sup>, ფრიადითა ცრემლითა აღვსებული მის თანა<sup>20</sup> წარ-  
სლვისა<sup>21</sup> იტყოდა<sup>22</sup> წინაშე დედოფლისა. ხოლო მან არა ინება მის<sup>23</sup> თანა  
წარსლვა<sup>24</sup>. არამედ შემდგომად სამისა დღისა შევიდა ქალაქად<sup>25</sup> და მიმ-  
მართა<sup>26</sup> წალკოტსა მეფისასა და პოა<sup>27</sup> მუნ მცირე სახლი, რომელსა შინა  
15 იყოფებოდა დედაკაცი, სახელით ანასტასოს<sup>28</sup>. აღღვა<sup>29</sup> და მივეება მას და  
შეიტკბო, ვითარცა მეცნიერი<sup>30</sup>. დაჰბანა<sup>31</sup> ღერჯნი და სცხო ზეთი და  
მომართუა საზრდელი. და ცხრასა<sup>32</sup> თუესა იყოფებოდა მის თანა. ხოლო  
დედაკაცი იგი იყო უშვილო, და ფრიად მწუხარე იყო ქმარი მისი. და  
ლაქესა ერთსა იხილა<sup>33</sup> ნეტარმან ნინო კაცი ბრწყინვალე, რომელმან პრქუა<sup>34</sup>:  
20 „შვეედ სამოთხესა მაგას ხესა ქუეშე ყუავილოვანსა და აღილე მიერ<sup>35</sup> მი-  
წა<sup>36</sup> და აჭამე კაცსა მაგას და იქმნეს შვილიერ“. ხოლო მან ყო ვერეთ.  
და შემდგომად ამისსა ესხნეს ძეგბ და ასულეგ<sup>37</sup> და იხარებდა კაცი იგი.

ხოლო ხე იგი იყო კვბაროზი<sup>38</sup> და ქუეშე მისსა მრავალფერი ყუავილი<sup>39</sup>.  
და კუალად იხილა ღარსმან მან ჩუენებით, რამეთუ მოვიდიან მფრინველ-  
ნი და განიბანნიან<sup>40</sup> წყალსა მას შინა მდინარესა მტკურისასა და მოვიდიან<sup>41</sup>  
და ხესა მას ზედა შეკრბიან<sup>42</sup> და ქუეშე მისსა ყუავილთა<sup>43</sup> მოისტულეგ-  
დიან<sup>44</sup>. მაშინ მიუთხრა ჩუენებად ესე შროშანას<sup>45</sup> და ასულსა აბიათარ

<sup>1</sup> განწმინდა C. <sup>2</sup> დასავალსა C. <sup>3</sup> დადგრა C. <sup>4</sup> ერის C. <sup>5</sup> დგომილი C. <sup>6</sup> აღ-  
გილი რა C. <sup>7</sup> არმაზისა C. <sup>8</sup> ურთიერთარს C. <sup>9</sup> მძლავრობენ AC. <sup>10</sup> წარჩინებულ-  
თაგანი C. <sup>11</sup> მკველთგუნენი A.—C. <sup>12</sup> შროშანა B. <sup>13</sup> ამან წა]რა BC. <sup>14</sup> მუნ...  
და]ხეთა მათ ქუეშე BC. <sup>15</sup> კითხვიდა AC. <sup>16</sup> ისწავა A. <sup>17</sup> ამუნ მიზეზი C. <sup>18</sup> მის-  
სლვისა C. <sup>19</sup> მისისა AC. <sup>20</sup> მის თანა—C. <sup>21</sup> წარსლვისა BC. <sup>22</sup> იტყოდა BC. <sup>23</sup> მის]  
მას C. <sup>24</sup> წარსლვა A, წარსლვა C. <sup>25</sup> ქალაქსა C. <sup>26</sup> მიმართა C. <sup>27</sup> პოვა BC.  
<sup>28</sup> ანასტოს B, ანასტასიოს C. <sup>29</sup> აღღვა]დაღღვა A. <sup>30</sup> +და C. <sup>31</sup> დაბანა C. <sup>32</sup> ცხრას  
C. <sup>33</sup> იხილნა C. <sup>34</sup> რქვა C. <sup>35</sup> +და C. <sup>36</sup> მიწა BC. <sup>37</sup> ასულეგა C. <sup>38</sup> კიბაროზი C.  
<sup>39</sup> ყოველი B. <sup>40</sup> განიბანნიან BC. <sup>41</sup> აღმოვიდიან BC. <sup>42</sup> შეკრბიან A. <sup>43</sup> +მათ BC.  
<sup>44</sup> მოისტლობდიან B, მოისტვლობდიან C. <sup>45</sup> შროშანასა C.

მღვდლისა<sup>1</sup> ჰურიისასა<sup>2</sup>, რამეთუ მათდა შემეცნებულ<sup>3</sup> იყო და მრავალგზის მოვიდინ მისსა<sup>4</sup> და ისმენდინ სიტყუათა მისთა ტკბილთა, რამეთუ სიღონია სწავლულ იყო სჯულსა<sup>5</sup> [36] მოსესსა<sup>6</sup> და წინაწარმეტყუელთასა<sup>7</sup>; და მამა<sup>8</sup> მისი<sup>9</sup> აბიათარ<sup>10</sup> მღვდელთ<sup>11</sup>-მოძღუარი იყო ჰურიათა<sup>12</sup> და ფილოსოფოსობითა<sup>13</sup> შემკულ, რომელმან-იგი ფრიად ილუაწა ჳეშმარიტე-ბისათჳს ნინოას<sup>14</sup> თანა, რომელი-იგი ეამსა თჳსსა მივითხრა.

ხოლო ვითარცა წმიდამან ნინო ჩუენებად იგი მიუთხრა, სიღონია<sup>15</sup> აღიძრა ცრემლით<sup>16</sup> და თქუა<sup>17</sup>: „ყოვლად უცხოო და შორით მოსრულო და ჩუენდა მომართ საღმრთოო ნიჭო, შენ მიერ ეგულების შემოკმედსა განათლებად სულთა ჩუენთად. და შენ მიერ იცნან ღმერთი ყოველთა ერ-თა. და რომელნი არიან ტყუობასა შინა ეშმაკისასა, ადრე განათავისუფლდენ“. ესრეთ აღუტანა ჩუენებად იგი კეთილმან მან დედაკაცმან. ხოლო ნინო წარვიდა მაცულთა მათ შინა, რომელნი-იგი დგეს შორის სამოთხესა<sup>18</sup> მას მახლობელად კუპაროზთა მათ, რომელნი-იგი<sup>19</sup> სახედ ტალავარისა<sup>20</sup> გარდაფენილ იყენეს და ჰფარვიდეს<sup>21</sup> მას; და მუნ შინა აღასრულნის ლო-ცვანი თჳსნი. ამით მაცულთა შინა შევიდა ღირსი ნინო და აღიპყრნა ჳელნი და მადლობად შეწირა ღმრთისა<sup>22</sup> და ილოცა, რადთა მისცეს მას მეცნიერებად ღმრთებისა<sup>23</sup> მისისა. ხოლო იყო მოქალაქობად მისი და მოლუაწებად ცრემლით<sup>24</sup> ლოცვად და საწადელ და საშუებელ მარხვად, და სამოსელი მისი დაბეჭული ბაღნისა, და სარეცელ<sup>25</sup> მისსა<sup>26</sup> ძაძაქ<sup>27</sup> და-რეცილი მიწასა ზედა. ესევეითართა მოლუაწებითა დაადგრა<sup>28</sup> მაცულთა<sup>29</sup> მათ შინა ეჭუს წელ და ჰკურნებდა<sup>30</sup> სნეულთა<sup>31</sup>.

და ესმა<sup>32</sup> კაცსა ვესმე წარჩინებულსა<sup>33</sup>, რომლისა ძე სნეულ იყო. ხოლო მან აღიქუა საყუარელი იგი ძე მისი და მიპყარა<sup>34</sup> წმინდასა<sup>35</sup> ნინოს<sup>36</sup> და ევედრებოდა განკურნებად. ხოლო ღირსმან მან ღმრთისა<sup>37</sup> შე-წევენასა მოუწოდა და სარეცელსა თჳსსა<sup>38</sup> მიაწვინა და ჳრისტეს მიერი<sup>39</sup>

<sup>1</sup> აბიათარ-მღვდლისა A] აბიათარის BC. <sup>2</sup> ურისსა A, ჰურიისასა C. <sup>3</sup> შემეცნებული C. <sup>4</sup> მისა C. <sup>5</sup> სჯულისა C; რამეთუ მათდა... სჯულსა] პდ შემეცნებულსა და იმას მიერ ჳეშმარიტისა გზისა მომოპოვნულსა (!), რამეთუ უწყოდა მან წიგნი ძლიოსა სჯულსა და გამოუთარგმანებდა მას ღირსი ნინო მოსლვისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქს სდ<sup>1</sup> თითა წიგნთაგან A. <sup>6</sup> მოსესა C. <sup>7</sup> წინაწარმეტყუელთასა C. <sup>8</sup> მამა BC. <sup>9</sup> მისი—BC. <sup>10</sup> აბიათარი C. <sup>11</sup> მღვდელთ—C. <sup>12</sup> ურიათა BC. <sup>13</sup> ფილოსოფოსობით C. <sup>14</sup> ნინო BC. <sup>15</sup> სიღონია B. <sup>16</sup> ~ცრემლით აღიძრა C. <sup>17</sup> თქვა] ქვა C. <sup>18</sup> სამოთხისა C. <sup>19</sup> იგი—BC. <sup>20</sup> ტალავარსა A, ტალავარისად C. <sup>21</sup> ფარვიდეს C. <sup>22</sup> ლ<sup>2</sup>თსა C. <sup>23</sup> ლ<sup>2</sup>თებისა C. <sup>24</sup> ცრემლით BC. <sup>25</sup> სარეცილი AC. <sup>26</sup> მისსა] მისი C.—A. <sup>27</sup> ძაძაქ] ძველად A. <sup>28</sup> დადგრა C. <sup>29</sup> მაცულთა] ადგილთა A. <sup>30</sup> კურნებდა C. <sup>31</sup> ჳკურნებდა სნეულთა] მრავალითა მოლუაწებითა A. <sup>32</sup> ესმა C. <sup>33</sup> ესმა კაცსა ვესმე წარჩინებულსა] დღესა ერთსა იხილა სამოთხისა მის მოლუაწისა A. <sup>34</sup> მიგვარა C. <sup>35</sup> წმინდას C. <sup>36</sup> ნინოსა C. <sup>37</sup> ლ<sup>2</sup>თის C. <sup>38</sup> თვისა C. <sup>39</sup> მიერ BC.



ჯუარი ზედა გამოსახა. და ილოცა რაჲ<sup>1</sup>, მყის აღდგა ყრმაჲ<sup>2</sup> იგი მრთელი და უვნებელი<sup>3</sup>, და<sup>4</sup> მისცა იგი მამასა მისსა<sup>5</sup>.

და კუალად ასული<sup>6</sup> დედაკაცისა ვისიმე ვნებული განკურნა. და მიიწია ჰანბავი<sup>7</sup> ესე წინაშე დედოფლისა. და ვინაჲთგან<sup>8</sup> იგიცა ესევითარი-  
 5 თა<sup>9</sup> სენითა შეპყრობილ იყო, მეყსეულად<sup>10</sup> მიავლინა მისსა<sup>11</sup> ვედრებით, რაჲთა მივიდეს მისსა<sup>12</sup>. ხოლო ღირსმან მან<sup>13</sup> პატივისამან სამეუფო<sup>14</sup> იგი<sup>15</sup> ბრძანებაჲ არად მიითულა, რამეთუ მდაბალ იყო ვონებითა. ხოლო სენთა მათგან ფიცხელთა შეპყრობილმან იძულებით<sup>16</sup> ზუაობით<sup>17</sup> მეფობისა პატივი დაუტევა დედოფალმან და უცხოჲსა მის<sup>18</sup> და მდაბლისა  
 10 მირბიოდა და<sup>19</sup> ვითარცა მიიწია იგი წმიდისა მის<sup>20</sup>, კურნებასა ევედრებოდა. ხოლო იგი ეტყოდა: „მ<sup>21</sup> დედოფალო, მე დედაკაცი ვარ უცხო<sup>22</sup> და უნდო<sup>23</sup> ჯორცთა შინა მყოფი; და არა ძალ-მიც კურნებად, გარნა თაყუანის-ვსცემ<sup>24</sup> და ექადაგებ<sup>25</sup>, რომელი-იგი არს დამბადებელი ყოველთაჲ<sup>26</sup> და<sup>27</sup> მკურნალი სულთა და ჯორცთა<sup>28</sup>. უკეთეთ<sup>29</sup> თაყუანი-სცე  
 15 მას და ღმრთად აღიარო, უეჭულად მიემთხვო კურნებასა“. და<sup>30</sup> დედოფალი ეტყოდა: „უკეთეთ<sup>31</sup> განვიკურნო, პირველი იგი დაუტეოო ცთომად და ვითარცა მრქუა<sup>32</sup> შენ, ვყო ვგრეთ“<sup>33</sup>. [V] ხოლო ნეტარმან ნინო მიაწვი-  
 20 ნა ცხედარსა ზედა თვისსა<sup>34</sup>, და აღიბყრნა ჯელნი და ილოცვიდა ესრეთ მეტყუელი: „უფალო იესუ<sup>35</sup> ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელმან შეხები-  
 25 თა სამოსლისა შენისაჲთა<sup>36</sup> განკურნე წილოვანი იგი დედაკაცი, ვგრეთვე მოვედინ წყალობაჲ შენი და მადლი შეწვევისა შენისაჲ გარდამოგვევლინე ჩუენ ზედა“. და ესრეთ რაჲ ილოცა, ყოველითურთ განკურნებული წარავლინა სახედ თვისად და იხარებდა. ხოლო დედოფალმან იხილა რაჲ მსწრაფელი იგი კურნებაჲ მისი, ფრიადი<sup>37</sup> სასყიდელი მიართუა ნაცვალად კურ-  
 30 ნებისა. ხოლო ღირსმან ნინო პრქუა: „ესე ჩემდა არად საჯმარ არს აწ, რამეთუ ზეცისა ნიჭთა და პატივთა მოველი. და თუ გნებავს შენ სრული კურნებაჲ, თაყუანის-ეც<sup>38</sup> ღმერთსა შემოქმედსა შენსა და დამბადებელსა ყოველთასა“. და შემოიხუნა<sup>39</sup> შორის საღმრთონი<sup>40</sup> სწაელანი, ვითარნი ჯერ-იყენეს მითხრობად ყამსა მას.

1 რა AC. 2 ყრმა BC. 3 უნებელი B. 4 და—BC. 5 მისა C. 6 ასული|სული A. 7 ჰამბავი B, ამბავი C. 8 ვინადგან C. 9 ვევეითართავე BC. 10 მეყსეულად BC. 11 მისა BC. 12 მისა C. 13 მან—C. 14 სამეუფო BC. 15 იგი|ესე BC. 16 იძულებითი B. 17 ზუაობით C. 18 მის—BC. 19 და—A. 20 მის|მისა C. 21 მი C. 22 უცხო BC. 23 უნდო BC. 24 თაყუანის-ვსემ C. 25 ექადაგებ B. 26 ყოველთა BC. 27 და—C. 28 ჯორცთა AC+და A. 29 უკეთეთ C. 30 და—BC. 31 უკეთეთ AC. 32 მრქუა A. 33 განვიკურნო, პირველი... ვგრეთ|ოდენ განვიკურნო, ყოველივე, რაჲცა მითხრა, იგიცა ვწო BC. 34 თვისა C. 35 იესო C. 36 შენისათაგანთა C. 37 ფრიალ C. 38 თაყუანი-სცე C. 39 შემოხუნა A. 40 საღმრთონი C.

ხოლო ადვდფალი ლმობიერ<sup>1</sup> იქმნა და განკურდა ტკბილთა მით სწავლათა ზედა ნინოსათა<sup>2</sup> და<sup>3</sup> განათლებული გონებითა სახედ თვისსა<sup>4</sup> მიიქცა<sup>5</sup>. და აუწყა მეუღლესა თვისსა<sup>6</sup> მსწრაფლი იგი კურნება და ძალი იგი ღმრთისა<sup>7</sup> მის, რომელსა ქადაგებს უცხოა<sup>8</sup> იგი. და ყოველი, რომელი<sup>9</sup> ესმინა მისგან, აუწყა და ვედრებოდა, რათა იგი მხოლოდ<sup>10</sup> უწყოდის<sup>11</sup> ღმრთად ჰქმარიტად. ხოლო მეფემან მირიან<sup>12</sup> მეუღლესა ზედა თვისსა ქმნილი იხილა ღმრთისა<sup>13</sup> საკრველებად<sup>14</sup> და<sup>15</sup> დაუკურდა ფრიად ესრეთ მეყსეულად<sup>16</sup> განკურნება მისი და უგნებლობად<sup>17</sup>.

კულად სხუასა ეამსა მცირე ძე მეფისა<sup>18</sup> შეპყრობილ იქმნა ფიცხლად სენითა მკურვალებისადათა, რომლისა<sup>19</sup> უბრძანა დედოფალმან, რათა<sup>10</sup> მიპყარონ<sup>20</sup> ღირსსა<sup>21</sup> ნინოს. და ვედრებოდა განკურნებად მისსა<sup>22</sup>. ხოლო წმიდამან ჩუეულებისაებრნი ლოცვანი ზედა დაასხნა<sup>23</sup> და ვედრებად შეწირა<sup>24</sup> უფლისა, და ყოვლითურთ განკურნებული მისცა დედასა თვისსა<sup>25</sup>. ამისსა<sup>26</sup> შემდგომად დაემოწაფა დედოფალი ნანა ღირსსა ნინოს<sup>27</sup> სხუათა თანა წარჩინებულთა მკვეალთა მისთა<sup>28</sup>. და მარადის ისმენ<sup>29</sup> სწავლათა<sup>15</sup> მისთა და მოძღურებათა. და ვითარცა სასწაულნი იგი დღითი-დღე აღესრულებოდეს<sup>30</sup> წმიდისა მის მიერ და განითქუმოდეს<sup>31</sup> ურიცხუნი იგი კურნებანი.

და კულად მთავარი<sup>32</sup> ვინმე სპარსი მოვიდა მეფისა, სახელით ხუარა<sup>33</sup>, რომელი-იგი<sup>34</sup> იყო დედის<sup>35</sup> ძმა<sup>36</sup> დედოფლისა<sup>37</sup>. ესე ვნებულ იყო<sup>20</sup> სულისაგან ბოროტისა და ფრიად იგუემებოდა მრავლით ეამითგან, და ვედრებოდა განკურნებად ღირსსა ნინოს. ხოლო მეფემანცა მიუმცნო ურწმუნოებით და ორგულებით<sup>38</sup> და ჰრქვა<sup>39</sup>: „რომლისა ღმრთისა ძალითა ჰყოფ<sup>40</sup> შენ კურნებათა, ნუტუეუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შეილი ზადენისი, და ვინაეთგან უცხოებით მოხუედ, მოგანიქეს შენ ძალი კურნებისა<sup>25</sup> და<sup>41</sup> დალაცათუ ჰაერთაგან შეიმუსრნეს, გარნა ვგრეთცა ცხოველ არიან. აწ იყავ ჩემ მიერ<sup>42</sup> ფრიად პატივცემულ, ვითარცა დედამძუძე ჩემი და უკუეთუ<sup>43</sup> განკურნო<sup>44</sup> მთავარი ესე, მრავალი სიმდიდრე მოგანიჭო

1 ღმობიერი C. 2 ნინოსთა B, ნინოსათა C. 3 და—C. 4 თვისსად C. 5 მიიქცა C. 6 თვისსა—BC. 7 ღმრთისა BC. 8 უცხო BC. 9 ყოველი, რომელი] ე A. 10 მხოლო BC. 11 უწყოდა A. 12 მირიან + აქო B, აქო C. 13 იხილა ღმრთისა] იგი BC. 14 საკრველება AC. 15 და—BC. 16 მეყსეულად A. 17 ესრეთ მეყსეულად... უგნებლობად] გარნა არა მოვიდა ეამსა მას სარწმუნოებად BC. 18 მეფისა AC. 19 რომელსა C. 20 მიგვარინ C. 21 ღირსა C. 22 მისა BC. 23 დასხნა C. 24 შეიწირა C. 25 თვისსა C. 26 ამისა BC. 27 + და BC. 28 მისთა—BC. 29 ისმენ BC. 30 აღესრულებოდის B. 31 განითქუმოდეს C. 32 + იგი BC. 33 ხვარა C. 34 + იგი B. 35 დედისა C. 36 ძმა BC. 37 დედოფლისა BC. 38 ორგულებით C. 39 ჰქვა C. 40 ჰყოფ] იქ BC. 41 კურნებისა AC. 42 ჩემიერ C. 43 უკუეთუ C. 44 განკურნო C.

5. აგიოგრაფიული ძეგლები, III



შენ და იყო<sup>1</sup> [37] ყოველთა მიერ სახელოვან და დიდ<sup>2</sup> სამს. ქალაქსა შინა ჩემსა“. ხოლო ნეტარმან ნინო მიუგო და ჰრქუა<sup>4</sup>: „შენ უკუე, მეფე, ცხონდი სიტყვთა უფლისა ჩუენისა იესუ<sup>5</sup> ქრისტესითა, რომელი<sup>6</sup>-იგი<sup>7</sup> არს შემოკმედი ცათა და ქუეყანისა და ყოველთა დაბადებულთა; რომელი-იგი გამოაბრწყინვოს<sup>8</sup> ნათელი ჭეშმარიტი ვულსა შინა შენსა, რომელი-იგი მაღალთა შინა მყოფ არს და მდაბალთა ხედავს; რომლისა ჯვლთა შინა არს სული ყოველთა<sup>9</sup> და ცხოვრება და სიკუდილი. და ვესავ მას, რამეთუ ახლოს არს მოქცევა<sup>10</sup> შენი მისსა და შენ არა უწყვი, რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა შენსა სამოსელი უფლისა მის ჩუენისა იესუ<sup>11</sup> ქრისტესი და მით იგმნებიან სასწაულნი ესე და<sup>12</sup> კურნებანი და ძალნი, და სხუანი ურიცხვნი ყოფად არიან, და განიკურნოს<sup>13</sup> მთავარიცა ესე სახელითა მისითა წმიდითა“.

მაშინ მიიყვანეს მთავარი იგი და თანა მიჰყვა<sup>14</sup> დედოფალიცა. და შეიყვანა იგი ხეთა მათ ქუეშე კეპაროზთა, და ჰრქუა ნეტარმან ნინო: 15 „უკუეთუ გრწამს უფალი იესუ<sup>15</sup> ქრისტე, ჭეშმარიტი იგი ღმერთი, განსთავისუფლდე<sup>16</sup> ვნებისა მაგისგან შენისა“. ხოლო მან მიუგო: „მრწამს, რომელსა-იგი შენ ესავ, ოდენ შემძლებელ არს იგი განკურნებად<sup>17</sup> ჩემდა“. მაშინ წმიდამან უბრძანა სამგზის თაყუანის-ცემა აღმოსავლით და აღსაარებად<sup>18</sup> სახელსა წმიდისა სამებისასა. და მერმე მიაქცია დასავლით 20 და სამგზის ათქუმა<sup>19</sup>: „ვიჯმნი შენგან, ეშმაკო<sup>20</sup>, და ყოველთა საქმეთა შენთაგან“. და მიხედა მას თვალითა<sup>21</sup> და თქუა: „შეგრისხენ უფალმან<sup>22</sup>, ეშმაკო<sup>23</sup>“. და მეყუსეულად<sup>24</sup> ივლტოდა მისგან ეშმაკი და განთავისუფლდა ვნებისა მისგან.

ხოლო ცნა რაჲ მეფემან, ვითარმედ ქრისტესა<sup>25</sup> ათაყუანა მთავარი 25 იგი, განრისხნა<sup>26</sup> და ბორგდა<sup>27</sup> ფრიად<sup>28</sup> ნინოსათვის<sup>29</sup> და ნანა დედოფლისა და აღდგა და განვიდა ნადირობად და იტყოდა: „შემო-რაჲ-ვიქცე, შური ვიძიო<sup>30</sup> მათგან შეურაცხებისათვის ღმერთთა ჩემთაჲსა<sup>31</sup>“. და ვითარცა

<sup>1</sup> იყავ ჩემ მიერ... და იყო უკუე ვინაჲდგან ფრიად პატივცემულ არიან ღმერთნი ჩემნი და უკეთეს სხვათა ყოველთა ღმერთთა, თაყუანის-ვე მათ. და უკეთუ ჰყო ესე მრავალი სიმძღვრე მიიღო ჩემგან და A. <sup>2</sup> და დიდ [დიდად] B. <sup>3</sup> ~ ქალაქსა ამას C. <sup>4</sup> რქუა C. <sup>5</sup> იესუს B, იესოს C. <sup>6</sup> რომელ C. <sup>7</sup> იგი—BC. <sup>8</sup> გამოაბრწყინვა C. <sup>9</sup> ყოველთა BC. <sup>10</sup> მოქცევა BC. <sup>11</sup> იესუს B, იესოს C. <sup>12</sup> და—C. <sup>13</sup> განკურნოს C. <sup>14</sup> მიჰყვა C. <sup>15</sup> იესოს C. <sup>16</sup> განთავისუფლდე BC. <sup>17</sup> კურნებად BC. <sup>18</sup> აღსაარებად BC. <sup>19</sup> სამგზის ათქუმა [ესე წარათქუმა A; ათქუმა] ათქმევინა C. <sup>20</sup> შენგან ეშმაკო [ეშმაკისაგან C. <sup>21</sup> თვალით A. <sup>22</sup> უნ A. <sup>23</sup> მიხედა... ეშმაკო] კულად აღმოსავლით (აღმოსავლით B) და თქუა: შეუღებე ქრისტესა BC. <sup>24</sup> მეყუსეულად [მყოს BC. <sup>25</sup> ქრისტეს C. <sup>26</sup> განრისხდა C. <sup>27</sup> ბორგუდა B, აბორგდა C. <sup>28</sup> ~ ფრიად აბორგ და C. <sup>29</sup> ნინოსთვის B, ნინოსათვის C. <sup>30</sup> ვიძიოთ C. <sup>31</sup> ჩემთაჲს BC.

განვიდა იგი მთასა ზედა თხოთისასა,<sup>1</sup> ემსა სამხრისასა დაუბნელდა მას განგებულებითა ღმრთისადათა<sup>2</sup> ვითარცა<sup>3</sup>-იგი პირველ პაულეს<sup>4</sup>. და ვითარცა ვერ შემძლებულ იყო იგი სოვად, კმობდა იგი მონათა მიმართ და მთავართა, ვითარმედ: „დაბნულდეს თუალნი ჩემნი, ხოლო თქვენ ხედავთა ნათელსა“? ხოლო იგინი<sup>5</sup> ეტყოდეს: „ბრწყინვალედ ვხედავთ ჩუენ ნათელსა მზისასა“. პრქუა<sup>6</sup> მათ: „ვევდრენით ზადენს და არმავს, რადთა განმინათლონ მე“. ხოლო ყოველნი იგი ერთობით კმობდეს სახელსა მათსა და არარაჲ სარგებელ ეყო მას. მერმე მოვგო გონებასა და თქუა გულსა შინა თვისსა: „შეუვრდე<sup>8</sup> ჟუარ-ცუმულსა<sup>9</sup> მას, რომელსა-იგი<sup>10</sup> ქადაგებს უცხოჲ<sup>11</sup> იგი დედაკაცი და ჰყოფს კურნებასა და სახელითა მისითა“.

მაშინ კმა-ყო და თქუა: „ღმერთო ნინოასო<sup>12</sup>, რომელი ხარ ღმერთი ქეშმარიტი, განმინათლე სიბნელე ესე ჩემ ზედა მდებარე და გამომიბრწყინე მე ნათელი, რადთა აღვიარო სახელი შენი წმიდაჲ და გადიდებდე შენ<sup>13</sup>“. ხოლო სახიერი იგი და კაცთ-მოყუარე ღმერთი, რომელი<sup>14</sup> ეძიებს<sup>15</sup> მოწევეასა კაცთა ცხოვრებისათვის, მუცს მოფინა<sup>16</sup> ნათელი და განანათლა [V] ბნელი<sup>17</sup> მეყსეულად<sup>18</sup>. აღიპყრნა კელნი აღმოსავლით<sup>19</sup>, ლალად-ყო<sup>20</sup> და თქუა: „ქეშმარიტად შენ ხარ ღმერთი ქეშმარიტი და შენ ხარ ღმერთი ღმერთთაჲ<sup>21</sup> და<sup>22</sup> უფალი უფლებათაჲ, რომელმან შექმნენ<sup>23</sup> ცანი და ქუეყანაჲ და შენ აღვიარებ და შენ თაყუანის-გცემ, რომელმან მივსენ<sup>24</sup> ჭირისა ამისგან. და მრწამს, რამეთუ გინებს<sup>25</sup> ცსნაჲ ჩემი. და ამიერთგან თაყუანის-გცემ<sup>26</sup> პატროსანსა ჟუარსა შენსა“. და უბრძანა ყოველსავე<sup>27</sup> ერსა, რადთა მიიღონ ქება და კელითა თვისითა შექმნა აღვილსა მას, სადა-იგი პოა<sup>28</sup> ნათელი<sup>29</sup>, ეგუტერი მცირე ჟუარის<sup>30</sup> სახედ და ვიდრე აქამომდე ჩანს ნაქმარი იგი. ხოლო სამხრით კერძო აღვილისა მის სახელსა<sup>31</sup> შენ არს ეკლესიაჲ სახელსა ზედა მთავარმოწამისა<sup>32</sup> გიორგისსა<sup>33</sup>. და შემდგომად ამისსა<sup>34</sup> წარვიდა აღვსებული სიხარულითა და შემკული ქრისტეს სარწმუნოებითა. და წინა წარავლინა მახარებელი<sup>35</sup> საქმისა მისთვის. და ვითარცა მიეხლა ქალაქსა მას სამეფოსა<sup>36</sup>, წინა მოე-

1 თხოთისისა C. 2 ღთისითა C. 3 ვითარცა — B. 4 პაულესა B. 5 იგი A. 6 პრქუა A, პქუა C. 7 თვისსა]აწ BC. 8 შეუვრდები C. 9 ჟვარცუმულსა C. 10 იგი—B. 11 უცხო BC. 12 ნინოსა B, ნინოსო C. 13 შენ—A. 14 რომელი—BC. 15 ეძიებს]პრძიანებს A. 16 მოფინა]მიანიქა მას BC. 17 განანათლა ბნელი]ვითარცა იხილნა ნათელნი (ნათელი C) BC. 18 მეყსეულად BC. 19 აღმოსავლით C 20 ლალატ-ყო C. 21 ღმერთთა B, ღთად C. 22 და—C. 23 შექმნა B, შექმნა C. 24 იხსენ C. 25 გნებაჲ C. 26 -ევეჲ C. 27 ყოველსა BC. 28 პოვა BC. 29 +და აღაშენა C. 30 ჟვარისა C. 31 სახლისა C. 32 მთავარმოწამის C. 33 გიორგისისა B, გიორგისა C. 34 ამისა BC. 35 მხარბლი A. 36 სამეფოსა B.



გებვოდა<sup>1</sup> ვრი ყოველა<sup>2</sup> და თვთ ღედოჟალიცა ნანა. და ერთბამად ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა<sup>3</sup> და ვითარცა შევიდა მევე<sup>4</sup> პალატად, თქუა<sup>5</sup>: „სადა არს უცხოა<sup>6</sup> იგი დედაკაცი, დედა<sup>7</sup> ჩემი, რამეთუ ღმერთსა, რომელსა იგი ქადაგებს, იგი არს ჭეშმარიტი მცნეული ჩემი“. და ღირსისა მის ნინოსა<sup>8</sup> მიმართ<sup>9</sup> მისწრაფდა<sup>10</sup> და კმობდა და იტყოდა: „მრწამს ამიერთგან, მოციქულო ჭეშმარიტისა ღმრთისაო<sup>11</sup>, რამეთუ<sup>12</sup> იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი და უფალი, რომელსა-იგი შენ ჰქადაგებს<sup>13</sup>. და მას ვესავ და მას თაყუანის-ვსცემ<sup>14</sup>“. და ვევერებოდა, რადთა გამოუსახოს სახე ეკლესიისა[ა].

10 მაშინ ახალმან ბესელელ<sup>14</sup> და მის მიერისა მადლისა წარმომარინებელმან<sup>15</sup> სახე<sup>16</sup> ეკლესიისა<sup>17</sup> დაუსახა. და აღაშენეს<sup>18</sup> საღმრთოა<sup>19</sup> ტაძარი სახელსა<sup>20</sup> ზედა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა. და კუალად უბრძანა მევემან აღშენებად სხუად ტაძარი შორის სამოთხესა მას, სადა-იგი მღვდმარე იყო ხე<sup>21</sup> იგი კვპაროზი<sup>22</sup> სურნელი და ქუეშე ყუავილოვანი; და ვითარცა შურებოდა ყოველი იგი ვრი მოსწრაფედ, უბრძანა მოკუეთად მევემან ხე იგი კვპაროზი, რადთა შექმნა<sup>23</sup> იგი სუეტად ტაძრისა მის. ხოლო აქან მულოდენ სიტყუად ესე და თქუენ ისმინეთ საწადელი ესე თხრობა<sup>24</sup> რაჟამს-იგი ინება ღმერთმან კსნა<sup>25</sup> კაცთა ნათესავისა<sup>26</sup>, გარდამოავლინა<sup>27</sup> ძე და სატყუად თვისი, და ვორცნი შეამოსნა წმიდისაგან ქალწულისა და კაცთა თანა იქცეოდა ჟამთა ოცდაცამეტისა<sup>28</sup> წლისათა<sup>29</sup>. და აღასრულებდა ნიშთა და სასწაულთა ბუნებათა უღარესთა<sup>30</sup>. ხოლო ჰურიათა<sup>31</sup> ნათესავნი მღვდელნი და მწიგნობარნი შურითა ვანიხერხებოდეს.

ხოლო იყვენს მას ჟამსა მცხეთასაცა<sup>32</sup> შინა სამღვდლონი<sup>33</sup> ტომნი ჰურიანი და პასეჟსა მას წლითი-წლად აღვიდიან იმ<sup>34</sup> ღმს<sup>35</sup> სატყვის<sup>36</sup> ყოფად და დამტკიცებად სჯულსა მოსესსა<sup>37</sup>, რადთა არა დაიკსნას იგი. და ოდეს-იგი ენება ჟურიათა<sup>37</sup> ვნებად შემოქმედსა მას ყოველთასა, მას ჟამსა უმეტეს აღაბორგნა ეშმაკმან ჰურაინი<sup>38</sup> და მაუწერეს მცხეთელთა მათ<sup>39</sup>

1 მოვევოდა C. 2 ყოველი[მრავალი BC. 3 +ქალაქად და BC. 4 თქუა—BC. 5 უცხო BC. 6 დედა BC. 7 ნინოს B, ნინოსთან C. 8 მიმართ]თანა B,—C. 9 მისწრაფდა C. 10 ღმრთისა C. 11 რამეთუ—A. 12 ქადაგებ C. 13-ვევე A. 14 ბესელელ C. 15 მის მიერისა მადლისა წარმომარინებელმან]მისსავე მადლსა ღირს ქმნილმან BC. 16 +იგი BC. 17 ეკლესიისა BC. 18 აღაშენა C. 19 საღმრთო B, საღთო C. 20 სახელსა[სახესა C. 21 ხე—C. 22 კიპაროზი C. 23 შექმნა C. 24 თხრობად C; ~თხრობაად ესე საწადელი B. 25 კსნა BC. 26 ნათესავისა BC. 27 გარდამოავლინა C. 28 ოცდაცამეტისა C. 29 წლისათ C. 30 უღარესთა A. 31 ურიათა B. 32 მცხეთასაცა C. 33 სამღვდლონი C. 34 იმ<sup>34</sup> მდ B, იერუსალიამად C. 35 სიტყვისა C. 36 მოსესა C. 37 ჟურიათ C. 38 ურიაინ C. 39 მათ—BC.

იწმომით<sup>1</sup>, ვითარმედ: „კაცისა მის მიმართ, რომელსა ჰრქვან<sup>2</sup> იესუ<sup>3</sup>, განქარდა სჯული მოსესი და დაიქსნეს<sup>4</sup> ყოველნი წესნი ჩუენნი და ყოველნი კაცნი მისდა<sup>5</sup> შედგომლ არიან. აწ<sup>6</sup> მოვედით და შეგუეწიენით<sup>7</sup>, რადთა შური ვიძიოთ მას ზედა და რადთა სჯული მამათა ჩუენთა დავიცვათ და დავამტკიცოთ<sup>8</sup>“.

მაშინ სჯულის-მეცნიერთა მათ<sup>9</sup> გამოირჩიეს<sup>10</sup> ელიოზ მღვდელი<sup>11</sup> კაცი ბრძენი [88] და მეცნიერი და წარგზავნეს იწმომს. ხოლო<sup>12</sup> დედა<sup>13</sup> ელიოზისი<sup>14</sup> მოხუცებული და ფრიად ბრძენი და ვინიერი, და იყო ასული მისი, და<sup>15</sup> ელიოზისი, ჭალწული და შექმული ღმრთის-მოშიშებითა. და წარ-რად-ვიღოდა ელიოზ, მოიკითხა დედამან მისმან და ჰრქუა: „შვილო, <sup>16</sup> ამა ესერა წარხუალ წოდებასა მას, რომელსა ზრახვენ<sup>16</sup> მღვდელთმოდღვარნი<sup>17</sup> და ფარისეველნი კაცისა მისთვის მართლისა; ნუმცა შერთულ ხარ მათ თანა, რამეთუ იგი არს მოსწავებელი წინაწარმეტყველთა<sup>18</sup> და იგი არს წარმართთა ცხორება<sup>19</sup> საუკუნო<sup>20</sup>.“ და კუალად და<sup>21</sup> იგი მისი ვითარცა მისცემდა მოკითხვასა, ჰრქუა<sup>22</sup>: „ძმომ<sup>23</sup> სასურველო, ღირს იქმნე- <sup>15</sup> ბი შენ ხილვასა კაცისა მის<sup>24</sup> მართლისასა, რომელსა ჰრქვან<sup>25</sup> იესუ<sup>26</sup>, და ნეტარ ხარ შენ და გვედრები მე<sup>27</sup>, რადთა რასაცა შეგებულ იყვენენ კელნი მისნი წმიდანი, ანუ თუ სამოსელთა<sup>28</sup> მისთა<sup>29</sup> შეგებულ იყვენენ, უკეთეთ<sup>30</sup> მოიტანო, ნეტარ ვიყვენეთ<sup>31</sup>.“ ესე რა<sup>32</sup> ჰრქუა<sup>33</sup> მას<sup>34</sup>, წარვიდა. და<sup>35</sup> ვითარცა მიიწია იწმომს<sup>36</sup>, შეკრებულ იყო ერი ჰურიათა<sup>37</sup> და<sup>38</sup> დამტკი- <sup>20</sup> ცა<sup>39</sup> ჭუარცუმად<sup>40</sup> ქრისტესი. ხოლო არასადა, ეზიარა განზრახვასა<sup>41</sup> მათსა<sup>42</sup>, არამედ შორს<sup>43</sup> დგა იგი და მისთანანი იგი. და მივიდეს იგინი<sup>44</sup> ხილვად იესუსა<sup>45</sup>, ვითარცა-იგი წერილ არს სახარებასა შინა, ვითარმედ: „იყვენეს ვინმე წარმართთაგანნიცა<sup>46</sup>, რომელნი<sup>47</sup> აღმოსრულ იყვენეს იერუსალიმად<sup>48</sup> დღესასწაულსა მას. ესენი მოვიდეს ფილიპესა<sup>49</sup>, რომელი იყო <sup>25</sup>

<sup>1</sup> იერუსალიმით C. <sup>2</sup> ჰქვან B. <sup>3</sup> იესო C. <sup>4</sup> დაიქსნეს A, იხსნეს C. <sup>5</sup> მისა C. <sup>6</sup> ყოველნი კაცნი... აწ[ესე] კაცი, რ<sup>7</sup>ლი აღდგომილ არს A. <sup>7</sup> შეგუეწიენით A. <sup>8</sup> რადთა შური ვიძიოთ... დავამტკიცოთ[ჩუენ] კაცნი ბრძენნი და სჯულის-მეცნიერნი BC. <sup>9</sup> სჯულის-მეცნიერთა მათ—BC. <sup>10</sup> გამოირჩიეს BC. <sup>11</sup> მღვდელი—AC. <sup>12</sup> +იყო B. <sup>13</sup> დედა B. <sup>14</sup> ელიოზი B, კაცი ბრძენი... დედა ელიოზისი—C. <sup>15</sup> და BC. <sup>16</sup> ზრახვიდენ C. <sup>17</sup> მღვდელთმოდღვარნი C. <sup>18</sup> წინაწარმეტყველთა C. <sup>19</sup> ცხორება C. <sup>20</sup> საუკუნო BC. <sup>21</sup> და BC. <sup>22</sup> რქვა C. <sup>23</sup> ძმომ — BC. <sup>24</sup> კაცისა მის[მას] კაცის C. <sup>25</sup> რქვიან C. <sup>26</sup> იესო C. <sup>27</sup> მე—C. <sup>28</sup> სამოსელსა BC. <sup>29</sup> მისსა B, მისა C. <sup>30</sup> უკეთეთ C. <sup>31</sup> ვიყოთ C. <sup>32</sup> რა BC. <sup>33</sup> რქვა C. <sup>34</sup> მას[და] BC. <sup>35</sup> და—C. <sup>36</sup> იერუსალიმს C. <sup>37</sup> ურიათა C. <sup>38</sup> და—C. <sup>39</sup> დამტკიც C. <sup>40</sup> ჭვარცმა C. <sup>41</sup> განზრახვასა] განხერხვასა C. <sup>42</sup> მათსა[მისსა] B, მისა C. <sup>43</sup> შორს[შორის] C. <sup>44</sup> იგი C. <sup>45</sup> იესუსა A, იესუსა B, იესოსა C. <sup>46</sup> წარმართთაგანნიცა B. <sup>47</sup> რომელნიცა C. <sup>48</sup> იერუსალიმად A] თაყუანისცემად BC. <sup>49</sup> ფილიპესა C.

ბეთსაიდათ<sup>1</sup> გალილიაჲსათ<sup>2</sup> და ეტყოდეს<sup>3</sup>: უფალო, გუნებაჲს<sup>4</sup> იესუმის<sup>5</sup> ხილვაჲ<sup>6</sup>. მოვიდა ფილიპე და პრქუა<sup>7</sup> ანდრიას<sup>8</sup> \*. ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანანი წარმართთაგან მოსრულნი. ხოლო ვითარცა აღესრულა ნეფსითი<sup>9</sup> ენებაჲ მაცხოვრისაჲ<sup>9</sup>, მიხუდა წილითა კუართი უფლისა ჩუენისაჲ<sup>10</sup> ელიოზს, ვითარცა წერილ არს: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“<sup>11</sup> \*. ხოლო მას ეამსა<sup>11</sup> ჯუარ-ცუმისასა<sup>12</sup>, ოდეს ლუსმარსა<sup>13</sup> ჰკრა კუერი მტარვალმან კელთა ზედა უფლისათა, ეამსა მას<sup>14</sup> მიიწია ყურთა ელიოზის დედისათა და კმა-ყო ძლიერად აღძრულმან სულისაგან და თქუა: „ამიერითგან მშველობაჲ შენდა მეუობაო ჰურიათაო, რამეთუ მოკალთ<sup>15</sup> უფალი მოსრული მაცხოვრად და იქმნენით მტერ შემოკმედისა“<sup>15</sup>. და ამას ზედა შეისუენა მასვე ეამსა<sup>16</sup>. არა თუ იყო-ლა მაშინ მეფობაჲ ჰურიათაჲ<sup>17</sup>, გარნა წარწყმედასა მათსა მოასწავებდა, ვითარცა წერილ არს: „აჰ ესერა დაუტყვენთ სახლნი თქუენნი ოკრად-ო“<sup>18</sup> \*\*\*.

ამისსა<sup>19</sup> შემდგომად წარმოვიდა ელიოზ იჭლიმით<sup>20</sup> სახედ თჳსად და დაჲ<sup>21</sup> იგი მისი მიეგება და მოეხვა ქედსა. ხოლო ელიოზ გამოიღო კუართი იგი საუფლოჲ<sup>22</sup> და მისცა მას და პრქუა<sup>23</sup>: „აჰა რომლისა-იგი გსუროდა, მიიღე კუართი მისი“<sup>24</sup>. ხოლო<sup>25</sup> ვითარცა მიიღო დედაკაცმან მან კუართი იგი უფლისაჲ, რამეთუ შეეცილო<sup>26</sup> იყო იგი, და იმთხვა რა<sup>27</sup> პირსა და<sup>28</sup> დაიდვა მკერდსა და კმა-ყო ცრემლით<sup>29</sup> და აღმოუტყევა სული. მაშინ აღიძრნეს ერნი უცხოსა მას ზედა სასწაულსა და იქმნა შფოთი დიდი და ამცნეს მეუფსა მის ეამისასა აღრეკის, ხოლო მას<sup>30</sup> ენება<sup>31</sup>, [V] რაჲთა გამოუღოს<sup>32</sup> კუართი<sup>33</sup> იგი. ხოლო დაჰკენსა<sup>34</sup> იგი ზარმან მის მკედრისამან, რამეთუ<sup>35</sup> მაგრიად<sup>36</sup> ეყრა იგი მკერდსა ზედა. ხოლო ელიოზ შიშითა შეპყრობილმან დაჲ იგი საყუარელი და წმიდაჲ<sup>37</sup> კუართი-თურთ დაჰკრძალა მიწასა შინა, და მეყსეულად<sup>38</sup> აღმოკდეს<sup>39</sup> მის ზედა<sup>40</sup>

\* იოანე 12, 20—23.

\*\* შტრ. მათე 27, 35; იოანე 19, 24.

\*\*\* ლუკა 13, 35.

<sup>1</sup> ბეთსაიდათ A. <sup>2</sup> გალილი-სათ A.—BC. <sup>3</sup> +მას BC. <sup>4</sup> გუნებაჲს A, გუნებაჲს C. <sup>5</sup> იესუსა A, იესოსი C. <sup>6</sup> ხილვაჲ იესუმის BC. <sup>7</sup> რქუა C. <sup>8</sup> ნებსით BC. <sup>9</sup> მაცხოვრისა BC. <sup>10</sup> ჩუენისა BC. <sup>11</sup> ეამს C. <sup>12</sup> ჯუარცუმისასა C. <sup>13</sup> ლუსმარსა A. <sup>14</sup> მტარვალმან... ეამსა მას—BC. <sup>15</sup> მოკალთა B, მოკალთა C. <sup>16</sup> +და BC. <sup>17</sup> ურიათა C. <sup>18</sup> ოკრად BC. <sup>19</sup> ამისა BC. <sup>20</sup> იჭლიმით B, იერუსალიმით C. <sup>21</sup> და BC. <sup>22</sup> საუფლო BC. <sup>23</sup> რქუა C. <sup>24</sup> მის C. <sup>25</sup> ხოლო—BC. <sup>26</sup> შეეცილ BC. <sup>27</sup> რა—BC. <sup>28</sup> და—C. <sup>29</sup> ცრემლით|და ცრემლითა C. <sup>30</sup> ამცნეს მეუფსა... ხოლო მას|მეცმა მის ეამისა (ეამს C) მეუფსა (მეფოსა B) მაგრიად და BC. <sup>31</sup> ენებაჲს B. <sup>32</sup> გამოიღოს BC. <sup>33</sup> კუართი—C. <sup>34</sup> დაჰკენსა BC. <sup>35</sup> რამეთუ|ხოლო B. <sup>36</sup> მაგრიად BC. <sup>37</sup> და წმიდაჲ|წმინდით C. <sup>38</sup> მეყს-ლად A, მეყსეულად BC. <sup>39</sup> აღმოკდეს B; აღმოხდეს მეყსეულად C. <sup>40</sup> მის ზედა—BC.

საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

ხენი იგი<sup>1</sup> კვაროზნი, და აღმოეცნა ხესა მას ქუეშე ყუავილი მრავალი ფერი და სურნელი.

ხოლო აწ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ<sup>2</sup>. ვითარცა მოჰკუეთეს<sup>3</sup> ხე იგი კვაროზი, გამოსცა სულწლებად<sup>4</sup> მიუთხრობელი<sup>5</sup>, და შეჰზადეს<sup>6</sup> სუეტად, ვითარცა ბრძანებულ იყო მეფისა მიერ. და ენება აღმართებად<sup>7</sup> არა მასვე ადგილსა, სადა-იგი მოეყუთა<sup>7</sup>, არამედ სხუასა ერთგვაროსა ტაძრისასა. და მოვიდა მეფე და ყოველი ერი და ფრიადითა<sup>8</sup> ღონისძიებითა<sup>9</sup> ველ-ყვეს აღმართებად მისი და ვერ შეუძლეს, რამეთუ საღმრთოა<sup>10</sup> ძალი აყენებდა. და მოიწია<sup>11</sup> ღამე და წარვიდა მეფე და ყოველნი ერნი<sup>12</sup> განკვრებულნი. ხოლო ნეტარი ნინო დგა მას ღამესა მახლობელად სუე-<sup>10</sup> ტისა მის და ილოცვიდა, და იხილა ჳაბუკი ერთი ნათლითა შემოსილი. და ნინო[ქ]სვე<sup>13</sup> გუერდით დგეს შროშანა და სიღონია, და იხილეს მათცა, და ეტყოდეს<sup>14</sup> ნინოს: „რამ არს ხილვად<sup>15</sup> ესე?“ ხოლო მან კელი განუხარა და უბრძანა განშორებად. და კაცმან მან ნათლითა შემოსილმან აღმართა<sup>16</sup> ძელი იგი აღმართებით<sup>17</sup> ადგილსა მას, სადა-იგი პირველ<sup>18</sup> მდგო-<sup>15</sup> მარე იყო<sup>19</sup>. და ორ კაც ოდენ სიმაღლესა დადგა იგი. და გამოსცემდა ბრწყინვალეებასა და ფრიადსა სულწლებასა<sup>20</sup>. და ვითარცა იქმნა ცისკარი, გამოვიდა მეფე ურვეული სუეტისა მისთვის და მოეხლა ადგილსა მას და ეყნოსა სული სულწლებისა<sup>21</sup> მიუთხრობელი. და იხილა ხილვად საშინელი და ელვარებად ბრწყინვალე, და სუეტი იგი მალლად ზემდგომარე. <sup>20</sup> და იწყო შემოკრებად ერისა სიმრავლემან და ყოველი ქალაქი და თვთ მეფე და დედოფალი ცრემლითა ილტობოდეს. და ვითარ-იგი ხედვიდეს ყოველნი, სუეტი იგი ნათლით შემოსილი მცირე-მცირე<sup>22</sup> ჩამოვიდოდა<sup>23</sup> და ძირითავე<sup>24</sup> მისითა<sup>25</sup> ზედა დაემყარა და შეეძერწა<sup>26</sup> ყოველითურთ შეუხებულად ველთაგან კაცთაჲსა<sup>27</sup>. და აღივსნეს ყოველნი შიშითა<sup>28</sup> და სიხა-<sup>25</sup> რულითა<sup>29</sup> და ერთგობით<sup>30</sup> აღიდებდეს<sup>31</sup> ღმერთსა ნინოასსა<sup>32</sup>. და მიერთებან იქნებოდეს<sup>33</sup> ძალნი და სასწაულნი.

მას ჟამსა<sup>34</sup> იყო ვინმე ჰურიაჲ<sup>35</sup> შობითგან ბრმად. მოვიდა<sup>36</sup> და შეეხო სუეტსა მას და აღეხილნეს თუალნი მისნი. და მოვიდა სარწმუნოებად

1 იგი—C. 2 მოვიდით B. 3 მოკუეთეს C. 4 სურწლებად BC. 5 მიუთხრობელ BC. 6 შეჰზადეს C. 7 მოკუეთა C. 8 ფრიადს C. 9 ღონისძიებითა C. 10 საღმრთო BC. 11 მოიწია C. 12 ყოველი ერი A. 13 ნინოსივე+თანა BC. 14 ეტყოდა A. 15 ხილვა BC. 16 აღმართა BC. 17 აღმართებით+დამართებით BC. 18 პირველ—A. 19 იყო+იყვენეს BC. 20 სურწლებასა BC. 21 სურწლებისაჲ B, სურწლებისა C. 22 მცირე-მცირე]მცირე C. 23 მოვიდოდა A. 24 ძირითავე BC. 25 მისითა C. 26 შეეძრა C. 27 კაცთაჲსა BC. 28 შიშით C. 29 სიხარულით C. 30 ერთგობად B, ერთობით C. 31 აღიდებდეს+აქებდეს BC. 32 ნინოსასა C. 33 იქნებოდეს C. 34 ჟამსა B. 35 ჰურია B, ურია C. 36 მოვიდა+მოუქდა B, მოუხდა C.





- ყოველთა სახლეულთა მისთა თანა. კულად მთავრისა ვისმე წარმართისა  
 ძე მრავალ ეამ მდებარე იყო ცხედარსა ზედა, რომლისა ასონი უძრავ  
 ქმნილ იყვნეს და<sup>1</sup> დაქსნილ ეშმაკისაგან. ესე მოილო დედამან მისმან წინა-  
 შე სუეტისა მის და ევედრებოდა ნეტარსა ნინოს, რაათა<sup>2</sup> ილოცოს ძესა  
 5 მისსა ზედა და განკურნოს<sup>3</sup>. ხოლო ღირსსა<sup>4</sup> მას შეეწყალა დედაკაცი იგი  
 და დასდვა კელი სუეტსა მას, და მერმე<sup>5</sup> შეახო ყრმასა მას და პრქუა<sup>6</sup>:  
 „უკეთუ<sup>7</sup> გრწმენინ იესუ<sup>8</sup> ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, [39] განიკურნო გუე-  
 მულეებისაგან“. ხოლო ყრმაჲ<sup>9</sup> იგი კმობდა: „მრწამს, წმიდაო ღმრთისაო“.   
 მაშინ უბყრა კელი და აღადგინა მრთელი და მისცა დედასა თვისსა<sup>10</sup>.
- 10 ხოლო ჩასვე ეამსა შინა<sup>11</sup> შიში დიდი დაეცა ყოველთა მათთვის სა-  
 სწაულთა, რომელნი იქნებოდეს სუეტისა<sup>12</sup> მისგან ბრწყინვალისა. მაშინ  
 მეფემან შექენა გარემოს<sup>13</sup> სუეტისა მის<sup>14</sup> საბურველი და დაფარა ხედე-  
 საგან. და<sup>15</sup> ვგრეთ გარემუსა მას შეემთხვენინა<sup>16</sup> და განიკურნინა, ვითარი-  
 თაკა ვინ შეპყრობილ იყვნინა უძლურებითა.
- 15 ხოლო პირველ ათისა წლისა მირიან მეფისა ყოველთა უფალმან<sup>17</sup>  
 წყალობა ყო პრომთა ზედა და ბერძენთა, და ზეგარდამო წოდებითა გა-  
 მოაჩინა მეფე მორწმუნე კოსტანტინე და დედა<sup>18</sup> მისი<sup>19</sup> ელენე დედოფალი.  
 და ნათელ-იღეს სახელსა ზედა ქრისტესსა<sup>20</sup> ყოველმანე<sup>21</sup> ერმან და პალა-  
 ტმან მისმან ამაღლებითგან უფლისა ჩუენისა იესუ<sup>22</sup> ქრისტესსა<sup>23</sup> სამას  
 20 მეთურამეტესა<sup>24</sup> წელსა და<sup>25</sup> ამაღლდა რქად ქრისტეანეთა<sup>26</sup>. ხოლო დიდ-  
 მან და მოციქულთა<sup>27</sup> სწორმან და მიმსგავსებულმან კოსტანტინე დიდად  
 ილუწა და წარავლინა დედა<sup>28</sup> თვისი ი<sup>29</sup>სლიმად<sup>30</sup> ძიებად პატიოსნისა ჟუა-  
 რისა, რომელიცა<sup>31</sup> პოა<sup>32</sup> მან ჯერ-ჩინებითა ღმრთისაჲთა და<sup>33</sup> აღაშენნა  
 წმიდანი ტაძარნი საუფლონი. ხოლო მას<sup>34</sup> ეამსა შინა<sup>35</sup> ოდეს-იგი პატიო-  
 25 სანი ჟუარი აღმოგვბრწყინა<sup>36</sup> ქრისტემან ღმერთმან<sup>37</sup> თვისითა მადლითა<sup>38</sup>  
 დედოფლისა ელენეს<sup>39</sup> მიერ მპითებით(1) მსგავსადვე მისსა<sup>40</sup>, ამას<sup>40</sup> ეამსა

<sup>1</sup> და—C. <sup>2</sup> რათა C,—B. <sup>3</sup> და განკურნოს—BC. <sup>4</sup> ღირსა C,—A. <sup>5</sup> მერმე]მუ-  
 ნითგან და A. <sup>6</sup> რქვა AC+მას A. <sup>7</sup> უკეთუ C. <sup>8</sup> იესო C. <sup>9</sup> უკეთუ გრწმენინ...ძე  
 ღმრთისაჲ]გრწამს უფალი იესო ქრისტე ღმრთად ქეშპირიტად, რაათა A. <sup>10</sup> თვისსა]  
 მისსა C. <sup>11</sup> შინა—BC. <sup>12</sup> სუეტის C. <sup>13</sup> გარემოს B. <sup>14</sup> გარემოს სუეტისა მის]სვე-  
 ტისა მისგან C. <sup>15</sup> და—C. <sup>16</sup> შეემთხვევიან C. <sup>17</sup> უფალმან]ღ<sup>17</sup>თან C. <sup>18</sup> დედა BC.  
<sup>19</sup> მისი—C. <sup>20</sup> ქრისტესა C. <sup>21</sup> ყოველმან C. <sup>22</sup> იესუს B, იესოს C. <sup>23</sup> ქა A, ქრის-  
 ტესა B. <sup>24</sup> მეთურამეტესა B]მეთურამეტესა C. <sup>25</sup> და—C. <sup>26</sup> ქრისტეანეთა C.  
<sup>27</sup> მოციქულთ C. <sup>28</sup> დედა BC. <sup>29</sup> ი<sup>29</sup>სლიმად B, ივერუსალიმად C. <sup>30</sup> რომელმანცა C.  
<sup>31</sup> პოვა BC. <sup>32</sup> და—C. <sup>33</sup> მასვე BC. <sup>34</sup> შინა—BC. <sup>35</sup> აღმოგვბრწყინა A] გამოაჩი-  
 ნა BC. <sup>36</sup> ქრისტემან ღმერთმან]უფალმან B,—C. <sup>37</sup> თვისითა მადლითა]კელითა BC.  
<sup>38</sup> ელენისათა BC. <sup>39</sup> მიერ მპითებით მსგავსადვე მისსა—BC. <sup>40</sup> ამას]მასვე BC.

მცხეთას<sup>1</sup> თვის<sup>2</sup> დაფარული<sup>3</sup> წმიდა<sup>4</sup> სამოსელი გამოაბრწყინვა, ღრთ-  
მელსა ზედა სუეტი ნათლისა<sup>5</sup> იხილებოდა<sup>6</sup> და კურნებანი<sup>7</sup> მრავალი  
იქმნებოდეს<sup>8</sup>; და ჰრომთა და ბერძენთა ზედა იქნა მეფე მორწმუნე<sup>9</sup> კოს-  
ტანტინე. ეგრეთვე მასვე ემისა მეფე იქნა ზეგარდამო განსწავლული კე-  
თილად და სათნოდ ღმრთისა მორწმუნე მეფე მირიან.

მაშინ ვითარცა განსრულდა შენება ეკლესიათა და არღარა<sup>10</sup> იყო  
ნაკლულევანება<sup>11</sup>, გარნა ხოლო მღღენი. და<sup>12</sup> წარავლინა მოციქულნი  
საბერძენთს მეფისა მიმართ და ითხოვნა<sup>13</sup> სჯულის-მღებულნი, ხოლო ვი-  
თარცა მიიწივნეს მოციქულნი იგი, განიხარა კოსტანტინე მეფემან და  
მრავლითა პატივითა<sup>14</sup> პატივ-სცა და წარაყოლა მათ თანა ეგსტათი ანტი-  
ოქელი პატრიაქი, კაცი ყოვლითა სიბრძნითა<sup>15</sup> საესე, რომელმან ნიკიასა<sup>16</sup>  
კრებას<sup>17</sup> დაამტკიცა<sup>18</sup> მართალი სარწმუნოება. ხოლო ვითარცა მიიწია  
პატრიაქი სანაზებთა წართლისათა და თანა ჰყვა ძელი ცხოვრებისა<sup>19</sup> და  
ხატი უფლისა<sup>20</sup> და ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობლისა<sup>21</sup>. მოვეება მას  
მეფე და ყოველნივე<sup>22</sup> ერნი და<sup>23</sup> მთავარნი მისნი და<sup>24</sup> დიდითა პატივით  
ალიყვანეს<sup>25</sup> პალატად. და მიიღეს კურთხევა მეფემან და დედოფალმან და  
ყოველმან ერმან<sup>26</sup>. და წმიდასა ნინოს მიუძღუნა<sup>27</sup> ნეტარება და მისცა  
წიგნი ელენე დედოფლისა<sup>28</sup> მიწერალი მისდამი<sup>29</sup> პატივით. და ზვალისა  
დღე მოუწოდეს მეფემან და წმიდა ნინო პატრიასსა და სამღღლოთა<sup>30</sup> და  
ნათელ[ვ]-ილო მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და ყო-  
ველმან ერმან. და აკურთხნა ეკლესიანი და დაამყარა<sup>31</sup> საკურთხეველნი  
და ყო სატფურება. და დაასხნა ჯვლი მთავარებისკობოზად<sup>32</sup> ღირსსა<sup>33</sup>  
იოვანეს. და ასწავა სჯული მეფესა და ყოველსა ერსა. ხოლო მკვდრ იყე-  
ნეს მცხეთას<sup>34</sup> შინა მრავალი სულნი ჰურიანი, რომელთა მღღელთმთავ-  
რად იყო მაშინ აბიათარ<sup>35</sup>, რომელი ზემო ვაქსენეთ, და მიიყვანა იგი წი-  
ნაშე პატრიაქისა მეფემან და პრქუა<sup>36</sup>: „მ<sup>37</sup> აბიათარ, ღმერთმან გვკსნა

<sup>1</sup> მცხეთასა B, მცხეთასაცა C. <sup>2</sup> თვისი[მ]იწასა შინა BC. <sup>3</sup> დაფარული[დაფლუ-  
ლი C. <sup>4</sup> წა A. <sup>5</sup> ნათლისა BC. <sup>6</sup> იხილებოდა C. <sup>7</sup> კურნებანი[იკურნებიან C. <sup>8</sup> იქ-  
ნებოდეს C. <sup>9</sup> ~მორწმუნე მეფე BC. <sup>10</sup> არღარა BC. <sup>11</sup> ნაკლულევანება C. <sup>12</sup> და—C.  
<sup>13</sup> ითხოვა C. <sup>14</sup> მრავლითა პატივითა C. <sup>15</sup> სიბრძნით C. <sup>16</sup> ნიკიასა B, ნიკის C.  
<sup>17</sup> კრება C. <sup>18</sup> დამტკიც C. <sup>19</sup> ცხოვრებისა C. <sup>20</sup> უფლისა BC. <sup>21</sup> -მშობლისა AC.  
<sup>22</sup> ყოველნი BC. <sup>23</sup> ერნი და—BC. <sup>24</sup> და—C. <sup>25</sup> ალიყვანეს A. <sup>26</sup> და დედოფალმან  
და ყოველმან ერმან—BC. <sup>27</sup> მიუძღუნეს B, მიუძღვნეს C. <sup>28</sup> დედოფლისა BC.  
<sup>29</sup> მისდა BC. <sup>30</sup> სამღღლოთა A; მოუწოდეს მეფემან და წმიდა ნინო პატრიასსა და  
სამღღლოთა[ვან]მზადეს სანათლო BC. <sup>31</sup> დაამყარა B. <sup>32</sup> მთავარებისკობოზად B,  
მთავარებისკობოზად C. <sup>33</sup> ღირსა C. <sup>34</sup> მცხეთასა C. <sup>35</sup> აბიათარ C. <sup>36</sup> რქვა C.  
<sup>37</sup> მი C.

წმიდისა ნინო მას<sup>1</sup> მიერ კერპთა მონებისა<sup>2</sup> და საცთურთა მათთავან და ნათელ-  
გვლებიეს კელითა პატრიარქისათა<sup>3</sup> სახელსა ზედა უფლისა იესუ<sup>4</sup> ქრისტე-  
სა<sup>5</sup>. აჲ რაჲ გნებავს<sup>6</sup> თქვენ, ჰურიანო<sup>7</sup>?

მაშინ მიუგო აბიათარ<sup>8</sup> და პრქუა<sup>9</sup>: „მეფეო, ვითარცა უწყიან მთა-  
ვართა შენთა და ყოველმან ამან ქალაქმან<sup>10</sup>, ნათესაენი ვართ ბენიამენისნი  
და სჯულსა მოსესსა სწავლულ და ფრიად წურთილ წერილთა<sup>11</sup> წინაწარ-  
მეტყუელთასა<sup>12</sup> და მეცნიერ ყოველსა მათ მიერ ქადაგებულსა. და ყოველ-  
ნი იგი ამისთვის წამებდეს, ვითარმედ შეცვალებად იყო სჯული ესე ჩუენი  
და მოსლვად ღმერთი ქუეყანად და მსგავსებად კაცთა და ნათლის-ღებად  
და ჯუარცუმად<sup>13</sup> და სამარესა დაღებად და აღდგომად მესამესა დღესა.  
ხოლო მამათა მათ ჩუენთა განარისხეს<sup>14</sup> შემოქმედი და გამოაჯუნეს  
თაენი მათნი წყალობისაგან ღმრთისა და პრომთა<sup>15</sup> დაიპყრეს მეფო-  
ბად ჩუენი<sup>16</sup>, რადთა<sup>17</sup> ჩუენ<sup>18</sup> ვიყვნეთ განბნეულ და მონებასა ქუეშე<sup>19</sup>.  
ხოლო მე მივემთხვე<sup>20</sup> ებისტოლესა ნათესაეისა ჩუენისასა<sup>21</sup> პავლესა<sup>22</sup>, რო-  
მელი-იგი შეუდგა მოციქულად ქრისტესა და გულისკმა-ვყავ<sup>23</sup> მით სჯუ-  
ლისა ჩუენისა განქარვებად, გარნა არაეინ იყო მასწავლულ<sup>24</sup> ჩუენდა. და  
აჲ ოდეს ინება ღმერთმან და მოავლინა ქუეყანასა ამას მოციქულად ნეტა-  
რი ნინო და ვიხილენ სასწაულნი უღარესნი ბუნებისანი<sup>25</sup>, რომელთა თქუენ-  
ცა მეცნიერ ხართ, მეფეო, და შეუდგა მას ასული ჩემი. და აჲ მეცა შუა  
ვარ ნათლის-ღებად სახელსა ზედა სამებისასა“.

და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა, განიხარა მეფემან. და ნათელ-  
სცა პატრიარქმან აბიათარს და ყოველსა ნათესაესა მისსა. და მისცა მეფე-  
მან დაბად, რომელსა ეწოდების ცხელიდი. და იყო საყუარელ წინაშე მი-  
სსა. ხოლო სხუანი ჰურიანი<sup>26</sup>, რომელთა არა ნათელ-ილეს, განიბნიენეს  
მცხეთით და წარვიდეს. ხოლო ეცხათი პატრიარქმან დაამტკიცა მართლ-  
მადიდებლობად და ასწავა წესი ეკლესიათად და იჯმნა<sup>27</sup> მეფისაგან და წა-  
რებართა ქუეყანად თვსად. ხოლო მეფემან და სენკლიტიკოსთა<sup>28</sup> მისთა  
მისცეს ასი სოფელი მოსასყიდელად<sup>29</sup> წმიდისა მიპრონისა<sup>30</sup>.

<sup>1</sup> ნინოს BC. <sup>2</sup> მონებისაგან BC. <sup>3</sup> პატრიარქისათა B, პატრიარქისაგან C. <sup>4</sup> იე-  
სუს B, იესოს C. <sup>5</sup> ქა A. <sup>6</sup> გნებას A. <sup>7</sup> ურიანო C. <sup>8</sup> აბიათარ C. <sup>9</sup> რქვა C.  
<sup>10</sup> ჰარამეთუ C. <sup>11</sup> წერილსა BC. <sup>12</sup> წინასწარმეტყუელთასა C. <sup>13</sup> ჯვარცმად C. <sup>14</sup> გა-  
ნარისხნეს A|განიხარეს C. <sup>15</sup> პრომთა|ქსუათა A. <sup>16</sup> ჩუენი—C. <sup>17</sup> რადთა|და BC.  
<sup>18</sup> ჩუენი C. <sup>19</sup> ქუეშე A. ვიყვნეთ განბნეულ და მონებასა ქუეშე|დავემტკუნეთ BC.  
<sup>20</sup> მივემთხვე-ზეე A. <sup>21</sup> ჩუენისასა|ჩემისასა A. <sup>22</sup> პლსა A|პარველსა C. <sup>23</sup> ვყავ B.  
<sup>24</sup> მსწავლულ BC. <sup>25</sup> ბუნებათან BC. <sup>26</sup> ურიანი B. <sup>27</sup> იჯმნა C. <sup>28</sup> სენკლიტიკოს-  
თა BC. <sup>29</sup> მოსასყიდლად C. <sup>30</sup> მიპრონისა BC.

ხოლო<sup>1</sup> ამისა<sup>2</sup> შემდგომად აღვიდა წმიდა ნინო მთასა მას, რომელი არს პირისპირ მცხეთასა<sup>3</sup>, რომელსა ზედა დღეს შენ არს ეკლესიაჲ სუეტისა ცხოველისაჲ<sup>4</sup> ჭუარი პატიოსანი. და მუნ ილოცვიდა და ევეღრებოდა<sup>5</sup> ლმერთსა. და ძირსა მის მთისასა წყალი აღმოაცენა და იქმნეს<sup>6</sup> სასწაულნი და კურნებანი მრავალნი<sup>7</sup> წყლისა მისგან. ხოლო ხე მთისა მის<sup>8</sup>, რომელი განბრწყინდა ნათლისა მისგან, შექმნეს ჭურებალ<sup>9</sup>. მაშინ იხილვა<sup>10</sup> სასწაული დიდი, რამეთუ ზეციტ<sup>11</sup> [40] გამოჩნდის<sup>12</sup> ჭუარი ცეცხლისა შემოსილი<sup>13</sup> ვარსკულავებითა და ვიდრე<sup>14</sup> ცისკრისა მოწვენადმდე<sup>15</sup> დგის ზედა კერძო სუეტისა<sup>16</sup> ცხოველისა. და შემდგომად ცისკრისა განუტევის ელვანი. და წარვიდის<sup>17</sup> ერთი აღმოსავლით<sup>18</sup> და ერთი დასავლით<sup>19</sup>. და ერთი იგი დაჰვდის თავსა თხოთისასა. და ერთი იგი მიიწვოდის ბოდეს<sup>20</sup>. ჭუარის სახე იგი დადგის წიად არაგუსა თავსა<sup>21</sup> მის მთისასა, სადა-იგი წმიდამან ნინო წყაროჲ<sup>22</sup> აღმოაცენა. და ესე მრავალგზის იქმნა. და განკვრდა მეფე და ყოველი ერი. და აღაშენა მეფემან ერთი ეკლესიაჲ<sup>23</sup> თავსა მის მთისასა, სადა ჭუარი იგი<sup>24</sup> დადგის, და ერთისაჲ<sup>25</sup> თხოთს და და-სუენეს<sup>26</sup> ჭუარნი იგი. ერთი ჭუარს და ერთი თხოთს და ერთი ბოდეს. ხოლო ჭუარი იგი ვაზისაჲ<sup>27</sup>, რომელ მოილო წმიდამან ნინო კელისაგან ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა, არს ჭუარსა მას შინა, რომელ დაასუენეს ჭუარსა პატიოსანსა. ესე<sup>28</sup> ჭუარნი განწესებისაებრ მეფისა წარყვიანა ღირსმან იაკობ ღრიალდითა სიმრავლითა ერისაჲთა და საკუმეველთა<sup>29</sup> სულნე-ლებითა<sup>30</sup> და<sup>31</sup> დაასუენა<sup>32</sup> ადგილთა მათ. ხოლო სუეტსა მას წინაშე ცხოველსა აღესრულებოდეს სასწაულნი მრავალნი და არაგინ<sup>33</sup> იკადრებდა კართა განხუმად<sup>34</sup> თენიერ კვრიაკისა<sup>35</sup>. ხოლო კვრიაკესა განახუნიან<sup>36</sup> და მღღელთა<sup>37</sup> შეწირიან<sup>38</sup> საღმრთოჲ<sup>39</sup> მსხუერბლი. და ყოველნი<sup>40</sup> სნეულნი განიკურნებოდნან და ერი<sup>41</sup> პირისპირ<sup>42</sup> მდგომარე<sup>43</sup> ილოცვიდის<sup>44</sup>, რამე-

<sup>1</sup> ხოლო—BC. <sup>2</sup> ამისა BC. <sup>3</sup> მცხეთისა B. <sup>4</sup> ცხოველისა B; სუეტის ცხოველისა C. <sup>5</sup> ევეღრა BC. <sup>6</sup> იქმნეს|მრავალნი B, მრავალი C. <sup>7</sup> მრავალნი|იქმნეს BC. <sup>8</sup> მთისა მს A. <sup>9</sup> ჭურებალ A; ხე მთისა მის... შექმნეს ჭურებალ|იოვანე მთავარეზს-კობოზმან სურნელისა მის ხისაგან შექმნა სამნი ჭუარნი BC. <sup>10</sup> იხილვებოდა BC. <sup>11</sup> დიდი რამეთუ ზეციტ|ესე ულ'გნ მ'თ ერთ ქალაქისათა A. <sup>12</sup> გამოჩნდის A. <sup>13</sup> შე-მოსილი|შემკული BC. <sup>14</sup> ვიდრე—C. <sup>15</sup> მოწვენამდე A. <sup>16</sup> სუეტისა A. <sup>17</sup> წარვიდა C. <sup>18</sup> აღმოსავლეთით B, აღმოსავლით C. <sup>19</sup> დასავლით BC. <sup>20</sup> ბოდეს BC. <sup>21</sup> თავსა—BC. <sup>22</sup> წყარო+იგი BC. <sup>23</sup> ეკლესია BC. <sup>24</sup> ~იგი ჭუარი C. <sup>25</sup> ერთისა B, ერთი C. <sup>26</sup> და-სუენეს C. <sup>27</sup> ვაზისა BC. <sup>28</sup> ეს BC. <sup>29</sup> საკუმეველთა C. <sup>30</sup> სურნელე ბითა BC. <sup>31</sup> და—C. <sup>32</sup> დაასუენა BC. <sup>33</sup> არგინ C. <sup>34</sup> განხუმად C. <sup>35</sup> კვრიაკესა C. <sup>36</sup> განახუნიან A. <sup>37</sup> მღღელთა C. <sup>38</sup> შესწირიან C. <sup>39</sup> სამ'ლოთ C. <sup>40</sup> ყოველნი|ურიცხნი A. <sup>41</sup> ერი C. <sup>42</sup> პირისპირ|პირის B. <sup>43</sup> მდგომარენი A. <sup>44</sup> ილოცვიდის|ს'დეს გარეშე A.



თუ შიში დიდი და ზარი ფრიადი იყო ყოველთა ზედა და ყოველნი ადი-  
ლებდეს ღმერთსა<sup>1</sup>.

კულად ბრძანა მეფემან, რადთა ერთი ეკლესიაჲ აღაშენონ ერუ-  
შეთს, სადა-იგი არს ფიცარი ფერკთა უფლისათაჲ. და ერთი ეკლესიაჲ<sup>2</sup>  
5 მანგლისსს, რამეთუ არს მუნ სამსკუალი<sup>3</sup> უფლისაჲ. ესრეთ წარგმატებო-  
და მეფე სარწმუნოებითა და გლახაკთ<sup>4</sup>-მოწყალებითა. და მღვდელნი და  
მღვდელთმთავარნი განმრავლდებოდეს.

ხოლო ნეტარმან ნინო იწყო ქადაგებად და თანა წარიტანა იაკობ  
მღვდელი და<sup>5</sup> დიაკონი და ერთი ერის-მთავარი ერთიურთ მისით და დად-  
10 გა წობენეს. და მოუწოდა მთელთა<sup>6</sup>, კართლელთა<sup>7</sup> და ფხოვნელთა<sup>8</sup>, და  
უქადაგა სარწმუნოებაჲ კეშმარიტი. ხოლო იგინი ლმობიერ იქნნეს და  
ნათელ-ილეს და დაღვეწნეს საკერპონი და აღაშენნეს<sup>9</sup> ეკლესიანი. და ამისა შემ-  
დგომად წარვიდა ერწოს და ებაღეთს<sup>10</sup> და მოიყვანნა<sup>11</sup> იგინიცა სარწმუ-  
ნოებად და ნათელ-ილეს მათცა. და მერმე ჩავიდა<sup>12</sup> კახეთს და დადგა კა-  
15 წარეთს და მოაქცივნა იგინიცა<sup>13</sup>. მერმე გარდავიდა ქუელდაბას და მოუ-  
წოდა მთავართა<sup>14</sup> კახეთისათა. ხოლო მათდა პირველვე უწყებულ იყო სარ-  
წმუნოებაჲ ქრისტესი და ნათლის-ღებაჲ მეფისაჲ, და სიხარულით შეიწყ-  
ნარეს სწავლაჲ მისი, მოიქცეს და ნათელ-ილეს კელითა მისეჲ იაკობ მღვ-  
20 კახეთისაჲ<sup>15</sup> სუჯი და მის თანა მთავარნი და მკედრები და მონა-მკვევალთა  
სიმრავლე. და წარმოუთხრნა<sup>16</sup> მას ქრისტეს<sup>20</sup> საიდუმლოასა<sup>21</sup> განგებულე-  
ბანი და ასწავა სიტყვითა ტკბილითა სარწმუნოებაჲ კეშმარიტი და სას-  
წაულნი<sup>22</sup> იგი<sup>23</sup> აუწყნა, რომელნი-იგი<sup>24</sup> იქნებოდეს<sup>25</sup> ჭალაქსა შინა მცხე-  
თას<sup>26</sup> სუეტისაგან<sup>27</sup> ცხოველისა<sup>28</sup>. [V] ხოლო მათდა წინაწარ<sup>29</sup> უწყებულ  
25 იყო ყოველი<sup>30</sup>. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს სწავლაჲ<sup>31</sup> ნეტარისა,  
ნინოასი<sup>32</sup> და ნათელ-ილო დედოფალმან და ყოველთა მთავართა და მკე-  
ველთა მისთა.

და ვითარცა ესრეთ სრულ-ყო<sup>33</sup> ქადაგებაჲ მისი ნეტარმან ნინო და  
სრულ-ყო ღუაწლი თვისი, ეუწყა სულისა მიერ წმიდისა განსლვაჲ<sup>34</sup> მისი

1 რამეთუ შიში დიდი... ადილებდეს ღმერთსა] და დიდი დიდი ზარი და კმანი  
ლაღადებისანი აქუნდეს და ევედრებოდეს ღა A. 2 ეკლესია BC. 3 სამსკუალი B, სამ-  
სკუალი C. 4 გლახაკთა C. 5 და—C. 6 მთელთა BC. 7 კართლელთა BC. 8 ფხოვნელთა  
BC. 9 აღაშენნეს C. 10 ებაღეთს BC. 11 მოიყვანა A. 12 შთავიდა C. 13 იგიცა A-  
14 + მათ C. 15 ბუდეს] ბოდბეს B, ბოდბას C. 16 მივიდა C. 17 მისა C. 18 კახეთისა BC.  
19 წარმოუთხრა C. 20 ქრისტესი C. 21 საიდუმლოსა B, საიდუმლოს C. 22 სასწაულნი-  
ცა B. 23 იგი—BC. 24 -იგი—BC. 25 იქნა A. 26 ჭალაქსა შინა მცხეთას—BC. 27 სუე-  
ტისა A. 28 ცხოველისა C. 29 წწარ AB, წინასწარ C. 30 ყოველი—BC. 31 სწავლა  
BC. 32 ნინოასი BC. 33 ყო—B. 34 განსლვა C.

კორცთავან. და მიწერა წიგნი მეფისა და მისცა დედოფალსა კახეთისასა სუჯის, რომელსა წერილ იყო ესრეთ: „იესუს<sup>1</sup> ქრისტეს<sup>2</sup> მონასა ერთგულსა და აღმსარებელსა<sup>3</sup> წმიდისა სამებისასა და თანა შეერთებულსა წმიდათა მეფეთასა მეფესა მირიანს გარდამოგივლინოს ღმერთმან<sup>4</sup> ცუარი წყალობისა<sup>5</sup> ზეცით და ყოველსა პალატ-ბანაკსა ერისა შენისასა. და იყავნ<sup>6</sup> მფარველ თქუენდა ჯუარი ქრისტესი და მეოხებდა ყოვლად წმიდისა დედისა მისისა. რამეთუ აჰა მე ესერა<sup>7</sup> მოვლენ<sup>8</sup> ზოგი-რამენ<sup>9</sup> ამის ქუეყანისა<sup>10</sup> და შეიწყნარეს ქადაგებად ქრისტესი და მოიქცეს და ნათელ<sup>11</sup>-ილეს და თაყუანი-სცეს დამბადებელსა ყოველთა<sup>12</sup>სა, და შენდა ჯერ-არს სიხარული, რამეთუ დღეთა შენთა შინა<sup>13</sup> მოხედნა ღმერთმან თვსთა დაბადებულთა და აღმოუბრწყინა<sup>14</sup> ნათელი<sup>15</sup> თვისისა მეცნიერებისა<sup>16</sup>. აწ დაიცევით<sup>17</sup> მართალი სარწმუნოებად ქრისტესი, რადთა მის თანა ჰსუფევდეთ<sup>18</sup> საუკუნოდ სასუფეველსა ცათასა: რამეთუ მე აჰა ესერა ვითარცა ერთი სოფლად შემოსრული განვალ ცხოვრებისაგან<sup>19</sup>, და წარვალ გზასა მამათა ჩუენთასა. კსენებულმცა არს საუკუნოდ კეთილთა შინა ღმრთისათა დედოფალი სუჯი, რამეთუ მოვიდა კეშმარიტსა ქრისტეს სარწმუნოებასა და<sup>20</sup> დამუსრნა კერპნი და მოუძღუა<sup>21</sup> და მოიყვანა<sup>22</sup> ერნი ღმრთისა<sup>23</sup>-მსახურებად. და მოუწოდა ძმასა და ასულსა მისსა და კულად არტერეონ მთავარსა<sup>24</sup> და<sup>25</sup> ასწავა მართალი სარწმუნოებად. და ყოველთა ბუდეს<sup>26</sup> შინა ნათელ-ილეს სახელითა მამისა და ძისა<sup>27</sup> და წმიდისა სულისადათა<sup>28</sup>. აწ წარმოგზავნეთ ჩემდა წმიდად მამათმთავარი, რადთა მომცეს საგზალი სულისა საუკუნოდ<sup>29</sup>, რამეთუ<sup>30</sup> მოახლებულ არს აღსასრული ჩემი“.

და მიიღო<sup>31</sup> რად წიგნი იგი<sup>32</sup> ნინოასის<sup>33</sup> დედოფალმან სუჯი<sup>34</sup>, სურვილითა აღძრული თაყუანის-ცემისათვის სუეტისა ცხოველისა<sup>35</sup> თვთ მოსწრაფედ წარემართა, რადთა იხილოს და თაყუანის<sup>36</sup>-სცეს ცხოველსა<sup>35</sup> სუეტსა და ჯუარსა ცხოველსა. და ყოველსა<sup>37</sup> მას სიშორესა გზისასა ფრკვი ვიდოდა უკამური<sup>38</sup> და ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა. და ვი-

1 იესოს C. 2 ქრისტე C. 3 აღმსარებელსა | აღმსარულებელსა BC. 4 ღმერთმან | უფალმან C. 5 წყალობისა BC. 6 იყვენ B. 7 ~ ესერა მე C. 8 მოვალ C. 9 -რამე B | რამეთუ C. 10 ქუეყანისა BC. 11 ნათელს-C. 12 ყოველთა | სა! | ღმერთსა BC. 13 ~ შინა შენთა BC. 14 აღმოუბრწყინდა C. 15 + და C. 16 მეცნიერებისა BC. 17 დავიცევით B, დაიცევით C. 18 სუფევდეთ AC. 19 ცხოვრებისაგან C. 20 და—C. 21 მოუძღუა A. 22 მო-უძღუა და მოიყვანა | მოაქცინა B, მოაქცენა C. 23 ღმრთისა BC, ღმრთისანი A, + ღმრთის A. 24 მთავარსა B. 25 და-BC. 26 ბოდეს BC. 27 ძისათა B. 28 ~ სულთა წმი-დისათა B, სულისა წმიდისა C. 29 საუკუნოდ BC. 30 რამეთუ—BC. 31 მიიღო C. 32 იგი—C. 33 ნინოასი B, ნინოს C. 34 სუჯი | სჯული C. 35 სუეტისა ცხოველისა, | სვეტის ცხოველისა C. 36 თაყუანი-BC. 37 ყოველსა | ცამსა BC. 38 უკამური | უკამარი B.

თარცა მოიწინეს პირის-პირ სუეტისა ცხოველისა, იხილეს: რამეთუ<sup>1</sup> წყალი<sup>2</sup> იგი არავც უმეტეს ზომისა დიოდა, რომელი ვერვინ მკედართა-  
განმან<sup>3</sup> წილ-ვლო<sup>4</sup>. არამედ რომელნიცა შთავიდიან, გარევე<sup>5</sup> უკუნ იქცე-  
ვიან<sup>6</sup> დაყენებულნი სიმამფრისაგან წყლისა მისგან დიდისა. ხოლო ვითარ-  
5 ცა-იგი პეტრე მიმავალი უფლისა წყალთა ზედა ვიდოდა, ვგრეთვე ამან  
დედაკაცმან საესემან სარწმუნოებითა ქრისტესითა და<sup>7</sup> სურვილითა სუე-  
ტისა ცხოველისადა<sup>8</sup> და მინდობილმან სარწმუნოებასა<sup>9</sup> მას მარცულისა  
მლოგვასასა<sup>10</sup> აღიბეჭდა<sup>11</sup> თავი თვისი ჯუართა ქრისტესითა და აღგდა ჰუ-  
ნესა<sup>12</sup>. ხოლო ხედვიდეს იმიერ კერძო მთავარეპისკოპოსი<sup>13</sup> იოვანე და  
10 ყოველი ერი. და ვითარცა შევიდა წყალთა მათ შინა, მართლ უკუნ-იქცა  
ამიერ და იმიერ წყალი<sup>14</sup> იგი. ხოლო იგი განვიდა მშვლობით<sup>15</sup>. მაშინ  
მოეგება მას<sup>16</sup> მეფე და მთავარეპისკოპოზი<sup>17</sup>, ყოველნი ერნი<sup>18</sup>, [41] შეპ-  
ყრობილნი შიშითა და საკვრველებითა. და შევიდა<sup>19</sup> ეკლესიად წინაშე  
სუეტისა ცხოველისა და ილოცა ცრემლითა მკურვალთა და შეწირა<sup>20</sup>  
15 თავი თვისი შეილითურთ და ყოველი მონაგები თვისი და ქალაქიცა იგი  
მცირე ბართიანი<sup>21</sup> და დაბაჲ იგი ბუდისი<sup>22</sup> და იხარებდა სულითა.

მაშინ გამოილო წიგნი იგი ნეტარისა ნინოასი<sup>23</sup> და მისცა მეფესა. და  
წარიკითხა რაჲ იგი<sup>24</sup>, აღივსო ცრემლითა და აღდგა და თანა წარიტანა მთა-  
ვარეპისკოპოსი<sup>25</sup> და დღეოფალიცა ნანა. და ვითარცა მიიწინეს<sup>26</sup> და მოი-  
კითხეს, მან მისცა მათ კურთხევაჲ უფლისა მიერ<sup>27</sup>. ხოლო წმიდაჲ ნინო  
20 შეპყრობილ იყო სნეულებითა და უბრძანა იოვანეს წირვაჲ<sup>28</sup> ეამისაჲ<sup>29</sup>.  
ხოლო მან შეწირა მსხუერპლი უფლისა და აზიარა კორცსა და სისხლსა  
ქრისტესსა<sup>30</sup>, რომელი-იგი წარიძლუნა<sup>31</sup> მან საგზლად<sup>32</sup> საუკუნოდ. და  
შეპვედრა<sup>33</sup> სული თვისი კვლთა ღმრთისათა და წარვიდა საუკუნეთა კე-  
25 თილთა. ესრეთ შემკული მოციქულობისა მადლითა და ბრწყინვალე ქალ-  
წულებითა და განშუენებული<sup>34</sup> სიმრავლითა ღუაწლთაჲთა და აღტკრთუ-  
ლი ტალანტთა სიმრავლითა<sup>35</sup> წარმოუდგა წმიდასა სამებასა. და მიართუ-  
ნა ძლუნად სიმრავლენი ერთანი და ღუაწლთა<sup>36</sup> მიერ განკაფული სოფლი-

<sup>1</sup> რამეთუ—C. <sup>2</sup> წყალი—B. <sup>3</sup> მკედართაგანმა C. <sup>4</sup> წილ-ვლო|წარვლო BC.  
<sup>5</sup> გარევე|გარევე C. <sup>6</sup> იქციან C. <sup>7</sup> და—C. <sup>8</sup> ცხოველისათა BC. <sup>9</sup> სარწმუნოებისამან BC.  
<sup>10</sup> მას მარცულისა მლოგვასასა—C. <sup>11</sup> აღბეჭდა B. <sup>12</sup> უნესა C. <sup>13</sup> მთავარეპისკოპოზი  
B, მთავარეპისკოპოზი C. <sup>14</sup> ამიერ და იმიერ წყალი|მდინარე BC. <sup>15</sup> მშვლობით|კმე-  
ლად BC. <sup>16</sup> მას—BC. <sup>17</sup> მთავარეპისკოპოზი BC. <sup>18</sup> ყოველნი ერნი—BC. <sup>19</sup> შევიდეს A.  
<sup>20</sup> შეწირა C. <sup>21</sup> ბართიანი C. <sup>22</sup> ბოდისი BC. <sup>23</sup> ნინოსი B; წიგნი იგი ნეტარისა ნი-  
ნოასი|ნეტარისა ნინოს წიგნი C. <sup>24</sup> რაჲ იგი|მეფემან და C. <sup>25</sup> მთავარეპისკოპოზი BC.  
<sup>26</sup> მიიწინეს BC. <sup>27</sup> მიერ C. <sup>28</sup> წირვა BC. <sup>29</sup> ეამისა BC. <sup>30</sup> ქსსა—BC. <sup>31</sup> წარიძლუ-  
ნა C. <sup>32</sup> საგზლად B. <sup>33</sup> შევედრა C. <sup>34</sup> განშუებული C. <sup>35</sup> ღუაწლთაჲთა... ტალანტთა  
სიმრავლითა—C. <sup>36</sup> ღწწლთა A.

სა ამისგან სუფევად საუკუნოდ აღვიდა ოც და მეათეუამეტესა წელსა ქართლს<sup>1</sup> შემოსლვისა მისისასა<sup>2</sup>. ხოლო დასაბამითვანთა წელთა<sup>3</sup> ხუთი ათას რვაას ორმოც და<sup>4</sup> მეათეუამეტესა<sup>5</sup>. მაშინ მოვიდა<sup>6</sup> მეფე და ყოველი ერის სიძრავლე გუამისა მიმართ მისისა დაგრდომით და გოდებით, შიშით და ძრწოლით შეუტრდებოდეს. და სიძრავლისაგან ერნი<sup>7</sup> დასთრგუნვიდეს<sup>8</sup> ფერკითა ურთიერთას<sup>9</sup> და სხეულნი განიკურნებოდეს<sup>10</sup>, რომელნი<sup>11</sup> შეეხნენ ფესუსა სამოსლისა მისისასა. ხოლო მეფემან ძლით<sup>12</sup> დააცხრო<sup>13</sup> შდოთი იგი ერისა<sup>14</sup> და განიზრახა, რაფთა გუამი მისი აღიყვანოს და დაჰკრძალოს ჩალობელად სუეტისა ცხოველისა. და ვითარცა კელ-ყვიან აღებად გუამისა<sup>15</sup> მის წმიდისა, კელნი მათნი უქმ იქნნინ და<sup>16</sup> ყოვლ აღ ვერ უძლიან შეძრვად<sup>17</sup>. მაშინ გულისკმა-ყვეს და დაჰკრძალოს მასვე დაბასა შინა ბუდეს<sup>18</sup> და ეკლესია<sup>19</sup> აღუშენეს<sup>20</sup> და ეპისკოპოსი<sup>21</sup> განაჩინეს მის<sup>22</sup> ზედა. ესრეთ პატივით და კრძალულებით პატივ-სცეს წმიდასა და ნეტარსა ნოციულსა და განმანათლებულსა ქართლისასა, კახეთისა და ჰერეთისასა<sup>23</sup>, სამგზის სანატრელსა ღმრთივ დიდებულსა<sup>24</sup> ნინოს. 15

ხოლო შემდგომად წმიდისა ნინოას ცხორებად საუკუნოდ მისლვისა მეფემან კეთილად წარჰმართა<sup>25</sup> ღმრთისა<sup>26</sup>-მსახურებად და იქცეოდა სიმდაბლითა, სიმშვიდითა, გლახაეთ-მოწყალებითა და<sup>27</sup> მღდელთა პატივ-სცემდა<sup>28</sup> და ეკლესიათა აშენებდა. და ესრეთ სათნოდ ღმრთისა მიიცივალა. და დაჰმარტეს<sup>29</sup> მის მიერ აღშენებულსა<sup>30</sup> ეკლესიასა სამთავროს<sup>31</sup>. 20

შემდგომად მისსა<sup>32</sup> ძემან მისმან<sup>33</sup> რევ მიილო<sup>34</sup> მეფობად და მანცა ყოველითა ღმრთის-მოშიშებითა აღასრულა მეფობად<sup>35</sup> თვისი<sup>36</sup>. და იგიცა წარვიდა კლასა ჩამათა მისთასა შემკული ღმრთისა სათნოებითა.

უწყებად ჯერ-არს თუ მეფენი ქართლისანი ვიეთ ტონნი იყვნეს, რამეთუ აღექსანდრე მეფემან ვითარცა დაიმორჩილნა ყოველნი, მაშინ შე- 25  
მოვიდა ქართლს<sup>37</sup> და იხილნა ნათესავნი სასტიკნი<sup>38</sup> წარმართნი<sup>39</sup>, რო-

<sup>1</sup> ქართლსა C. <sup>2</sup> ქართლს შემოსლვისა მისისასა]ქწედ ნათლის ღმრთისათვის (?) მისისთა A. <sup>3</sup> წელთა—BC. <sup>4</sup> ორმოცდა B, ორმოც C. <sup>5</sup> მეათეუამეტესა A+წელსა BC. <sup>6</sup> მოვიდა]ხედედა BC. <sup>7</sup> დათრგუნვიდეს A. <sup>8</sup> ურთიერთს A. <sup>9</sup> განიკურნებოდენ A. <sup>10</sup> სიძრავლე გუამისა... განიკურნებოდეს, რომელნი] პირს მისს ვითარცა ანგელოზისასა და ურთიერთს (ურთიერთთარს C) დასთრგუნვიდეს, რაფთა BC. <sup>11</sup> ძალითა C. <sup>12</sup> დააცხრო BC. <sup>13</sup> ერისა BC. <sup>14</sup> გუამსა C. <sup>15</sup> შეძრვად C. <sup>16</sup> ბოდეს BC. <sup>17</sup> ეკლესია BC. <sup>18</sup> აღაშენეს BC. <sup>19</sup> ეპისკოპოსი BC. <sup>20</sup> მას A. <sup>21</sup> ჰერეთისასა]ჰერეთისასა B, ჰერისასა C. <sup>22</sup> ღმრთივ დიდებულს C,—B. <sup>23</sup> წარმართთა BC. <sup>24</sup> ღმრთისა C. <sup>25</sup> და—BC. <sup>26</sup> პატივცემდა C. <sup>27</sup> დამარტეს BC. <sup>28</sup> აშენებულსა BC. <sup>29</sup> სამთავროსა BC. <sup>30</sup> მისსა]მისმან C. <sup>31</sup> მისმან]მისი C. <sup>32</sup> მიილო C. <sup>33</sup> და მანცა... მეფობად—BC. <sup>34</sup> თვისი]მისი BC. <sup>35</sup> ქართლსა C. <sup>36</sup> სასტიკნი+ნათესავისანი B, ნათესავნი C. <sup>37</sup> წარმართთანი BC.





მელთა<sup>1</sup> ჩუენ აჩათბუნთურქად<sup>2</sup> უწყესთ<sup>3</sup>, რამეთუ იხილევბოდეს<sup>4</sup> იგინი ყოვლად უცხოდ კაცთა ბუნებისაგან, ვითარცა იყენეს მკეცნი რაამე<sup>5</sup> საქულველნი<sup>6</sup>. [V] და ენება, რაამთამცა აღფხურნა იგინი. ხოლო იყენეს ციხენი მათნი მაგარნი და ვერ შეუძლეს ეამსა მას აღფხურა<sup>7</sup> მათი. კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესაენი ქალდეველთანი და დაემუნენს მუნვე ქართლს. და ვითარცა ყოვლგნით მოირქუნა ალექსანდრე, კუალად მოვიდა ქართლად და შემუსრნა ციხე-ქალაქნი მათნი. და რომელნიმე მოსრნა და რომელნიმე წარიოტნა<sup>8</sup>. ხოლო სარკინელნი იგი განუმავრდეს ეამ რავდენმე და უკანაჲ<sup>9</sup> განკურტიტეს კლდე და ივლტოდეს. და წარვიდეს გარეგან თესითისა. და თვთ იწყო შენებად ქუეყანასა ქართლისასა. და მისცა ქუეყანაჲ ქართლისაჲ<sup>10</sup> აზონს და განუჩინა საზღვარი ჰერეთი<sup>11</sup> და ვერის წყალი და სომხითი და მთაჲ<sup>12</sup> ტროლისაჲ(!)<sup>13</sup> და თვთ ალექსანდრე წარვიდა.

მაშინ აზოგო წარვიდა<sup>14</sup> ქართლად არიან მამისა თვისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოჲ<sup>15</sup>, და კუალად ათი სახლი მთავართაგან და ყოვლით<sup>16</sup> დედა-წულთით მათით მოიყვანნა და დაამენნა ქართლს. და თანა ჰყვეს კერპნი მათნი ღმრთად. და ესე აზონ პირველი მეფე იყო ქართველთაჲ<sup>17</sup>. და ამისთა შვილის-შვილთაგან<sup>18</sup> ოცდამერგე მეფე იყო მირიან, რომელი მეფე იქნა ქრისტეს<sup>19</sup> აღმსარებელ და ქრისტეს მორწმუნეთა მეფე. და ჩუენ შვილნი ვართ არიან ქართლით გამოსრულთანი<sup>20</sup>, და ენაჲ<sup>21</sup> მათი უწყით. და მეფენი ჩუენნი მათნი<sup>22</sup> შვილის-შვილნი<sup>23</sup> არიან<sup>24</sup>, ხოლო ქართველნი<sup>25</sup> პირველ მსახურებდეს რომელნიმე ცეცხლსა და სხუანი მზესა და ვარსკულავთა<sup>26</sup> და თაყუანი-სცემდეს<sup>27</sup> ძელთა<sup>28</sup>, ქვათა და ღმრთად ხალოდეს. ხოლო რაეამს მოხედვა-ყო ღმერთმან ქართველთა ზედა და ინება წმიდამან ღმრთის-მშობელმან, რომლისა ნაწილნი ვართ, და ნათელ-გვლებიეს სახელსა ზედა ძისა და ღმრთისა მისისა ქრისტეს უფლისა ჩუენისასა მადლითა და შეწევნითა სასოასა<sup>29</sup> მის ჩუენისა წმიდისა ღმრთის-მშობელისა<sup>30</sup> დედოფლისა მარადის ქალწულისა მარიამისი-

<sup>1</sup> +აწ BC. <sup>2</sup> აჩათბუნთურქად|ბუნთურქად BC. <sup>3</sup> უწყესთ|უწოდთ B, უწოდთ C. <sup>4</sup> იხილევბოდეს|ცხოვრებოდეს BC. <sup>5</sup> რაამე|რ. <sup>6</sup> კაცთა ბუნებისაგან... საქულველნი|რ. ცხი... ნება ბუნებთა მათგან იყენეს სასტაკად საბრძოლველნი A. <sup>7</sup> აღფხურა BC. <sup>8</sup> წარიოტნა|წარიოტნა C. <sup>9</sup> უკანასკნელ BC. <sup>10</sup> ქუეყანა ქართლისა BC. <sup>11</sup> ერეთი B|ერეთი C. <sup>12</sup> მთა B|მთა C. <sup>13</sup> ტროლისა BC. <sup>14</sup> წარვიდა—C. <sup>15</sup> მდაბიოჲ B|მდაბი უფლისა C. <sup>16</sup> ყოვლით C. <sup>17</sup> ქართველთა BC. <sup>18</sup> შვილიშვილთაგან B. <sup>19</sup> ქრისტე C. <sup>20</sup> ქართლით გამოსრულთანი|ქართლითანი BC. <sup>21</sup> ენა BC. <sup>22</sup> მათნის BC. <sup>23</sup> შვილისშვილთანი BC. <sup>24</sup> არიან—BC. <sup>25</sup> ქართველნი|ქართულთა ერნი A. <sup>26</sup> რომელნიმე ცეცხლსა... ვარსკულავთა|ღა რომელი მიდრკეს შდ კერპთმსახურებად და შეუდგეს ეშპასა და ღმერთთა სხვაეთა (!) A. <sup>27</sup> თაყვანისცემდენ B, თაყვანისცემდენ C. <sup>28</sup> +და BC. <sup>29</sup> სასოსა BC. <sup>30</sup> ღმრთის-მშობელისა—A.

თა<sup>1</sup>, არა ოდეს მიდრეკილა გული ჩუენი ურწმუნოებად სამებისაგან წმი-  
დისა ვრთ<sup>2</sup> ღმრთეებისა<sup>3</sup> ჭეშმარიტისა<sup>4</sup>. ხოლო ბერძენნი მიიქცეს კუ-  
ლად<sup>5</sup> კერპთმსახურებად და კუალად წვალებისა ღუარძლი შემოიღეს და  
ქინლა წარწყმდეს და დაეცნეს. ხოლო ჩუენი ესე კეთილი სარწმუნოებად,  
რომელი მოგუცა ღმერთმან ნებითა და ჯერ-ჩინებითა დედისა მისისადათ<sup>6</sup> 5  
მტკიცედ გვპყრეს მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისადათ<sup>7</sup>.

ხოლო შემდგომად მირიანისა მეათე მეფე იქმნა ვახტანგ გორგასალი.  
და ვიდრე-ღა ყრპა იყო, იძულებით სპარსეთად წარვიდა და ქრისტეს სარ-  
წმუნოებად კეთილად დაიკვა<sup>8</sup>. და შემდგომად რაოდენისაჲე ჟამისა მოიქცა.  
და მაშინ<sup>9</sup> ჟამსა მას იყო მიქაელ მთავარეპისკოპოსად<sup>10</sup> და დააჯერეს, ვი-  
თარმედ ვახტანგ ქრისტეანობაჲ<sup>11</sup> დაუტევე. ხოლო მან ირწმუნა და მი-  
რამ-ვიდოდა ვახტანგ მოკითხვად მისა, წიხლა<sup>12</sup> შეჰკრა და კბილნი შე-  
ლექნა<sup>13</sup>. ხოლო მეფეჲან ვახტანგ სიმშვიდით ღმრთისათვის<sup>14</sup> დაითმინა იგი  
და არარა<sup>15</sup> ბოროტი შეამთხვა, გარნა გავზავნა<sup>16</sup> მოციქულნი საბერძნეთს  
და ითხოვა მეფისაგან და<sup>17</sup> პატრიარქისა<sup>18</sup> კათალიკოზი. და მათ წარმოავლინეს<sup>15</sup>  
პეტრე<sup>19</sup> კათალიკოზად. [48] ხოლო ვახტანგ აღაშენა ქუეშოჲ<sup>20</sup> ესე დიდი  
ეკლესიაჲ<sup>21</sup> და დასუა მას შინა პირველად კათალიკოსად<sup>22</sup> პეტრე ღირსი  
და მდაბალი და დაამდაბლა პატრივი სამთავროსაჲ<sup>23</sup>.

ამან ვახტანგ აღაშენა ტფილისი და მცხეთაჲ<sup>24</sup> ქალაქი მუნ მიცვალა.  
ამანვე დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი და შექმნა<sup>25</sup> კარნი ოვსეთისანი. 20  
და აღაშენა მას ზედა გოდოლი, და დააყენნა მას ზედა მცველნი მახლო-  
ბულნი მის ადგილისანი. და უწოდა მათ კარად დარიალსა<sup>26</sup>. და აწ  
თვნიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ჰელეწიფების გამოსლევად ოვსთა და ყივ-  
ჩაყთა.

ამანვე ვახტანგ სძლო სპარსთა და დაიმორჩილნა. რამეთუ იყო საზა- 25  
რელ და გოლიათ და განთქუმულ<sup>27</sup> ყოველსა ქუეყანასა, რამეთუ იყო სიგრ-  
ძე მისი თორმეტი<sup>28</sup> მტკაველი. და აწცა საცნაურ არს იგი საწოლისა და  
აბჯრისა მისისაგან, ხოლო იყო ფრიად შემკულ ღმრთის-მსახურებითა და  
კეთილად ზორწმუნებითა<sup>29</sup> დიდი ვახტანგ. ხოლო მოიკლა იგი სპარსთა  
ბრძოლასა შინა მონაყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჰკ- 30

1 მარამისათა C. 2 ვრთი C. 3 ღმრთეებისა C. 4 ჭეშმარიტისა—C. 5 კლ—BC.  
6 მისისათა B, მისისასა C. 7 მშობელისათა BC. 8 დაიკვა]მიცვა C. 9 მაშინა C.  
10 მთავარეპისკოპოზად BC. 11 ქრისტეანობა C. 12 წიხლნი A, წილი C. 13 შექლექნა B,  
შექლექნა C. 14 ღმრთის (I) A. 15 არარა] არა BC. 16 გავზავნა A. 17 და—BC.  
18 პატრიარქისა A. 19 პეტრე A, პეტრე B. 20 ქუეშო B, ქვეშო C. 21 ეკლესია BC. 22 კათა-  
ლიკოზად BC. 23 სამთავროსაჲ B. 24 მცხეთა BC. 25 შექმნა BC. 26 დარიალისა B,  
დარიალსა C. 27 განთქმულ C. 28 თორმეტი BC. 29 და კეთილად მო რწმუნებითა—BC.



საღ ღლიას<sup>1</sup> ქუეშე და აღიპყრა<sup>2</sup> რაჲ ვრმალი თვისი<sup>3</sup>, რაჲთა სცეს კაცსა<sup>4</sup> სპარსთაჲგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე და მით მოკულა<sup>5</sup> და ქრისტესთვის იწამა ქრისტეს-მოყუარე იგი მეფე. და არს საფლავი მისი წინაშე სუეტისა ცხოველისა.

5 ხოლო შემდგომად ამისა<sup>6</sup> მოიწიენეს სპარსთაგან<sup>7</sup> ქართველთა ზედა დიდნი ჰირნი და ფრიადნი სულნი მოსწყვდნეს<sup>8</sup> და ქუეყანანი დაიპყრნეს<sup>9</sup> და მრავალნი იწამნეს ქრისტეს სახელისათვის. რომელთანიმე წიგნნი აღიწერნეს და რომელთანიმე<sup>10</sup> დაშთეს აღუწერელად, გარნა ყოველნი აქ წერილ არიან წიგნსა ცხოველთასა.

10 ამისა<sup>11</sup> შემდგომად გამოვიდა ჰერაკლე<sup>12</sup> მეფე და შეერთნეს ქართველნიცა. და შევიდა<sup>13</sup> სპარსეთს და შეწვენითა ღმრთისაჲთა<sup>14</sup> შემუსრა სპარსეთი და ტაძარნი და ბოძონნი მათნი და ხუასრო მეფე, და ძელი ცხოვრებისა<sup>15</sup>, რომელი წარეტყუენა სპარსთა, წარრიოყვანა და ძლევა-შემოსილი შემოვიდა საწელოდვე.

15 ამისა შემდგომად განუფინა ქადაგებამ მუჰამედ<sup>16</sup> უსჯულოსაჲ<sup>17</sup> და მრავალი ერე შეუღდა მას. და<sup>18</sup> შემდგომად მისსა გამოვიდეს სპარსნი და<sup>19</sup> პონტომდე<sup>20</sup> მოიწიენეს და ყოველი კაბადუკიაჲ<sup>21</sup> დაიპყრეს. და ვითარ-იგი იყო კურთხევაჲ კათალიკოზისაჲ<sup>22</sup> ანტიოქიით, არღარავის კლეწიფებოდა სლვად გზასა ანტიოქიისასა<sup>23</sup>. ამისთვის დიდი ზრუნვაჲ<sup>24</sup> აქუნდა ქართველთა. ხოლო დღეთა თეოფილე<sup>25</sup> ანტიოქელ პატრიაქისათა წარავლინნეს<sup>26</sup>

20 მოციქულნი და მიუთხრეს ამის პირისათვის. ხოლო თეოფილე პატრიაქმან<sup>27</sup> ყო კრებამ საზოგადო<sup>28</sup> და განაწესეს, რაჲთა შეკრებოლიან ებისკოპოსნი<sup>29</sup> სამრემლოსა<sup>30</sup> მისისანი და აკურთხევედნ კათალიკოზსა, რომელიცა სთნდეს მეფესა და ერსა. და ამის პირისათვის<sup>31</sup> დაწერა წიგნი და დაბეჭდულად<sup>32</sup> წარმოგზავნა. ხოლო ვითარ-იგი პირველ იყვნეს ასნი სოფელნი სასყიდლად მიპრონისა, ამის წილ განუწესა<sup>33</sup> [V] ასი დრაჰკანი<sup>34</sup>. ხოლო შემდგომად ამისა<sup>35</sup> კულად ესე ოდენ<sup>36</sup> განაჩინეს, რაჲთა სახელით ოდენ მოიკსენებ-

<sup>1</sup> ღლიასა C. <sup>2</sup> აღიპყრა BC. <sup>3</sup> თვისი—A. <sup>4</sup> კაცთა C. <sup>5</sup> მოკლა BC. <sup>6</sup> მისსა BC. <sup>7</sup> სპარსთათაგან B. <sup>8</sup> მოსწყვიდეს C. <sup>9</sup> დაიპყრეს C. <sup>10</sup> რომელთანიმე წიგნნი აღიწერნეს და—C. <sup>11</sup> ამისა BC. <sup>12</sup> ჰერაკლე ერეკლე C. <sup>13</sup> შევიდეს BC. <sup>14</sup> ღმრთისათა C. <sup>15</sup> ცხოვრებისა B, ცხოვრებასა C. <sup>16</sup> მუჰამედ B, მუჰამედ C. <sup>17</sup> უსჯულოსა B | სჯულსა C. <sup>18</sup> და—BC. <sup>19</sup> და—C. <sup>20</sup> პონტომდე A. <sup>21</sup> კაბადუკია BC. <sup>22</sup> კათალიკოზისა BC. <sup>23</sup> ანტიოქიისა A. <sup>24</sup> ზრუნვა BC. <sup>25</sup> თეოფილე C. <sup>26</sup> წარავლინეს C. <sup>27</sup> პატრიაქმან—BC. <sup>28</sup> საზოგადო BC. <sup>29</sup> ებისკოპოსნი B, ებისკოპოსნი C. <sup>30</sup> სამრემლოსა BC. <sup>31</sup> პირისათვის | ქვერისათვის A. <sup>32</sup> და C. <sup>33</sup> განუწესეს A, განუწესა BC. <sup>34</sup> დრაჰკანი C. <sup>35</sup> ამისა BC; ~ამისა შემდგომად C. <sup>36</sup> ესოდენ BC.

ბოდის პატრიაქი ანტიოქელი ქართლს. ესრეთ განავეს ქართლისაჲ ეკლესიათა წესი და ქცევაჲ და ესრეთცა<sup>1</sup> არს ვიდრე დღენდღად<sup>2</sup> დღემდე<sup>3</sup> საღიღებლად მაძისა და ძისა<sup>4</sup> და<sup>5</sup> წმიდისა სულისა, რომლისაჲ<sup>6</sup> არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თუესა მაძისა :ზ: 5

ცხოვრებაჲ<sup>7</sup> წმიდისა მაძისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ<sup>8</sup>, რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა<sup>9</sup> და წინამძღურობითა<sup>10</sup> სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ჰუეჰანით უშამდინარით ჰუეჰანად<sup>11</sup> ქართლისა ათორგმბთა მოწაფითა მისთა წმიდათა თანა

განაახლა და განავრცო<sup>12</sup> წმიდაჲს მაძაჲს ჩუენჲს ქრისტეს მიერ<sup>13</sup> ქართლისა კათალიკოზჲს არსენი<sup>14</sup>

გუაკურთხენ, მაძის!

სულნი მართალთანი კელთა შინა ღმრთისათა წერილისაებრ, და არა შეეხოს მათ რადიურთით რომელიცე<sup>15</sup> შემაწუხებელთაგანი<sup>16</sup>, ვითარ განწმედილთა<sup>17</sup> ბიწთაგანი<sup>18</sup>, რამეთუ ესენი ყოველთა ამით ნივთიერთა და ზრქელთა ზესთა|ა| აღსრულნი<sup>19</sup> ფრთითა სათნოებათათა და ბრწყინვალეებასა საღმრთოსა მიმთხუეულნი, განაბრწყინებენ მზის<sup>20</sup> ქუეშესა ყოველსა. ხოლო კსენებისა მათისა მიერ<sup>21</sup> ცისკროვან<sup>22</sup> იქნების ხილული ესე და გრძნობადი ქუეყანად, ვინათგან<sup>23</sup> მსგავსად მნათობთა დიდთა განმტევებელნი<sup>24</sup> ბრწყინვალეთა შირავანდელთანი, ელვარე ჰყოფენ ყოველთა კსენებისა მათისა მედღესასწაულეთა და საღმრთოსა მადლსა მიჰფენენ სულსა<sup>25</sup> ზედა მორწმუნეთასა, რომელნი სარწმუნოებით და სურვილით

\* ხელნაწერების ნუსხა: B: A—170 (6r.), C: A—160 (384 გვ.), D: A—130 (7 v.), E: S—449 (99r.), F: H—2121 (154 r.), I: H—1672 (213 r.) K: A—176 (15 r.), L: ლენინგრ. H—22 (1v). M: ლენინგრ. 3M—21 (1 გვ.).

<sup>1</sup> ესეცა C. <sup>2</sup> დღენდღად C. <sup>3</sup> დღემდე C. <sup>4</sup> მაძისა და ძისა|ძისა მაძისა C. <sup>5</sup> და—B. <sup>6</sup> რომლისა BC. <sup>7</sup> ცხოვრებაჲ LM. <sup>8</sup> ზედაძნელისა C, ზედაზაღნელისა K. <sup>9</sup> ღმრთისაჲთა|უფლისათა L. <sup>10</sup> წინამძღობითა K. <sup>11</sup> ქუეყანად M. <sup>12</sup> განავრცნა C. <sup>13</sup> ქრისტეს მიერ—I. <sup>14</sup> არსენი ქართლისა კათალიკოზჲს C; არსენ I; „განაახლა და განავრცო... არსენი| თქმული არსენი ქართლისა კათალიკოზისა K. <sup>15</sup> რომელიმე BFI, რომელნიმე LM; <sup>16</sup> შემაწუხებელნი L. <sup>17</sup> განწმედილი I. <sup>18</sup> ბიწთაგან M. <sup>19</sup> ზესთ-აღსრულნი CDFIK. <sup>20</sup> მზისა L. <sup>21</sup> მიერ—CK. <sup>22</sup> ცისკროვანად CK. <sup>23</sup> ვინათგან LM. <sup>24</sup> განმტევებელი LM. <sup>25</sup> სულთა BFI.



სამარადისოდ აღწერილთა წიგნსა შინა ცხოველთასა ქუენათა ამათგან<sup>1</sup> და უპატროსნესთა ჩუენ მიერ ძღუენთა, ესე იგი არს<sup>1</sup> სიტყუათა ქებისათა<sup>2</sup>, პატივ-სცემლენ საღმრთოთასა დიდებისა ზიარ-ქმნულთა<sup>3</sup>.

ვინაჲ გვღირს ჩუენ, <sup>4</sup> მორწმუნენო, და კსენებისა წმიდათაჲსა მო-  
<sup>5</sup> ყუარენო<sup>5</sup>, ვითარ<sup>6</sup> თანამდებსა რომელსაჲმე, თანა-წარუეცლსა, მიცემაჲ<sup>7</sup> წმი-  
 დათათვეს ქებისა და შესხმისა მიერ ღღესასწაულისა მათისა სრულყოფელ-  
 თა, რათა მათ მიერ ნაცვალის ვებაჲ<sup>8</sup> კეთილთა<sup>9</sup> ნიჭთაჲ მოვიღოთ, რამე-  
 თუ ამათგანნი<sup>10</sup> რომელნიმე სისხლითა თვისთა<sup>11</sup> მოგებულ იქმნეს<sup>12</sup> გვრ-  
 გვნთა ზეციერთა<sup>13</sup>, ხოლო სხუანი, მღვდელთ-მოძღურებისა საცხებელითა  
<sup>10</sup> ცხებულნი და წმიდად დამმარბეველნი<sup>14</sup> მისნი ყოველთაჲვე მსოფლიოთა  
 ბიწთაგან, უბიწოდ და სიწმიდით წარღვომილ არიან წინაშე ყოველთა  
 ღმრთისა<sup>15</sup> მსხუერბლსა ქებისასა შემწირველნი<sup>16</sup> უნიეთოთა<sup>17</sup> პირებითა<sup>18</sup>,  
 ხოლო სხუანი<sup>19</sup>, ყოველთაჲვე<sup>20</sup> ამით კორციელთა შუებათა<sup>21</sup> და<sup>22</sup> გემოთა<sup>23</sup>  
<sup>15</sup> შეურაცხის-ყოფელნი მარბვისა მიერ<sup>24</sup> სამარადისოთასა ლოცვისა<sup>25</sup>, გან-  
 მკაფელნი სხეულისანი და ყოველთა იწროებათა მიერ დამპყნობელნი და  
 მომაუძღურებელნი მძლავრებისა მისისანი, ნაცვალად<sup>26</sup> სასყიდელთა შრო-  
 მათა მათთასა მომღებულ<sup>27</sup> არიან მარჯუენისაგან საუფლოთასა.

რამეთუ ნაცვალად<sup>28</sup> ტკივილთა და ღუაწლთა, რომელნი მოითმინნეს  
 საწუთოსა ამას შინა ცხოვრებასა<sup>29</sup>, ბრწყინვალენი ნიჭნი და სიმღიდრენი  
<sup>20</sup> უხრწნელთა შუებათანი მოენიჭნეს მათ, ზეცისა სავანეთა და ფუფუნებათა  
 შინა მკვდრქმნულთა<sup>30</sup>, რომელთა ერთი არს სანატრელიცა ესე მამაჲ  
 ჩუენი და ბრწყინვალე მნათობი იოანე, რომელიცა, ვითარ ბრწყინვალე  
 რაჲმე ვარსკულავი, აღმოუბრწყინდა<sup>31</sup>, ბნელსა შინა უმეცრებისასა შეცთო-  
 მილთა<sup>32</sup> სულთა და<sup>33</sup> დაულამებელისა ნათლისა მიმართ წინამძღუარ ექმნა  
<sup>25</sup> მათ, რამეთუ კუერთხითა სარწმუნოებისაჲთა განიოტა ბოროტი მგე-  
 ლი<sup>34</sup> და ტაცებათაგან მისთა უვნებლად დაიცვა სამწყსოთა თვისი ძალითა  
 სამებისაჲთა განძლიერებულმან.

<sup>1</sup> არს—M. <sup>2</sup> ქებისთა L. <sup>3</sup> ზიარ-ქმნილთა BDFILM. <sup>4</sup> მ—F, ში L. <sup>5</sup> მოყუ-  
 არენო]მორწმუნენო M. <sup>6</sup> ვითარცა I. <sup>7</sup> მიცემად I. <sup>8</sup> ნაცვლის-ვებაჲ CFKLM. <sup>9</sup> კე-  
 თილთა—I. <sup>10</sup> ამათგანი I, ამათგანნი M. <sup>11</sup> თვისთ D. <sup>12</sup> იქმნეს ILM. <sup>13</sup> ზეცისათა  
 BFILM. <sup>14</sup> მმარბეველნი CK, და მზრახველნი M, მზრახულნი L. <sup>15</sup> ღმერთსა F.  
<sup>16</sup> შემწირველნი]ბრწყინვალენი L. <sup>17</sup> უნიეთი CK. <sup>18</sup> პირებითა]ღირებითა M,—CK.  
<sup>19</sup> სხუანი]რომელნიმე CK. <sup>20</sup> ყოველნივე L. <sup>21</sup> ყოველთაჲვე ამით კორციელთა შუება-  
 თა—CK. <sup>22</sup> და]სოფლისა CK. <sup>23</sup> და გემოთა—I. <sup>24</sup> +და CK. <sup>25</sup> ლოცვისა L. <sup>26</sup> ნაც-  
 ვლად CK, ნაცვალთა BDFILM. <sup>27</sup> მოღებულ D. <sup>28</sup> ნაცვალად CK, ნაცულად D.  
<sup>29</sup> ~ცხოვრებასა შინა CK. <sup>30</sup> ქმნილთა BDFILM. <sup>31</sup> აღმოუბრწყინდა CK. <sup>32</sup> შეცთო-  
 მილთათა D. <sup>33</sup> და—I. <sup>34</sup> მგელი]ბნელი L.

ესე ღირსი კსენებისაჲ, საკრველი და ყოვლად-ჭებული მამაჲ ჩუენი, აღმოეცენა ქუეყანისაგან<sup>1</sup> შუამდინარისა, რომელიცა-ესე ქუეყანაჲ მრავალთა მომთხრობელთა მიერ ძულელ სადგე<sup>2</sup> მყოფთა და კულად შემდგომთა მათთა<sup>3</sup> მრავლისა ქებისა<sup>4</sup> მიმთხუეულ არს იფეობისათჳს ნაყოფთა მისთაჲსა და ჰაერისათჳს კეთილისა და წყალთა ტკბილთა, კეთილად<sup>5</sup> მდიდრად მცენარეთა<sup>6</sup> აღმოდენისათჳს და უფროსლა კეთილთა და საჩინოთა მამაკაცთა გავრცობისათჳს, რომელთა მიერ უმეტესად შემკობილი მოჰადლულ არს ესევეითართა სიმდიდრეთა და დიდებთა მოგებისათჳს. ამისთჳს პირველ კსენებულისა ქუეყანისაგან<sup>7</sup> მომღებულ არს ნათესაობასა მიწიერისა მამულისასა<sup>8</sup> სანატრული ესე კაცი. ხოლო უმახლობელესი<sup>9</sup> ადგილი და<sup>10</sup> გამომღებელი დაბაჲ და სახელისა მისისა წოდებაჲ უცნაურ არს ჩუენგან; და არცა<sup>11</sup> მშობელთა მისთა ვინაობაჲ და რომელობაჲ სახელისაჲ გვსწავიეს, თჳე ვიფიქრო იყენეს და რომელთაგან შთამომავალნი. გარნა მხოლოდ ესე მოცემულ არს ჩუენდა უწინარესეჲ აღმწერელთაგან ცხოვრებისა მისისათა, ვითარედ ქუეყანით შუამდინარისაჲ<sup>12</sup> მოაქუნდა კორციელი ნათესაობაჲ ნახლობელად<sup>13</sup> ანტიოქიასა<sup>14</sup> მყოფისა რომლისაჲ დაბისაგან, აჲა შინა წილბდომილისა<sup>14</sup> შობისა და აღზრდისაჲსა<sup>15</sup> და სწავლათა მიერ და საღმრთოთა მოძღურებათა<sup>16</sup> სისრულედ მასაჲსა აღწევნულსა<sup>17</sup>. ხოლო ჩუენ უსაკუთრესი მამული ამისი ზენაჲ იერუსალიმში<sup>18</sup> უწყით და მეცნიერ ვართ, და მამაჲ ყოველთა დამბადებელი<sup>20</sup> ჯეროვნად გვსწავიეს, მამაჲ<sup>19</sup> ამის სანატრელისა მამისაჲ, რამეთუ ყოველნივე მის მიერ არარაჲსაგან<sup>20</sup> არსად მოვიყვანენით და კელთა მიერ უზრწნელთა აღვიზილენით, რათა უზრწნელებისა<sup>21</sup> ნებებელთა უკუდავი ცხოვრებაჲ და წარუვალი სუღევაჲ<sup>22</sup> დავიმკდროთ სავანეთა შინა ზეცისა<sup>23</sup> მამისათა. ესე უკუე სანატრელი სწავლულ იქმნა წურთილობითა<sup>24</sup> საღმრთოთა<sup>25</sup> წერილთაჲთა და ყოველი სიმდიდრე სულიერთა მოძღურებათა მდიდრად დაიუნჯა გულსა შინა თჳსსა. და ერთბამად მასაჲსა<sup>25</sup> აღორძინებასა<sup>26</sup> თანა ფრიალი<sup>27</sup> რადმე სათნოებათა სიმაღლე იხილვებოდა კაცისა მის თანა აღორძინებულად<sup>28</sup>, რამეთუ ფრთოვან<sup>29</sup> იქნებოდა სულითა და ყოველითურთ ქუეყანიერნი ესე და იწიად დამზიდველნი ნიფთნი, ვითარცა არა-

<sup>1</sup> ქუეყანისაგან M. <sup>2</sup> სადგე BKM]სამდგ F, სადგე L. <sup>3</sup> +მიერ CK. <sup>4</sup> მრავალსა ქებისა L. <sup>5</sup> +და FILM, კეთილად—CK. <sup>6</sup> მცენარეთა—L. <sup>7</sup> ქუეყანისაგან M. <sup>8</sup> მამულისა L. <sup>9</sup> +ესე CK. <sup>10</sup> და—L. <sup>11</sup> არცა L. <sup>12</sup> შუამდინარით I, შუამდინარისად DL. <sup>13</sup> მახლობელად]მხოლოდითად M. <sup>14</sup> ანტიოქის L, ანტიოქიას I. <sup>15</sup> წილ-ხლობისა CK, წილ-ხლობისა D. <sup>16</sup> აღზრდისა L. <sup>17</sup> მოძღურებათა]მძღავრებათა M. <sup>18</sup> აღწევნულსა LM. <sup>19</sup> იერუსალიმში I, იერუსალიმი LM. <sup>20</sup> მამაჲ—I. <sup>21</sup> არარაჲსაგან M. <sup>22</sup> უზრწნელებისა—CK, უზრწნელობისა M. <sup>23</sup> სუღევაჲ—L. <sup>24</sup> ზეციერთა CK. <sup>25</sup> წურთილობითა BCFILM. <sup>26</sup> მასაჲსა M. <sup>27</sup> აღორძინებასა M. <sup>28</sup> ფრიალ L. <sup>29</sup> აღორძინებაჲ BDFILM. <sup>30</sup> ფრთოვან]ფარულად CK.

რანი<sup>1</sup>, შეერაცხნეს<sup>2</sup>, ვინაჲ ერთგზის დამღებელი კელისა ერქუანსა ზედა ანელ მყოფელსა სულთასა მიუქცეველ იყო მართლ უკუნ, რამეთუ მო-  
შიშება, ნუსადა შებრკოლებისა ლოღსა წარკეთნეს სასუფეველისა და  
ღმრთისა მიმართნი<sup>3</sup> სლვანი.

5 ესრეთ სრულ იქმნა რაჲ ყოვლათა წურთილებითა, და ფრიადი სიმდი-  
დრე სწავლულებისა შეუკრიბა თავსა თვსსა, შეაშურვა<sup>4</sup> შური უფლასაჲ  
წინა-ალრჩევითა<sup>5</sup> მონაზონებრივისა სახისაჲთა. და ესე მერმეცა ყრმებრივისა  
ჰასაკსა შინა მყოფმან, გარნა<sup>6</sup> მკცოვანმან და ფრიადმან გონებისა სიმა-  
ხვლითა, რამეთუ<sup>7</sup> ესწავა მეტყუელისა, ვითარმედ: მხოლო ვარი მე,  
10 ვიდრემლის თანა-წარგვკდე. ამისთვისცა მარტოებით<sup>8</sup> ენება მონებაჲ მხო-  
ლომსა<sup>9</sup>, რათა არა თანა-შეკრული მსოფლიოთა ზრუნვათა თანა-შეულ-  
ღვითა დღესაკისაჲთა დაიყენებოდის მოსწარავებით მსახურებაჲ<sup>10</sup> უფლი-  
საჲ<sup>11</sup>, ვინაჲცა „გიხაროღენსა“ მეტყუელი სოფლისა და მსოფლიოთა<sup>12</sup>  
ყოველთა მიმართ, მორბედ იყო შემდგომად<sup>13</sup> კელსა უფლისასა<sup>14</sup> არა<sup>15</sup>  
15 ქუეყნიერთა ნიეთთაგან დამძიმებულთა, რამეთუ<sup>16</sup> დღითი-დღე გამოიძარ-  
ცუებოდა შრომათა მიმართ მოღუაწებისათა მარხვისა და მღვძარებისა  
შემტკობებელი<sup>17</sup>.

ხოლო სიმდაბლე ესეოდენი<sup>18</sup> იხილვებოდა საღმრთოჲსა ამის<sup>19</sup> მამა-  
კაცისა თანა, ვიდრეღა ყოვლითურთ არარად შეერაცხა<sup>20</sup> თავი თვისი მე-  
20 ტყუელსა: მე მატლ ვარ და<sup>21</sup> არა კაც, და თანად საყუედრელ კაცთა.  
ხოლო სიმშვედ რაბამი, რამეთუ ყოვლად ურისხულ<sup>22</sup> იყო, რომლისა<sup>23</sup>  
მიმართ მოშურნე<sup>24</sup> მშვლთათვს განშზაღებულსა ქუეყანასა დამკვდრებად,  
ხოლო რისხვაჲ მხოლოდ ბოროტთ-დასაბამისა ეშმაკისა მიმართ მოევო,  
ვითარ მისა მიმართ მხოლოდ ბრძოლად<sup>25</sup> და წინა-განწყობად ბრძანე-  
25 ბულსა<sup>26</sup> და არა მსგავსთა თვსთა კაცთა მიმართ. ამის თანა წყაროჲ  
ცრეპლთაჲ დაუწყუედელი მარადის გარდამოსდინ<sup>27</sup> თუალთა მისთა<sup>28</sup> და  
დღე და ღამე დაალტობნ სარეცელსა თვსსა ცრეპლითა და განჰბან მას  
ნაკადულითა<sup>29</sup>, თუალთაგან ჩამომდინართა<sup>30</sup>, წინამსწარმეტყუელი-  
საებრ<sup>31</sup> მეტყუელსა: და ევედრებინ უჯალსა, რათა მძლედ კორცთა  
30 მძლავრებისა გამოაჩინოს, რომელნი მრავლად მიზიდვენ<sup>32</sup> სულსა მიწიერთა

<sup>1</sup> არა რანი|არა რომელი L. <sup>2</sup> შეერაცხნეს K, შეკრაცხნეს M. <sup>3</sup> მიმართ BFIM.

<sup>4</sup> შეაშურა I. <sup>5</sup> წინაალრჩევითა|ალრჩევითა I. <sup>6</sup> გარნა|გარე M. <sup>7</sup> რამეთუ—BDFIM.

<sup>8</sup> მარტოებით CK. <sup>9</sup> +მხოლომსა L. <sup>10</sup> მსახურებად BCFIKLM. <sup>11</sup> უფლისა F. <sup>12</sup> მსო-

ფლიოსა K. <sup>13</sup> შემდგომად BLM. <sup>14</sup> კელთა უფლისათა L. <sup>15</sup> +რომელთა CKL.

<sup>16</sup> რამეთუ—CK. <sup>17</sup> მარხვისა და მღვძარებისა შემტკობებელი—L. <sup>18</sup> ესოდენი CKLM.

<sup>19</sup> ამის|ამას M. <sup>20</sup> შეერაცხა M. <sup>21</sup> და—M. <sup>22</sup> ურისხულ I. <sup>23</sup> რომლისაჲ C. <sup>24</sup> მო-

სურნე L. <sup>25</sup> მბრძოლად K. <sup>26</sup> ბრძანებულსა|ბრძოლასა CK. <sup>27</sup> გარსმოსდინ K. <sup>28</sup> მის-

თა—K. <sup>29</sup> მკელთა I. <sup>30</sup> შამომდინართა CKL. <sup>31</sup> წინამსწარმეტყუელებისაებრ L.

<sup>32</sup> მიზიდვენ BFIKLM.

და ზრქელთა ვნებათა მიმართ, და ესე ჰასაკსა შინა სიჭაბუკისასა, ვითარ  
მაშინ მარჯუელ ორღანოდ ქონებითა სხეულისადათა ვნებათა მიმართ.

ესრეთ სამარადისოდასა ლოცვისა და ვედრებისა მიერ სირცხვლეულ-  
ნი მართლუკუნ აქცივნა მტერნი, რამეთუ შეიწყნარა უფალმან ლოცვაჲ  
მისი და საძლეველნი მოიხუნა მბრძოლთა ზედა ძლევისა აღმადგინებელ-  
მან. და<sup>1</sup> დამცხრობელი<sup>2</sup> კორციელთა გულის-თქუმათა და ვნებათა გან-  
კაფითა<sup>3</sup> და შეიწრებითა სხეულისადათა აღმადგინებოდა დღითი-დღე სათ-  
ნობებათა სიმწუერვალისა მიმართ.

და მადლი სასწაულთა სრულქმნისაჲ მოენიჭა მას ღმრთისა მიერ  
და შორიელთა საქმეთა, ვითარცა მახლობელთა, ზედვიდა, რამეთუ ესევენი<sup>10</sup>  
თართა მადლთა მიერ შეამკო ღმერთმან მონაჲ თვისი, რომელი ჰყოფს  
ნებასა მოშიშთა მისთასა. და მსგავსად ვარსკულავისა ბრწყინვალისა აღ-  
სრულებითა ძალთა და სასწაულთადათა ელვარე ყო<sup>4</sup> მბრწყინავი სული-  
თა და ცისკროვანი გონებითა, რამეთუ თითო-სახეთაგან<sup>5</sup> სენთა შეპყრო-  
ბილნი კურნებასა მრჩობლ კერძოსა მიემთხუროდეს ამის მიერ, ვინაჲთგან<sup>15</sup>  
ბრმათა ნათელი მიემადლებოდა და სნეულთა სიმრთელე, და ეშმაკისა<sup>6</sup>  
მიერ ტანჯულთა თავისუფალქმნაჲ<sup>7</sup> მძლავრებისაგან მისისა.

ესევეთარნი რაჲ საკვრველებანი აღსრულებოდეს მის მიერ, მოვი-  
დეს მისა<sup>8</sup> ყოვლით კერძო ხილვად და კურთხევისა მიღებად მისგან,  
რამეთუ განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა<sup>9</sup> მას ქუეყანასა ასურეთისასა<sup>20</sup>  
სასწაულთათჳს და ნიშთა, რომელნი მონიჭებულ იყვნეს მისა ღმრთისა  
მიერ.

ამას შინა რაჲ წარკდეს ეჲმნი რაოდენნიმე, სთნდა წმიდასა და  
ღირსსა მამასა იოანეს წარსლვაჲ მიერ ადგილით, რამეთუ ევლტოდა<sup>25</sup>  
იგი კაცთამიერსა დიდებასა, რომელი ფრიად მავნებელ ექმნების მრავალთა  
და შეაკეთუნებს მათ გზისაგან საღმრთოდასა და მოხრებლად<sup>10</sup> წარწყმედისა  
შთაიყვანებს, ვითარ-იგი ძუელ ოდესმე ზუავიცა იგი და ამპარტავანი, სი-  
ლღით მოქადული დადგმასა საყდართასა ღრუბელთა ზედა, ამპარტავა-  
ნებისა ძლით ბნელთა შინა უღრმესთა ჯოჯოხეთისათა შთავრდომილ იქმ-  
ნა. ამას ბოროტსა ვნებასა, ვითარცა მაკუდინებელსა რომელსამე გესლსა<sup>30</sup>  
განმკდელი, განიოტებდა.

და აღმზუმელი<sup>11</sup> ფრთეთა სულიერთა წარივლტოდა უდაბნოდ გან-  
სუენებისად რომელთამე თანა მოწაფეთა მისთა, რათა მხოლოდ საღმრთო-

<sup>1</sup> და—I. <sup>2</sup> დამაცხრობელი BDFM. <sup>3</sup> განკაფითა I, განმკაფითა M. <sup>4</sup> ჰყო M.  
<sup>5</sup> თითო სახეთაგან F. <sup>6</sup> ეშმაკთა I. <sup>7</sup> ქმნაჲ|იქმნა FI. <sup>8</sup> მისსა IM. <sup>9</sup> ყოველსა|ქამ-  
სა I. <sup>10</sup> მოხრებლადმი C, მოხრებლადმი K. <sup>11</sup> ამზუმელი C, ამზუმელი K, აღმ-  
ზუმელი DFM.





თათს მოცალექნულსა<sup>1</sup> შემოკრებულად<sup>2</sup> აქუნდეს გონება: წურთად  
 და კმნად მათდა, რომელნი აღასუბუქებენ<sup>3</sup> სულსა ჯორციელთა ამით  
 ვნებათაგან. ვინაჲცა<sup>4</sup> უდაბნოდ მიწვეწული<sup>5</sup> და ქუაბსა<sup>6</sup> მიმთხუეული<sup>7</sup>  
 მუნ მყუდროებით დაადგრა მას შინა მოწაფეთა თვსთა<sup>8</sup> თანა ლოცვისა  
 5 და ჩარხვისა მიმართ განკრძალული და ყოველთავე საღმრთოთა მცნება-  
 თა აღსრულებად მოსწრაფე. ხოლო ადგილი იგი მრავალთა<sup>9</sup> ყამთა შინა  
 მიფარულ იქმნა და არავინ უწყოდა სანახებთა მათ მიმართ წარსლვად  
 წმიდისა, დაღაცათუ<sup>10</sup> მრავლად სურვიელ იყვნეს პოვნასა სასურველისა<sup>11</sup>  
 სულთა და ჯორცთა მკურნალისა მამისა<sup>12</sup>. გარნა ვერ შემძლებელ იყვნეს<sup>13</sup>  
 10 ივინი<sup>14</sup> მიმთხუევისა საქიებელისა, რამეთუ მოწაფენი მისნი, ფარულად  
 წარსრულნი ჭალაქად, მოიყიდიან<sup>15</sup> საზრდელსა<sup>16</sup> კელთ-საქმრისა<sup>17</sup> მათი-  
 სა მიერ, და კუალად<sup>18</sup> ფარულად უკმოქცეულთა მოძღურისა მიმართ  
 საქმედ აქუნდეს დაუცადებელი ლოცვა და ვედრება უფლისა<sup>19</sup> მსგავ-  
 სად მასწავლევისა მათისა. და ამას კუალად კელთ-საქმარი ენაცვალეზო-  
 15 დის<sup>20</sup> და მღუმრიადი<sup>21</sup> ენისა მიერ ზრახვად მაღლოვნებით<sup>22</sup> ღმრთისა მი-  
 მართ, რათა<sup>23</sup> ყოვლითურთ არა<sup>24</sup> მიეცეს სხეულსა განსუენება უქმობისა  
 მიერ კელთაჲსა, რამეთუ აუცნიერ იყნეს მოციქულისა, ვითარმედ:  
 კელთა ამით მსახურეს<sup>25</sup> მე და ჩემთანათა\*.

არამედ არა ენება ღმერთსა დაფარვად ესევეითარისა მაჲაკისაჲ  
 20 უმეცრებასა შინა, ვინაჲთგან „არცა აღანთიან<sup>26</sup> სანთელი<sup>27</sup> და დადგიან<sup>28</sup>  
 ქუეშე კვირისა<sup>29</sup>, არამედ სასანთლესა ზედა, რათა ნათობდეს იგი ყო-  
 ველთა“\*\*. რამეთუ გამოუცხადა წმიდაჲ ესე თვისი მეძიებელთა და მო-  
 სურნეთა პოვნისა მისისათა და საუნჯე დაფარული მიეცა მოქენეთა გან-  
 მდიდრებისათა, ვინაჲთგან საღმრთოთა სურვილითა აღძრულნი ვიეთნი-  
 25 მე<sup>30</sup> და ყოვლით კერძო ძიებისა მოქმედნი არა კუებულ იქმნეს<sup>31</sup> სასო-  
 ვებისაგან, არამედ მიემთხვენეს<sup>32</sup> საწადელსა მათსა ღმრთისა მიერ საჩინო-  
 ქმნითა მონისა თვისისაჲთა სარგებელად მრავალთა. ვინაჲ კუალად სიმრავ-

\* შტრ. საქმე 20,34. \*\* მათე 5,15.

1 კმნითა I. 2 შემოკლებად I. 3 აღსრულებენ M. 4 ვინაჲცა[ვინათგან BFI,  
 ვინადგან M. 5 მიწვეწილი FI, მიწვეწული B. 6 ქუაბთა I. 7 მიმთხუელი[მიწვეწულ-  
 ნი DM. 8 მისთა I. 9 მრავალ M. 10 დაღაცათუ BIM. 11 სასურველისა I, საქვრველი-  
 სა L. 12 მამისასა CK. 13 იყვნეს CK. 14 ივინი—BIKM. 15 მოიყიდიან K. 16 საზრდელ-  
 სა—BFI. 17 კელთ-საქმისა I. 18 წარსრულნი ჭალაქად... და კუალად—M. 19 უფლის  
 M. 20 ენაცვალეზოდის CM. 21 მღუმრიადი BFI, მღუმრად M. 22 მაღლოვნობითა CK.  
 23 რათა—D. 24 არა—CK. 25 მსახურეს BK. 26 აღანთიან F. 27 ნათელი M, აღან-  
 თიან სანთელი D. 28 დადგინ CK, დადგინ+იგი L. 29 კვირისა K, კვიმრისა I.  
 30 აღძრული ვიეთნიმე[აღძრულნივე BFIM, აღძრულნიმე D. 31 იქმნეს I. 32 მიემთხ-  
 ვნეს DF.

ლე ურიცხვ შეკრებობადა მისა მიმართ, სურვიელი სმენად სიტყუთა მისთა და მოძღურებათა. და სნეულნი, მპოვნელნი მკურნალისანი, ცხედრითა<sup>1</sup> ზე ტვრთულნი, მიიყვანებოდეს მისა მიმართ, და თანად ეშმაკთა მიერ და რომელთავე<sup>2</sup> ვნებათა მძლავრებულნი ამის ყოვლად ღირსისა მამისა მიმართ<sup>3</sup>, მოსწრაფებით და სარწმუნოებით მქონებელ იყვნეს სრბა-  
სა, ვინაჲ<sup>4</sup> მიემთხუოდესცა სრულიადსა კურნებასა ლოცვითა ამის წმიდისაჲთა, რამეთუ ყოველთავე ვნებულებისაგან უვნებლობაჲ მიენიჭებოდა<sup>5</sup> და უძღურებისაგან ძლიერებაჲ მსწრაფლი<sup>6</sup> მიენიჭებოდა<sup>7</sup>.

და სასწაულთა და ნიშთა სიმრავლე რომელთავე ვნებულებისა მქონებელთა ზედა აღესრულებოდა ამის ღირსისა მამისა მიერ, რომელთა  
აღწერა<sup>8</sup> თითოეულად<sup>9</sup> შეუძლებელ არს.

2. ხოლო ვინაჲთგან ევლტოდა<sup>10</sup> იგი პატივითა და უფროჲსდა პატივისამიერთა<sup>11</sup>\* შდოთთა სოფლისათა, განიზრახა უცხოთა ქუეყანათა მიმართ წარსლვაჲ, სადა-იგი უმეცრებასა მისსა მქონებელ იყვნენ ყოველნი, რათა ესრეთ სადამე<sup>12</sup> შეუძლოს მარტოებით დაყუდებაჲ.

ამისთვისცა ეტყოდა<sup>13</sup> მოწაფეთა თვისთა, რომელნი შედგომილ იყვნეს მის თანა<sup>14</sup>: ძმანო, უკუეთუ იწებოს ღმერთმან, მეგულების წარსლვაჲ უცხოთა ადგილთა მიმართ, რათა მცირედთა ამათ<sup>15</sup> ნეშტთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა უცხოებისა ამის და მწირობისა სოფელსა შინა რუდუნებით და მარტოებით ვიყოფოდინ<sup>16</sup>, რამეთუ ვითარ აღმოვიკითხავთ,  
მსხემ<sup>17</sup> და წარმავალ ვართ ყოველნი, ვითარცა და<sup>18</sup> მამანი<sup>19</sup> ჩუენნი. ხოლო თქუენ, საყუარელნი შევილნი ჩემნი, დაადგერით<sup>20</sup> ამას უდაბნოსა შინა, განკრძალულნი ყოველთავე სივერავეთა მიმართ ბოროტისათა, და ლოცვასა ჰყოფდით ჩემთვისცა ღმრთისა მიმართ<sup>21</sup>, რათა წარმიძლუეს გზათა მიმართ სათნოთა მისთა და მოუძღურებულად<sup>22</sup> ეგნენ ალაგნი ჩემნი.

ხოლო ქეშმა რიტად მოწაფეთა ქეშმარტისა მოძღურისა და მასწავლელისათა<sup>23</sup> ესა რაჲ<sup>24</sup> სიტყუაჲ ესე<sup>25</sup> ბერისაგან, ერთკმობით<sup>26</sup> მიუგეს ყოველთა: ცხოველ არს უფალი<sup>27</sup> და ცხოველ არს სული შენი, არასადა

\* აქედან იწყება E ხელნაწერი.

<sup>1</sup> ცხედრითა BCK. <sup>2</sup> რომელთავე FM. <sup>3</sup> მიმართ] მიერ M. <sup>4</sup> ვინ M. <sup>5</sup> მიენიჭებოდა] მიეცემოდა IM. <sup>6</sup> მსწრაფი BDFM. <sup>7</sup> მიეცემოდა B. <sup>8</sup> აღწერად CK. <sup>9</sup> თითოეულად BCKM. <sup>10</sup> ევლტოდა I. <sup>11</sup> მიერთა] მიერ CK. <sup>12</sup> სადმე CK. <sup>13</sup> ეტყოდეს F. <sup>14</sup> მის თანა] მისთვის BCDEFIKLM. <sup>15</sup> ამათ] მათ CK. <sup>16</sup> ვიყოფოდეს BDEFIKM. <sup>17</sup> მსხემ M. <sup>18</sup> და—I. <sup>19</sup> მამანიცა CDK. <sup>20</sup> დაადგერით M. <sup>21</sup> მიმართ] მიერ CK. <sup>22</sup> მოუძღურებულად I, მოუძღურებულად F, მოუძღურებულად M. <sup>23</sup> მსწავლელისათა CDK. <sup>24</sup> რაჲ] რათა M. <sup>25</sup> ~ესე სიტყუა M. <sup>26</sup> ერთკმობით] ესრეთ კმობით L. <sup>27</sup> უფალი] ღმერთი BIM.

განგიტეთ შენ მარტოჲ, არამედ ჩუენცა წარმოვიდეთ შენ თანა, ვიდრე-  
ცა ხვლოდი-ცხოვრებად გინა სიკუდილად, რამეთუ შენ გიცით წინამძღუ-  
რად და მომრწყუელად და განმაპოხებელად სულთა ჩუენთა სწავლათა  
მიერ საღმრთოთა, რომელნი აღმოდინ პირით შენით და ლოცვათა შენ-  
5 თა მიერ<sup>1</sup> ვსასოებთ მიმთხუევესა ღმრთისა სახიერისასა.

ესევეითარითა რაჲ სიყუარულითა მისითა<sup>2</sup> შეკრულად ხედვიდა სა-  
ნატრელი იოანე მოწაფეთა თვისთა, უწჳამა მათ მის<sup>3</sup> თანა წარსლვაჲ, სა-  
დაცა უფალი მიუძღლეს მათ ნავთსაყუდელად ნებისა თვისისა.

3. და ესრეთ დამტევებელი ქუეყანისა და მამულისა თვისისა, ვითარ  
10 სხუაჲ ვინმე აბრაჰამ, საუფლოჲსა კმისა მიერ<sup>4</sup> წოდებული, ქუეყანად  
ქართლისა მოიწია, უპირატესისა მიმართ მაშინ სხუათა ქალაქთასა მცხე-  
თისა დედაქალაქად. და შესრულმან წინაშე განმაცხოველებელისა სუეტი-  
სა, ერთბამად მოწაფეთა თვისთა თანა თყუანი[ს]-სცა უფალსა, დავრდო-  
მილმან<sup>5</sup> იატაკსა ზედა და ცრემლთა მიერ დამალტობელმან მიწისამან და  
15 მიმყოვრებულად<sup>6</sup> ვედრებათა შემწირველმან სახიერისა და ტკბილისა მეუ-  
ფისა. ხოლო პირველ ვსენებული<sup>7</sup> ესე პატიოსანი<sup>8</sup> სუეტი ზე ჰაერთა ში-  
ნა შთამოკიდებულ არს უხილავად საღმრთოჲთა წამის-ყოფითა, რამეთუ  
მოსწრაფე იყენეს მეფისა მირიანის<sup>9</sup> ზე აღმართებასა დიდებულისა ამის  
სუეტისასა. ვერ შემძლებელთა აღმართებად დაუტევეს იგი და წარვიდეს,  
20 ვითარ ყოვლითურთ უსასოქმნილთა აღმართებისა მისისათა<sup>10</sup>.

ხოლო ლოცვითა და ვედრებითა ღირსისა დედისა ჩუენისა ნინო<sup>11</sup>  
ქართველთა განმანათლებელისაჲთა<sup>12</sup> საღმრთოჲსა ძალისა მიერ მართლი-  
ად ჰაერსა<sup>13</sup> შინა შთამოეკიდა, ვითარ<sup>14</sup> წყრთა ერთ ოდენ, რომელიცა<sup>15</sup>  
ვიდრე აქამომდე ესრეთ მღვთმარე არს მრავალთა სასწაულთა და ნიშთა  
25 სრულყოფილი<sup>16</sup>.

ამას სუეტსა წინაშე მიწვენული<sup>17</sup>, სანატრელი იოანე ვედრებოდა  
უფალსა ცრემლით, ესრეთ მეტყუელი: მაუწყე მე<sup>18</sup>, უფალო, გზაჲ, რო-  
მელსაცა ვილოდე და მიძლოდე მე ჰეშმარიტებითა შენითა ადგილისა მი-  
მართ, რომელსა შინა სათნოდ შენდა მყუდროებით აღვასრულო ნეშტი<sup>19</sup>  
30 ეამი ცხოვრებისა ჩემისაჲ, რამეთუ სურვილითა შენითა დამიტევებიეს,  
მ მეუფეო, გამომღებელი და აღმზრდელი ჩემი<sup>20</sup> ქუეყანაჲ, ვინაჲ შენ,

<sup>1</sup> ~ მიერ შენთა CK. <sup>2</sup> მისითა]მაითთა EFLM. <sup>3</sup> მის]მათ FIM,—E. <sup>4</sup> მიერ—M.

<sup>5</sup> დავრდომილად BEFIM. <sup>6</sup> მიმყოვრებულად M. <sup>7</sup> მოცენებული L. <sup>8</sup> +ესე L. <sup>9</sup> მი-  
რიანისა CK. <sup>10</sup> მისისათა]მისისა თანა M. <sup>11</sup> ნინო]და CKL. <sup>12</sup> ქართველთა განმანათ-  
ლებელისაჲთა]განმანათლებელისა ნინოჲსითა CKL. <sup>13</sup> ჰაერთა IL. <sup>14</sup> ვითარცა I. <sup>15</sup> რო-  
მელი CK. <sup>16</sup> მყოფელი CK. <sup>17</sup> მიწვენილი IM. <sup>18</sup> მე—M. <sup>19</sup> ნეშტი]ნეტარი CK.

<sup>20</sup> ჩემსაცა CKL.

მოურნეთ ყოველთაო, იზრუნე ჩემისა უნდოებისა და მიჩუნე<sup>1</sup> მე, ვინაჲ და სადა ვილოდი სრულ ყოფად სარბიელსა<sup>2</sup> ამას<sup>3</sup> საწუთოდასა.

ხოლო ღმერთმან, რომელი არა უგულუბელს-ჰყოფს ვედრებასა მონათა თვსთასა<sup>4</sup>, უჩუენა მას მთაჲ ჩრდილოეთით კერძო მცხეთისა ქალაქისა და ჯუარისა<sup>5</sup> პატიოსნისა. და ზეესეულად კუალად თაყუანის-მცემელი და მადლობათა შემწირველი მეუფისა ქრისტესთვის<sup>6</sup> მოსწრაფებით აღვიდა თავსა მის მთისასა და იხილა რაჲ იგი, რამეთუ მარჯუე იყო მარტობით დაყუდებისათჳს<sup>7</sup> და თავისუფალ ყოველთა შფოთთაგან, ჰრქუა მოწაფეთა თვსთა: ძმანო ჩემნო<sup>8</sup>, აჲ დავემკდრებდი მე, რამეთუ მთნავს ესე, ვინაჲთგან კეთილ არს ჩუენი აჲ ყოფად. ხოლო მათ მიუგეს: პატი-<sup>10</sup>ოსანო მამო, სიტყვსაებრ შენისა, ვითარცა ვთნავს, ვგრეთ<sup>9</sup> ყავ<sup>10</sup>.

ესრეთ უდაბნოს მოყუარე ესე გურიტი, ვითარ სხუაჲ ვინმე იოანე, წინამსრბოლი სხუათა სათნოებათა, დამკვდრებულ იქმნა თავსა ზედა მისდა ჩუენებულისა მის<sup>11</sup> მთისასა. და შეეხებოდა უფიცხესთა შრომათა მოლუაწებისათა მარხვისა და ლოცვისა მიერ<sup>12</sup> სამარადისოდასა, ზე ღვომი-<sup>15</sup>სა, სრულიად დამკნობელი და მომუძღურებელი კორცთა და ყოველთა-ვე<sup>13</sup> ზედა-მოსლვათა და მანქანებათა მაცთურისა ეშმაკისათა<sup>14</sup>, უძღურითა სხეულითა ძლიერად წინა-განეწყობოდა<sup>15</sup>, რამეთუ მოუძღურებელი სხეული ძლიერ იქმნების სულითა, ხოლო გემოთა და შუებათა მიდევნებული უძღურჰყოფს სულსა და ყოვლითურთ მონად გულის-თქუმათა გამოაჩი-<sup>20</sup>ნებს. ამისთვისცა მოსწრაფე იყო საღმრთოჲ ესე<sup>16</sup> მამაკაცი განკაფისა მიერ კორცთაჲსა სულისა მონად და მსახურად<sup>17</sup> დაღვინებასა მათსა.

ესევეითარი სამკაული კათოლიკე ეკლესიისა და ქართლისა ერისა დიდი მნათობი დაამკვდრა ღმერთმან მთასა ამას ზედა, რათა მალლით მოჰფენდეს ყოველთა გარემოსთა მისთა ზედა ბრწყინვალესა ელვასა ლოცვათა<sup>18</sup> თვსთასა.<sup>25</sup> ხოლო წმიდაყო<sup>19</sup> ღმერთმან მთაჲ იგი ლოცვითა წმიდისა მის ბერისაჲთა. და ეშმაკთა სიმრავლე განიოტა მიერ აღგილით, რომელი დამკვდრებულ იყო მუნ, რამეთუ ძუელ ოდესმე წარმართთა<sup>20</sup> მიერ გოდოლი აღმართებულ იყო<sup>21</sup> მთასა მას<sup>22</sup> ზედა და ბომონი მდგომარე იყო, რომელსა ზედა საძაგელნი მსხუერპლნი უსაძაგელესთა<sup>23</sup> ეშმაკთანი აღესრულებოდდეს უსახურთა და მათ მიერ ბო-<sup>30</sup>

<sup>1</sup> მიჩუნე]მიჩინე M. <sup>2</sup> სარბელსა K. სარგებელსა M. <sup>3</sup> ამის C. <sup>4</sup> თვსთათა K. <sup>5</sup> ჯუარი F. <sup>6</sup> ქრისტესა BEFIM. <sup>7</sup> დაყუდრებისათჳს CK. <sup>8</sup> ჩემნო—M. <sup>9</sup> ვგრეთცა CL. ვგრეთცა K. <sup>10</sup> ყავს L. <sup>11</sup> მის—CKL. <sup>12</sup> +და CK. <sup>13</sup> ყოველთა I. <sup>14</sup> მაცთურისა ეშმაკისათა]მაცთურთა ეშმაკისა D. <sup>15</sup> წინა—CK. <sup>16</sup> ესე—BCDFKM. <sup>17</sup> მსახურებად F. <sup>18</sup> ლოცვათა]ცოდვითა CK. <sup>19</sup> .ყო.—C; წმიდა-ყო—K. <sup>20</sup> წარმართთა M. <sup>21</sup> +მუნ L. <sup>22</sup> ამას CDKL. <sup>23</sup> უსაძ ავლესთა M.



როტად<sup>1</sup> შეეთომილთა კაცთაგან. არამედ წყალობისა და სახიერებისა უფს-  
კრულმან ოხათა მიერ და ვედრებათა<sup>2</sup> ღმერთშემოსილისა მამისა იოანეს-  
თა<sup>3</sup> წაროტნა და განჯადნა ადგილისა მისგან სულთა მკლველნი იგი და  
ზაცთურნი კაცთანი ეშმაკნი<sup>4</sup>.

4. ხოლო ვინაჲთგან მარადის და პირველითგანვე მყუდროებით მნე-  
ბებელ იყო<sup>5</sup> ცხორებასა, რომლისა ძლით და ქუეყანაჲცა თვისი დაეტევა [და]  
გარეგან საზღვართა მამულისა და ადგილისა თვისისათა ქმნულ<sup>6</sup> იყო, სინდა  
წარვლინებაჲ მოწაფეთა თვისთაჲ, ვითარ ოდესმე მოციქულნი ქრისტესნი<sup>7</sup>  
ქადაგებად წარმართთა მიმართ სახარებასა სინანულისასა მოსატევებულად  
10 ოოდეთა, ვინაჲცა ეტყოდა მათ სიტყუთა ტკბილითა და მამობრივითა:  
„შვილო, რაჲსა სდგათ აქა და არა ზრუნავთ<sup>8</sup> სხუათაცა<sup>9</sup> სარგებელი-  
სათესუ<sup>10</sup> ანუ არა უწყითა, რამეთუ სარგებელისათეს ამის ქუეყანისა წარ-  
მოუვლინებით ჩუენ<sup>11</sup> უფალსა ჩუენსა იესუ<sup>12</sup> ქრისტესა? ვინაჲთგან, ვითარ<sup>13</sup>  
ხედავთ მერმეცა, ახალნერგ არს ქუეყანაჲ ესე და მოქნე არს მორწყვასა  
15 სწავლათა მიერ და განპოხებასა სარწმუნოებისა ძირთასა ქადაგებისა მიერ  
და მოძღურებისა მსგავსად<sup>14</sup> წმიდათა მოციქულთასა. ამისთესცა<sup>15</sup> ჯერ-  
არს, რათა წარვიდეს თითოეული<sup>16</sup> თქუენი და განამტკიცებდეს სარწმუ-  
ნობითა ზართლითა, რომელთა მიუღებდეს<sup>17</sup> ნათლის-ღებაჲ სახელისა მი-  
მართ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. ხოლო რომელნი მერმეცა  
20 უმეტრებასა და ურწმუნობასა შინა არიან, რათა ასწავებდეთ მათ<sup>18</sup> და  
მოიმოწაუებდეთ თაყუანის-ცემად უფლისა ჩუენისა იესუ<sup>19</sup> ქრისტესა.  
„და ნურასა<sup>20</sup> აღირჩევთ უფროჲს ღმრთისა სიყუარულისა. შუე-  
ბასა და უძღებებასა განეშორენით, რამეთუ გემოჲსა მიერ და საქმლისა  
განიკადა ადამ სამოთხით საშუებელისაჲთ და სიკუდილი მოატყუა ნა-  
25 შობთა თვისთა<sup>21</sup> ღმრთისა მცნებათა ურჩ ქმნითა და მრავალნი<sup>22</sup> ოფლნი<sup>23</sup>,  
ლუაწლნი და შრომანი მოაწინა შემდგომთა მისთა ზედა ერთ-გზის ხისაგან  
გემოჲს ხილვითა. და განღმრთობისა წილ სიკუდილი დაესაჯა და სამოთ-  
ხით ექსორია იქმნა. დაღაცათუ<sup>24</sup> ქრისტემან არა უგულუებელს-ყო კელთა  
თვისთა მიერ დაბადებულისა ესრეთ მიმძღავრებაჲ ეშმაკისაგან, არამედ  
30 განკაცებითა და ვნებათა სატყეფართა კაცებრ დათმენითა<sup>25</sup> გამოგვეკსნნა<sup>26</sup>  
ჩუენ ბქეთაგან სიკუდილისათა. დაღაცათუ<sup>24</sup> ზაკვთ წინა-უყო განღმრთო-

<sup>1</sup> ბოროტად—L. <sup>2</sup> ვედრებითა M. <sup>3</sup> იოანესითა B] +სრულიად CKL. <sup>4</sup> ეშმაკ-  
თანი D. <sup>5</sup> +ხოლოღ BCDEFIKLM. <sup>6</sup> ქმნულ DEFIM. <sup>7</sup> მოციქულნი ქრისტესნი]  
იესუს K, იესოს CDL. <sup>8</sup> ზრუნვით M. <sup>9</sup> სხუათა L. <sup>10</sup> სარგებელისათეს C] შესაძიენ-  
ლისათეს BEFIM. <sup>11</sup> ჩუენ—EFIM. <sup>12</sup> იესო M. <sup>13</sup> ვითარ]ვერ L. <sup>14</sup> მსგავსად—CKL.  
<sup>15</sup> ამისთეს I. <sup>16</sup> თითოეული K, თითოეული LM. <sup>17</sup> მოუღებდეს I. <sup>18</sup> მათ—BEFIM.  
<sup>19</sup> იესო M. <sup>20</sup> რასა]რარასა EFGM, რომელსა L. <sup>21</sup> თვისთა]მისთა L. <sup>22</sup> მრავალსა  
K. <sup>23</sup> +და BFHL. <sup>24</sup> დაღაცათუ]და დაღაცათუ L. <sup>25</sup> თმენითა CK. <sup>26</sup> გამოგვეკსნა BI.

მამულისა მონაგებისათა კუალად სახიერისა და ტკბილისა ყოველთა მა-  
მისა მიმართ მოქცევად და ქადაგებად ყოველთა მიმართ სახარებასა უფ-  
ლისასა და მოახლებასა ცათა სასუფეველისასა. 15

ესრეთ უკუე მიმხუმელნი ფრთეთა სულიერთანი ვიღოდეს უბიწოდ  
გზასა უფლისა სჯულთასა არამიმღებელნი ორსა სამოსელსა გზასა ზედა,  
არცა ვაშკარანსა ურჩებისასა შთადებად მას შინა რომელსავე მკონარე-  
ბასა, არამედ ვითარ მტუერსა ფერკთაგან, განიყრიდეს ყოველსავე ორგუ-  
ლებასა და უღებებასა აღსრულებად უფლისა მცნებათა. და მიიწია თჳთოე- 20  
ული მათგანი, ვინათგან მიუძღუა მათ სული წმიდაჲ.

4. ხოლო ნეტარი ესე მამა ჩუენი შიო წინაძლომითა საღმრთოასა  
მადლისაათა მივიდა აღვილსა, რომელსა აწ მღჳმე ეწოდების, დასავალით  
კერძო დედაქალაქსა მცხეთისასა, მარჯუენით მდინარესა, მტკურად წო-  
დებულსა. და პოვა მუნ ჳევი, ფრიად ღრმაჲ, უნუგეშინისცემოჲ ყოველ- 25  
თავე მიმართ საკმართა ჳორციელთა, რამეთუ უღაბნო იყო აღვილი იგი  
და ურწყულ და ნაკულევეან [23] ნუგეშინის-მცემელთა სხეულისათა,  
ვინათგან ფიცხელ არს აღვილი ესე ზაფხულის მკურვალეებისათჳს და  
შემწყუველობისა მზისა, რამეთუ განკურვებულნი გარეშემცველნი იმიერ  
და ამიერ მყოფნი კლდენი ყოვლითურთ ცეცხლ იქმნებიან და ვითარ 30  
სახედ ცეცხლისა შესწუვენ და შეაშთობენ ყოველთა მის შორის დამთ-  
ხუეულთა. ხოლო ჳამთრის მრავლად უმქინვარეს იქმნების ქართა მიერ  
და ნიაეთა სრულიად შეყინებული, რამეთუ მაშინ წყლისა ამისგან გან-  
ტევებულნი ნოტიანი და მისმიერთავე ქართაგან სიგრილესა უზომოსა მი-  
მთუალველნი ყოვლად ყინელ იქმნებიან, და ნუფხვისა მიერ დამწყუველნი 35  
რომელთავე მიმთხუეულთა მათთჳს სხეულთანი ვითარ სახედ ნერგთა, ქუე-  
ყანით აღმოცენებულთა, განჳკმობნ ფრიადისა ყინელისა მიერ.



აქა შინა პოა ყოვლად სანატრელმან ამან მამამან ქუაბი, კლდისა-  
 გან გამოკუთილი თხსავან, და სთნდა დამკვდრებაჲ მას შინა მყუდროე-  
 ბისათჳს და უშფოთველობისა მის ადგილისა რომელთავე ამბოხთავან.  
 და ესრეთ მინდობითა სასოებისა ღმრთისაჲთა სურვილით და წადიერე-  
 5 ბით შეიტებო მკვდრობაჲ ქუაბსა მას შინა, რამეთუ უგულებელს-ყო თა-  
 ვისა თჳსისა ზრუნვაჲ რომელთავე მსოფლიოთა და ჯორციელთა შუება-  
 თათჳს. და მისცა იგი იწროებათა და ქირთა, რომელთა მიერ მონად და  
 მსახურად სულისა მორჩილებად დადგინებაჲ ჯორცთაჲ შეუძლოს. ხოლო  
 სასოებაჲ თჳსი ყოველი აქუნდა ღმრთისა მიმართ და მის მიერ მოელოდა  
 10 შეწევნასა და განძლიერებასა თჳსსა ყოველთა მიმართ საფრცეთა და სი-  
 ვერაგეთა მტერისათა.

ესევეთარსა მოქალაქობასა აღმრჩეველი შეტკობად სანატრელი მა-  
 მამა შიონილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: „მ იესუ, სახიერო  
 და კაცთ-მოყუარეო, რომელი მოხუედ ქუეყანად კაცთ-მოყუარებისათჳს  
 15 კაცთა ნათესავისა და იშვე წმიდისაგან ქალწულისა და ღმრთის-მშობე-  
 ლისა, რათა აცხოვნენ შეცთომილნი ეშმაკისაგან და გამოიკსნენ მოსაენი  
 და ღმრთად ჯორცშესხმულად აღმსაარებელნი შენნი მანქანებათაგან მის-  
 თა. შენ, მეუფეო<sup>1</sup> უფალო, მომეც მე, უღირსსა ამას მონასა შენსა, მოთ-  
 მინებით დადგრომაჲ ადგილსა ამას შინა, რათა სათნოდ შენდა აღვას-  
 20 რულნე ნეშტნი ესე დღენი ცხოვრებისა ჩემისანი და ღირს მყავ მეცა სხუა-  
 თა თანავე, შენ მიერ შეწყალებულთა, ხილვად საუკუნეთა მათ კეთილთა  
 მეოხებითა ყოვლად უზრუნელითა დედოფლისა ჩუენისა, უბიწოხსა დედი-  
 სსა შენისაჲთა და დიდებულთა წმიდათა მოციქულთაჲთა<sup>2</sup> და ყოველთა  
 წმიდათა საუკუნითგან სათნო-ყოფილთა შენთაჲთა და წმიდისა მამისა  
 25 ჩუენისა იოანესითა“.

[V] ამათი მეტყუელი ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა განგრძო-  
 ბილად ლოცვისა აღმასრულებელი და მუკლთ-მოდრეკილი მადლობასა  
 შემწირველი უფლისა მიმართ მრავალთა დღეთა შინა. ხოლო ამას შინა  
 ვითარცა წარკდეს დღენი რაოდენნიმე, დაშრომილ იყო ნეტარი შიონ  
 30 ლოცვასა და მარხვასა შინა შეუოროგულებელსა, იხილა ღმერთმან გულს-  
 მოდგინებაჲ მისი და მოთმინებაჲ და ვითარ არა ჰრიდებდა ჯორცთა თჳს-  
 თა ესევეთარსა იწროებასა და ულონოებასა შინა დასჯად ნაკლულევანე-  
 ბისა მიერ ყოველთავე საჭიროთაჲსა, ვინაჲცა მანვე სახიერმან და კაცთ-  
 მოყუარემან ღმერთმან არა უგულებელს-ყო მონაჲ თჳსი, არამედ, რო-

<sup>1</sup> მფ<sup>1</sup>სო. <sup>2</sup> მოციქულთათა.

მელმან ელია ყორნისა მიერ უდაბნოს გამოზარდა\*, მან აქა დამსახურ-  
 ცა თვისი შიო, შურსა საღმრთოსა შემშურებელი, ზარდა საზრდელისა  
 მოვლინებითა, რამეთუ ტრედისა მიერ დღითი-დღე მოუვლენდის მას სა-  
 ჭიროსა ნუგეშინის-საცემელსა კორცთასა და ამას თანა წყალიცა კმა-სა-  
 ყოფელი მონიჭა მას განკმელისა კლდისაგან მარჯუენით ქუბისა კერძო, 5  
 რომელსა შინა იყოფებოდა ნეტარი. ესევეთარი რაჲ ღმრთისა მიერ მო-  
 ურნეობაჲ, მის ზედა ქმნული, იხილა წმიდამან მან, მადლობასა და ქება-  
 სა შესწირვიდა მისა, მეტყუელი: „მ უფალო დიდებისაო და ღმერთო  
 ყოვლისა ნუგეშინის-ცემისაო, იყავნ სახელი შენი კურთხეულ უკუნისა-  
 მდე და დიდ არს წყალობაჲ შენი ჩუენ ყოველთა ზედა, ვინაჲთგან კაც- 10  
 თაცა და საცხოვართა აცხოენებ შენ, უფალო, სიმრავლისაგებრ წყალობა-  
 თა შენთასა, რომელმან ჯერ-იჩინე ჩემიცა, უღირსისა ამის და უნდოჲსა,  
 ზრუნვაჲ, ვინაჲცა ყოვლისათსვე ვჰმადლობ სახიერებათა შენთა, რომე-  
 ლი არა დამიტყუებ მე, ცოდვილსა ამას და უკმარსა მონასა შენსა“.

ესრეთ ზეგარდამოჲსა მოურნეობისა მიმთხუე[უ]ლო ოსაგან იხა- 15  
 რებდა სულითა და აღიდებდა მეუფესა ყოველთასა და მფლობელსა, რო-  
 მელმან წყალობით მოხედვა ყო მის ზედა. და მიერთგან დასძინა მღვდა-  
 რებაჲ და ლოცვაჲ სხუათა თანა მოღუაწებთა, რამეთუ აგრძნობდა იგი  
 უხილავად წყობასა მისა მიმართ ბოროტთა ეშმაკთასა, ვინაჲცა განძლიე-  
 რებულ იქმნა საღმრთოჲსა ძალისაგან და მოეცა მას ძალი სულისა წმი- 20  
 დისა მიერ დათრგუნვად თავსა მზაკუეარისა გუელისასა და ზესთა  
 ქმნად ისართა და მანქანებათა მისთა. და წარიოტნა იგინი დღე ყოველ  
 ფსალმუნებითა და ზედგომითა, ლოცვითა ღმრთისა მიმართ, რამეთუ  
 პირსა შინა თვისსა მოაქუნდა სიტყუაჲ წინასწარმეტყუელისა დავითისი  
 სამარადისოდ: «უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისსა მეშინო- 25  
 დის? უფალი შესავედრებელ ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან შევეძრწუნდე...  
 აღ-თუ-დგეს ჩემ ზედა ბრძოლაჲ, ამისთვისცა მე შენ გესავ»\*\*. და კუალად:  
 «მომადგეს და მომიცვეს მე და სახელითა უფლისაჲთა ვერეოდე მათ,  
 [24] საფრტე შეიმუსრა და ჩუენ განვერენით ამათ»\*\*\*. და ესევეთართა  
 ლოცვითა ზედ-დამკმობელი ბოროტთა ეშმაკთა ძალისაჲ განიოტებდა მათ 30  
 ნიშითა საუფლოჲსა ჯუარისაჲთა, მარტოებით მყოფი და მხოლოჲ ღმრთი-  
 სა მიმართ ვალობათა და ქებათა აღმავლენელი მყუდროებით თვისაგან.

5. ხოლო ამას შინა წარკდეს რაჲ მრავალნი ეჰმნი, ინება ზეგარ-  
 დამომან განგებულეებამან გამოჩინებაჲ ბრწყინვალისა ამის სანთლისაჲ,  
 ვინაჲთგან არცა შესაძლებელ იყო ქალაქისაჲ მთასა ზედა სათნოებათასა 35  
 დაფუძნებულისაჲ ესრეთ უმეცრებასა შინა დაფარვაჲ\*\*\*\*. ამისთვისცა სა-

\* III მეფეთა 17,2—7. \*\* ფსალმ. 26, 1—3. \*\*\* ფსალმ. 117, 11. \*\*\*\* მათ. 5, 14.



სანთლესა<sup>1</sup> ზედა მაღალსა დადგმულ იქმნა მნათობი ესე ნათელი, რათა პნათობდეს იგი ყოველთა\*. და განათლდებოდნან მოძღურებათა მისთაგან სულნი მორწმუნეთანი. ამისთჳსცა მრავალ ეამ დაფარული ესე საუნჯე გამოაცხადა ღმერთმან სახითა ესევეითარითა. რამეთუ მას ეამსა შინა იყო ვინმე მამაკაცი, საჩინოჲ, მთავარი ციხედიდისაჲ, სახელით ევაგრე, შვილი ღმრთის-მსახურთა და მორწმუნეთა შშობელთაჲ, და სიყრმიით თჳსითგან ღმრთის-მსახურებასა და საღმრთოთა წერილთა წურთასა შინა აღზრდილი. ესე პირველ თქმული ევაგრე ოდესმე დღესა ერთსა განვიდა შვილთა და მონათა თჳსთა თანა<sup>2</sup> ნადირობად იმიერ მტკურისა<sup>3</sup>, სადა-  
 10 იგი იყოფებოდა ნეტარი შიო. და ვითარცა მიიწივნეს იგინი ამას ადგილსა, მიმოდინებინვნეს ყოველნი მარჯულ და მარცხლ ძიებად ნადირისა. ხოლო ევაგრე მხოლო მდგომარე იყო ერთსა ადგილსა და იქი და აქა ხედვიდა, რათა იხილოს რომელიმე მის მიერ ძიებულთა ნადირთაგანი. და განგებითა საღმრთოჲთა იხილა ტრედი იგი პირველ ქსენებული, რა-  
 15 მეთუ მიაქუნდა საზრდელი წმიდისა შიოხს მიმართ მსგავსად ჩუეულები-სა<sup>4</sup>. ხოლო ევაგრე მიხედვიდა ტრედსა მას სიმახვლით, სადა-იგი შევიდა, და იხილა ადგილი იგი და დაისწავა. ამისა შემდგომად ნადირისა კმა-სა-ყოფელისა მომნადირებელი წარვიდა სახიდ თჳსა<sup>5</sup> მზიარული.

ხოლო ზვალისა დღე კჳლად განვიდეს ნადირობად, ვითარ და უწი-  
 20 ნარესსაცა დღესა. და ვითარცა მიმოვიდოდეს სხუანი ყოველნი ძიებად ნადირისა, კჳლად ევაგრე მდგომარე იყო მახლობელად ქუაბისა მის, სადა-იგი იყოფებოდა ღირსი შიო. და აჰა ესერა ხედვიდა ტრედსა მას, რომელი ეხილვა უწინარესსა დღესა მიმღებელად საზრდელსა პირითა თჳსითა ბერისა მიმართ. ესე რაჲ იხილა ევაგრე, განცუფრებულ იყო გან-  
 25 საკრვებელსა ამას სახილავსა ზედა, ვინაჲცა შეუდგა კჳლსა ტრედისასა, რათა ცნას ზედ[ა]მიწვევით ესე, რომლისა მიზეზისათჳს მრავალ-გზის ეხილვა მის მიერ ტრედი<sup>6</sup>, მიმღებელი საზრდელისა მის ადგილისა მიმართ. ხოლო ვითარცა მიიწია, იხილა მან წმიდა იგი მჯდომარე ქუაბსა მას შინა და ლოცვი[ვ]სა აღმავლენელი ღმრთისა მიმართ. და ევაგრე უკჳმ-  
 30 განკრვებული უცხოსა ამას სახილავსა ზედა, ზარ-განკდილი, მოშიშებით იტყოდა მისა მიმართ, რამეთუ გულსკმა-ყო ღმრთისა ძლით დაყუდებჲ მისი ქუაბსა მას შინა: „ვინ ხარ და სადაჲთ, მ კაცო ღმრთისაო?“ ხოლო ბერი ეტყოდა მას: „მე კაცი ვარ უცხოჲ და ქრისტეს-მოსავი, ხოლო ვიყოფები ქუაბსა ამას შინა მცირესა განშორებული მსოფლიოთა ამბობ-

\* მათ. 5, 15.

<sup>1</sup> სასანლესა. <sup>2</sup> მონათა თჳსთა თანა] მომავალთ. <sup>3</sup> მტკურისა] და მიერ. <sup>4</sup> ჩუე-ლებისა. <sup>5</sup> თჳსსა. <sup>6</sup> ტრედი.

თავაგან, რათა მყუდრობით აღვასრულნე დღენი ცხოვრება ჩემისანი და ესრეთ უშფოთველად თანამდებსა მადლობასა და დიდების-მეტყუელებასა სრულყოფილი ყოველთა მეუფისა და უფლისა მიმართ სათნო-ვეყო ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა. ხოლო ევაგრე, მსმენელი ამათი ნეტარისა და ღირსისა შოთაგან, მხიარულ იქმნა ფრიად სულითა და იტყოდა მისა მი- 5 მართ: „ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, არასადა დავიტეო შენ ამიერითგან და არცაღა წარვიდე სახიდ ჩემდა“. ხოლო ბერი ეტყოდა მას: „ვერ ძალ-გიც, შვილო, მოთმენაჲ სიცხესა და უღონოებასა ამის ადგილისასა, რამეთუ ვითარ გამოაჩინებს სახე შენი, მრავლითა ფუფუნებითა აღზრდილსა გხედავ შენ, ვინაჲცა წარვედ სახედ შენდა სამა- 10 რადისოდ შიშსა ღმრთისასა მქონებელი გონებასა შინა შენსა, რათა დავიცივს შენ ყოველთაგან მავნებელთა სულისათა“.

და ევაგრე კჳალად მიუგებდა ბერსა: „დაღაცათუ აწვე იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არცა ესრეთ დავიტეო შენ, ღმერთ-შემოსილო მამო, არამედ აქა დავადგრე შენ წინაშე და შენ თანა ძვრხილულობაჲ და 15 იწროებაჲ ყოველივე აღვირჩიო, ვიდრეღა უკუნ-ქცევაჲ კჳალად მსოფლიოთა მიმართ შუებათა და განსუენებათა, რომელნი მრავალთა შფოთთა მიერ აღსაესე არიან“.

ხოლო ვითარცა იხილა წმიდამან შიო სიმტკიცე გონებისა მისისაჲ, თქუა ევაგრეს მიმართ: „აწ უკუე, ვინაჲთგან ესრეთ შეგიყუარებიეს უღაბ- 20 ნოჲ და ღმრთისათჳს იწროებით ცხოვრებაჲ, მერჩიდი მე, ყოველივე რაჲცა გრქუა შენ“. და ევაგრე მიუგო: „ყოველი რომელი მიბრძანოს სიწმიდემან შენმან, მხიარულებით ვყო და შევიწყნარო იგი სიტყუაებრ შენისა“. ხოლო ბერმან მისცა მას კუერთხი თჳსი, რომელი აქუნდის კელთა მისთა და პრქუა: „წარვედ, შვილო, და წარიდე ესე და მი-რაჲ-ხედ 25 მტკუარსა ზედა, შთაყვ ეგე წყალსა შინა და შეწეენითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა გზა-გცემს შენ მდინარე იგი და წილ-ჰკდე<sup>1</sup> გმელად, და მისრულმან სახიდ თჳსად, განაგე ყოველივე საცხოვრებელი შენი, ვითარცა ღმერთსა სთნდეს, და კჳალად უკ-მოიქეც ჩემდავე. ხოლო მოიწიო რაჲ მდინარესა ზედა, მსგავსად პირველისა კჳალად შთაყვ კუერ- 30 თხი ესე ჩემი მას შინა და, უკუეთუ გზა-გცეს, მოვე[ლ] ჩემდა მომართ მოსწრაფებით, რამეთუ ნებაჲ არს ღმრთისაჲ, ხოლო უკუეთუ არა განიპოს და არცა ერჩდეს ამას კუერთხსა არა გზა-მყოფელი შორის მისსა, უკუნ-იქეც სახიდ თჳსად, ვინაჲთგან მტკიცედ უწყოდე, არა [25] სთნავს ღმერთსა კელ-ყოფაჲ ეგე შენი“.

მაშინ ევაგრეს დაღაცათუ მძლე უჩნდა სიტყუაჲ იგი წმიდისაჲ ყოველითურთ დატევებისათჳს და განშორებისა რაოდენადცა<sup>2</sup> ღირსისაგან, 35

<sup>1</sup> წილჰკდე. <sup>2</sup> რაომენადცა.





არამედ ვგრეთცა მორჩილ ექმნა ბრძანებასა მისსა ფიცთა დასარწმუნებელთა მიმღებელი მისგან, რათა არა ივლტოდის მიერ ადგილით, რამეთუ იტყოდა გონებასა შინა თვისსა ევაგრე: „ნუსადა ჩემ ძლით დაუტეოს ადგილი ესე, რომელსა შეურაცხ-უქმნიან ყოველნი შფოთნი ქუეყანისანი და აჟა შინა მარტოებით და იწროებით აღურჩევიეს ცხოვრება შორს კაცთაგან და ყოველთავე ამბოხთა სოფლისათა“. ამისთვისცა ფიცით მიიღო სიმტკიცე ბერისაგან, რათა დაადგრეს მას ადგილსა ვიდრე უკუნ-ქევეამდე მისა. ხოლო წმიდამან აღთქმით დაარწმუნა არასადა წარსლვამ, ვიდრე მიწვენადმდე მისდა. და ესრეთ კურთხისა თანა კურთხევასა ბერისასა მიმღებელი ევაგრე წარვიდა აღსრულებად ბრძანებულისა. და ვითარ მიიწია მდინარესა ზედა, შთაყო კურთხი იგი მას შინა, ვითარცა მცნებულ იყო მისთვის ბერისაგან და, შ საკრველი, მეყსეულად მდინარე ესე დიდი, რომელსა ყოველნი მეცნიერ ხართ, განიბო საშუალ შეკიდებულნი განკმელისა კურთხისაგან და გზა-სცა ევაგრეს დაულტოლველითა ფერჯითა სლვად მას შინა.

ხოლო ვითარცა მივიდა სახილ მისა, განაგო ყოველივე საცხოვრებელი თვისი, ვითარცა ემცნო მისთვის ბერსა და «გიხაროდენსა» დამტევებელი ნათესავთა და სოფლისა, მოსწრაფე იყო ვითარ სხუად ვინმე ლოთ სეგორს, მონისა ღმრთისა, მიწვენად მიმართ არღარა მიმხედველი გონებითა და თუალითა სოფლადმი, რამეთუ მოშიშებდა, ნუსადა მართლუკუნ მხედველი არა წარმართებულ იქმნეს სასუფეველისა მიმართ ცათაჲსა, ვითარ ძეგლ მარილისად შეყინებული მიწიერთა და სოდომებრთა ცნობავნებულებათათს\*, ვინაჲცა მალიად მქონებელ იყო მალიად სლვასა კიდედმი მდინარისა კელთა შინა მქონებელი კურთხისა ბერისაჲსა. და მსგავსად პირველისა შთაყო წყალსა მას შინა კურთხი იგი ღირსისა<sup>2</sup> შიოსი და კუალად გზა-სცა წყალმან მან, ფრიად დიდმან და საზარელმან.

ესე სასწაული მრავლად შეესწორების მოსეს კურთხისა მიერ ქმნილსა სასწაულსა, რამეთუ დადაცათუ მუნ ღმერთი იყო მბრძანებელი და წინასწარმეტყუელთა უპირატესი ღმრთის-მხილველი მოსე<sup>3</sup> ბრძანებული მსახური საღმრთოთა დიდებისაჲ, არამედ აჟა მადლით განღმრთობილი სულისა წმიდისა მიერ, მსახური და მონაჲ ღმრთისაჲ, შიო იყო მბრძანებელი ახლისა ამის მოსესი, რომელმან კურთხისა ცემითა განიყვანა ისრაელი, გონებაჲ თვისი, ყოველთავე ქუეყნიერთა ზრუნვათაგან ხედვად ღმრთისა მიმართ. ხოლო გარდამქცევლნი, შემაწუხებელნი სულისანი, ბოროტნი გულის-სიტყუანი დაანთქნა [V] სიღრმეთა შინა დავიწყებისათა და ყოველიურთ დაფარნა ივინი სამმოქცევთა შინა მდინარებრთა ცრემლთა ნაკადულისასა.

\* შესკმ. 19, 22—26.

<sup>1</sup> ღირსისა.

ესევეთარი კანდიერება მოელო ღმრთისაგან საკუთარსა მონასა მისსა სანატრელსა შიოს, რამეთუ განკმეღისაცა ჟუერთხისა მიერ მხოლოდ ბრძანებით სხუათა მიერ აღვრ-ასხმიდა ბუნებასა წყალთასა და შორის მათსა გზასა გარეშე ჩუეულებისა კმელსა დასდებდა, რამეთუ ესევეთართა სასწაულთა მიერ უწყის ღმერთმან შემკობაჲ მსახურისა 5 თვისისაჲ, ვინაჲცა ვისწრაფოთ ჩუენ სიწმიდისა მიერ და კრძალულებისა სათნო-ყოფაჲ ღმრთისაჲ, რათა მოვიღოთ მადლი საუკუნეთა კეთილთა მიმთხუევისაჲ.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ.

ესრეთ საღმრთოჲსა სურვილისა მიერ აღძრული ევაგრე ღირსა, 10 ვითარცა მოიწია წინაშე ბერისა, ყოველსავე ბრძანებასა მისსა სრულმყოფელი, თქუა წმიდისა მიმართ: „წმიდაო მამაო, ვითარცა მიბრძანე, ყოველივე ეგრეცა ვყავ, და აწ ესერა მოსრულ ვარ წინაშე სიწმიდისა შენისა კუალად მორჩილებით სრულ ქმნად, რომელიცა რაჲვე მიბრძანო“.

16

ხოლო წმიდამან შიო მიუგო მას: „კეთილ მორჩილებისა შენისა, შეილო, და უფალმან ღმერთმან განგაძლიერენ და მოგეცინ შენ ძალი მოწიენადთავე<sup>1</sup> შემთხუევათა შენდა და განზრახვათა და ქირთა მტერისათა მოწიენულთა; ამიერიდგან განეკრძალე ყოვლით კერძო და მღვდარე იყავ, რამეთუ მრავალ-მანქანა არს ბოროტი ეშმაკი და ის- 20 წრაფის შებრკოლებასა ჩუენსა გზათაგან საღმრთოთა, ნუსადა შენცა დაგირწყუას მახე და შთასთესნეს კეთილსა იფქლსა შინა გონებისა შენისასა ბოროტნი ღუარძლნი კუალად სოფლადმი უკუნ-ქცივისანი“.

6. ესევეთართა და მსგავსთა ამისთა სიტყუათა მიერ განამტკიცა 25 ევაგრე ღირსმან შიო და ასწავა მას, ვითარ ჯერ-არს წინა-განწყობაჲ ღონეთა მიმართ და ძმაცუვათა მბრძოლისა ჩუენისა ეშმაკისათა. ამისსა შემდგომად წარგდეს რაჲ მცირედნი ღღენი, ჰრქუა წმიდამან შიო ევაგრეს მიმართ: „შეილო ევაგრე, უწყოდე, ვითარმედ ამიერითგან განმრავლებად არიან ძმანი აღვილსა ამას შინა, რამეთუ უდაბნოჲ ესე, 30 უნაყოფოჲ და ბერწი, სათნოთა ღმრთისა შეილთაგან მრავლად შევილიერ იქმნეს აქა შემოკრებულთა მოლუაწეთაგან, ვინაჲცა გვღირს ჩუენ აღმართებაჲ ეკლესიისაჲ, სადაცა-იგი სთნდეს უფალსა და ჯერიჩინოს. ხოლო ევაგრე მიუგო მას: „ვითარცა ჰბრძანო, წმიდაო მამაო, ეგრეცა ვყოთ, რამეთუ შენ სწავლაჲ, ხოლო ჩუენ მორჩილებაჲ თანა- 35 გუაჲ“.

<sup>1</sup> მოწიენადთავე.



მაშინ აღვიდეს ქედსა მას ზედა, რომლისა ძირსა მჯდომარე იყო ქუაბსა შინა ნეტარი შიო, მოლუაწებრივსა ცხოვრებასა მქონებელი, და მომდრეკელთა თავისათა ილოცეს მუნ ერთბამად გულათა მხურვალითა და ევედრებოდეს უფალსა, რათა უჩუენოს მათ ადგილ[ი], რომელსა ზედა აღ[26]ჰმართონ ტაძარი დიდებისა მისისაჲ ქების-მეტყუელე-  
 5 ბათა და გალობათა შეწირვად დიდებულისა სახელისა მისისა. და შემდგომად მყოვარ ჟამ ლოცვისა მიიღო ცეცხლი საკვრველთ-მოქმედმან შიო და იპყრა იგი მარცხენესა ნებსა თვსსა ზედა და დაასხა მას ზედა საკუმეველი, ხოლო მარჯუენითა კელითა გამოსახა მას ზედა საუფ-  
 10 ლოჲ ჭუარი და ესრეთ აკუმევედა. ხოლო კუამლი იგი საკუმეველისაჲ აღვიდა ჰაერსა შინა, ვითარცა სუეტი. ამისა შემდგომად მოდრკა დასავალით კერძო ქედისა მის ვითარ კამარაჲ და შთადგა კეცხა მას შინა ვითარცა სუეტი, და მათ იხილეს რაჲ ვიდრე გარდამოვიდეს ქედისა მისგან, და მიიწიენეს ადგილსა მას, სადაცა-იგი უჩუენა მათ უფალმან  
 15 საკუმეველისა მიერ. და კუალად მადლობაჲ შეწირეს ღმრთისა.

ამისა შემდგომად მიიღო სათხარი წმიდამან შიო და აღმოჰკუეთა ადგილი იგი, სადა შთადგა საკუმეველი და აღაშენეს ეკლესიაჲ მუნ მცირე, ყოვლად შუენიერი, სადიდებელად ყოვლად წმიდისა სამებისა, რომელსაცა შინა დღითი-დღე აღესრულებოდეს მათ მიერ დიდების-  
 20 მეტყუელეზანი ღმრთისანი.

ევაგრეს შეჰმოსა სახე მონაზონებისაჲ და სჯულ-უღვა მას ყოველივე წესი მონაზონთა კრებულისაჲ, და ვითარ უღირს მათ ყოველთავე კორციელთაგან განყენებაჲ და მხოლოდ ღმრთისათჳს შესაკუთრებაჲ.

7. ამიერ ვანიტქუა ანბავი მისი ყოველსა მას გარემო დაბნებს[ა] და ყოვლით კერძო შემოკრებებოდა მისსა სიმრავლე ურიცხვ<sup>1</sup> და მონაზონებრივსა სახესა შეიტკობდეს და აღირჩევდეს წმიდისა მის მამისა თანა ყოფასა უდაბნოსა მას შინა, ვიდრეღა მცირესა ჟამსა შინა აღსავსე იქმნა უდაბნოჲ იგი მონათა მიერ და მოლუაწეთა ღმრთი-  
 30 სათა.

ხოლო ვინაჲთგან საჭმარ იყენეს მიერითგან მათთჳს საკედარნი მეტჯრთენი მოღებად საზრდელსა და წყალსა, ამისთჳსცა მოიგნეს კარაულნი, რომელნი ჰმსახურებდეს მათ ტჯრთვად და აღმოღებად სოფლებთაგან საჭიროსა საზრდელსა სხეულისა მათისასა. ამიერ ყოვლით  
 35 კერძო მსმენელნი წმიდისა შიოასთჳს, თჳ ვითარ უდაბნოჲ იგი ქალაქ უქმნიეს მოლუაწეთა მიერ და მსახურთა ღმრთისათა, მოსწრაფებით

<sup>1</sup> ურიცხვი.

მორბიოდეს მისსა და უდაბნოსა მას შინა დადგრომასა აღირჩევდეს წადიერებით დამონაზონებისა სახითა განშუენდებოდეს.

ხოლო ადგილი იგი იყო სერტყოვან და კლდოვან, რომლისათვის-ცა მკეცნი ფრიალნი დაბუღებულ იყვნეს ადგილსა მას შინა და გან-რამ-ვიდიან კარაულნი საძოვარსა, მოეტევიან მათ მკეცნი იგი და განბძარნიან კარაულნი და საქმელ თუსსა ყვნიან იგინი. ვინაჲცა მრავ-ლად მავნებელ ექმნებოდეს ძმათა მათ მკეცნი იგი და ფრიადსა მწუ-ხარებასა შეამთხუევდეს წარწყმედისათვის კარაულთაჲსა. ხოლო წმი-დაჲ მაჲჲ ჩუენი შიო ევედრა უფალსა, რათა სახილველ მისსა ყვნეს მკეცნი იგი. და შეისმინა ღმერთმან ვედრებისა მონისა მისისაჲ. [V] 10 მეყსეულად ყოველნი მის ადგილისა მკეცნი მოვიდეს წინაშე ბერისა-ხოლო ნეტარმან შიო იხილნა რაჲ იგინი, მდგომარენი წინაშე მისსა, მადლობაჲ შეწირა ღმრთისა, რომელმან არცა აქა შინა უგულუბელს-ყო ვედრებაჲ მისი, არამედ მონებრივ წარმოდგომაჲ მის წინაშე აიძუ-ლა მკეცთა, ვინაჲცა რისხვით ეტყოდა მათ: „<sup>1</sup> ბოროტნი თაენო! 15 რად მავნებელ ექმნენით კარაულთა ძმათა ჩემთასა? აწ ესერა-გეტყვ თქუენ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელი არს მეუფჲ და დამბადებელი სიტყუერთა და უსიტყუთა ცხოველთაჲ, წარ-ვედით შორს ამათ ადგილთაგან და ნულარა ოდეს იკადრებთ ვნებასა აქა შინა მყოფთა ცხოველთასა-ხოლო ერთი თქუენგანი მხოლოდ ოდენ 20 დადევინ აქა სადიდებელად ღმრთისა, რათა აძოებდეს კარაულთა ძმა-თა ჩემთასა“. და მყის სიტყუასავე თანა ბერისასა განიბნივნეს ყო-ველნივე იგი მკეცნი და უჩინო იქმნნეს მათ ადგილთაგან, გარნა ერთი მხოლოდ მგელი დადგა ვითარ მონაჲ წინაშე ბერისა მრწინებით. და ბრჭუა მას წმიდამან შიო: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტე-25 სითა შენ გეტყვ, მკეცო, ამიერიტგან, ვითარცა მწყემსი კეთილი, ამო-ებდი კარაულთა ჩემთა, რათა ესევითარითა მსახურებითა უკმო-უზლო მწუხარებასა ძმათა ჩემთასა, რომლითა შეაწუხენ იგინი. ხო-ლო საზრდელი შენი იყოს, ვინაჲ და ჩუენცა ვიზრდებით, და ცისკრად წარმყვანებელი კარაულთაჲ საძოვარსა კუალად ჟამსა მწუხრისასა 30 მოიყვანებდი მათ, ვინაჲთგან მწყემსად და მცველად მათდა შენ გან-მიჩინებიხარ“.

ხოლო მგელი იგი ერჩდა ბრძანებასა ბერისასა და ვითარ მონაჲ ჰმწყსიდა კარაულთა მათ მცნებისაებრ, მისდა, მიცემულისა. და ვი-ნაჲთგან წარტდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, კარაული ძმათაგანისა 35

<sup>1</sup> თაენო.



ერთისაჲ, სახელით კონონისი, შებრკოლებული გარდაიჭრა კლდესა და მოკუდა. ხოლო მგელმან უწინარეს ეამისა მიიყვანა კარაულნი მონასტრად. და ვითარცა მიითულა თითოეულმან კარაული თვისი, არასადა ხედვიდა კონონ მისსა მას კარაულსა, რომლისათვისცა განბძარვასა

5 ჰგონებდა მგლისა მიერ და მისრული ბერისა მიმართ ეტყოდა მას: „რახსა ესე ჰყავ, ♀ წმიდაო მამაო, ვითარ მგელი მწყემსად კარაულთა განაჩინე? ანუ ვინ სადა იხილა ბოროტი ესე მკეცი მაძოვნებელად პირუტყუთა, რამეთუ კარაული ჩემი ამას შეუტამიეს“.

ხოლო მგლისა მის ჩუეულებჲა ესევეთარი იყო. მოიყვანნის კარა-

10 ულნი იგი და მივიდის წინაშე ბერისა და წმიდამან მან დაუნეცვს პური და უბრძანის მას ჰამაჲ. ხოლო იგი განძღის რაჲ, დაწვის მახლობელად მისა.

და ვითარ კონონ განმწარებული მგელისათვის იტყოდა ბერისა მიმართ ესევეთართა სიტყუათა, მოეკიდა მგელი კალთასა კონონისსა და

15 მიზიდვიდა მას. [27] ხოლო ბერმან ჰრქუა მას: „წარვედ მგლისა ამის თანა და იხილო, თუ რაჲ შეემთხვა ვირსა შენსა“. და წარვიდა კონონ, ვინაჲცა-იგი მიზიდვიდა მას მგელი. და ვითარცა მივიდეს თავსა კლდისასა, სადა-იგი გარდაგორვებულ იყო კარაული, უჩუენებდა მას ტოტითა თვისითა, ვითარცა კაცი, და წკმულით თავსა თვისსა განიმართ-

20 ლებდა ხოლო. ვითარცა შთავიდა კონონ, იხილა, რამეთუ მომკუდარ იყო კარაული იგი მისი. და მოსრული შენდობასა ითხოვდა ბერისაგან, მეტყუელი: „უბრალო არს, წმიდაო მამაო, მწყემსი ესე კარაულთა ჩუენთაჲ, რამეთუ კლდესა შთავრდომილ არს და მომკუდარ არს კარაული იგი ჩემი“.

ხოლო წმიდამან შიო თქუა მგელისა მიმართ: „ამიერთგან წარვედ ნადირთავე თანა ველისათა და იყოფოდე მათ თანა. ხოლო ძმათა თვთ დაიდგინენ მწყემსნი კარაულთანი, ვითარნი მათ სინდენ, რათა არღარა მამბრალობდენ მე სიჰავესა მწყემსისასა“. და მყის ბრძანებასავე

30 თანა ღირსისა შიოხსა წარვიდა მგელი იგი მსგავსთა მისთა ნადირთა თანა.

ესევეთართა ნიშებთა და სასწაულთა მიერ შემკობილ იყო სანატრელი ესე მამაკაცი, რამეთუ უსიტყუთაცა ცხოველთა მონებრივ მსახურებასა აიძულებდა. ვინაჲცა ნუ დაგკვრდების ჩუენ, ♀ ძმანო, ესევეთართა საკვრველთა საქმეთა აღსრულებჲა მონათა მიერ ღმრთი-

35 სათა, ნუცა ურწმუნო ვიქმნებით დიდებულებთა ზედა ღმრთისათა, რამეთუ თვთ იგი იტყვს სახარებასა შინა, ვითარმედ: „უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოება, ვითარცა მარცუალი მდოგვსაჲ, და ჰრქუათ მთასა

ამას: აღიფხუერ ამიერ და შთავარდი ზღუად, იყოს ეგრე\*<sup>1</sup>. და რამეთუ  
 წმიდაჲცა ესე და სარწმუნოჲ მონაჲ ღმრთისაჲ სარწმუნოებათა მტკი-  
 ცითა და შეუორგულეებელითა შეჭურვილ იყო და ამიერ მიეღო კელ-  
 მწიფებაჲ ქმნად ძალთა და საკვრველებათა სიმრავლესა და რამეთუ  
 მგელსაცა უფროჲსლა მბრძოლსა ესევეითართა ცხოველთასა, მწყსაჲ და 5  
 ზედამხედველობაჲ მათი არწმუნა, რომელიცა-ესე სასწაული სამარხო-  
 სა შინა ამის ღირსისა მამისა, მის მიერ აღშენებულსა, ესრეთ დახატუ-  
 ლი დადგრომილ არს ვიდრე დღენდელად დღედმდე გამომაჩინებულად  
 დიდებულებათა ამის სანატრელისა მამისათა, რომელთა იქმოდა შე-  
 წევნითა სულისა წმიდისაჲთა!<sup>2</sup>

8. ხოლო ჩუენ აქა მოწვევულთა გუნებაჲს მოკსენებაჲ საკვრველი-  
 სა ისესთჲს, რომელი იყო ერთი მოწაფეთაგანი წმიდისა და ღმერთ-  
 შემოსილისა მამისა იოანესთაჲ<sup>3</sup>. წარივლინეს რაჲ ღირსისა იოანეს  
 მიერ ყოვლით კერძო მოწაფენი მისნი ქადაგებად სახარებასა სასუ-  
 ფეველისასა, ვითარ მოწაფეთა შინა ცხად გვქმნიეს, წარვიდა სანატ- 15  
 რელიცა ისე, ვინაჲცა-იგი მიუძღუა მას უფალი და მუნ რა[ჲ] იყო, ჰმო-  
 ძღურადა წმიდა იოანე შემთხუეულთა მისთა, [V] რამეთუ მორწმუნე-  
 თა სარწმუნოებასა ზედა განამტკიცებდა და სუეტ სიმტკიცისა ექმნე-  
 ბოდა მათ ყოველსავე<sup>4</sup> ლოდსა შებრკოლებისასა და მზაკუვარებასა  
 მტერისასა შორს განმჭდელი მათგან. ხოლო მერმეცა ურწმუნოთა და 20  
 ეშმაკათათჲს შედგომილთა, უკუეთუ სადავე იპოვნინან, მარწმუნეებელითა  
 სიტყვთა და მშვდითა ზრახვითა არწმუნებნ მათ დატევებასა საცთუ-  
 რისასა და ღმრთის-მეცნიერებისა შეტკობბასა წმიდისა ნათლის-ღები-  
 სა მიერ.

ესე უკუე სანატრელი ისე იხილა რაჲ ესევეითართა მადლთა მიერ 25  
 შემკობილად მის ჟამისა კათალიკოსმან, იძულებათ კელნი დაასხნა მას  
 ეპისკოპოსად საყდარსა ზედა წილკნისასა, დაღაცათუ არა ენება მას  
 კელ-ყოფაჲ ამის საქმისაჲ, რამეთუ მძიმედ შეერაცხა წინამდგომობაჲ  
 ესოდენთა სულთაჲ და ყოვლითურთ უღირსად სჯიდა თავსა თჲსსა,  
 ვინაჲცა შევრდომით ევედრებოდა ნეტარი ესე კათალიკოსსა, რათა 30  
 განუტეოს იგი და არა აიძულოს საქმესა უვადრესსა ძალისა მისისასა  
 შეკადრებაჲ გარნა ვერ უძლო დარწმუნებაჲ მისი, რამეთუ ხედვიდა  
 თუალითა გონებისა[ჲ]თა ღირსი მამად-მთავარი მოფენასა მადლსა  
 სულისა წმიდისა მიერ საკვრველისა ისეს თანა. ამისთჲს პატივსა  
 მღღელთ-მთავრობისასა აღიყუანა<sup>4</sup> იგი და წარავლინა საყდარსა წილ- 35

\* მათე 21,21

1 წმიდისათა. 2 ასეა. 3 კელსავე. 4 აღიყუნა.



კნისასა, რომელსა შინა მდგომარე არს ხატი ყოვლად უბიწოასა ღმრთისა დედისაჲ, რამეთუ მეგრვე ესევეთარი ღირსი მღღელთ-მთავარი შეენოდა წილ-ხუდომად საყდარსა ღმრთისა მტკრთველისა ქალწულისასა მწყსად ჯეროვნად ძისა და ღმრთისა მისისა სისხლთაგან

5 მოგებულთა სამწყსოთა.

ხოლო ვითარცა დადგინებულ იქმნა წმიდაჲ ესე ეპისკოპოსად, კულად დასძინა პირველსა მოსწარაფებასა უმეტესი შრომაჲ, რამეთუ იწყო სწავლად და მწყსად სამწყსოთა თვსთა გულს-მოდგინებით და არა კმა იყო მახლობელთა მხოლოდ განმტკიცებაჲ სარწმუნოებასა ზე-

10 და მართალსა, არამედ აღიძრა შურითა საღმრთოჲთა და ფრთეთა სულიერთა ამხუმელი წარვიდა დამკვდრებულთა მიმართ ჩრდილოასა კერძოთაჲთ, რომელნიმე მერმეცა მოქცეულ იყვნეს ქრისტეანეთა მართლისა სარწმუნოებისა მიმართ და კერპთ-მსახურებისა საცთური-

თა შეპყრობილნი ბრმად მქონებელ იყვნეს თუალთა სულისათა.

15 აქა შინა მიწვევულმან ღირსმან ამან მამამან იწყო სწავლად მათ-და სიმშვიდით და სიტკბოებით მზრახველმან მათდა მიმართ, რამეთუ წარმოუთხრობდა მათ კაცთა მომართ გარდამო[ს]ლვასა ღმრთისასა ზეციით, რათა გამოიქსნნეს ეშმაკთა და კერპთა მონებისაგან და ამაოე-

ბასა მას და საცთურსა ღმერთთა მათ მტყუართა მათთასა განუცხა-

20 დებდა [28] და ევედრებოდა მათ, რათა დაუტეონ საცთური! იგი ბოროტი და შეუღდიან უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა. ესრეთ ყოვლითა ღონისძიებითა და კეთილითა სწავლითა მოაქცივნა იგინი სარწმუნოებად სასწაულთა მრავალთა აღსრულებითა, რამეთუ სწეულთა განჰკურნებდა და ეშმაკთა განასხმიდა სახელის-ღებითა ქრისტესითა, ვი-

25 ნაჲცა მრავალნი სულნი შეეძინნეს სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოძღურებითა ამის ღირსისა მამაკაცისაჲთა და მრავალნი ტაძარნი კერპთანი დაარღვენა და ბომონნი დაამკუნა, ხოლო ეკლესიანი აღაშენნა და ყოველთა ნათელ-სცა და სარწმუნოებასა ზედა განამტკიცნა.

ამიერ დამადგინებელი მუნ მღღელთა და დიაკონთაჲ კულად საყდრაღვე თვსა უკ-მოიქცა ძღვევასა აღმადგინებელი ბოროტთა ეშმაკთა ზედა მოძღურებითა და სწავლითა საღმრთოჲთა.

9. ხოლო მას ჟამსა შინა ინება ნიშებშემოსილმან წმიდამან მამა-

მან ჩუენმან იოანე მოხილვაჲ მოწაფეთა თვსთაჲ, რათა ცნას, თუ რომელსა საზომსა მიწვევულ არიან და თანად, რათა გამოაცხადნეს საქ-

35 მენი მათნი კეთილნი სადიდებულად სამებისა ერთარსებისა ღმრთისა ჩუენისა. ვინაჲცა წარვიდა ადგილით თვსით და მიიწია პირველ ჭსენ-

<sup>1</sup> საცთურ.

ბულსა ამას საყდარსა ღმრთისა დედისასა, სადა-იგი მიუწოდა ღირსსა შიოსცა, რათა მივიდეს იგიცა წინაშე ყოვლად უბიწოასა ღმრთის-მშობელისა. და ვითარცა შეკრბეს მუნ ერთბამად, მოიკითხეს ურთიერთას სიყუარულითა საღმრთოთათა. ამისსა შემდგომად დასხლეს წმიდანი იგი და სანატრელნი ბერნი. ხოლო წმიდამან იოანე მოითხოა ღ ღუნოჲ გარეშე ჩუეულებისა. და ვითარცა მოართუა მას ელია დიაკონმან ჰიქითა, მიიღო იგი წმიდამან იოანე კელთა შინა თუსთა და პატროსნისა ჭუარისა გამომსახველმან მას ზედა მარჯუენისა კელისა მწუერვალთა თითთა მიერ განუტევა იგი ჰაერთა შინა, და მდგომარე იყო ჰიქიჲ იგი ჰაერთა შინა შთამოკიდებული მართლიად მყოარ ჟამ. 10 და შემდგომად მრავლისა ჟამისა ჰრქუა იოანე მოწაფეთა თუსთა: „შთამოიღეთ ჰიქიჲ ეგე, აღსავესე ღუნითა, და აკურთხეთ, და რამეთუ ებისკოპოსისაცა! მიერ ჭერ-არს კურთხევაჲ“. ხოლო მათ ყოვლითურთ არაჲ იკადრეს, რამეთუ განკვრეებასა შეეპყრნეს იგინი დიდებულსა ამას და უცხოსა სახილავსა ზედა, ვითარ თვნიერ რომლისამე მტკრთ- 15 ველისა ჰაერთა შინა მდგომარედ იხილევბოდა ჰიქიჲ იგი, აღსავესე ღუნითა.

მაშინ საკვრველთ-მოქმედმან იოანე მიყო კელი თუსი და მიიღო ჰიქიჲ იგი და კუალად ჭუარი გამოსახა მას ზედა, რომლისაგან სამთავე მიიღეს ერთბამად და სხუათა მრავალთა, რომელნი მუნ დაემ- 20 თხვენეს. მაშინ ჰრქუა ღირსმან იოანე ნეტარსა შიოს: „ჭერ-არს, მამაო, მადლისა მიცემაჲ ღმრთისაჲ, რომელმან ყო ჩუენ შორის საკვრველი ესე“. ხოლო წმიდაჲ შიო მორჩილ ექმნა სიტყუასა ბერისასა და აღდგომილმან მიიღო ნაკუერცხალი ნებსა თუსსა ზედა და დაასხა მას ზედა საკუმეველი, რომლისაგან აღვიდოდა სული სულნელები- 25 საჲ ჰაერთა და უკუმევედა შიო ყოველთა მუნ მყოფთა. და მხილვე[ვ]ლნი ესევითართა სასწაულთანი აღიდებდეს<sup>1</sup> ღმერთსა, მოქმედსა ესევითართა საკვრველებათა და რომელმან მოსცა ესევითარი მადლი მოშიშთა მისთა. ხოლო ნეტარი იოანე იტყოდა მუნ მდგომარეთა მიმართ და განცუფრებითა შეპყრობილთა სასწაულისა ამისთუს: „რამსა გან- 30 კვრებულ ხართ, ჰ ძმანო? ანუ არა უწყითა, ვითარმედ ცეცხლიცა ჰრიდებს შეკდიმებული მოსავთაგან უფლისათა? და რამეთუ ესევე ცეცხლი იყო ბაბილონს შინა აღგზებული სამთა ყრმათათუს, რომელმანცა შეიკდიმა უბიწოთა მათ ჳორცთა მათთაგან, რაჟამს-იგი ქალდეველთა შესთხვიენეს საჭუმელსა მას შინა ცეცხლისა, შვდ-წილ აღგზე- 35 ბულისასა. ხოლო ანგელოზისა გარდამოსლვითა უვნებელად დაიკვე-

<sup>1</sup> ეპისკოსისაცა. <sup>2</sup> გადიდებდეს.





ბოდეს, ვიდრეა არცა თმაა თავისა მათისაა შეიწუა ყოვლითურთ და გარემოას-მდგომარენი იგი, არა რომლისა ბოროტისა მოქმედთა დაწუვად მოსწრაფენი, თვთ შეიწუებოდეს აღისა მიერ, მათ ზედა მოფენილისა, ვინაჲთგან არა რომელი საქმე შეუძლებელ არს ღმრთისა მიერ და მისი არს აწ ქმნილიცა ესე სასწაული, რამეთუ უწყის ღმერთმან დიდებაჲ მადიდებელთა თვსთაჲ, რომლისათვსცა ნუ განკვრებულ ხარ ღმრთისა მიერ ქმნილსა ამას საკვრველებასა ზედა სადიდებელად მონისა თვისისა“.

ამისა შემდგომად მიხედნა წმიდამან იოანე ღირსსა ისეს და პრქუა: 10 „მამაო და მწყემსო კეთილო სიტყვურთა ცხოვართაო, გუნებაკს, რათა კურთხევაჲ მივიღოთ შენგანცა, რომელი გუაქუნდეს საგსენებელად შენდა“. ხოლო იგი, ვინაჲთგან მორჩილებასა განსწავლულ იყო და აღსავსე სულითა წმიდითა, ყოვლად არა ურჩ ექმნა ღირსსა იოანეს, არამედ მყის სიტყუასავე თანა აღდგა და აღიპყრნა ჯელნი თვისნი ზე- 15 ცად მიმართ და მყოარ ჟამ ვედრებოდა ღმერთსა მღუმრიად. ამისსა შემდგომად ქუეყანად დავრდომილი ცრემლითა დაალტობდა იატაკსა. და მერმე პრქუა ბერსა: „ლოცვა-ყავ ჩემთვის, წმიდაო მამაო, და მცირედ შემომიდეგ მე. და მიჰმართა წმიდამან ისე მდინარედ მიმართ, რომელსა ეწოდების ქსანი, ღირსთა მათ მამათა თანა.

და ვითარცა მიიწიენეს წყალსა მას ზედა ყოვლად ქებულნი ესე და საკვრველთ-მოქმედნი, კულად იწყო წმიდამან ისე ლოცვად. და მოუწოდა შეწევნად მისა სახიერსა უფალსა და ყოვლად უბიწოსა ქალწულსა ღმრთის-მშობელსა ესევითართა ვედრებათა მეტყუელი ცრემლით: „მოვედინ მადლი შენი, **ჰ** წმიდაო და ღმრთივ-მიმადლებუ- 25 ლო დედოფალო, რათა წყალი ესე დამემორჩილოს და შემომიდგეს მე, ვინაჲცა-იგი ვიდოდი“. და ვითარ მიმყოფრებულად ილოცა, განჰმარტა მდინარისა მიმართ კუერთხი იგი, რომელი აქუნდა ჯელთა თვსთა და თქუა: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა შენ გეტყვ მდინარესა ამას, წოდებისაგებ შენისა კსინვით ვიდრემე კსი- 30 ნევედი, გარნა კუერთხსა ჩემსა შემოუდეგ“.

[29] ხოლო წყალი იგი, **ჰ** საკვრველებათა შენთა, ქრისტე, უჩუე-ველსა გზასა და უფალსა მისგან პირველად ვიდოდა, შედგომილი ღმერთშემოსილთა მათ წმიდათა მამათაჲ, რამეთუ ქუეყანაჲ იგი, მყარი უწინარეს და ეკლოვანი, განიებოდა და დაღრმდებოდა თვნიერ 35 რომლისავე აღმომთხრელისა. და ვითარცა კუერთხი იგი მიეთრია ღირსსა ისეს, უკანა მისსა მივიდოდა წყალი იგი მდინარე, მსმენელი ბრძანებასა წმიდისასა. და ესრეთ მიყვანებულ იქმნა მახლობელად ტაძარსა ღმრთისა დედისასა წილკანს, რომელიცა ვიდრე აქამომდე

დის სადიდებელად ღმრთისა ჩუენისა და ცხად-ყოფელად ღმრთისა მიმართსა კადნიერებასა წმიდისა ისესა.

ესე სასწაული საკვრველი იხილეს ყოველთავე მკვდრთა მცხეთისათა და მახლობელთა დაბათა და განკვრევებითა შეპყრობილნი აღიღებდეს ღმერთსა, მოქმედსა დიდთა საკვრველებათასა, რომელმან მისცა ესევეთარი ძალი მონასა თვსსა სანატრელსა ისეს.

10. ესევეთართა სასწაულთა და ნიშებთა მიერ შემკობილ იყვნეს წმიდანი ესე მამანი და ესევეთარი კადნიერებაა მოელო ამათ ღმრთისაგან, რომელთა ყოველივე მსოფლიოა და ზუავი კადნიერებაა დაუტევეს მისთვის. ესრეთ იხარებდეს საღმრთოთა სიყუარულითა ერთბა-<sup>10</sup> მად მყოფნი და კუალად თვსაგან დადგრომილნი მოთმინებით შეიტკბობდეს მოღუაწებრივისა ცხორებასა, რამეთუ უწოდეს ამათ სიტყუად მგალობელისაა:

«რამ-მე კეთილ, ანუ რამა შეუენიერ, არამედ დამკვდრებაა ძმათა ერთად?»\*. და კუალად: «ვიქმენი მე, ვითარცა სირი მხოლოა სართულ-<sup>15</sup> სა ზედა»\*\*. ესრეთ ორკერძოვე სათნოებათა სიმრავლითა ბრწყინვალე იყვნეს ერთბამად და თვსაგანცა მყოფნი.

ხოლო წარსლვასა მას წმიდისა იოანესსა ადგილად თვსად, სადა იგი იყოფებოდა ქუაბსა შინა, თანა-წარჰყვეს მოწაფენიცა მისნი და დაადგრეს მის თანა ვითარ სამსა ოდენ დღესა და იხარებდეს სიხარუ-<sup>20</sup> ლითა სულიერითა ღირსისა ამის მამისა თანა.

ხოლო ვითარცა ენება ამათ კუალად უკ-მოქცევაა საყოფელთა მიმართ თვსთა თითოეულსა, ევედრებოდა ნეტარი შიო წმიდასა იოანეს, რათა უბრძანოს მას დაყულებით ცხორებაა. ხოლო მან მიუგო: «ღმერთმან მიგმადლენ შენ სათნოველი შენი, შვილო, და მოგეცინ<sup>25</sup> მოთმინებაა შეუბრკოლებელი, რათა ნაცვალად აქა შინა ცხორებისა, მერმესა მას საუკუნესა ჰპოო განსუენებაა წარუვალი და ფართოებით. იშუებდე მხიარული მართალთა ყოველთა თანა, არამედ წარვედ და მოაჰსენე პირველად პატრიაქსა წმიდასა, მამად-მთავარსა ჩუენსა, და უკუეთუ გიბრძანოს მანცა წინა-აღრჩევისა შენისაებრ ცხორებაა,<sup>30</sup> უწყოდე, რამეთუ ნება ღმრთისაა არს, ხოლო თვნიერ კათალიკოსის კითხვისა, ნუ კელ-ჰყოფ საქმესა მაგას, რამეთუ მისი გვღირს მორჩილებაა, ვითარ საყოველთაოასა მწყემსისა. და რომელიცა გვწამოს მან, იგი მივილოთ, [V] რამეთუ პავლეცა, მოძღუარი იგი ყოველთაა, ესრეთ გუამცნებს, ვითარმედ: «დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა<sup>35</sup> და ერჩილით მათ, რამეთუ იგიინი იღვძებენ სულთა თქუენთათვს»\*\*\*.

\* ფსალმ. 132,1 \*\* ფსალმ. 101,7. \*\*\* ებრ. 13,17.



ამათ ყოველთა თანა ასწავებდა მას წმიდაჲ იოანე, რათა განაყენოს გონებაჲ თჳსი ყოველთაჲვე ჳორციელთა და ქუეყნიერთა ზრუნვათაგან და, ვითარცა მკუღარმან, სამარესა შინა დადებულმან, ესრეთ შეურაცხ-ყვენს მიწიერნი ესე და ხილულნი ყოველნი. ვინაჲთგან ესე

5 არს წესი და კანონი დაყუდებულთაჲ.

ესევეითარნი რაჲ მცნებანი და სწავლანი მიიხუნა ნეტარმან შიო, წმიდისა იოანესგან შევრდომილმან, ტირილით ამბორს-უყო ფერტთა მისთა და მოიკითხნა ყოველნი მუნ დამთხუეულნი უკანაჲსკნელითა მოკითხვითა, რამეთუ არღრა ეგულებოდა მოკითხვაჲ მათი ამისა

10 შემდგომად მკმნელმან მათგან: „ლოცვა-ყავთ ჩემთვის — ჳრქუა — რათა მოთმინებრით და სიმგნით დადგრომილმან დაყუდებასა შინა მიწამოს, თუ წმიდამანცა მამათ-მთავარმან, შეუბრკოლებლად აღდასრულნე ნეშტნი დღენი ცხორებისა ჩემისანი“. ესრეთ მიმღებელი მათგან ლოცვისა და კურთხევისაჲ წარვიდა კათოლიკე ეკლესიაჲ და

15 თაყუანის-მცემელი წმიდისა და ყოვლად ჰატიოსნისა სუეტისაჲ<sup>1</sup> ცრემლით და სულ-თქუმიტ ევედრებოდა ღმერთსა, რათა ღირს ყოს იგი დაყუდებით სათნოდ მისსა გარდაჯდად ნეშტსა ჟამსა ჳორციტა შინა ცხორებისა მისისასა.

ამისა შემდგომად შევიდა წინაშე მამათ-მთავრისა, ხოლო მან სი-

20 ხარულიტ შეიწყნარა იგი. და ვითარცა მოიკითხნეს ურთიერთარს, წარმოუთხრა მას შიო ყოველივე წადიერებაჲ თჳსი, თუ ვითარ წადიერ არს დაყუდებითსა ცხორებასა შეტკობად და ვითარცა ღირსისა იოანეს მიერ წარმოვიღინა მისა მიმართ კითხვად და ესრეთ ბრძანებრითა მისითა შეკადრებად ღუაწლსა წამებისასა.

25 ხოლო წმიდამან მამათ-მთავარმან სულთ-ითქუნა სიღრმით გულისაჲთ და ცრემლოოდა ესრეთ შეურაცხ-ქმნასა თავისა თჳსისასა მსმენელი ნეტარისა შიოხსგან სიყუარულისათჳს ქრისტესა ვიდრედა და მღვმესაცა შინა უკუნსა დამკვდრებად. ხოლო მღვმე ესე არს ფრიადსა სიღრმესა მქონებელი და ყოვლად [ბნელი], რომელსა შინა ეგუ-

30 ლებოდა მრავალ მოღუაწესა ამას მამაკაცსა შთასლვაჲ და მას შინა დაყუდებაჲ, ვინაჲცა ცრემლიტ მიმხედველმან შიოხს მიმართ ნეტარმან მამათ-მთავარმან: „ვილოდე — თქუა — მამაო, ვილოდე კეთილსა მას და იწროსა გზასა, ცხორებად საუკუნოდ მიმყვანებელსა, რომელსა ზედა მცირედნი ვლენან\*, ვითარ მძლავრებულნი ჳრქელთა ამათ და წინა-

35 აღმდგომთა სხეულთაგან და ყავნ ღმერთმან მღვმე იგი კიბუ, აღმყვ-

\* მათე 7,14.

<sup>1</sup> სუეტისა.

ნებელ შენდა ზეცისა სუფევათა და ნეტარებათა მიმართ, ხოლო ბნელი იგი მუნ შინაა — მიმყვანებელ ნათლისა მიმართ დაულამებელისა; და ჟამიერი ესე [30] ჰირი გეყავნ შენ მომატყუებელ საუკუნოასა განსუენებისა და წარუვალისა სიხარულისა, რომელსა მიმთხუევად არიან ყოველნი, სათნოდ უფლისა აღმასრულებელნი ცხოვრებისა მათი- 5 სანი“.

ამათი მსმენელი შიო მხიარულ იქმნა სულითა და ევედრა ლოცვის-ყოფად მისთვის, რათა მოსცეს უფალმან მოთმინება შენამდებარისა ღუაწლისა მიმართ. და ესრეთ კურთხევისა მიმღებელი მამამთავრისაგან წარვიდა უდაბნოდ თვსად. 10

ხოლო ვითარცა მიიწია ღირსი ესე უდაბნოდ, მოიკითხნა ყოველნივე ძმანი სიყუარულითა საღმრთოთა და ულოცა მათ უმჯობესი სულთა მათთაჲ. ამისა შემდგომად ყოვლად სიმშვიდით ზრახვიდა მათლა მიმართ, ესევეითართა სიტყუათა მეტყუელი: „ძმანო და მამანო და შეიღნო სულიერნო, მცნებისაებრ ბერთა ჩემთაასა და წმიდისა მათ- 15 მათ-მთავრისა დაყუდებითსა ცხოვრებასა შევიწყნარებ, ხოლო თქუენ განეკრძალენით, საყუარელნო, საფრკეთა მრავალ-ღონისა მტერისათა და უმეტეს ყოველთასა მოიგეთ სიმდაბლე და მორჩილება და სიმშვიდე საღმრთოჲ, რომელი უჩინო<sup>1</sup> მყოფს რისხვასა, და სიყუარული, რომლისა მიერ მოიგებების ღმერთი, სიყუარულად წოდებული; ამას 20 თანა შეიტკბეთ წმიდა მყოფელი იგი სულთა<sup>2</sup> მარხვაჲ, რომელი წარითებს ბილწებასა; და ლოცვასა შინა თქუენსა ღმერთისა მიმართ მოიგეთ სიწმიდე გონებისაჲ და აღუძრველობაჲ ბოროტთა გულის-სიტყუათა მიმართ, რომლითა განქარდების ყოველი ძალი ეშმაკისაჲ; ხოლო ტირილი თქუენდა იყავნ სამარადისოჲ, რომელი მოატყუებს 25 სიხარულსა საუკუნესა და რამეთუ უფალი იტყვს: «ნეტარ იყვენნ მგლოვარენი გულითა»<sup>3</sup> მოიპოეთ სიგლახაკე, რათა სასუფეველი ცათაჲ დაიმკვდროთ<sup>4</sup>; მოიძულენით ზრუნვანი და შფოთნი სოფლისანი, რათა არა შეიცოთუნნეთ მათ მიერ, წერილთა იწურთადით საღმრთოთა, რომელნი განაფრთხობენ გონებასა და ნუ მიყვანებთ გონება- 30 სა თქუენსა ბოროტთა გულის-სიტყუათა; იქმნენით წმიდა ჰორციითა და ვითარცა იტყვს წინასწარმეტყუელი: «განიბანენით, განიწმიდენით და მოისპეთ ყოველი გულარძნილებაჲ სულთაგან თქუენთა»<sup>5</sup>, რამეთუ უკუეთუ დაიცვენით სხეულნი თქუენნი სიწმიდით, ვითარ განბრწყინებულნი სულითა, მხიარულნი შეხვდეთ ჰორწილსა მას უფლი- 35

\* მათე 5,4. \*\* მათე 5,3. \*\*\* მათე 25,27.

<sup>1</sup> უჩინო, <sup>2</sup> სულთაჲ.

სასა ლამპრითა ბრწყინვალითა მიგებებად სიძისა მის უკუდავისა; მღვდარე იყვენით გონებითა სამარადისოდ მომლოდენი უცნაურისა მის ღლისა და ქამისანი, რამეთუ არა უწყით, ოდეს მოვიდეს და ნუსადა გპოვნეს თქვენ უღბად წარმგებლნი მამულისა სიმდიდრისანი<sup>1</sup> და თანად დამპარხველნი ტალანტისანი, რომლისათჳს საფასედ დადებისა მცნებაა მოგვლებიეს\*. და უკუეთუ ვინმე უღებ-ყუნეს მცნებანი ღმრთისა და უფლისა თჳსისანი, მოვიდეს ქამსა, რომელსა არა მოელოდეს და ორად განკუეთოს იგი და ნაწი[ვ]ლი მისი დადვას ორგულთა თანა, რამეთუ უმწარესითა მახვლისაგან სიკუდილითა განჰფხურას სულა უნანელთა და უღებთაჲ კორცთაგან, და წარავლინოს იგი ბნელსა მას გარესკნელსა, სადა-იგი, † მე უბადრუკსა, იყოს ტირილი და ღრქენაჲ კბილთაჲ\*\*. კსენებაჲ სიკუდილისაჲ და საზარელისა მის ღლისაჲ მარადის წინაშე თუალთა გონებისა თქუენისათა გაქუნდინ, და ნუ გეშინინ სიკუდილისაგან, არამედ უფროჲსა გეშინოდენ სასჯელისა მისგან საუკუნოჲსა. მოითმინენით წუთიერნი ესე და მციორედ ქამისა ტკივილნი, რამეთუ თჳნიერ ჰქირისა შეუძლებელ არს პოვნაჲ საუკუნოჲსა ცხორებისაჲ, ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული, ვივითარმედ: «მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი»\*\*\* და «მრავლითა ჰქირითა გკლირს შესლვაჲ სასუფეველსა ცათსა»\*\*\*\*.

20 „უწყოდეთ, ძმანო ჩემო, მტკიცედ, ვითარმედ ყოველი ესე აქა შინაჲ წარმავალ არს და დაუღვრომელ, ხოლო საუკუნოჲ იგი წარუვალ და სამარადისო. და მიელის თითოეულსა ჩუენგანსა საუკუნესა მას შინა რომელსამე განსუენებაჲ, ხოლო სხუათა — სატანჯველი საქმეთაებრ მათთა, რომელნიცა ქმნნეს სოფელსა ამას შინა მითხართ-ლა, † საყუარელნო, უკუეთუ ვინმე კაცი დღეს ყოველთა განსუენებათა და შეუებათა შინა იყოს და წარაგოს ყოველი მონაგები მისი და არღარაჲ დაუშთეს მას ხვალისად და მიერითგან სიყმილითა და სხუთა ყოველითა-ვე ძვრ-ხილულობითა განიკაფებოდის, ნუ სარგებელ ეყოსა მას ერთისა იგი ღლისა განსუენებაჲ შემდგომთა დღეთა მიმართ?! ესრეთ უკუე

30 უწყოდეთ და საწუთოჲცა ჩუენი ესე ცხორებაჲ, რამეთუ უკუეთუ აქა მშუებელნი არა ვზრუნვიდეთ გულვებადისა მისთჳს და არა დავიუნჯოთ საუკუნეთა მათ შინა საუნჯეთა, მიმტაცებელთა მამონაჲსა მისგან სიცრუვისა, სიყმილითა მოვსწყდეთ და არად სარგებელ გუეყუნენ ჩუენ კორციელნი შუებანი, არამედ უფროჲსა ვიტანჯნეთ, ვითარ

35 უძლებად და ნაყროვნებით ცხორებულნი“.

\* მათე 25,27. \*\* მათე 25,29. \*\*\* ლუკა 21,19. \*\*\*\* საქმე 14,22.

1 სიმდრისანი.



11. ამათ და ესევეითართა სწავლათა მიერ განამტკიცნა შიო ყოველნივე იგი მონაზონნი. ამისა შემდგომად ჰრქუა მათ: „გამოირჩიეთ ერთი თქუენ ძმათაგანი, რომელი ილუწიდეს ცხორებისა თქუენისათვის, რამეთუ მე ამიერთგან მეგულების შთასლვაჲ მღვმესა შინა, რომელი შევმზადე საყოფელად და საფლავად ჩემდა.“ 5.

მაშინ ყოველნივე იგი ძმანი ტიროდეს მწარედ. ხოლო წმიდაჲ შიო ნუგეშინის-სცემდა მათ და ეტყოდა: „ნუ მწუხარე ხართ, ძმანო, არამედ უფროჲსლა ლოცვასა ჰყოფდით, რათა განმამღიეროს მე უფალმან წინამდებარისა ამის სარბიელისა მიმართ და განვლო მყუდროებით ზღუაჲ ესე ამის სოფლისაჲ და მივიწიო ნავთ-საყუდელსა მას უღელვოსა, ხოლო თქუენ იზრუნეთ მღუწელი თქუენი, რომელიცა გთნავს ყოველთა.“ 10

[81] ხოლო მათ გამოირჩიეს წმიდაჲ ევაგრე, რათა ჰმწყსიდეს და წინაუძღოდის მათ და ორკერძოსავე სულთა და ჯორცთა მათთა მოურნეობასა აჩუენებდეს მოსწრაფებით, ვინაჲცა ჯელნი დაასხნეს. მას ერთ-ბამად ყოველთა ესრეთ მეტყუელთა: „ესე წინამძღუარ ჩუენდა იყავნ ცხორებასა ამას შინა, პატიოსანო მამაო!“ 15

ხოლო წმიდაჲ ევაგრე, ვინაჲთგან მშვიდი იყო და მდაბალი გულითა, არა თავს-იდებდა მთავრად და წინამძღუარად ძმათა ზედა დადგინებასა და უძღურებასა გონებისასა წინა-დაუდებდა ესრეთ მეტყუელი: „ვერ შემძლებელ ვარ ჯერისაებრ სრულ ქმნად მსახურებასა ძმათასა, ვინაჲცა ნუ მაიძულებთ მე ჯელ-ყოფად საქმესა ამას უზეშთაესსა ძალისა ჩემისასა, რამეთუ კაცი უმეცარი ვარ და უძღური ტვრთვად ესოდენტა მონაზონთა ჯეროვანსა მოურნეობასა.“ 20

ხოლო ნეტარმან შიო მიუგო მას: „უკუეთუ მორჩილ გუექმნე, ფრიადი სასყიდელი მიიღო ღმრთისაგან და ნეტარებაჲ მორჩილთაჲ დიდებასა მას შინა უხილავსა, ხოლო უკუეთუ ურჩებაჲ შეიმოსო, ურჩებისა პატიჲსა ზღვეულ იქმნე მიცემად. ინებე უკუე შენცა მსახურებაჲ ძმათაჲ, რომელი მოატყუებს დიდებასა, ვითარცა იტყვს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე: «რომელსა უნდეს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყოს იგი ყოველთა მონა და მსახურ»\*. და აწ ჯერ-არს შენდა, რათა დიდების მომატყუებელი სიმდაბლე მიიღო.“ 25

მაშინლა ძნად სამე დაირწმუნა ევაგრე სიტყუაჲ ბერისაჲ და თაყუანის-მცემელმან მისმან: „პატიოსანო მამაო, — თქუა — რომელიცა-რაჲვე მიბრძანო, მორჩილებით მივითუალო და ვინებო აღსრულებდაჲ მისი, წმიდათა ლოცვათა შენთა მინდობითა.“ და მიერთგან 35

\* მარკ. 10.44.



მოსწრაფებით და ყოვლითურთ კეთილად მსახურებასა ჰყოფდა მშათა-  
სა ევაგრე და სიმარჯვთ უძლოდა მათ და განაყრძალებდა ყოველთავე  
მიმართ სივერაგეთა დამანქანებათა ეშმაკისათა, ვინაჲცა კეთილად  
სათნო-ეყო უფალსა ჯეროვნად მართებითა და წინა-ძლომითა პირმეტ-  
5 ყუელთა სამწყსოთაჲთა.

ხოლო წმიდაჲ და სანატრელი შიო შთაჲდა მღვმესა მას ბნელსა  
შინა ჭუე სიღრმეთა მიწისათა, რათა სიმპალესა კორცთასა მიცემითა  
აღმოაჩეჯლოს კუვილი წმიდაჲ და რამეთუ იფქლიცა, ესრეთვე მიწად  
10 შთათრეული და სიმპალესა მიმთხუეული, გამოიღებს ნაყოფსა კე-  
თილსა არა შეშთობილი ეკალთაგან, არამედ ღრმად შთამტევებელი  
ძირთაჲ, ვინაჲ და წმიდაჲცა ესე, მიმცემელი მიწად თავისა თვისისა, და  
აღიხილვიდა ზენა მათა მიმართ თულთა გონებითა და მოელოდა  
შეწევნასა ცუართა საკურნებელთა სულისათა, რომლითაცა განზოხ-  
ნეს იგი ღმრთისა ზედმოხი[ვ]ლვისა წვმათა მიერ მორწყული.

12. ხოლო ვინაჲთგან შთაჲდა მღვმესა მას შინა, ვითარ შეუძლოს  
კაცობრივმან ენამან ჯეროვნად წარმოთქუმაჲ სიმკნეთა და მოთინება-  
თა ნეტარისა მამისათა, ანუ რომელნი ლუაწლნი პირველად და რო-  
მელნი უკუანაჲსკნელად დააწესნეს, რამეთუ მარხვაჲ იყო მისა სამა-  
რადისოჲ და ლოცვაჲ მუჭლთ-ღრეკისა თანა დაუყენებელი; დაერდო-  
20 მილი მიწად დაალტობდის იატაკსა ცრემლთა მიერ, რომელნი შთამო-  
დიოდეს თულთაგან მისთა, ვითარ წყარონი, დაუწყუედელნი ცრემლ-  
თა ჩემთასა: „ნუ დაიდუმებ, — მეტყუელებდის — რამეთუ მსხემ ვარ  
მე შენ წინაშე და მომიტევე, რათა განვისუენო პირველ წარსლვისა ჩე-  
მისა“. ხოლო აღდგომილსა ზე ეპყრნიან თულნი გონებისანი გრძნო-

ბადთა კელთა თანა მვედრებელსა: „წარემართე[ნ], — იტყოდის —  
ლოცვაჲ ჩემი, ვითარცა საკუმეველი, შენ წინაშე, ხოლო აღპყრობანა  
კელთა ჩემთანი, ვითარცა მსხუერპლი სამწუხროჲ“. და კუალად მცი-  
რედ განსუენებაჲ რაჲ მისცის სხეულსა, თვსაგან მღუმრიალ<sup>1</sup> იტყო-  
დის: „დავიდეგ მე ნეფსით მღვმესა ამას ჭუესკნელსა ბნელსა შინა, ვი-  
30 ნაჲ, მოწყალე, ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, ნუსადა ვემს-  
გავსო შთამავალთა მღვმედ ჯოჯოხეთსა, არამედ აღმოიყვანე საპყრო-  
ბილისაგან ბოროტისასა სული ჩემი აღსაარებად სახელისა შენისა, რა-  
მეთუ მე თმენით დაგიტმო შენ, ვიდრემდის მომხედნე და ისმინე ლოც-  
ვისა ჩემისა და აღმოიყვანო მე მღვმისაგან გლახაკობისა კორცთაჲსა  
და თიქისაგან უყისა ბრალთაჲსა. ამისა შემდგომად საზრდელისა მიმ-  
45 ლებელი, რომელი მიეცემოდა მას ზენა კერძო შთატევებული ერთისა

<sup>1</sup> მღუმრიალ.

ბერისა მიერ და ესეცა მცირედ რაოდენ დაცვად შემტკიცებასა სხეულისასა აღდგომილი, კუალად ჩუეულებისაებრთა მქონებელ იყვის, მეტყუელი: „არა ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და ჰრული წამთა და განსუენებაჲ ჯორცთა, ვიდრემდის ვპოო აღგილი უფლისაჲ და საყოფელი ღმრთისა იაკობისი“.

ამათ და ესევეთართა ქების-მეტყუელებათა და ვედრებათა შემწირველი მარადის უფლისა მიმართ დადგრომილ იყო ლაკუასა მას შინა ყოვლითურთ წყუდიადსა, რამეთუ სასოებდა ნათელსა მას დაუსრულებელსა და საუკუნესა მიმთხუევად მცირისა ამის და წუთ ქამიერისა ბნელისა მოთმენითა და ესევეთართა ღმობიერითა სულითა მეტყუელებდის: „შენ განანათლე სანთელი ჩემი, უფალო, და განაბრწყინვე ბნელი სულისა ჩემისაჲ, ღმერთო, რამეთუ ბნელი ესე, ხილული შენგან, არა დაბნელდეს, ნათელო თუალთ-შეუდგამო; ხოლო დამე ვითარცა დღე განათლდეს, ვინაჲ ნუ უგულებელს-მყოფ მე ნეფსით ყოველთა ამათ მომთმენელსა სიყუარულისათჳს შენისა“.

ესრეთ ქამთა მრავალთა მოთმინე იყო რაჲ მღვმესა მას შინა მღუწელი დუაწლსა მოღუაწეთასა, განიკაფა ყოვლითურთ [32] სხეული მისი შრომათა მიერ და ჭირთა, რამეთუ შეიღება იგი ფერსა სიშავისასა, მიმღებელი ნოტიობისა და ძნელსულობისა გესლითა სხუად ვინაჲმე და უცხოდ ფერად შეცვალებული და სრულიად განლუული და დამკნარი ჯორცითა, ტყავისა მიერ და ძუალთა დაიცვიდა ხატებასა, ვინაჲ არა სათქუმელ იყო ამისსა, ვითარმედ: „ჯორცნი ჩემნი იცვალნეს ზეცისა! მიერ, არამედ უფრომსლა შესატყვის განჯმობაჲ ძუალისაჲ ვითარცა კეცისაჲ, ფრიადისა მარხვის ამიერ და აქუმაჲ ენისაჲ სსასა მრავლისა ლოცვისა და ფსალმუნებისა<sup>2</sup> მიერ“.

ხოლო მადლითა და ლოცვითა ამის წმიდისაჲთა აღორძნდა უდაბნოჲ იგი და აღსავსე იქმნა მონაზონთა მიერ სათნოებითა შემკობილთა და ვიდრე აქამომდე მერმეცა უმეტეს აღორძნდების შეწევნითა ქრისტესითა ამიერ, ვინაჲთგან სრბაჲ აღასრულა და სარწმუნოებაჲ დაიმარხა განწმედითა სულისა და ჯორცთაჲთა, რამეთუ განებანა თავი თჳსი ნაკადულითა ცრემლთაჲთა სამარადისოდ, სიკუდილისა ქსენებად მოვიდა და მერმეცა ჯორცთა შინა მყოფი განჯსნილ იყო მათგან სრულიად დამვიწყებელი ბუნებასა კაცობრივსა და ჯორცთაგან და ნაწევართა<sup>3</sup> შეერთებასა, რამეთუ ზე აქუნდეს თუალნი გონებისანი გონიერად წინაშე საყდართა სამეუფოთა მდგომარესა სულიერად.

<sup>1</sup> ზეთისა. <sup>2</sup> ფსალმონებისა. <sup>3</sup> ნაკევართა.





ხოლო სთნდა მეუფესა აღწოდებაჲ მრავლად დამაშურალისა მის  
 მამაკაცისაჲ განსუენებათა მიმართ და სუფევათა უოხჳნოთა, ვინაჲ  
 აუწყა მას განსლვაჲ ჳორცთაგან და დაცხრომაჲ ესოდენთა ტკივილთა  
 და ღუაწლთაგან, რომელთა მიერ მძლე ექმნა მბრძოლსა ყოველთასა  
 5 ბოროტსა სატანას, რომლისათვისცა ეგულებოდა საძლეველთა მიღებაჲ  
 ღუაწლის-დამდებელისა ღმრთისაგან. ხოლო ვინაჲთგან ცნა სულისა  
 წმიდისა მიერ დატევებაჲ სხეულთაჲ, ითხოა მღდელ-მემსხუერპლეთა-  
 გან ზიარებაჲ უკუდავთა ჳრისტეს საიდუმლოთაჲ, და მიმღებელმან პა-  
 ტიოსნისა ჳორცისა და სისხლისამან, ზეცად აღიპყრნა ჳელნი თვისნი  
 10 და: „ჳელთა შენთა, — მეტყუელმან — ჳ მეუფეო!, შევჳედრებ სულ-  
 სა ჩემსა, შენ მიერ მომღებელი მისი“.

ესრეთ აღმოუტევა სანატრელი სული მისი მასვე მღვმესა შინა  
 მამცნებელმან დატევებად სხეულსა მისსა, რათა რომელი საყოფელ  
 და სამკვდრებელ მისსა იყო სიცოცხლესა შინა მისსა ესე და შემ-  
 15 დგომად სიკუდილისაცა საფლავ და სამარზო სხეულთა მისთა იქმნეს.  
 ვინაჲ წადიერებით და სურვილით წარგრაგნილი ძმათა მიერ დაბე-  
 კულითა მით, რომლითა მოსილ იყო, დაიდვა ყოვლად მკნე იგი გუამი  
 მისი მასვე მღვმესა შინა, რამეთუ ემცნო მათთვის წმიდასა და სანა-  
 ტრელსა შიოს, რომელი აქუს აწ „მღვმედ“ წოდებულსა მონასტერსა  
 20 მფარველად და ზღუდელ თვისად, და უფროსად ყოველსა ნათესავსა  
 ჳართველთასა<sup>2</sup> [V] უპყრიეს იგი მკველად და მაოტებულად ყოველთა  
 წინააღმდგომთა, ხილულთა და უხილავთა. და რომელნი მიიწივნენ  
 სარწმუნოებით თაყუანის-ცემად საფლავსა და საყოფელსა მისსა ეპო-  
 ების მათ შემწე ძლიერი ჳირთა შინა და მკსნელი ურვათა და განსა-  
 25 ცდელთაგან.

ესევეთარი მოქალაქობაჲ აჩუენა საწუთოსა ამას შინა სამ-გზის სა-  
 ნატრელმან ამან მამამან და ესოდენი ღუაწლნი თავს-ისხნა ჳორცითა  
 უძღურითა. სიყმილი და წყურილი შეურაცხ-ყო, ცეცხლსა იწროება-  
 თასა არა ჳრიდა, უდაბნოჲსა უღონოებაჲ არად შეჳრაცხა, ისარ  
 30 ჩვლთა იქმნნეს მტერისა მიერ მოწევენულნი მის ზედა წყობანი, რომელ-  
 თა მიერ მრავლად ირწყვებოდა მზისა ხილულისა ზედვაჲ. უღირსად  
 დასაჯა თავსა თვისსა, რათა გონიერი იგი მზე სიმართლისაჲ იხილოს.  
 ამისთვისცა ცხოველი მკუდრად იხილვებოდა მღვმესა შინა, მიწასა  
 ცოცხლივ შთასრული, რათა პირნი ღომთა გონიერთანი დაუყვენეს, ვი-  
 35 თარ დანიელ, ხილულთა და გრძნობადთა ნათელთა თეატრონ ანგე-  
 ღლოზთა და კაცთა წყობასა შინა წინააღმდგომთა მტერთასა, განაკვრენა

<sup>1</sup> მფ-შო. <sup>2</sup> ჳართველთასა.

უსხეულონი ძალნი, ვითარ კორცითა განხრწნადითა და უძლურითა უკორცოთა ძალთა მძლავრნა და სირცხველულნი უკუნ-<sup>აქცივნა</sup> გვრგვნთა ძლევისათა მომღებელმან, გარნა აწ მდგომარე არს წინაშე საყდრისა ღმრთისა<sup>1</sup> და ევედრების სამარადისოდ მოტევებასა ცოდ-<sup>ვათასა</sup> მთხოველი ჩუენთჳს სამებასა ერთღმრთეებასა, რომელსა შუე-<sup>ნის</sup> ყოველი დიდებაჲ აწ და ყოველთა საუკუნეთა დაუსრულებელთა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

[1] ცხოვრება<sup>2</sup> ჴმიდისა<sup>3</sup> ღმერთჴამოცილისა მამისა ჩუენისა  
დავით გარეჯელისა მიუღაზნოვის

გუაკურთხენ მამაო!<sup>4</sup>

19

ვინაჲთგან ყოვლისა დასაწყისი და დასაბამი და ყოვლისა მყოფი-  
სა არსისა და უარსოჲსა, ხილულისა [და] არა ხილულისა მიზეზი და  
შემოქმედი ღმერთი არს, მივსცეთ მას დიდება<sup>4</sup>, პატივი და თაყუანის-  
ცემა<sup>5</sup> მამასა, ძესა და სულსა წმიდასა. ეჰა, გამოუთქმელსა მას და გა-  
ნუზომელსა სახიერებასა და მოწყალებასა ღმრთისასა ჩუენ კაცთა-<sup>15</sup>  
თჳს ბუნებით მოკვდავთა და მიწისაგანთა შეურაცხთა მონათა [მის-  
თა]<sup>6</sup>, მის მიერგე კელთა ამღებელმან მიწით შეზელილისა კაცისა,  
რომელსა მტერმან სამოთხე მიჰპარა, რათამცა აღიყვანა პირველსავე  
პატივსა.

მხოლოდ-შობილი ძე და სიტყუა<sup>6</sup> ღმრთისა<sup>7</sup> გარდამოავლინა, ვი-<sup>20</sup>  
თარცა ცისკარი განთიადისა, დაბნელებულისა და დაქვრივებულისა,  
ეგრეთვე ექსორია ქმნილისა ამის ბუნებისა ჩვენისა, აღმოაბრწყინვა  
მზე იგი სიმართლისა ქვეყნასა<sup>8</sup> ზედა წმიდისა ქალწულისა მარიამის-  
გან, კორცითა ღმერთი და კაცი სრული, თანასწორი მამისა [v] და სუ-  
ლისა წმიდისა<sup>9</sup>, უფალი და მეუფჴ, ღმერთი ჩვენი, საჯსარი ჩვენი იე-<sup>25</sup>  
სუ<sup>10</sup> ქრისტე, რომელმან ყოველივე შობითგან განგებულება<sup>11</sup> თჳსი  
ვიდრე ამალღებამდე სიმდაბლითა და გლახაკობით ადასრულა, უძლუ-  
რებანი ჩვენნი იტვირთნა და ყოველი სნეულუბანი განკურნა.

ამისითა სიყუარულითა<sup>12</sup> და ტრფილებითა და სასოებითა აღივსო  
მწყობრი მარტვლთა და მწყობრი და კრებული მამათა, რომელთა ნაგე-<sup>30</sup>  
ვად შერაცხეს ყოველივე წარმავალი ამის სოფლისა, წარმდინარე და  
დაუდგრომელი, დაუტევეს მშობელნი და თჳსნი ნათესავნი, მამულნი,

\* ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ხელნაწერ წიგნთა ფ. 1446, № 252.

\*\* ეს ადგილი ტექსტში ამოღებულია.

ნუსხაშია: <sup>1</sup> მღ'თისა. <sup>2</sup> ცხ'რბა. <sup>3</sup> წი'სა. <sup>4</sup> ღბ'ა. <sup>5</sup> თყანის-ცემა. <sup>6</sup> სიტ'ყა.  
<sup>7</sup> ღ'ა. <sup>8</sup> ქვეყ'ანასა. <sup>9</sup> წი'სა. <sup>10</sup> ი'ვ. <sup>11</sup> გ'ნგებლ'ბა. <sup>12</sup> სიყ'არლთა.



- აგარაკნი [და] ყოველივე ჩვეულება სოფლისა. რომელნიმე სტადიონსა შინა წინაშე მეფეთა და მძლავრთა მიერ აღესრულნეს, რომელთანი სისხლნი შეუმოსიეს ეკლესიასა ქრისტეს[ს]სა, ვითარცა პორფირი და ბისონი, რომელთა სულნი სუფევენ წინაშე ღმრთისა<sup>1</sup> და ნაწილნი მათნი პატივ-იციემიან ქვეყანასა<sup>2</sup> ზედა.
- და სხვათა<sup>3</sup> სივლტოლითა და მეუღაბნოებისა ცხოვრებითა განაშვენეს სული თჳსი და მათითა ოფლითა და ცრემლთა დინებითა განსურნელე[შ]ბულ არს წმიდა<sup>4</sup> ეკლესია ქრისტესი, რომელთანი სულნი აწ ანგელოზთა თანა მწყობრობენ.
- რომელთაგანი ერთი არს, რომელი წინამდებარესა ამას სიტყუასა<sup>5</sup> ჩვენსა უნდოსა ეგულების წარმოთქმა. დავით სანატრელისა გარესჯელისა, პირველ ასურელისა შუამდინარელისა, რომელთაგან აღმოგვიბრწყინდეს ვარსკვლავნი ბრწყინვალენი, ახალნი ათორმეტნი მამანი და მოციქულნი ქრისტესნი, განმანათლებელნი ქართლისანი, რომელთა სახელები ესე არს: იოვანე ზედაძნელი, შიო მღვიმელი, დავით გარესჯელი, ისე წილკნელი, თათა მამებელი, პიროს ბრეთელი, მიქელ ულუმბელი, ამბა ალავერდელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, [ზენონ]<sup>6</sup> იყალთოელი, სტეფანე ხირსელი.
- ესენი უწყებითა სულისა წმიდისაჲთა<sup>7</sup> და ნებითა ღმრთისაჲთა<sup>8</sup> წარმოემართნეს ასურეთითა შუამდინარით, რომელთა თავი და მოძღუარი იყო იოვანე, რომელნი [V] ცხოვრებდეს ერთად შეკრებილნი ზოგად, ვითარცა ერთსულნი, მოლუაწებითა ბუნებათა უღარესითა ანგელოზებრივითა მონასტერსა ასურეთს, რომლისაჲმე მთისა უღაბნოს. წარმოემართნეს და მოიწინეს ქართლად, დედაქალაქად მცხეთად, წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიასა, სადა-იგი არს კვართი უფლისა<sup>9</sup> და სვეტი ცხოველი, რომელსა ზედა მჯდომარე არს პატრიარქი. რამეთუ მაშინ იყო ეელაიოს, ღირსი და თანა-შესწორებული ანგელოზთა. მხილველთა ურთიერთას განიხარეს სიხარულითა სულიერითა. შემდგომად მცირედისა ეამისა, ვითარცა დაყუდების<sup>10</sup> მოყუარენი იყვნეს და ევლტოდეს მსოფლიოსა შფოთსა, განიწაწილეს ადგილნი<sup>11</sup> სადაყუდებულონი მათთა შინა და ქვაბთა და კვრელთა ქუეყანისათა<sup>12</sup> და რაოდენთაჲმე ზედა მწყემსობა<sup>13</sup> სოფელთა და ეკლესიათა.
- არამედ დიდი და მდიდარი სათნოებითა, სრულიად მომკითხველი და უკანადასკნელითა ანბორის-მყოფელმან(!) იჯმნა ყოველისავე მსოფ-

ნუსხაწია: 1 ღ<sup>ა</sup>. 2 ქყა<sup>ა</sup>ნასა. 3 სხ<sup>ა</sup>თა. 4 წ<sup>ა</sup>. 5 სიტ<sup>ა</sup>ყასა. 6 ზენონ<sup>ა</sup>ქარსენ. 7 წის<sup>ა</sup>ჲთა. 8 ღა<sup>ა</sup>სთა. 9 ო<sup>ა</sup>. 10 დაყოდების. 11 ადგილნი. 12 ქყა<sup>ა</sup>ნისათა. 13 მწყემსობა.

ლიოას ზრუნვისაგან, შეიტკბო უღაბნოს-მოყუარება [და] უღაბნოსა უგზოსა, ურწყულსა და ყოვლითურთ [3] უნუგეშინისცემოსა ინება<sup>1</sup> დამკვიდრება<sup>2</sup> მოწაფისა თანა თვისისა, რომელსა ერქვა ღირსი ძმა ლუკიანე, მის თანა წარიტანა სათნოებათა მისთა კუალსა<sup>3</sup> შედგომილი. მიიწია კახეთსა, სამთავროთა უღაბნოთა გარესჯისათა მრავალმთასა. <sup>5</sup> რამეთუ არს ადგილი იგი ყოვლითურთ უნუგეშინისცემო და აღმოსავლით მხედველ, შემწველ ვორიფონთაგან მზისათა. ფრიად მამვრალთა გზისა სლვისაგან, შემთობილთა წყურვილისაგან, პოვეს მთასა ქვეშე კლდისასა, ქვესა მას ვეშაპისასა, რომლისა უკანადასკნელ მეგულეების მითხობად, პოვეს ნაპრალი თავით თვისით დამტევენელნი წვიმისანი და <sup>10</sup> ზედა სიციხისა და ჰაერისა მიერ შთამოტევებულისა მკსინვარებისა და ზამთრისანი და დაისადგურეს მუნ ღმრთისა<sup>4</sup> მიერ სასოებითა კაც[თა]<sup>5</sup> [მათ]<sup>6</sup> მკნედ მოღვაწე[თა]<sup>7</sup>.

ვითარცა ელია ვინმე ახალი ქვესა ქორათ[ი]სასა, შემშურვებელი შურსა უფლისა<sup>8</sup> საბაოთისასა, და ვითარცა იოვანე ნათლისმცემელი, <sup>15</sup> გამოზრდილი ზეცით ცვარითა<sup>9</sup> ზეგარდამოხსა მადლისა მიერ და თანად ნუ[v]გეშინის-ცემისა მადლისა ეგრეთვე და წყალიცა მწარე ერთად შეკრებილი წვიმისა და ცვარისა მიერ სვეს მცირედ მმადლობელთა ღმრთისათა. ეგრეთვე და მდელთაგანცა მის ადგილისათა იკმიეს, რომლითა მრავალ ჟამ იზარდებოდეს ხოლო მის მდელსაგან. მოღუა- <sup>20</sup> წებითა ღამის ლოცვათა შინა ოდესმე დაუტევის მზე ზურგით კერძო დასავალთა და არა მიდრკის ზედგომისაგან და ლოცვისა და მსგავსად ნილოსისა გარდმომდინარეთა ცრემლთა ვედრებასა შინა ღმრთისასა ყოფად ნებისა მისისა და მიმთხვევად აღთქმულთ[ა] მათ კეთილთა საუკუნოსა ცხოვრებისა და ყოვლისა სოფლისა მშვიდობისათჳს <sup>25</sup> და განძლიერებისა ქრისტეს სჯულისა და \*მცნებისა. ვიდრემდის აღმოგდის კუალად მზე პირის-პირ მისსა აღმოსავლით და ესრეთ შემდგომად მცირედ განისვენის.

ხოლო ოდეს მოიწია ჟამი ზამთრისა, განკმეს და მოაკლდეს მდელონი იგი, რომლითა იზარდებოდეს. მაშინ სულმოკლე ქმნილი ლუ- <sup>30</sup> კიანე, მოწაფე მისი, ეტყოდა: „მამაო, განკმეს მდელონიცა, რომლითაცა დაიცვებოდეს [4] სხეულნი ჩვენნი და სადაღა-მე იყოს ნუგეშინის-ცემა მოკვდავთა ამათ ჳორცთა ჩვენთა? და არცაღა უფალსა უბრძანებდის, წმიდაო მამაო, უზეშთაესსა ძლისასა შრომა ჳორცთა, რათა არა

\* ამის შემდეგ გადაშლილია იმავე მელნით: „ხოლო ოდეს მოიწია ორ ზამთრი“... ნუსხაშია: <sup>1</sup> ინება. <sup>2</sup> დამკვიდრება. <sup>3</sup> კლსა. <sup>4</sup> ლა. <sup>5</sup> კაცმან. <sup>6</sup> მათმან.

? მოღწემუნ. <sup>8</sup> ოა. <sup>9</sup> ცვრეთა.



- სრულიად<sup>1</sup> მოუძღვრდეთ შეუძლებელნი მოთმინებად<sup>2</sup> იწროებასა და უპოვარებასა ამის უღაბნო მასასა. არამედ სხუთა<sup>3</sup> ადგილთა დავადგრეთ, სადაცა დაიცვებოდის არსება<sup>4</sup> კორცთა ჩუენთა და მუნცა მიითულოს ღმერთმან სინანული ჩუენი.
- 5 ხოლო აღუზვავებელმან მან და მშვიდმან მამამან მიუგო მოწაფესა თჳსსა: „ძმავო ლუკიანე, გასმიეს წმიდათა წერილთა მიერ, ოდეს ელია ყორნის მიერ გამოზარდა ღმერთმან და იერემია და დანიელ ჭურღმულსა მივლინებითა საზრდელისათა. რამეთუ იცის ღმერთმან ზრდა მოშიშთა მონათა მისთა და გუზარდნეს ჩუენცა, ცოდვილნი ესე
- 10 მონანი, მინდობილნი წყალობისა მისასანი, რომელი ზრდის ყოველთა, და მართვეთაცა ყორნისათა, რომელნი ხადიან მას, რომელმან მოსცის საზრდელი ყოველსა კორციელსა. ხოლო აღაღებს მარჯუენესა<sup>5</sup> და განაძღებს სიტკბოებითა ყოველთა. ისმინე წმიდათა წერილთა [V] თქმული მახარებელისაჲ წმიდისა სახარებისა ბრძანება<sup>6</sup>: „ნუ ზრუნავთ სულისა თქუენისათჳს, რა ვჳამოთ, ანუ რა<sup>7</sup> ესვათ, ნუცა კორცთა თქუენთათვის, რა შევიმოსოთ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რა<sup>8</sup> გიგმს თქუენ, რამეთუ ამას ყოველსა წარმავალნი ეძიებენ. კუალად მიხედენით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთქესვენ<sup>9</sup>, არცა მკიან და მამა თქუენი ზეცათა ზრდის მათ“.
- 20 ესევეითარი რა<sup>10</sup> სწავლათა ეტყოდა ღმერთ-შემოსილი წმიდა<sup>11</sup> მამა დავით, ეჰა განგებულებასა შენსა, ღმერთო! მეყსეულად წარმოდგეს სამნი ირემნი ნუკრთა თანა თჳსთა, სავსენი სძითა — და რამეთუ მრავალცა არს ადგილსა მას ნადირნი სხუანიცა<sup>12</sup>: ირემნი და გარეთხა — ხოლო უბრძანა წმიდამან დავით: „ძმავო ლუკიანე, მოილე პინაკი და
- 25 მოწველენ ირემნი ესე, რომელნი<sup>13</sup> ღმერთმან მოგვმადლნა ნუგეშინისა ცემელად უღირსთა მონათა მისთა.
- ხოლო ნადირნი იგი დგეს მყუდროებითა, ვითარცა შინაურნი, წინაშე წმიდისა მის. ხოლო ღირსმან მან ძმამან ლუკიანე მიიღო პინაკი და მოწველნა ფურნი იგი ირემნი და მოართო წმიდასა მას. ხოლო მან,
- 30 გამომსახველმან ჭუარისამან, ახალ ყ[ნ]ველად გარდაქცია იგი. აღდგეს და დავარდეს პირთა ზედა თჳსთა [და] მადლობდეს ღმერთსა. ლოცვისა წარმთქმელთა შემდგომად მოიღეს და ჳამეს. ხოლო მიერ ღლითგან, თჳნიერ ოთხშაბათ<sup>14</sup>-პარასკევისა, ვითარცა ცხოვარნი მწყემსისაგან, წარმოდგიან წინაშე წმიდისა მის მამისა და მოიღის პინაკი და

ნუსხაშია: 1 ს-ღ+ს-ღ. 2 მოთმინებად. 3 ს-ჯთა. 4 არსება. 5 მ-რჯუნესა. 6 ბრძანება. 7 რა. 8 რა. 9 სთვენ. 10 რა. 11 წ-ღ. 12 სხანიცა. 13 რ-ი. 14 ოთხშაბათ.

მოწუელნის ღირსმან ძმამან ლუკიანე. და ესრეთ განძლიერდეს მადლითა ღმრთისაჲთა<sup>1</sup>.

დღესა ერთსა მოვიდეს ჩვეულებისაებრ და დადგეს წინაშე წმიდისა დავითისა, მძლწოლარენი და შეშინებულნი, და ნუკრი ერთი არღარა იყო მათ თანა. თქუა ლუკიანეს მიმართ: „ძმაო ლუკიანე, ხედა<sup>2</sup> ვა ირემთა ამათ, რამეთუ მძლწოლარენი მოვიდეს და ნუკრიცა ერთი არა არს [მათ] თანა?“ ხოლო ლუკიანე მოწველნა და წმიდამან დავით აღიღო კვერთხი თვისი. და თავსა მის კვერთხისასა აქვნდეს ჯუარი. წარემართა კვალსა მას, ვინაცა მოსრულ იყვნეს ირემნი იგი. ძირსა მის კლდისასა არს ჳევი ღრმა, ვითარცა ქვაბი რამე<sup>3</sup> კლდისა დანახეთქი, <sup>10</sup> კლდეთა იხედვიდა წმიდა<sup>4</sup> იქი და აქა, რათამცა იხილნა მავნებელნი [v] ირემთანი და ვინა იგი ნუკრისა მიმტაცებელი. შთახედნა დანახეთქისა და ნაპრალსა კლდისასა და იხილა ვეშაპი დიდი, რომლისა თუალნი იყვნეს საზარელ და ვრცელ და ქედსა მისსა ვითარცა ძაგარი რამე ხენეში და შუბლსა მისსა მოაქვნდა რქა დიდი. ხოლო კუდი მისი იყო<sup>5</sup> <sup>15</sup> ვითარცა ძელი რამე სიზრქითა და სიგრძითა.

ხოლო ცნა რა<sup>6</sup> წმიდამან მან, ვითარმედ იგი არს მავნებელი ირემთა და ნუკრიცა საკმელ თვისა უქმნიეს, ზედა-მიტევებითა უშიშითა ჳმითა იქადოდა და ეტყოდა წმიდა<sup>7</sup> დავით: „<sup>2</sup> ბოროტთა თაო! შენ მისტაცუა ნუკრი ირემთა ჩემთა, რომელი ღმერთმან მოგვეცა მონათა მისთა <sup>20</sup> საზრდელად? აწვე გამოვედ და წარვედ სხუათა<sup>8</sup> ადგილთა, რამეთუ ესე ადგილი მონათა ღმრთისათა<sup>9</sup> სამკვიდრებელ იქმნას. და უკეთუ არა მერჩედ, განვაპო მუცელი შენი ჯუარითა ამით კვერთხითურთ და გყო საკმელ მატლთა“. ხოლო იგი ეტყოდა კაცობრივითა ჳმითა — ეშმაკი იტყოდა პირით მისით: „წმიდაო ღმრთისაო<sup>10</sup>, თავს-მდებ მექმენ მე და <sup>25</sup> მომხედვედი, ვიდრეცა დავიფარო, მსწრაფლ [6] გამოვიდე და წარვიდე“. ხოლო წმიდა<sup>11</sup> იგი აღუთქმიდა. და მეყსა შინა გამოვიდა და წარვიდა სამზრით კერძო, წვეკრსა მის მთისასა, სადა აწ არს ლავრა დიდი გამოკუეთილი, და შთავიდოდა დაღმართ ქვაბისა მის, სა[და]<sup>12</sup> იყო ლუკიანე. იხილა რა<sup>13</sup> მხეცი ესე საზარელი, და რამეთუ ძრვასა მისსა იძროდეს ლოდნიცა მის ადგილისანი, დაეცა პირსა ზედა თვისსა შეშინებული და იდვა ვითარცა უსულო.

ხოლო წმიდა<sup>14</sup> იგი აღყვა ვიდრე წვეკრთამდე მის მთისა და მიხედვიდა. და ვეშაპი იგი მოსწრაფედ ვიდოდა მდინარედ კერძო მტკვრად.

ნუსხაჲთა: 1 ღმ-თა. 2 მ.თქმის. 3 რამე 4 წ-ა. 5 იყო იყვნეს. 6 რა. 7 წ-ა.

8 სხ-დათა. 9 ღმ-თა. 10 ღ-მო. 11 წ-ა. 12 სა. 13 რა. 14 წ-ა.



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

ხოლო ანგელოზმან კმა-უყო<sup>1</sup> წმიდასა: „დავით, დავით“ და წმი-  
დამან მიხედნა. და გარდმოვარდა ზეცით შთამოტყევებული ცეცხლი და  
მეყსეულად აღწბა<sup>2</sup> ვეშაბი იგი ცეცხლმან, რომლისა დამწუფელობისა  
მისისა სასწაული აქამომდე იხილვების, რამეთუ არა აღმოეცენების  
6 მუნ მწვანეილი ადგილსა მას. შეწუხნა წმიდა<sup>3</sup> იგი, რამეთუ თავს-მდებ  
ექმნა. მაშინ ანგელოზმან უთხრა: „მამაო დავით, რასა ზრუნავ მკეცი-  
სა მისთვს? არა უწყია, რამეთუ, ოდეს შთავიდოდა მდინარესა მას,  
მიერთოდა ზღუად<sup>4</sup> და მრ[v]ავალთა ნავთა მავნებელ ექმნებოდა და  
სულთა მრავალთა დაანთქმიდა? არამედ შენ მიიქეც ადგილსა შენსა,  
10 რამეთუ ძმა შენი და მოწაფე<sup>5</sup> ლუკიანე ქვე-მდებარე არს პირსა ზედა  
[თვსსა]. მივედ და აღადგინე და ნუგეშინის-ეც მას, რათა არა სულ-  
ნოკლე იქმნას. რომელი-იგი ღმერთმან ცეცხლითა დაწვა მკეცისათვს<sup>6</sup>,  
ნუ გაქუს ზრუნვა“. შთავიდა წმიდა<sup>7</sup> დავით მოწაფისა მიმართ და იხი-  
ლა ქვე-მდებარე შიშისაგან მკეცისა მის, რომელი ეხილვა, წართრეო-  
15 და რა<sup>8</sup> იგი, რამეთუ აჩნდეს დიდად ადგილნი, სადა-იგი წარსულ იყო.  
ხოლო ღირსმან წმიდამან დავით ჰრქუა ლუკიანეს: „აღდეგ, ძმაო,  
რასა შეშინდი ჭიისა ერთისაგან? რომელი ღმერთმან ზეცით ცეცხლი-  
თა დაწვა, რათა იქმნეს ადგილნი ესე სულთა მრავალთა საცხოვრე-  
ბელ“. და აღადგინა და განამტკიცა იგი. და იყოფოდეს მშვიდობით  
20 ლოცვითა, მარხვითა და ცრემლთა დინებითა ღმრთისა<sup>9</sup> მიმართ რაო-  
დენ ეამ.

ხოლო ეამსა ერთსა და დღესა მოვიდოდეს ირემნი ჩვეულებისა-  
ებრ და მგზავრ იხილეს მონადირეთა ვიფთმე, კახეთისა საქ[7]მთავრო-  
ბით წარმოსრულთა. და ვითარცა იხილეს, შეუდგეს მათ. ხოლო ირემ-  
25 ნი იგი დადგეს წინაშე ბერისა მყუდროებით და მიიხვნა ლუკიანე  
პინაკი და წველდა მათ. ხოლო მონადირეთა მიისწრაფეს: გონებდეს,  
ვინაჲთგან ადგილი იგი გაუალი იყო[ო]<sup>10</sup>, თვნიერ მისსა, რომელი თანა  
შევიდეს, ვითარმედ ვერლარა განერებთან კელთაგან მათთა. დევნა უყ-  
ვეს მსწრაფლ, მივიდეს და იხილეს ირემნი იგი მდგომარენი მყუდროდ.  
30 ვითარცა შინაურნი, და ლუკიანე<sup>11</sup> მწველელი მათი და წმიდა<sup>12</sup> დავით  
მჯდომარე შორის მათსა, განკვირდეს განკვირვებითა დიდითა და გარ-  
დაცდეს ჰუნეთაგან მათთა, დავარდეს და თაყუანი-სცეს<sup>13</sup> წმიდასა და-  
ვითს და ეტყოდეს თუ: „ვინა და სადათ მოსრულ ხარ ანგელოზი კაცთა  
შორის, ანუ ვინა და საქ[დათ]<sup>14</sup> არს საზრდელი შენი, მამაო, ესევეითარსა<sup>15</sup>

ნუსხაშია: 1 კს-უყო. 2 აღწბა. 3 წ-ა. 4 ზღ-ად. 5 მწაფე. 6 მკეცისათ-ს.  
7 წ-ა. 8 რა. 9 ღ-ა. 10 იყ. 11 ლუკიანი. 12 წ-ა. 13 თავად-ნისცეს. 14 სა. 15 ესევერსა.



ამას უპოვარსა უდაბნოთა, ანუ სასწაული ესე, რამეთუ გარეულნი ესე მკეცინი, ვითარცა ცხოვარნი, გამსახურებენ შენ, მაუწყე ჩუენ, წმიდაო ღმრთისაო“.

ხოლო ღირსმან და აღუზვაებელმან მან წმიდამან დავით ჰრქუა: [v] „ძმანო ჩემო და შვილნო, მე კაცი ვარ ცოდვილი და ცოდვათა 5 ჩემთათჳს გამოსრულ ვარ და ვმონებ ადგილსა ამას იწროსა, რომელმან-იგი ჩვენთჳს განკაცება<sup>1</sup> ჯერ-იჩინა და ჩუენ მოგვიყინდა წყევისა მისგან სჯულისა პატიოსნითა, ვნებითა მისითა ღმერთმან და მაცხოვარმან ჩუენმან ქრისტემან და ღმერთსა ვეძიებ, რომელნი-ესე, უღირსნი მონანი მისნი, თანა-მდებ ვართ მონებად მისა. ხოლო რომელ- 10 თა ხედავთ ირემთა ამათ, ღმერთმან ნუგეშინის-საცემელად მოგვივლინა უძღურთა ამათ გორცთა ჩუენთა საზრდელად და, ვითარცა-ესე ხედავთ, ესრეთ მოვლენ მარადის, თჳნიერ ოთხშაბათისა და პარასკევისა. არამედ მომნადირებელნი ნადირთანი, ძმანო, წარვედით სხუთა<sup>2</sup> მიმართ ნადირთა, რამეთუ ღმერთსა ჩუენდა უნიჭებიან ესენი“. ხოლო 15 კაცი იგი ფრიად მოიწყულნეს სიტყუასა<sup>3</sup> მას ბერისასა [და] ეტყოდეს მას: „უკეთუ იყოს სიკუდილი ჩუენი შენ თანა, ანუ თუ ჳირი და იწროება<sup>4</sup>, არღარა სადა განგეშორნეთ შენ, მამაო, და გვედრებით, რათა მყვენე ჩუენცა მონად ქრისტესა აღებითა ჳუარისა სახედ მო[8]ნაზონთა მონებად ქრისტესა. დამტევებელნი ამის საწუთოსნი არღა უკუნ- 20 ვიქცეთ, წმიდაო მამაო, არამედ მორჩილ ვიქმნეთ ბრძანებასა შენსა. უკეთუმცა იყოს შიმშილითა, ანუ თუ წყურვილითა, ანუ შიშლოებითა განლვეა ჩუენი, არღა დაგიტეოთ შენ, წმიდაო ღმრთისაო“<sup>5</sup>.

ხოლო მშვიდმან და მყუღრომან დავით ჰრქუა მათ: „შვილნო და ძმანო ჩემო, ვხედავ, რამეთუ შვებითა და ფუფუნებითა და პატივითა 25 ამის სოფლისათა აღზრდილთა გეხართ თქუენ და რამეთუ სახეცა თქუენი გამოგაჩინებს თქუენ, ნუუკუე<sup>6</sup> ვერ შეუძლოთ უდაბნოებითისა ცხოვრებისა სრულ-ყოფად. ვითარცა-ესე ხედვენ თუალნი თქუენნი, რამეთუ იწრო და საჭირველ არს ყოვლითურთ, უნუგეშისცემო მზისა შემწუფელობისაგან ეამსა ზაფხულისასა და ურწყულცა არს, 30 ყოვლითურთ ნაკლულევან საზრდელთაგან, უსაევანოცა ზეცით შთამოტევებულისა წჳმისა და ჰაერისა მკსინვარებისა და ზამთრისა მყინვარებისა შემწყნარებელად.

არამედ მიიქეცით სახიდ თქვენდა, ნუ ავნებთ მოყვასთა თქუენთა და კმა გეყავნ როჳიკი თქუენი. იჯმენით [v] ყოვლისავე უსამართლო- 35

ნუსხაშია: 1 გწყება. 2 სწათა. 3 სიტყმასა. 4 იწროება. 5 ღაო. 6 უკმ.





ებისა და ხვეჭისაგან გლახაკთასა და მიეცით მოწყალება<sup>1</sup>, როდენსა შემძლებელ იყვნეთ, დაიმარხეთ ჭეშმარიტი და უბიწო სარწმუნოება<sup>2</sup> წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და მიიღეთ ღირსებით და სიწმიდით საიდუმლო ქრისტესი კორცი და პატიოსანი სისხლი მისი, რომელი დასთხია სოფლისა საქსრად, და იყუარებოდეთ სიწმიდითა და შიშითა ღმრთისაჲთა<sup>3</sup> ურთიერთას და არა შორს ხართ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა<sup>4</sup> მისთა“.

ხოლო იგი[ნი]<sup>5</sup> დაცვი[ვეს]<sup>6</sup> პირთა თვისთა ზედა ფრიადითა ცრემლითა აღვსებულნი [და] ეტყოდეს წმიდასა დავითს: „მამაო წმიდაო, არასა სიმძიმესა ბრძანებ, რამეთუ სიტყუანი<sup>7</sup> ეგე უსაქიროეს არიან ჩუენდა ვიდრე აქასა ამასა ლუაწლისა და შრომასა, რამეთუ ფრიად სურვიელ ვართ აღებად<sup>8</sup> უღლისა ქრისტესისა და შედგომად კვალთა სიწმიდისა შენისათა. და საქიროებასა, რომელსა ბრძანებ, სიხარულ არიან ჩუენ მონათა ამათ შენთათვის. იგი ჭირი არა საქირო გვიჩნს, რომელი მოგვატყვებს უკუდავსა და დაუსრულებელსა ცხოვრებასა<sup>9</sup>. არამედ, უკეთუ აწვე განგვლიოს სიკუდილმან, არასადა უკუნ-ვიქცეთ დამტყვებელნი ცოლთა და შვილთა და ყოვლისა აგარაკისა და საუნჯისა ჩუენისანი, რამეთუ ყოველი ნაგვეად შეგვირაცხიეს სიყუარული-სათვს<sup>10</sup> [9] ქრისტესა და უღლისა მისისა, რომელთაცა<sup>11</sup>-ეგე სიწმი-  
 20 დეცა შენი შედგომილი არს, მამაო წმიდაო, და სურვილით განმზადებულ ვართ მონებად შენდა, და რათა ღირს მყვენე ჩუენ მიღევნებად<sup>12</sup> კვალსა შენისა ღმრთისა მსახურებისასა“.

შემდგომად ამისა ძნიად სადამე დაარწმუნა კაცთა მათ და წარვიდეს თვისთა სოფლებთა. მხილველთა ამის მამისათა განთქვეს ყოველსა სოფელსა ღმრთის-მსახურება წმიდისა<sup>13</sup> მის. მაშინ ყოვლით კერძო შემოკრებოდეს უდაბნოსა მას ხილვად წმიდისა<sup>14</sup> დავითისა ამიერნი და იმიერნი, ქუეყანისანი<sup>15</sup> ქართლისანი, კახეთისანი და იმერნი და ევედრებოდეს წმიდასა მას, რათა მამობრივითა შეწევნითა წინა უძლოდეს მათ გზასა ღმრთისასა. მომთმენელნი აღუთქმიდეს იწროებასა მის  
 30 უდაბნოხასასა შემტკობელნი უდაბნოებითისა ცხოვრებისა.

ხოლო ღირსი დავით მათცა ე[გ]რეთვე<sup>16</sup> უთქმიდა, ვითარცა კაცთა მათ, და ვერასა დაარწმუნებდა. მაშინ უბრძანა მათ ღირსმან დავით: „ვინაჲთგან ეგვეითარითა სარწმუნოებითა აღუთქვამთ ღმერთსა სათ-

ნუსხაშია: 1 მწლებ. 2 სრწმუნოებ. 3 ღმთა. 4 მყარეთა. 5 იგი. 6 დაცვიეს. 7 სიტყმანი. 8 აღებად. 9 ცხბრძასა. 10 სიყმარლისათს. 11 რომლითაცა. 12 მიღვენებად. 13 წისმ. 14 წისმ. 15 ქენმსანი. 16 ერეთვე.

ნო ყოფასა უდაბნოებითისა ცხოვრებისასა, წარვედით და მოიხვეწით რკინანი და სათხრელნი<sup>1</sup> და გამოკვეთეთ<sup>2</sup> წინით თავისა თვისისა სენაკნი და პალატნი სამყოფნი, ეგრეთვე ეკლესიანი, ვითარცა წეს არს ზოგად ცხოვრებულთა და ერთსულთა ძმათა“.

წარსულთა მოიხვენეს ყოველნი რკინანი და სათხრელნი კლდეთა-<sup>3</sup> 5  
ნი, გამოკვეთეს ყოველთა სადგურნი და სენაკნი, პალატნი, მცირენი  
ეკლესიანი, სამსხუერპლონი<sup>4</sup> და ლაკეანი, წვიმისა შემწყურებელნი,  
დაადგრეს თვს-თვს მოღუაწებასა და მარხვასა და ლოცვასა, შემტკობ-  
ნი უდაბნოებითსა ცხოვრებისა ცრემლითა და მღვიძარებითა სამარა-  
დისოთა, რომელნი ფრთოვან ჰყოფდეს სულსა მათსა სიყვარულსა<sup>5</sup> შინა<sup>6</sup> 10  
ღმრთისასა სწავლითა და მოძღვრებითა წმიდისა და ღირსისა დავითი-  
სითა, რომლისა კვალსა შედგომილ იყვნეს, იყოფოდეს რომელნიმე ზო-  
გად, რომელნიმე თვსაგან მარტოდ მყოფთა ცხოვრებითა. და ესრეთ  
აღივსო უდაბნო იგი უალი, რამეთუ ქალაქ იქმნა მოღვაწეთა მიერ  
ქრისტესთა ანგელოზებრივითა ცხოვრებითა, რამეთუ მთანი იგი იმ-<sup>7</sup> 15  
ღერდეს, ვითარცა ცხოვარნი, და ბორცენი მის ადგილისანი, ვითარცა  
კრავნი ცხოვართანი, რამეთუ კელი ღმრთისა<sup>8</sup> იყო მათ ზედა მაკურ-  
თხვეულად.

მაშინ ეუწყა ღირსსა და ყოვლითურთ სათნოსა დოდოს, რომელი  
იყო მონაზონი რჩეული [10] და სათნო ღმრთისა<sup>9</sup>, ესმა რა<sup>10</sup> ესე, რო-<sup>20</sup>  
მელი იყო კახეთისა სამთავროფთა, განიხარა სიხარულითა ფრიადითა,  
წარმოვიდა და მოიწია წმიდისა დავითისა. მხილველთა ურთიერთას  
განიხარეს სულიერითა და ჯეროვანითა სიხარულითა და იუბნეს ურ-  
თიერთას. ხოლო დაადგრა მის თანა სამარადისოდ [და] იყოფოდეს ზო-  
გად ჟამ რაოდენმე ძმებრივითა სიყუარულითა<sup>7</sup> მოცილებდ.<sup>25</sup>

დღესა ერთსა ჰრქუა წმიდამან დავით დოდოს: „ძმაო სულიერო  
დოდოს, ვინაფთვან ღმერთმან ინება<sup>8</sup> აღორძინება<sup>9</sup> ამის უდაბნოფსა  
და ძმანიცა ესე მოსწრაფე არიან გულს-მოდგინებით აღსრულებად მო-  
ნებასა შინა ქრისტესსა მეუდაბნოებითისა ცხოვრებისა, დამტყვებელნი  
სოფლისანი, ადგედ რქასა იმას, რომელი დამართებით ჩუენსა არს“. <sup>30</sup>  
რომელსა ეწოდა ვიდრე დღეინდელად დღემდი „დოდორქა“, რომელი  
ახლავს „წმიდასა დავითს“ პირისპირ ფარსაჲ ერთ. და ჰრქუა ღირსსა  
დოდოს: „ვინაფთვან ღმრთისა<sup>10</sup> მიერ რწმუნებულ არს მოურნეობა  
პირმეტყველთა ამით ცხოვართა, აღუშენე მუნ ეკლესია ყოველად უხრ-

ნუსხაშია: 1 სათხრელნი. 2 სამსხუერპლონი. 3 სიყვარლსა. 4 ღ. 5 ღ. 6

7 რ. 8 სიყვარლითა. 9 ინება. 10 აღორძინება. 10 ღ.



- წნელისა ღმრთისმშობელისა და შესაკრებელი ძმათა ნუგეშინის-  
 ცემელად, რათა ჯერო[ვა]ნსა<sup>1</sup> დღესა ეზიარებო[ვ]დენ ყოვლად გან-  
 მაცხოვრებელსა ჯორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისა<sup>2</sup> ჩუენისასა  
 განსანათლებლად სულთა და მისატევებლად ცოდვათა და შეიწი-  
 5 როდისცა მსხუერპლი<sup>3</sup> და მომავალნი ძმანიცა ნუგეშინის-იცემებოდენ<sup>4</sup>  
 და რამეთუ მღღელობისა წესი აქვნდა ღირსსა დოდოს, ვინაფთ-  
 გან თვთ მოუცულ იყო წმიდა<sup>5</sup> დავით და შექცეულ მიუდრეკელად  
 დამტევებელ სოფლისა დაყუდებისა შრომისა, ამისთვის არწმუნა მოურ-  
 ნეობა<sup>6</sup> სულთა, რათა ყოველივე საჭიროდ საჭმარი საიდუმლო და  
 10 კორცთაცა საჭმარი მიეცემოდესთ მოქენთა.  
 მორჩილ ექმნა კმასა მოძღვრისა მის სულიერისასა და ჰრქუა წაი-  
 დასა დავითს: „მამო, ვყო ყოველივე ბრძანებისაებრ შენისა, რამეთუ,  
 ვითარცა მუშაკისა კეთილისა კელთა უღელი, მიმიცემიეს ქელი ჩემი  
 დადებად<sup>7</sup> უღლისა ტკბილთა მათ მცნებათა შენთა“.  
 15 განვიდა ღირსი დოდოს რქასა მას, რომელი ამართულ არს პირის-  
 პირ, შექმნა მუნ ტაძარი ვრცელი ყოვლად წმიდისა, უფროჲსად კურ-  
 თხელისა, ყოველთა უმეტესისა ზეცისა და ქუეყანისა<sup>8</sup>, განაწესა მუნ  
 საიდუმლოთა ქრისტესთა აღსრულება<sup>9</sup>, გამოჰკვეთნა პალატნი, სენაკნი  
 და შესაკრებელნი და ყოველივე [11] საჭირონი ადგილნი და განსა-  
 20 სვენებელნი, ხოლო თვთ ზემოსა მას კლდესა, კაცთაგან შეუალსა, ითხა-  
 რა მსგავსი საფლავისა, ყოვლად შემაიწრებელი სხეულისა, ფრიად  
 იწრო, ხოლო დამტევნელი წმიდისა<sup>9</sup> სადაყუდებულს. და მუნ დაადგრა  
 ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა, ღამე ყოველ კელ-განპყრობით  
 მლოცველი უსართულოსა მას სენაკსა მოღვაწეებისა მისისასა, მხედვე-  
 25 ლი ცად მიმართ და განიცდიდა<sup>10</sup> შეუნიერებასა<sup>10</sup> ცისასა და ბრწყინვა-  
 ლებასა ვარსკვლავთასა, მჭურვალთა ცრემლითა ფრთოან ყოფდა გო-  
 ნებასა თვისსა სიყუარულად შემოქმედისა მათსა მიმართ, რაოდენ გან-  
 ვაგრო სიტყუა<sup>11</sup> ჩემი წმიდისა მის მოღვაწეებისა მიმართ შესხმად, რა-  
 მეთუ კაცი ესე სათნო და ჰეშმარითი, საარწმუნო მონა ღმრთისა<sup>12</sup> დოდოს  
 30 ღირსი თანა-წარკდა პირველთაცა მათ მამათა მოღუაწებითა. და მუნვე  
 არს ეკლესია მშვენიერი და საფლავიცა ღირსისა მის, რომელი შემ-  
 დგომად მიცვალებისა მისისა პატივად წმიდისა<sup>13</sup> აღუშენეს და დასხნეს  
 ნაწილნი მისნი, რომელი კურნებისა წყაროსა აღმოუცენებს სურვი-  
 ლით მედრებელთა მისთა.

ნუსხაშია: 1 ჯერონსა. 2 ღ-ა. 3 მსხუერპლი. 4 წ-ა. 5 მოურნეობა. 6 დადებად-  
 7 ქეანისა. 8 აღსრულება. 9 წი-სა. 10 შეწინებრება. 11 სიტ-ყა. 12 ღ-ა. 13 წი-სა.

[v] კაცმან ამან წმიდამან<sup>1</sup> აღასრულა ცხოვრება<sup>2</sup> თვისი მუნ ვიდრე  
 იბერემდე სანატრელთა მით ცხოვრებითა, ანგელოზთა სიხარულსა  
 და ცხოვრებასა, სუფევასა ზეცისასა მიიცვალა ჭირისაგან განსვენე-  
 ბად, ძილი მართალთა დაიძინა და აღმოეცენებინა საფლავით მისით  
 სურნელე.<sup>3</sup> ვითარცა სტავრაქისა ნარდისა ნელსაცხებლისა სარწმუ-  
 ნოებით მკედრებელითა.

მიერიოვან აღივსო უდაბნონი<sup>4</sup> გარესჯისანი, ვიდრემდის ვერლა-  
 რა იტევდეს მთანი და კლდენი მის ადგილისანი. რომელნიმე მარტოდ-  
 მყოფობასა შეიტკობდეს, რომელნიმე—დაყუდებასა, სხუანი<sup>5</sup>—მორ-  
 ილებასა, სხუანი<sup>6</sup>—ზოგად ცხოვრებასა, რომელნიმე—მუშაკობასა და  
 ბუ<sup>7</sup> სხვა მიმართ მოღვაწებასა მიიცვალებოდა და ესრეთ შეიკრებ-  
 დეს ყოვლით კერძო ყვავილსა მოღუაწებისასა მოძღურებითა წმიდი-  
 სა<sup>8</sup> ღმერთშენოსილისა მამისა ჩუენისა დავითისითა, რომლისა მიერ  
 შემოკრბა<sup>9</sup> მწკობრი ესე ანგელოზთა კაცთა შორის უდაბნოსა ამას.  
 რამეთუ შეიყვარა ქრისტე და დამწყსო ცხოვარნი მისნი და მიიღო  
 ასეული და ათასეული ტალანტი ღმრთისა<sup>9</sup> მადლისა საცხოვრებელად  
 სულთა მრავალთა.

[12] ხოლო დღესა ერთსა, ვითარცა ჩუეულება<sup>10</sup> აქუნდა მოხილვად  
 ძმათა და მოძღვრებად და განმტკიცებად<sup>11</sup> ძმათა და უფროასად წმი-  
 დისა დოდოსა, აღვიდის ურთიერთს განმამტკიცებელნი მადლობასა  
 შინა ღმრთისასა. შემდგომად მოკითხვისა ძმათასა. განვიდა მარტოდ  
 კლდისა რომლისამე ძირსა [და] ფარულად ილოცვიდა თვსაგან მყუდ-  
 როებით. ხოლო კახეთისა კერძოთაგან მონადირენი ვინმე მთავართა-  
 განი ბარბაროზი, უფროასდა სულითა ბარბაროზი, სახელით ბუბაქარ,  
 ქორითა ნადირობდა მაშინ მახლობელად წმიდისა<sup>12</sup> მის, სადაცა ილოც-  
 ვიდა, განეტევა ქორი კაკაბისდა და შეშინებული მივარდა ფერკთა ბე-  
 რისათა და ქორი მჯდომარე თვსაგან. მიისწრაფა ბარბაროზმან მან სა-  
 ნადიროსა თვისსა და იხილა წმიდა იგი სახითა მონაზონთათა შემო-  
 სილი. და უცხოდ აღუჩნდა სახეცა და ადგილთაცა მათ უალთა მკვიდ-  
 რობა მისი და მიეტევა ცხენითა წმიდასა მას და ეტყოდა ბარბარო-  
 ზებრივითა რისხვითა: „კაცო, ვინ და რა, სადაჲთ ხარ შენ და რა არს  
 ინიზეზი მკვიდრობისა შენისა აქა?“ [iv] ხოლო წმიდამან დავით ჰრქუა  
 მას: „მე მონა ვარ ღმრთისა<sup>13</sup> ჩემისა და ცოდვათა ჩემთა სინა-  
 ნულად გამოსრულ ვარ უდაბნოთა ამათ. რომელმან შექმნა ცანი და  
 ყოველნი სამკაულნი მისნი, ქუეყანა<sup>14</sup> და ზღვანი, [მას] ვმონებ მსასობე-“

ნუსხაშია: <sup>1</sup> წმ. შნ. <sup>2</sup> ცხრ. შნ. <sup>3</sup> სურნელემა. <sup>4</sup> უდაბნონი. <sup>5</sup> სხუანი. <sup>6</sup> სხ. ა.  
<sup>7</sup> წის. ა. <sup>8</sup> შემოკრბა. <sup>9</sup> ღ. ა. <sup>10</sup> ჩუეულება. <sup>11</sup> განმტკიცებად. <sup>12</sup> წ. ა. <sup>13</sup> ღ. ა.  
<sup>14</sup> ქუეყანა.

ლი წყალობათა მისთა“. ესე და სხუანი<sup>1</sup> სიტყუანი<sup>2</sup> იგმინა სომხურითა ენითა წმიდამან დავით და ეტყოდა კუალადცა: „მფრინველი ესე, რომელი მოივლტოდა ჩემდა განრომილი, დაუტევეთ, რამეთუ უფალსა მოუმაღლებიეს ჩემდა, არამედ სხვისა მიმართ წარვედით“.

5 ხოლო ბარბაროზი იგი ეტყოდა წმიდასა დავითს: „მე მოკვდინება<sup>3</sup> შენი მინებს და მფრინველისათჳს უნდოსა მევედრებია? უმჯობეს იყო შენდა, რათა თავისა შენისათჳს მევედრებოდი“.

ხოლო წმიდამან დავით მდაბლითა სიტყვითა ჰრქუა მას: „არცა ერთი რა კელმწიფება გაქვს შენ ჩემ ზედა ძალითა ღმრთისა ჩემისადა-  
10 თა. არა ხოლო თუ ჩემდა, არამედ არცალა თუ უნდოსა ამას მფრინველსა ზედა“.

მაშინ იკადა მახვლი, რათამცა უხეტქნა ქედსა წმიდისასა და, ვი-  
15 ცარცა აღიღო მახვილი, ეჰა განგებულებასა შენსა, ღმერთო, [18] რა მეთუ მარჯვენე მისი, ვითარცა განკმელი, კელნი შეექმნეს მიუღრეკე-  
ლაღ. მაშინ ცნა\* კაცმან მან, რამეთუ კაცი ღმრთისა<sup>4</sup> არს. ცნა რა<sup>5</sup> რის-  
ხვა ღმრთისა, დადგრომილი მის ზედა, გარდავარდა ბუბაქარ ჰუნისაგან  
20 თჳსისა, დააგდო თავი თჳსი ფერკთა თანა ბერისათა და ევედრებოდა ცრემლით: „წმინდაო ღმრთისა[ო] და მონაო სარწმუნოო მისო, განკურნე კელი ესე ჩემი და, უკეთუ განკურნებულ ვიქმნე, აღვიარო ღმერთი შენი, რომელსა ესაუ, და, რაცა მიბრძანოს სიწმიდემან შენმან, იგი-  
25 ცა ვყო“. ხოლო წმიდამან დავით ალაპყრნა კელნი თჳსნი ცად და თქვა: „უფალო იესუ, ღმერთო ჩუენო, რომელმან კელნი განკმელნი აგენ კაც-  
სა მას, რომელსა ჯელნი განკმელ ედგა, ეგრეთვე მოაგენ კელნი ამის ბარბაროზისანი<sup>6</sup>, რათა იცნას სახელი შენი და გმონებდეს“.

30 მეყსეულად ლოცვასა თანა წმიდისასა განიკურნეს კელნი მისნი და სიხარულისა ცრემლნი სდიოდეს თუალთა მისთა. მაშინ ჰრქუა წმიდასა მას: „მამაო, მისხენ სახლსა ჩემსა ცოლი და ორნი ძენი, არამედ [V] არს-ცა ძე იგი ჩემი უხუცესი ორთავე ფერკითა კოჭლი და ქუე-მდებარე<sup>7</sup>. მოვიყვანო წინაშე სიწმიდისა<sup>8</sup> შენისა, რათა განიკურნოს იგიცა ლოცვითა შენითა და მოვილოთ ნათელი ემბაზისა და ნათელს-ვიდოთ მე და ყოველთავე სახლეულთა ჩემთა სახელითა ღმრთისა<sup>9</sup> შენისადათა, ვითარცა წეს არს ქრისტეანეთა, და ვიქმნეთ ჩუენ

\* ამის შემდეგ გადაშლილია „წმინდამან მამან“.

ნუსხაშია: <sup>1</sup> სხუანი. <sup>2</sup> სიტყუანი. <sup>3</sup> მოკვდინება. <sup>4</sup> ღმ. <sup>5</sup> რა. <sup>6</sup> ბარბაროზისნი.

<sup>7</sup> ქუე-მდებარე. <sup>8</sup> სიწმინდა. <sup>9</sup> ღმ.

ქრისტეანე სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა. სახლისა მხილველმან მოვაქციო შენადვე შემწირველი მადლობისა შენდა, წმიდაო ღმრთისაო“.

და განუტევა მთავარი იგი და უბრძანა: „შვილი იგი შენი კოჭლო და მანცა მიიღოს კურნება“<sup>1</sup>; მისლვასა შენსა მოგეგებოდის შენ იგი <sup>5</sup> განკურნებული, ვინაჲთგან აღუთქუ ღმერთსა მისა მიმართ მოქცევა სარწმუნოებისა მიმართ ქრისტესისა“.

მივიდა რა ბუბაქარ სახლსა შინა თვსსა, შორითვე მოეგებოდა\*  
 ძე იგი მისი კოჭლი მდებარე მსგავსად ბრძანებისაებრ ბერისა. განუ-  
 კვირდა მთავარსა მას [14] და იკითხვიდა, ვითარმედ: „რომელსა ჟამ-  
 სა უმოლხინეს იქმნა ესრეთ“? ხოლო მათ მიუგეს და რქუეს<sup>2</sup> განკურ-  
 ნება<sup>3</sup> მისი, რომელსა ჟამსა უბრძანა წმიდამან დავით. შევიდა სახლსა  
 შინა თვსსა და მიუთხრა ყოველივე იგი ხილული. შემდგომად მცირე-  
 დისა ჟამისა აღკაზნნა საკედარნი თვსნი ყოველითა ხოსტავითა და საკ-  
 მარითა ფრიადითა და უბრძანა მონათა თვსთა ყოველივე მზა ყოფად <sup>15</sup>  
 და წარემართა ყოველითურთ სახლეულითა ცოლისა თანა და შვილითა  
 წმიდისა<sup>4</sup> დავითისა სურვილითა და სარწმუნოებითა მოქცევად და მო-  
 ლებად<sup>5</sup> ნათლის-ღებისა და შეძინებად სჯულსა ქრისტიანეთასა. მივიდა  
 ესრეთ ძღვნისა მომღები წმიდისადა. თაყუანი-სცეს მმადლობელთა და  
 ძე იგი მათი დააგდეს ფერკთა თანა ბერისათა და ეტყოდეს: „ღმერთ- <sup>20</sup>  
 შემოსილო მამაო, დღეს შენ მიერ განკურნებული ძე ესე ჩუენი მო-  
 მიყვანია წინაშე სიწმიდისა<sup>6</sup> შენისა და ჩუენცა კათაკმაველნი ესე გა-  
 რეგან ღმრთისა<sup>7</sup> დამაგენ ღმერთსა ნათლის-ღებისა მიერ და შეიწირე<sup>8</sup>  
 მცირეცა ესე ძღვენი ჩუენი“ — ცრემლითა მკურვალითა ეტყოდეს  
 წმიდასა მას. ხოლო მან ღმერთშემოსილმან უბრძანა მათ ტკბილითა სი- <sup>25</sup>  
 ტყვიითა სწავლანი მრავალნი და უმეტეს განამტკიცნა სარწმუნოებასა  
 ზედა ქრისტესსა [V] და პრქუა ლუკიანეს: „წარვედ და წინა წარუ-  
 ძედ, ძმაო, რქასა იმას ღირსისა დოდოსა და ესრეთ მიუშენენ: შეწევნი-  
 თა ღმრთისაჲთა უმეტეს წარმართა უდაბნონი ესე და არა დაივიწყა  
 სიგლახაკე მონათა მისთა და მოგვცა ცხოვარნი ბოროტისა მგლისა <sup>30</sup>  
 მწყემსისა მოჰმადისა ცხოვარად აღბეჭდულად ქრისტესსა და მოქე-  
 ნეცა არიან ნათლის-ღებისა მოღებად, ხოლო შენცა, ვითარცა მოხა-  
 რულმან კეთილსა ზედა, შეიწყნარენ ესენი და უჩინე მღდელი და

\* ამის შემდეგ გადახაზულია: „წა იგი“.

ნუსხაშია: 1 კრნება. 2 რქუეს. 3 გ-ნკურნება. 4 წი-სა. 5 მოღებად. 6 სი-  
 წისა. 7 წ-ა. 8 შეიწირენ.

ყოველი სამსახურებელნი და ნათელ-ეც სახლეულითურთ თვისით. და ნიჭიცა ამისი მითვალე ნუგეშინის-საცემელად ძმათა“. მცირედი რამე დაიყენა და ყოველივე წარსცა წმიდისა დოდოსა. წარსულთა და მხილველთა ნათელს-ილეს მოხარულითა სულითა ბუბაქარ და ყოველთა სახლეულთა მისთა. და კუალად განასხნა წმიდისა<sup>1</sup> დავითისა, თაყვანი-სცეს<sup>2</sup> წმიდასა მას და აღუთქვეს, ვითარმედ: „ვიდრეღა ცხოვრებასა ამას შინა ვიყვენეთ, მამაო, გამსახურებდეთ ნაყოფთაგან ჩუენთა“. და მიერთვან მოართვან წლითი-წლად სამყოფი ყოველისა ნაყოფისაგან კმა საყოფელი.

ხოლო მიერ დღითვან უმეტეს განკლა ჯამა<sup>3</sup> ღირსისა ამის მამისაჲ [15] ყოველსა ქუეყანასა<sup>4</sup> ქართლისასა და შემოკრებბოდეს სიმრავლე დიდძალი, ვიდრეღა ვერღარა იტევდეს უდაბნონი ესე. პირველ მკეცთა სადგურნი აღივსო ღირსთა და სათნოთა კაცთა მიერ ანგელოზებრივითა მოქალაქობითა. და რამეთუ უმრავლესი მათი უკანასკნელ<sup>5</sup> წამებისა მიერ სრულ იქმნეს და [ო]რკეცად<sup>6</sup> მრჩობლ გვრგვონსან იქმნეს მოღვაწეებისა<sup>7</sup> სარბიელითა და სისხლთა დათხევითა. რამეთუ აღსავეს არიან უდაბნოთა ამათ ნაპრალნი ნაწილთა მათ სანატრელთანნი, რომელი მიერ მოხარულად რამე და ვითარცა მგალობელად კმა<sup>8</sup>-ტკბილად სახილველად აღუჩნდების სარწმუნოებით მხილველთა უდაბნოთა ამათ ნაპრალნი. წარემართნეს ლავრანი და აღუშენნეს ყოველნი<sup>9</sup> წესნი მონასტერთანნი, ვიდრე-ღა ემსგავსებოდა ზეცისა იერუსალიმისა<sup>10</sup> ზატიკობასა ფსალმუნთა და საგალობელთა მიერ და დაუცხრომელისა ლოცვისა მიერ. და ესრეთ უდაბნონი ქალაქ იქმნეს ღირსთა მიერ.

ხოლო წმიდა<sup>11</sup> იგი დავით იხარებდა სულითა, რომელ ესრეთ აღორძინდა უდაბნო იგი, პირველ მკეცთა სადგური პირმეტყუელთა<sup>12</sup> მიერ ცხოვართა აღივსო.

დღესა ერთსა მოუწოდა წმიდამან [v] დავით მოწაფესა<sup>13</sup> თვისსა ლუკიანესა და პრქუა: „ძმარ ლუკიანე, ვინაჲთვან ინება<sup>14</sup> ღმერთმან უდაბნოჲსა და უპოვარისა ამის ადგილისა აღვსება მონათა მისთა მიერ სარწმუნოთა და ადგილი ესე მკეცთა სადგური<sup>15</sup> სულისა წმიდისა<sup>16</sup> კაცთა სათნოთა და ანგელოზებრივისა ცხოვრებისა შემტკობობთა და ქრისტეს უღლისა ტკბილად მიმღებელთა<sup>17</sup> მიერ, მოურნე და თანამდგომელ ექმენ ძმათა ამათ, რათა არა უკუნ-იქცენ ვერ დამთმენელ-

ნუსხაშია: 1 წის<sup>1</sup>. 2 თყან<sup>2</sup>ისცეს. 3 კ<sup>3</sup>. 4 ქყან<sup>4</sup>სასა. 5 უკანასკნელ. 6 რკეცად. 7 მოღებისა. 8 კ<sup>8</sup>. 9 ყ<sup>9</sup>. 10 ილიმისა. 11 წ<sup>11</sup>. 12 პრმწყ<sup>12</sup>ლთა. 13 მფა<sup>13</sup>ფესა 14 ინება. 15 სადგური+სადგური. 16 წი<sup>16</sup>სა. 17 მიმღებელთა.

ნი იწროებისა<sup>1</sup> ამის უდაბნოვასა და კვეთებასა მზაკვარისა და კაცთა მოძულისა ეშმაკისასა, რამეთუ მნებავს მე წარსლვად იერუსალიმად<sup>2</sup> და თაყუანის-ცემად, სადა-იგი დადგნეს განმაცხოველებელნი ფერკნი უფლისანი<sup>3</sup>. და სურვიელ ვარ საქმისა ამის აღსრულებად<sup>4</sup> და შენ წინამძღომ და მოუტრნე ექმენ ძმათა<sup>5</sup> ამათ, რამეთუ დიდიცა იგი მო-  
 ლუაწე ძმა ჩუენი დოდოს თანაშემწე<sup>6</sup> გეყოს ჩემ წილ.

ხოლო ესმა რა<sup>7</sup> ესე ღირსსა ძმასა ლუკიანეს, [16] შეწუხნა ფრიად და მძიმედ აღუჩნდა ესევეთარისა ტკბილისა და ღირსად ცხოვრებულისა მამისა განშორება<sup>8</sup> და ცრემლთა მიერ მკურვალეთა ევედრებოდა არა დატეობად<sup>9</sup>, არამედ თანა-მსახურებად მისსა: „მე ვითარ, მამაო, უღირსი ესე და მდაბალი მონა შენი, შენ წილ უძლოდე ესეოდენსა ამას სიმრავლესა? რამეთუ ყოველთა შენდამი ესვენ თუალნი და შენდამი იხარებენ, ვინცა კვალსა სიწმინდისა შენისასა შედგომილ არიან“. ხოლო წმიდა<sup>10</sup> იგი დაარწმუნებდა ესრეთ ყოფად და ერჩდა ბრძანებასა მოძღვრისასა.

მომკითხველი ყოველთა ძმათა აღვადა წმიდისა<sup>11</sup> დოდოსა და მშვიდობამან და ჭეშმარიტებამან<sup>12</sup> ანბორს-უყვეს ურთიერთას და ეგრეთვე ყოველთა ძმათა გარემოთა.

და წარემართა იერუსალიმად<sup>13</sup> ვიეთმე ძმათა თანა და მიიწია იერუსალიმად, სადა-იგი ქედი მადლობისა ეწოდების, სადეთ-იგი იხილ-  
 ვების წმიდა<sup>14</sup> და განმაცხოველებელი საფლავისა ადგილი და ქალაქი იერუსალიმი<sup>15</sup> [v] რამეთუ მუნით საჩინო იქმნების. დავარდა პირსა ზედა თვსსა და მოედინეს მდინარენი ცრემლთანი, ვითარცა ცვარნი წვიმისანი, და ილოცვიდა და იტყოდა: „გმადლობ შენ, უფალო ჩუენო იესუ ქრისტე, რომელმან ღირს მყავ მე, მდაბალი და უნდო<sup>16</sup> მონა შენი, ხილვად და თაყუანის-ცემად<sup>16</sup> წმიდათა ამათ ადგილთა, სიწმიდისა<sup>17</sup> დაბადებისა შენისათა, სადა-იგი კორციელად დალაჭვიდეს უტრწნელნი და ღმერთ-მყოფელნი ფერკნი შენნი ცხოვრებისათს სოფლისა, რამეთუ კმა არს ესე ჩემ მიერ ცოდვილისა, რომელ ვიხილე თვალითა ჩემ ცოდვილისაჲთა იერუსალიმი<sup>18</sup> და ადგილნი, სადა კაცობრივ<sup>19</sup> იარებოდეს ფერკნი შენნი, ვითარმცა ფერკითა ჩემითა, ცოდვილითა და თიჯისაგანითა, დავლაჭენ“.

ეპა, სიწრფოებასა და სიმარტივესა კაცისა ამის ღირსისა! ვითარ ესეოდენითა შორითა და შრომითა და ოფლითა მოსრული არა ღირს

ნუსხაჲთა: 1 იწროებ-სა. 2 ი-სლიმად. 3 ოა-ნი. 4 აღსრულებად. 5 ძმა. 6 თ-ა მწე. 7 რ-ა. 8 განშორება. 9 დატეობა. 10 წ-ა. 11 წი-სა. 12 კტბამ-ნ. 13 ი-სლიმად. 14 წ-ა. 15 ი-სლიმი. 16 თყ-ანისცემად. 17 სი-წისა. 18 ი-სლიმი.





ჰყოფდა თავსა თვისსა ფერკითა დალაქვად ადგილთა მათ. არამედ აღ-  
დგომილმან აღიღო სამ[17]ნი ქვანი სარწმუნოებითა, ვითარმცა თვთ  
საფლავისაგან აღეღო და შთაისხნა იგინი გურძაკთა შინა სიხარულითა  
და სასოებითა მრავლითა და ეტყოდა ძმათა. თანა-მოგზაურთა თვისთა:  
5 „წარვედით და ანბორს-უყოფდით საფლავსა უფლისასა და მომიკსე-  
ნეთ მეცა, უღირსი ესე, ანბორის-ყოფასა თქუენსა, რამეთუ ამიერი-  
თგან არღა ღირს ვყოფ თავსა ჩემსა დატკებნად ადგილთა სიწმიდისათა<sup>1</sup>,  
ვითარ-იგი უბრძანადა ვიეთმე განჯდა ფერკთა არა ტკებნად ადგილთა  
სიწმიდისათა, არამედ მე მივიქცე უდაბნოდ ჩემდა და მივიართუნე ევ-  
10 ლოგიად სამნი ესე ქვანი, ვითარცა თვთ საფლავისაგან აღებულნი,  
ძმათა ჩემთა, რამეთუ კმა არს ესე ჩემდა<sup>2</sup>. ხოლო ძმანი იგი აიძულებ-  
დეს მას: „წმიდაო მამაო, რა<sup>2</sup> არს ეგე, რომელსა იტყვი? ესეოდნთა  
სიშორით დააშვრენ ჳორცნი შენნი და აწ არა მხილველი წმიდასა სა-  
ფლავსა უფლისასა უკუნ-იქცეა?“, ხოლო ღირსი დავით არა ერჩდა  
15 სიტყუათა<sup>3</sup> მათთა, არამედ ანბორის-ყოფელთა დაუტევეს დავით  
სლვად [v] გზათა თვისთა, ხოლო იგინი შთავიდეს და თაყუანი-სცეს<sup>4</sup>  
წმიდასა მას საფლავსა უფლისასა.

ხოლო დამესა მას დაადგრა ანგელოზი უფლისა<sup>5</sup> წმიდასა პატ-  
რია[რ]ქსა მაკარის და ჰრქუა:

20 „აღდეგ მსწრაფლ და იძიენ კაცნი მალედ-მწევენელნი და მოიძიე  
კაცი ღმრთისა<sup>6</sup>, რომელსა ეწოდების დავით ღირსი, რამეთუ დაბებუ-  
ლითა მოსილ არს უნდოდ და გუ[ა]დრაკი ჳკიდავს ბეჭთა მისთა და  
წვერნი მისნი შთავლენან ვიდრე სარტყელადმდე და კვერთხი ქელთა  
მისთა და კამლნი უნდონი ფერკთა, და მან წარიღო სრულიად მადლი  
25 ქალაქისა წმიდისა<sup>7</sup> იერუსალიმისა<sup>8</sup>. არამედ აწიენ კაცნი და მოუღენ  
ორნი ქვანი და ერთი დაუტევე მისდავე, რათა არა სრულიად კუებული<sup>9</sup>  
იქმნეს მადლთაგან და იყოს ორწილი მადლი ქალაქსა ამას და მესამედი  
მადლი იერუსალიმისა<sup>8</sup> უდაბნოსა მისსა, სადა-იგი წარმართებულ არს,  
და უკეთუ ისმინოს, იხილვეცა და იკითხეთ ურთიერთას“.

30 მხილველმან ჩვენებისამან წმიდამან პატრიარქმან, ვითარცა გან-  
თენა, მოუწოდა ორთა მალე[18]მსრბოლთა და ჰრქუა მათ: „კაცი ვინ-  
მე, სათნო ღმრთისა<sup>10</sup>, მოსრულ არს წმიდასა ამას ქალაქსა და სარწმუ-  
ნოებითა თვისითა მიუღია მადლი იერუსალიმისა<sup>11</sup>, არამედ, რამეთუ მე-  
უწყა მე ჩვენებით ყოველივე კაცისა მის, კაცი ესე არს მკვრცხლ<sup>12</sup> მი-  
35 მავალი, დაბებულისა მოსილ და წვერნი მისნი შთავლენან სარტყლად-

ნუსხაშია: 1 სიწმისათა. 2 რა. 3 სიტყუათა. 4 თყანისცეს. 5 ო.ა. 6 ღ.ა. 7 წ.ა.  
8 იმ.ლიმისა. 9 კუებულ. 10 ღ.ა. 11 იმ.ლიმისა. 12 მკვრცხლი.

მდის, კვერთხი კელთა მისთა და გამლნი უნდონი ფერკთა, არამედ თქვენ, ძმანო, ნუ დაბრკოლდებით უნდოდ მოსილებისათჳს, რამეთუ შინაგანი კაცისა მის ბრწყინვალე არს მადლითა სულისა წმიდისადათა<sup>1</sup> და სათნო ღმრთისა<sup>2</sup>. ანბორის-ყოფით მოიკითხეთ, ოდეს ეწივნეთ კაცსა მას ღირსსა და გუ[რ]ძაკთა შინა მისთა იხილეთ სამნი ქვანი მცირენი. <sup>5</sup> ორნი იგი წარმოულეთ, ხოლო ერთი იგი დაუტევეთ მას და, უკეთუ ჯერ-იჩინოს, მოუმცენით მას, რათა ვიხილოთ ღირსება<sup>3</sup> მისი და ესრეთ არქუთ წმიდასა მას. ვითარმედ: „წარმოგვავლინა ჩუენ შენდა პატრიარქმან იერუსალიმისამან<sup>4</sup> და ესრეთ მოგვიმცნო, ვითარმედ: სარწმუნოებითა შენითა მიგველო სრულიად მადლი [v] იერუსალიმი- <sup>10</sup> სა<sup>5</sup> ნებით წმიდისა<sup>6</sup> ქალაქისა ჩემისა, რამეთუ ესრეთ ჩვე[ნებით] მრქვა მე უფალმან: ორნი ეგე ქვანი, რომელ აღგიხმან, ორნი წარმოავლინე ჩემდა, ხოლო ერთი ეგე წარიღე მონასტრად შენდა, რათა იყო[ს]<sup>8</sup> მესამედი წილი იერუსალიმისა უდაბნოსა შენსა და მლოცველთა უდაბნოსა შენისათა მიიღონ მადლი შენი“.

ხოლო წარვიდეს კაცი იგი კვალსა მის წმიდისასა, სადათ-იგი არს ქედი მადლობისა. ვლეს რაოდენიმე და ეწინეს და, ვითარცა ამცნო წმიდამან პატრიარქმან, ყვეს ეგრეთ და ამცნეს: მოულეს ორნი იგი ქვანი და ერთი დაუტევეს და წარვიდეს, ხოლო შესლვა იერუსალიმად<sup>9</sup> ვერ დაარწმუნეს წმიდასა მას. ხოლო ოდეს განეშორნეს კაცი <sup>20</sup> იგი, დაეარდა წმიდა<sup>10</sup> და ვით პირსა ზედა თჳსსა, დაალტობდა იატაკსა მას, სადა-იგი ილოცვიდა, და იტყოდა: „<sup>3</sup> უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელმან ყოვლად უხრწნელნი და ყოვლისა სოფლისა მაცხოვარნი მკლავნი შენნი განიბყრნენ [და] უსჯულოთაგან დაისაჯე მსაჯული ეგე ცხოველთა და მკვდართა და მარჯვენითისა მის ავაზაკისა <sup>25</sup> კელსა<sup>11</sup>, შეიწ[19]ყნარე ეგრეთ ფასის-საცავესა მას ყოვლისა სოფლისა საცხოვრებელსა გორციელად ქუეყანასა<sup>12</sup> ზედა ქვევისა შენისასა. ორნი წვლილნი ქვრივისანი აქენ ეგრეთვე, <sup>3</sup> მეუფეო<sup>13</sup>, გლახაკისა ამის და უნდოდა მონისა შენისა სურვილი და წადიერება ხილვად წმიდისა<sup>14</sup> ამის აღგილისა შენისა ჩემ ცოდვილისა მიერ შეიწირე, ვითარმედ საანჯ- <sup>30</sup> მნოცა ჰყავ წმიდათაგან სახელი მდაბლისა და გლახაკისა მონისა შენისა. მამ[ლობა]<sup>15</sup> და დიდება<sup>16</sup> აღურიცხველსა წყალობასა შენისა სახიერებისასა“. და ვითარცა აღასრულა ლოცვა მჭურვალთა ცრემლითა, აღდგა და ვიდოდა გზასა მას, მიმყვანებელსა უდაბნოსა გარეჯისა-

ნუსხაშია: <sup>1</sup> წის-თა. <sup>2</sup> ღ-ა. <sup>3</sup> ღ-რსება. <sup>4</sup> იმლიმისამ-ნ. <sup>5</sup> იმლი-მისა. <sup>6</sup> წი-სა. <sup>7</sup> ჩვე. <sup>8</sup> იყო. <sup>9</sup> იმ-ლიმად. <sup>10</sup> წ-ა. <sup>11</sup> კ-ა. <sup>12</sup> ქყანასა. <sup>13</sup> ზე-წო. <sup>14</sup> წი-სა. <sup>15</sup> მალობა. <sup>16</sup> ღბ-ა.



სა, ვითარცა მპოვნელი საუნჯისა დიდძალისა, ევლოგიად მიმდებულე ქვისა მის, რომელი იყო მონასტერსა მისსა ეამ რაოდენიმე და ვითარებათაგან მღვლვარისა ამის სოფლისათა უჩინო იქმნა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა<sup>1</sup> ვიტყოდით: დიდისა შრომითა მოიწია ღირსი ესე და მკნე და ბუნებათა<sup>2</sup> უაღრესისა სათ[ვ]ნობისა კელმყოფელი მამაკაცი, ღირსი და ყოვლად სანატრელი დავით, მამა და მოურნე უდაბნოასა თვისისა გარესჯად სანელდებულსა.

ცნეს ყოველთა ძმათა უდაბნოასათა, აღივსნეს სიხარულითა, და რამეთუ სდიოდეს ცრემლნი სიხარულისანი ღირს-ყოფისათვს კვლად ხილვისა ტკბილისა მამისა და მოძღურისა თვისისათა. და მოვიდოდეს თვთეული ხილვად და თაყვანის-ცემად<sup>3</sup> წმიდისა<sup>4</sup> მის, სადა-იგი პირველ მკვიდრ იყო ქვაბსა მოღუაწებისა მისისათა ძმისა მის ღირსისა ლუკიანესა, რომელმან უფროას განიხარა ხილვასა მოძღვრისა და მამისა თვისისათა და იყოფოდეს ერთობით, ვითარ-იგი პირველ შუქდობით.

დღესა უკუე<sup>5</sup> ერთსა მოცალესა ინება<sup>6</sup> მოხილვა ყოველთა მათ თითოეულისა ადგილისა მდგომთა ძმათა მოხილვად და თანა-წარიტანა ღირსი ძმა ლუკიანე. და ვითარ მოიხილნა ყოველნი, ყოველი სწავლა სულიერი და ღმერთმყოფელი აუწყა და განამტკიცნა [20] ყოვლით კერძოვე და სუვეს წყურთიელთა წყარო წყლისა მის ცხოველისა, რომელი დიოდა ვითარცა პირისაგან მის ღირსისა და ვითარცა აღვსებულცა იყო სულითა წმიდითა სიყრმიტვანვე ღირსი ესე ქებისა წმიდა<sup>7</sup> დავით.

ხოლო შემდგომად მოხილვისა მათისა აღვიდა ქვემოსა მას უდაბნოსა და იყო ვინმე ძმათაგანი ერთი დაყუდებით<sup>8</sup> თვისაგან. არს მუნ ქვაბი და სხვა მცირე წინაშე მისსა ქვაბი, და აღმოდის მუნ მცირე წყალი და მწვანვილნიცა აღმოეცენებიან გარემო მისსა. რამეთუ მას ეამსა წყალნი ესე ფრიად მწარე იყო და ძმა ესე პირველ კსენებული მუნ მკვდრ იყო, რომელსა სმიდა რაჲ, ფრიად წყენილ იყო მისვან. მივიდა წმიდა დავით ძმისა მის და მოეგება<sup>9</sup> ძმა იგი დიდითა კრძალულებითა და სიხარულითა. და ვითარ განისვენეს მცირედ, პრქუა წმიდამან დავით: „ძმაო სულიერო, ვითარ ზი შენ აქა დაყუდებით, ანუ სადაჲთ არს საზრდელი შენი? და რამეთუ აქა არცა ლაკვანი არიან წყლისა შემწყნარებელნი, ვინაჲ სვამ შენ აქა?“ [v] ხოლო ძმამან მან დააგდო

ნუხაშია: 1 სიტყუასა. 2 ბუნებათა. 3 თაყვანისცემად. 4 წმიდა. 5 უკუე. 6 ინება. 7 წმიდა. 8 დაყუდებით. 9 მოგება.

თავი თვისი წინაშე ფერკთა თანა ბერისათა და მოახსენა ყოველივე თვისი განცდა, ხილული და უხილავი: „მამაო წმიდაო, წყალნი ესე, რომელ აღმოდის, არს ფრიად და მოუთმენელად მარილიან და მწარე და, ოდეს ესუა, დამწარდებიან საცნობელნი ჩემნი და სხეულნიცა, არამედ ვიქსენებ მეუფისა ჩუენისა ჭუარსა ზედა ნაღვლისა და აღრე-  
 ულისა ძმრისა<sup>1</sup> გემოს ხილვასა და ესრეთ ნუგეშის-ვეცემ თავსა ჩემსა, რამეთუ ვერ ღირს არიან ვნებანი მონისანი შესწორებულ ყოფად უფლისა<sup>2</sup> და ღმრთისა<sup>3</sup> მისისა“.

მაშინ უბრძანა მცირითა ჭურჭლითა მოღებად<sup>4</sup> წყალი იგი. და მოართო რა<sup>5</sup>, აღდგომილმან განიბყრნა ჯეღნი აღმოსავლით და თქუა: 10  
 „უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რომელმან კანასა გალილიასასა წყალნი ღვინოდ შესცვალე და მერარს დაუტკებენ წყალნი ერსა შენსა და მანანა უწვე მეურუსალიმსა<sup>6</sup>, შენვე, უფალო, ახალსა ამას იერუსალიმსა<sup>7</sup>, რომელი გამოსრულ არიან ეგვპტით, რომელ არს შფოთნი სიზმრებრ<sup>8</sup> წარმავალ[21]ისა ამის სოფლისანი და 15  
 მოლტოლვილ შენდა<sup>9</sup>, ვითარცა ცხოვარნი მწყემსისა მომქსენებელნი, არღარა ხახუსა და ნიორსა ეგვპტურსა, რომელ არს ჩვეულება<sup>10</sup> სოფლისა, არამედ შენ მხოლოსდა შემსჭვალულ არიან და შენდამი ესვენ თუალნი ამათნი და მოხარულ არიან იწროებასა და ღვაწლსა ამის უდაბნოჲსასა სიყვარულისა შენისათვს, შენ, უფალო, მოიხილე ზეცით 20  
 და დაუტკებენ წყალი ესე ძმასა ამას და ყოველთა, რომელთა მიიღონ და სვან სარწმუნოებით, მიეც კურნება<sup>11</sup> ჯორცთა და განათლება<sup>12</sup> სულთა“.

შეისმინა უფალმან ლოცვა მისი, რომელმან ყვის ნება<sup>13</sup> ნების-მყოფელთა მისთა, დაატკებო წყალი იგი, რამეთუ გამოსახცა ჯვარი და 25  
 სვა მისგან და შთაასხა ნეშტი, სადა-იგი აღმოელო ძმასა მას. და მიერ დღითგან არს აღმომდინარე დაუშრეტელად ტკბილად სასმელი მამერალთაგან და მკურნალი დღეინდელად დღედმდე და ნიახურნი აღმო-ეცენებიან წლითი-წლად აღვილსა მას სასწაულად წმიდისა<sup>14</sup> მის.

ხოლო აღვიდა შემდგომად ამისა [V] თვისსავე საყოფელსა და 30  
 იყოფოდა მოხარული სულითა ეამ რაოდენმე და, ვითარცა ნავი რა აღსავსე მრავალთა კეთილთაგან. მიწვენული ნავთ-საყუდელთა, ჯერიყო განღებად და ვითარცა ვენაჯი შე-ოდენ-მწიფებულნი<sup>16</sup>—მოსთვლებად<sup>17</sup> უფლისა თვისისაგან და მუშაკი კეთილი — სასყიდლისა მიღებად<sup>18</sup>.

ნუსხასა: 1 ძრმისა. 2 ო-მ. 3 ღ-მ. 4 მოღებად. 5 რა. 6 იმ-ლსა. 7 იმ-ლსა.

8 სიზრმებრ. 9 შნდა. 10 ჩვეულება. 11 კურნება. 12 განათლება. 13 ნება. 14 წი-მ.

15 რა. 16 შემ-ოდენ-წიფებული. 17 მოსთვლებად. 18 მოღებად.



პრქვა ძმასა მას ლუკიანეს: „ძმაო, მეძინების ძილი იგი, რომელი დაიძინეს მამათა ჩუენთა, რომელი თანა-წარუალ არს ყოველთა ადამის მონათესავეთა“. დასნეულდა მცირედ და, ვითარცა ესმათ ღირსად ცხოვრებულისა ამის მამისა, რამეთუ სნეულ არს, შემოკრბეს ყოველით-კერძონი ძმანი და, იხილნა რა<sup>1</sup> იგინი, პრქუა მათ: „ძმანო და შვილნო ჩემნო, მეგულუბის ვალისა მის და ბეგრისა მიღებად<sup>2</sup> მამათა ჩუენთა და წარვალ ამიერ უფლისა<sup>3</sup> ჩემისა, არამედ თქუენ დაიძარხეთ მცნებანი ქრისტესნი და იყვარებოდით ურთიერთას სიყუარულითა<sup>4</sup> უზაკველითა და იტვრთეთ სიმძიმე ერთი-ერთისა და ესრეთ აღასრულებთ სჯული ქრისტესი“. და სხუანი<sup>5</sup> [22] უტკბილესნი სიტყუანი<sup>6</sup> და სწავლანი დაუსახნა ძმათა მათ. და უბრძანა დღესა ერთსა მსხუერპლისა<sup>7</sup> შეწირვა და ეზიარა წმიდათა და ცხოველს-ყოფელსა კორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და ძილი იგი მართალთა დაიძინა სანატრელმან, მან და ანგელოზთა სიხარულსა და წმიდათა ყოფასა თანა-შე[ერ]თო<sup>8</sup>, სადა-იგი უკვდავებითა და ნათლითა საცესა სავანესა შინა განისვენებს ზეშთა ცათა მეუფისა თანა, რომლისა ნათელი მიუძწუხრო არს და ცხოვრება<sup>9</sup> გამოუთქმელ, რომელი თუალმან არა იხილა, გულსა კაცისასა არა მოუჭდა, რა-იგი განუშადა ღმერთმან მოყუარეთა<sup>10</sup> მისთა, რომლისა არს დიდება<sup>11</sup>.

ხოლო ესეცა სასწაული არა დავიდუმით წმიდისა<sup>12</sup>, ყოვლად სანატრელისა მამათა მამისა: ძმა ვინმე მოუჭდა ორისავე თუალითა დაკლებული ნათლისაგან. შე-რა-ეზო გვაშა მას წმიდისასა, მეყსეულად აღეხილნეს. რომელ-ესე იხილეს რა<sup>13</sup> ძმათა მათ, განკვირდეს საკვრველებითა დიდითა და მადლობდეს ღმერთსა [V] და აღიდებდეს მადიდებელსა წმიდათა მისთასა, რომელმან ქმნა ესევეითარი საკვრველი სადიდებელად მის მამისა.

ხოლო მიიღეს წმიდანი ნაწილნი გვაშისა მისისანი ქვემოსა მას მცირესა ეკლესიასა, სადა-იგი არს მცირე სენაკი მოლუაწებისა მისისა, რომელი შემდგომად წმიდამან ილარიონ განავრცელა და შეამკო ეკლესია იგი, რომლისა<sup>14</sup> საფლავსა აღმოეცენება<sup>15</sup> სულნელება<sup>16</sup> მიუთხრობელი და კურნება<sup>17</sup> სულთა და კორცთა სარწმუნოებით მვედრებელთათვის.

ხოლო ვინაძოგან მოძღვრისა ქსენება<sup>18</sup> აღვასრულეთ, ჯეროვან არს და ღირს, რათა ერთგულიცა სარწმუნო მონა და ძმა და მოწაფე მისი

ნუსხაშია: 1 რა. 2 მიღებად. 3 რა. 4 სიყუარულითა. 5 სხანი. 6 სიტყუანი. 7 მსხუერპლისა. 8 შერთო. 9 ცხრბა. 10 მყარეთა. 11 დბა. 12 წიხა. 13 რა. 14 რიხა. 15 აღმოეცენება. 16 სურნელება. 17 კურნება. 18 ქსენება.

მოვიცნენოთ, ვინა-იგი მან აღსასრულთამდე ცხოვრებისა თვისისა მის თანა აღასრულა, და კმა ვიყოთ ქებად<sup>1</sup> და ნატრებად<sup>2</sup> ესეცა ღვაწლი ნეტარეულისა მის, რომელმან მანცა შემდგომად მოძღურისა აღსასრული ცხოვრებისა მიიღო და შეეძინა წმიდათა მამათა და მოღუაწეთა თანა ჰეშმარიტად ღირსად [დ]ა სანატრელად\*, რომლისა საფლავი არს<sup>5</sup> დამართებით კარსა სამეუფოსა საფლავისავე თანა წმიდისა დავითისსა საკურნებელად სარწმუნოებით მლოცველთა, რამეთუ ღმერთსა შუენის დიდება<sup>3</sup>, რომლისავე ღმერთსა შუენის<sup>4</sup> დიდება, პატივი და თაყვანის-ცემა<sup>5</sup> აწ [დ]ა<sup>6</sup> მას საუკუნესა<sup>7</sup> უკუნითა უკუნისამდე, ამინ.

10

წმიდაო, ღმერთშემოსილო დავით გარეჯელო, შენი ცხოვრების მეტაფრასი შექმნა და სურვი[ე]ლიცა ვივაც ცხოვრებისა შენისა სმენად მრავალჯერ აღმომეკითხა, ვითარმედ შეპირითცა ვიცოდი, არამედ არა ხოლო თუ წიგნი, არამედ მრავალ წელ ვიყოფებოდი უდაბნოსა და თვთ საფლავსა შენსა მონასტერსა; ზოგიცა მუ[ნ]<sup>8</sup> დამკვდრებულთა მშათა-მამათაცან მესმა<sup>15</sup> და ადგილიცა თვალთ ვიხილე, ამისთვის, ვითარცა ჰირველი ცხოვრება<sup>9</sup>, ჰეშმარიტებით აღვწერე ცხოვრება შენი, მთლად და უნაკლულად. ვისცა ენებოს, ისმინოს და, ვისაც არ მოაშენდენ, უზრუნველმცა არს.

ათას შეიდას ოცდაჩვიდმეტს წელსა ქრისტეს აქეთ იქმნა ფრიადი და საშინე[ლი]<sup>10</sup> წვა, რომ სრულიად მოსპო<sup>11</sup> სამეუფო<sup>12</sup> ქალაქი, დაიწუა, რომელიმე<sup>13</sup> მცირედი უბნები დარჩა. არაოდეს არ ნახულა ეგვიპთარი, არცაღა ანდროპად: აღურიცხველი საქონელი, სრულიად მონასტერნი და ეოველნი კვლესიანი. მაშინ დამეწო ეოველი საცხოვრებელი ჩემი.

მე, ფრიად ცოდვილმან მთავარ-ეფისკოპოსმან რომანოზ ... ლოცვათა შინა თქუენთა ვსენებასა ჩემსა ნუ დაივიწყებთ მიმთხვეულნი ამის წიგნისასა. 25

\* ამის მომდევნო ტექსტი ვიდრე „რომლისავე ღმერთსა შუენის“-მდე მიწერილი ტექსტის ბოლოს და ასეთი შენიშვნა და ნიშანი მ აქვს: „ეს სიტყვა, მწერალო, ზემო ჩაურთე“.

ნუსხაშია: 1 ქებად. 2 ნატრებად. 3 ღმბ. 4 შუენის. 5 თაყვანის-ცემა. 6 აწმ. 7 სენესა. 8 მუ. 9 ცხრბდ. 10 საშინე. 11 მოსყო. 12 სამეუფო. 13 რმე.

## ზინაარსი

წინასიტყვაობა . . . . .	5
ტექსტები . . . . .	7
ცხოვრება და მოქალაქობა და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოასი . . . . .	7
ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტა- რისა ნინოასი . . . . .	52
ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისა . . . . .	<del>82</del>
ცხოვრება საკვრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოძსნი . . . . .	107
ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა . . . . .	170
ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ახლისა . . . . .	208
წამება და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამებთა დავით და კოსტანტინესი . . . . .	248
დანართი . . . . .	265
ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა შიოძსნი . . . . .	267
ცხოვრება წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გა- რესჯელისა მეუღაბნოესი . . . . .	291

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ც. ქუციკიძე  
გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშველიშვილი  
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია  
კორექტორი ა. დონაძე

გადგეცა წარმოებას 8.7.1969; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.2.71;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 19.75; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 18; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1936;  
ფასი 1 მან. 94 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ. 15  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 15  
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15



ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ  
АГИОГРАФИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ, III

